


ერთ. ს. ს 0 8 3 0



საქართველოს განათლების ინსტიტუტი  
საენაზო ვიზუალური განაკვეთი

ინსტიტუტის გამოცემლობა  
თბილისი 1950

34(09)

ეროვნული

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ შიგაუმცავის  
მეცნიერებათა ინსტიტუტი

ლომ. ს. ს ი გ ვ ა

სახუაღო განათლების ისტორია

საქართველოში


(1860 — 1880 წ.წ.)

K 34.346  
—  
3

ინსტიტუტის გამოშცემლობა  
თბილისი  
1950



Worke. 355 of York Afrim  
Munozvrd.



166 (2) 73 23 12. 102.

## თ ა ვ ი ।

## საზოგადოებრივ-პედაგოგიური აზრის განვითარება სამეცნიერო განათლების საკითხებზე

XIX საუკუნის მესამოცე წლები რუსეთის პედაგოგიკის ისტორიაში აღსანიშნავია, როგორც პედაგოგიური აზროვნების გაცხოველებისა და სწავლა-აღზრდის საკითხებზე საზოგადოებრივი მოძრაობის ფართოდ გამლის პერიოდი. ძევლი რუსეთის სინამდვილეში არასოდეს აზ ყოფილა ახალი თაობის აღზრდის საკითხები ისე მწვავედ დასმული, როგორც აღნიშნულ პერიოდში. რუსეთის მოწინავე ძალები: პედაგოგები, პუბლიცისტები, მწერლები, მშობლები და სახელმწიფო თანამდებობის პირნი ცდილობდნენ თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამ საკითხების შესახებ. საერთოდ აღიარებული იყო, რომ სწავლა-განათლების საქმე მაშინდელ რუსეთში სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა; „ახლანდელი წევნი სახალხო განათლების სისტემისა და აღზრდის ნაკლოვანებანი თვალსაჩინოა, საგრძნობია ცეკვლასათვის, ვისაც რაიმე გაეგება ამ დიადი საქმისა და თანაუგრძნობს მას; მაგრამ ეს ნაკლოვანებანი კიდევ უფრო აშკარა და საგრძნობია სასწავლო-სააღმზრდელო ასპარეზზე მომუშავეთათვის“ — წერდა სახალხო განათლების სამინისტროს უფრნალი. \*

ამ პერიოდამდე არსებული სკოლების ქსელი თავისი მუშაობის შინაარსით და რაოდენობით ვერავის ვერ აქმაყოფლებდა. ყირიმის ომის შემდეგ თვითმპურობელობისათვისაც კი ნათელი გახდა რუსეთის ჩამორჩენილობა.

ამ საკითხებზე აღმარაჯდა მთელი მაშინდელი პრესა.

კერძოდ, საშუალო სკოლას რეფორმის საკითხი ბრძოლისა და ცართო დისკუსიის საგანი გახდა. ამ კამათს მიზნად პქონდა და სახული პასუხი გაეცა კითხვაზე: რა სახისა უნდა იყოს საშუალო სკოლა და რა ხსიათის განათლებას უნდა იძლეოდეს ის? პოლუმიკის დროს თავი იჩინა ორმა მიმდინარეობაშ: ერთი მათგანი კლა-

\* ჩ. მ. ჩ. წ. გვ. 148.

სიკური განათლების სისტემას იცავდა, ხოლო მეორე — რეალური განათლების სისტემას.



კლასიკური განათლების სისტემის ღამცველად გამოდიოდნენ: ერთი მხრივ, რესეთის გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი პაროვნები, მეორე მხრივ, რეაქციული გაზეთის, „მოსკოვსავე ველომსტის“ რედაქტორი კატკოვი და მისი თანამებრძოლი ლეონტიევი. ხოლო იმათ, რომლებიც რეალური სკოლისათვის იძრავდნენ, მეთაურობდა რესეთის სახელოვანი პედაგოგი კონსტანტინე ლიმიტრის-ძე უშინსკი. ამ ბრძოლაში კ. უშინსკის აქტურალ უკერძნენ მხარს პისარევი და ღობროლუბოვი.

კლასიკიზმი ანუ კლასიკური განათლების სისტემა წარმოიშვა XIV—XVI საუკუნეებში, ე. ი. აღორძინების პერიოდში. აღორძინების ეპოქა მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და შესწავლას მოითხოვდა. ეს გამოწვეული იყო ვაჭრობისა და მანუფაქტურის ზრდით, ახალი აღმოჩენებით, საერთო კულტურული აღმავლობით. საშუალო საუკუნეების წყვილიადის პერიოდში მეცნიერულ-ლიტერატურული, ფილოსოფიური და პოლიტიკური ნაშრომები თითქმის სრულებით არ შექმნილა. ხოლო ანტიური ქვეყნების მეცნიერთა მიღწევები დავიწყებული იყო. აღორძინების ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება კი მეცნიერებათა სხვადასხვა დარგიდან ცოდნის გამომზეურებას შოითხოვდა. ამიტომაც, პლატონის, სოკრატის, ორისტორელის, ტაციტის, კიფერონის, პერიოდოტეს და საბერძნეთისა და რომის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედების შესწავლას საფუძვლიანად მოჰკიდეს ხელი. მათ შესასწავლად კი საჭირო იყო ბერძნული და ლათინური ენების ცოდნა. ამის გამო საკულო პროგრამებშიც შეიტანეს საბერძნეთისა და რომის მწერლებისა და მეცნიერების ნაწარმოებინი, ბერძნული და ლათინური ენები, რომლებსაც კლასში შესასწავლი ენები ანუ კლასიკური ენება უწოდეს. „ბერძნულ-რომაულ ქვეყნებს კლასიკური ეწოდა მხოლოდ იმ დროს, როდესაც ის უკვე მკვდარი ქვეყანა იყო და როდესაც ის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აღორძინების შემდეგ XV საუკუნეში სკოლაში ან კლასში შესწავლის საგნად იქცა“. \*

ამ დროს ბერძნულ-ლათინური ენები მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა.

ამრიგად, კლასიკიზმი აღორძინების ეპოქაში პროგრესული მოვლენა იყო.

\* პისარევი, ტ. VI, გვ. 470, რუს. გამოცემა.



მაგრამ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის წყისისათვის მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ეკროპამუჭავირთვა საკუთარი მეცნიერება, ფილოსოფია, მწერლობა, ხელოვნება და ღიღად გაუსწრო წინ საბერძნეთსა და რომს, რის გამოც ამ უკანასკნელთა კულტურამ უკვე დაპკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა და ღირებულება.

მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლა, მათ შორის ძველი ბერძნული და რომაული შემოქმედების გაცნობა მშობლიურ ენაზედაც შესაძლებელი განდა. მეცნიერების, კულტურისა და ხალხთა ურთიერთობის ენად ახალი ენები იქცა. ასეთი მდგომარეობა კი, განათლების ახალ სისტემას, ახალ შინაარსსა და ახალ ფორმებს მოითხოვდა.

მეგარ ვითარებაში, ძველი ტიპის საშუალო სკოლა, ე. წ. კლასიკური გიმნაზია, რომლის სწავლების შინაარსი ძირითადად ძეველი რომაული და ბერძენი ავტორებისა და კლასიკური ენების შესწავლით განისაზღვრებოდა, ეპოქის მოთხოვნილების სრულებითაც არ შეესაბამებოდა. ამიტომაც, კლასიკური გიმნაზიის გვერდით შარმოიშვა ახალი ტიპის საშუალო სკოლა — რეალური გიმნაზია. რეალური გიმნაზიების წარმოშობა რუსეთში XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო და ჩეენ მიერ განსახილველ პერიოდში ასეთი ტიპის სასწავლებლების მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ქსელი არსებობდა.

რეალურ გიმნაზიაში ძეველი ენების ნაცვლად უმთავრესად მშობლიური და ახალი ენები ისწავლებოდა. ამასთანავე თანამედროვე მეცნიერების, განასკუთრებით გამოყენებითი დარგების შესწავლას, დიდი ადგილი ეთმობოდა.

ამებად უკვე განათლების კლასიკური სისტემა წარმოადგენდა დრომოკმულ და კონსერვატიულ სისტემას. რეალური გიმნაზია კი — ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებას, წარმოშობილს ეპოქის მოთხოვნილებებთან შეფარდებით და მაშასადამე, მაშინდელი დროის კვალობაზე პროგრესიული ხასიათის დაწესებულებას.

მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ კვრობას ვერ გაებეღნა უარესობა განათლების კლასიკური სისტემა და მისი შეცვლა სხვა ახალი სისტემით. ამ გარემოებას კლასიკიზმის დამცველები რუსეთში იცენებდნენ საბუთად კლასიკური სკოლის სასარგებლობდა და რეალური განათლების საწინააღმდეგოდ.

რეალური განათლების მომხრეები (უშინსკი, პისარევი, ღობრილუბრევი და სხვ.) სასტიკად ილაშქრებდნენ ამ არგუმენტის წინააღმდეგ.

უშინსკი, მაგალითად, ედავებოდა რა ამ საყითხში პიროვნებს, აღნიშნავდა: ინგლისის მაგალითი, რომელზეც პიროვნები მდგრადი გა-  
თქბს, რომ ინგლისელებმა დიდი საჩვებლობა ნახეს კლასიკური გა-  
ნათლებით, არ გამოდგება კლასიკიზმის უპირატესობის დასამტკი-  
ცებლად. ინგლისელი საქმის კაცი აღზარდა არა კლასიკურმა სკო-  
ლამ, არამედ ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების სიძლიერებ.  
კლასიკიზმი ბატონობს, — განაგრძობს უშინსკი, — არა მარტო ინ-  
გლისში, არამედ გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებშიც,  
მაგრამ ყველან სხვადასხვა ნაყოფი გამოიღო: „გერმანელმა კლა-  
სიკოსებისაგან შეიძინა გრამატიკა, არქეოლოგია და ფილოსოფია;  
ინგლისელმა — პრაქტიკული სიბრძნის გაყვეთილები, სიზუსტე და  
გარევეულობა აზრებსა და გამოთქმებში; ფრანგმა — მოქნილი  
ფრანგები, ჩვენ კი დღემდე შევიძინეთ მხოლოდ მკვდარი სემინა-  
რიულობა ცენტრალია და ეს ჩვენი გამოცდა გრძელდებოდა  
დიდან — მთელი ერთი საუკუნე“.

ესც არ იყოს, აღნაშნავდნენ ჩეალისტები, როდემდის უნდა  
ვძაძევდეთ ჩვენ დასავლეთ ევროპას? განა ჩვენ თვითონ არ შეგ-  
ვიძლია დამოკიდებლად გადავჭრათ საყითხი და მაგალითი ცუნ-  
ვენოთ სხვებს?

ამრიგად, რუსეთის მოწინავე ადამიანები სასტიკად ილაშქრებ-  
დნენ დასავლეთ ევროპისადმი მონური მიბაძვის წინააღმდეგ და  
მოითხოვდნენ, რომ რუსეთს ამ საყითხში თვითონ მიეცა მაგალითი  
დასავლეთ ევროპისათვის.

მაგრამ, ცარიზმის პირობებში, როდესაც თვითმყრობელობა  
ჩასხვისთანავე ჰკლავდა ყოველივე მოწინავე იღებს, არც ამ სა-  
მართლიან და საღ მოთხოვნილებას მიეცა გასაქანი.

დასავლეთ ევროპის მაგალითს მთავარ საბუთად ასახელებდნენ  
განათლების საქმის მაშინდელი მეცვეურები და კატკოვ-ლეონ-  
ტივის გვუფი. პიროვნები კი უმთავრესად სულ სხვა მოსახრებს  
ემყარებოდა. მისი აზრით, კლასიკური გიმნაზია წარმოადგენდა  
პუმანიტარული აღზრდის სასწავლო დაწესებულებას, ხოლო რეა-  
ლური გიმნაზია — პიროფესიული ხასიათის სასწავლებელს. პირო-  
ვნები თავისი შესაჩინავ სტატიაში „ცხოვრების საყითხები“, რო-  
მელიც პირველად გამოქვეყნდა 1856 წელს, სამუალო სკოლის  
ამოცანად თვლის აღმიანის აღზრდას. „მოგვეცით აღამინი, —  
აღნიშნავ ის, — და ჩვენ გვეყოლება ნეგოციანტები და ჯარისკა-  
ცებიც, იურისტები და მეზღვაურებიც; და, რაც მთავარია, ჩვენ  
გვიყოლებიან აღამიანები და მოქალაქეები“.

„ბავშვის აღამიანად ქცევა“ აღზრდას შეუძლია. აღზრდის მი-

ზანი უნდა იყოს აღზრდა ადამიანისა, და არა სპეციალისტებისა, არა ჩინვნიერებისა, არა ექიმებისა და თანამდებობას პირებში უკუკითხოებას პიროვნების მთელი ეს სტატია ამ დებულების დასაბუთებას წარმოადგენს.

პუმანიზმის იდეა ერთ-ერთი შესანიშნავი პიროვნეული პედა-  
ვოგიური იდეაა პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტო-  
რიაში და პიროვნები თავისი სტატიით „ცხოვრების საკითხები“ ამ  
იდეის თავგამოდებულ დამცველად გვივლინება. აქვე უნდა აღ-  
ნიშნოთ, რომ პიროვნების პუმანიზმი ქრისტიანულ-რელიგიური პუ-  
მანიზმია და „ამ პუმანური, ქრისტიანული და თანამედროვე ეპ-  
რობული ხასიათის აღზრდა აღსაზრდელის სულში წარმოადგენს,  
პიროვნების აზრით, აღზრდის ძირითად და საბოლოო მიზანს“ (უშინსკი).

მიუხედავად ამისა, პიროვნების მიერ გამოყენებულ აღზრდის  
იდეას მეტად დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა რუსეთის  
პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ეს იმით  
ასესნება, რომ პუმანიზმის პრინციპები დასამარებული იყო მა-  
შინდელ პირობებში და პიროვნება აღადგინა ეს პრინციპები და  
მათი ცხოვრებაში გატარება მოითხოვა. პიროვნება გაილაშერა ნა-  
ადრევი სპეციალიზაციის წინააღმდეგ, უტილიტარულ-საქმოსნური  
მიზნებით გატაცების წინააღმდეგ და მათ ნაცვლად ზოგადი გა-  
ნათლება და პუმანიტარული აღზრდა აღიარა საშუალო სკოლის  
მიზნად.

ამ მხრივ პიროვნები თავისი დროისათვის მოწინავე იდეების  
მატარებლად გვევლინება. მაგრამ ამასთან ერთად იყო ამ მიზნის  
განხორციელების საშუალებად განათლების კლასიკურ სისტემას  
თვლის. მისი აზრით პუმანური აღზრდის ძირითად საშუალებას  
ძველი ენები და ბერძნულ-რომაული კლასიკური მწერლობა წარ-  
მოადგენს. კატკოვ-ლეონტიევისაგან განსხვავებით, პიროვნები დიდ  
მნიშვნელობას აქცივნებს აგრეთვე ახალ ენებს, ახალ მწერლო-  
ბასა და მეცნიერებათა შესწავლას.

რა თქმა უნდა, რეალური განათლების მომხრეები, მათ შორის  
პირებელ ჩიგში უშინსკი, პისარევი და დობროლუბოვი სრულები-  
თაც არ არიან წინააღმდეგნი, რომ საშუალო სკოლა პუმანიტარულ  
აღზრდას აზორციელებდეს და ზოგად განათლებას იძლეოდეს.  
რეალური განათლების მოწინავე წარმომადგენლება სრულებითაც  
არ თვლიან რეალურ გიმნაზიას პროფესიულ სკოლად; პირიქით  
უშინსკი, პისარევი და დობროლუბოვი პუმანური აღზრდისა და

ზოგადი განათლებისათვის ყველაზე უფრო თანმიმდევრულ მქანე / ეროვნული გვევლინებიან.

მაგრამ მათი აზრით, თანამედროვე აღამიანი უნდა აღიზარდოს არა ძველ რომიელ და ბერძენ კლასიკოსთა მხატვრულ ქმნილებებზე, არამედ თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებზე და მეცნიერებათა დაუფლების საფუძველზე.

რეალური განათლების მომხრეები არ უარყოფენ საბერძნეთისა და რომის კლასიკური მემკვიდრეობის შეცნიერულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და ისტორიულ მნიშვნელობას და მის მხატვრულ ლირებულებას; მაგრამ ამასთანავე აღნიშვნავდნენ: ნუ თუ შეიძლება სერიოზულად ვითაქმოთ, რომ ახალი დროის პოეტური ნაწარმოებინი ჩამოტკიციან რომისა და საბერძნეთის კლასიკურ შემოქმედებას კონცეფციათა სიფართოვით, სულიერი ანალიზის სიღრმით, პოეტური გაქანებითა და მხატვრული ძლიერებით. ნუთუ ახალი დროის მწერალთა, პოეტთა და მთაწროვნეთა დაუსარულებელი ფალანგა, რომელთაც გააფართოვეს გონიერივი სამყაროს საზღვრები, უფრო ნაკლებად ასწავლიან ჩვენს ახალგაზრდობას, უფრო ნაკლებ იმოქმედებენ მათ სულსა და გულზე, უფრო ნაკლებ აღაგზნებენ მათში ესთეტიკურ გემოვნებას, მისწრაფებას სილამაზისა და სიკეთისადმი, ვიდრე პომეროსი, სოფოკე, ლიკი, ვირგილიუსი და სხვები?\*

აღამიანურობის აღზრდა ძველ კლასიკურ ნაშრომთა მიხედვით უკვე შეუძლებელია. მაგალითად, აჩისტორელეს შეხედულება მონაზე, ქალზე, სხვა ეროვნების აღამიანზე დღევანდელ პირობებში სამარცხვინოა თვით სამხრეთ აფრიკის პლანტატორისათვისაც კი. მათი ჩვეულება და ადათი, ოჯახური ყოფა-ცხოვრება, იდეოლოგია, რწმენა არ შეიძლება სანიმუშო და მისაბაძი იყოს თანამედროვე აღამიანისათვის. ძველ კლასიკოსთა შესწავლა, ასკვნის უშინსკი, ცერ გახდის აღამიანის აღამიანდ, არ შეიცვანს მას თანამედროვე ცეროპის ცხოვრებაში. უშინსკი კიდევ უფრო შორს მიდის და მტკიცებს, რომ კლასიკურ სიძველეთა უპირატესი შესწავლა ხელს უშლის აღამიანთა საზოგადოების პროგრესს, ევროპის წინსვლას, მეცნიერების ცხოვრებასთან ნამდვილ შეერთებას.

ასეთი იყო რუსეთის მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის კ. დ. უშინსკის აზრი ამ საკითხზე.

ამგვარივე შეხედულებისა იყვნენ პისარევი და დობრილუბოვი. პისარევი განსაკუთრებით აფასებდა პომეროსის და ტაციტის,

\* ალექსინცივი, რუსეთის საგიმნაზიო განათლების ისტორია.



„მაგრამ, — აღნიშნავდა ის, — მოთხოვნა თითოეულმა აღამიტების და კავკაციური კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის უძლიერი მიზანი უნდა მოვითხოვოთ ირანული ენის შესწავლა, რათა ორიგინალში წავიდოთხოთ საადა და პატიში; ჩინური ენისა, რათა წავიდოთხოთ კონფუცი; არაბული ენისა, რათა წავიდოთხოთ ყურანი და ა. შ.“.\*

ამრიგად, ამ საკითხზე რეალური განათლების მომხრეთა მიერ წამოყენებული მოსახრებები საბოლოოდ შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: ძველი რომისა და საბერძნეთის კლასიკოსთა შემოქმედება ძვირფასი განძია ისტორიული, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურულების თვალსაზრისით, მაგრამ მათზე გაცალებით მაღლა დგას ახალი დროის ლიტერატურა, მწერლობა და მეცნიერება. თანამედროვე ადამიანის ჰუმანური აღზრდა არ შეიძლება განხორციელდეს ძველ კლასიკოსთა შემოქმედების უპირატესი შესწავლის საფუძველზე; პირიქით, ეს ხელს უშლის და ავერხებს ადამიანურობის აღზრდის ამოცანის შესრულებას, ეს ხელს უშლის კაცობრიობის წინსვლას, პროგრესს. ესეც არ იყოს, ძველ კლასიკოსთა შესწავლა შეიძლება კარგად შესრულებული თარგმანის საშუალებითაც. ამისათვის სრულებით არ არის საჭირო და აუცილებელი ბერძნული და ლათინური ენების ცოდნა, რასაც თანამედროვე გიმნაზია მთელი სასწავლო დროის უდიდეს ნაწილს ანდომებს და მიზანს მაინც ვერ აღწევს. ახალი მწერლობა, ახალი ლიტერატურა, მეცნიერება, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა იქცეს სკოლაში შესწავლის საგნად და ნამდვილი ჰუმანური აღზრდის საშუალებად.

მაგრამ ჰუმანური აღზრდის იდეა თუ მთავარი იყო პიროვნეულისათვის და საერთოდ კლასიკური განათლების მოწინავე შეხედულების დამცველთათვის და, თუ კლასიკური ენებისა და კლასიკურ სიძველეთა შესწავლით ფიქრობდნენ ისინი ჰუმანური აღზრდის განხორციელებას, კატკოვი, ლეონტიევი და რუსული გრამატიკული კლასიციზმის სხვა პოლეგეტები, პირიქით, ლათინურ და ბერძნულ ენებს თვლიდნენ უმთავრესად და ძირითადად ფორმალური განათლების საქმეში.

ამ მხრივ კლასიციზმის დამცველები რუსეთში, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, ემყარებოდნენ ფორმალური განათლების ბურჯუაზიულ თეორიას,

\* იხ. პისარევი, პედაგოგიური სოფიშიები, ტ. VI.



მათი აზრით, საშუალო სკოლის მოცანა გონებრივი აოზინის უკრაინული დარგში არის გონების ფორმალური განვითარება. გიგანტის

„სკოლას მიზნად აქვს დასახული, — წერდა „მოსკოვსკი ველომოსტი“, — გონების აღზრდა. სკოლაში წარმოებს არა მეცნიერებათა დამუშავება, არა კელევა-ძიება, არა ლექციების კოთხვა, არამედ სკოლაში ბავშვები იმისათვის აზრდებიან, რომ ისინი ფიზიკურ ზრდასთან ერთად გონებრივადაც მომწიფდნენ და უნარი ექნეთ როგორც მეცნიერული, ისე სხვა ყოველგვარი სერიოზული გონებრივი მუშაობისათვის“.

ამრიგად, კატკოვ-ლეონტიივი და მათი თანამოაზრენი გადაჭრით აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ საშუალო სკოლაში მეცნიერება არ უნდა ისწავლებოდეს. საშუალო სკოლა მოსწავლეთა გონების წრთვნასა და გავარჩიშებას ისახავს მიზნად და არა მეცნიერული ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღებას.

ამ ამოცანის განხორციელების ერთადერთ საშუალებად მათ კლასიკური ენები — ბერძნული და ლათინური და განსაკუთრებით ამ ენების გრამატიკა მიაჩნდათ.

რეალური განათლების მომხრეები ამ მოსაზრებათა საწინააღმდევოდ საღ და მეცნიერულ საფუძველზე აგებულ დებულებებს აყენებდნენ. ის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, — აღნიშნავდნენ ისინი, რასაც კლასიკურ ენებს მიაწერენ მისი დამცველები ადამიანის ანტელექტუალური ფორმირების დარგში, ამ ენების სპეციფიურ თვისებას არ წარმოადგენს. ეს თვისება, საერთოდ, ენის სპეციფიური მიღებისან გამომდინარეობს.

მათი აზრით, ადამიანის ინტელექტუალურ ფუნქციათა განვითარების ამოცანა თავისუფლად შეუძლია შეასრულოს ახალმა ენებმა.

კერძოთ, უშინსკი აღნიშნავს: ადამიანის გონებასა და გულს არანაკლებ აეთარებს თითოეული საგნის შესწავლა, ვიდრე კლასიკური ენა. კლასიკური ენების შესწავლას სკირდება დიდი დრო და ხდება თუ არა მისი ანაზღაურება, ეს კიდევ დამტკიცებას მოითხოვს. ახალ ენებს და პირველ რიგში მშობლიურ ენას, რომელთა შესწავლაც უფრო ადვილია, ისეთივე გავლენა შეიძლება ჰქონდეთ, როგორც კლასიკურ ენებს. მართალია, ახალ ენებს არ აქვთ ის დასრულებული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმა, როგორც ძველ ენებს, მაგრამ ძველი ენები მოწყვეტილია თანამედროვე ევროპულ ცხოვრებას, რომელთანაც მჟიდროდაა დაკავშირებული ახალი ენები.

რა თქმა უნდა, სავსებით სწორია რეალისტების აზრი, რომ სა-

ერთოდ ყოველი და პირველ რიგში მშობლიური ენა აზროვნების კონცენტრაცია განვითარებას უწყობს ხელს და არაეთიანი საბუთი არ არსებობს მართვა-იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი თვისება მხოლოდ კლასიკურ ენებს ახასიათებს.

„ენა აზროვნების იარაღია“ — გვაძლის ენგელსი.

უდავოა, რომ ყოველი ენა, რომელზეც ადამიანი აზროვნებს და ლაპარაკობს, გონების განვითარებას და აზროვნებასთან არის დაკავშირებული და, მაშასადამე, აზროვნების განვითარების ფუნქ-ცია სავსებით საფუძვლიანად შეიძლება მიენდოს მშობლიურ ენა-სა და ახალ ენებს.

პისარევმა თავის ცნობილ სტატიაში „პედაგოგიური სოფიზ-მი“ იშვიათი მახვილი კრიტიკით ნათელყო კლასიკური ენების უარყოფითი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

„ბავშვისათვის, ისე როგორც ყოველი ადამიანისათვის საერ-თოდ, საზოზღაბია ის შრომა, რომელშიც ის აზვათარ მიზანს არ ხედავს. ბავშვებმა არ იციან, თუ რად სეირდებათ ბერძნული და ლათინური ენები, რომელთა სწავლაც ამდენ ტანჯვასა და უსიამოვ-ნებას აყენებს მათ. არც შშობლებს და არც მახლობლებს არ ძა-ლურ ამოხსნან ეს საკვირველი მოტანა. ყოველივე ეს აბორო-ტებს მათ და წარმოშობს სიძულვილს კლასიკური ენებისადმი-ს ისეთ პირობებში მოწიფე სულ აღრიდავე ეჩვევა ემსახუროს არა საქმეს, არამედ პიროვნებებს. მისი განწყობილება საგნის მიმართ და მისი სურვილი გამოიჩინოს თავი შესწავლებლის წინამე ზრდის მათგან სკოლის სკამიდანვე ისეთ საზოგადოებრივ მოღვაწეებს, რომელიც საქმეს არ გაუჩინან, მაგრამ საქმეს კი არ აკეთებენ“.

ზემომოყვანილი საბუთებისა და მსედვებით ნათე-ლია, რომ კლასიკიზმის თეორიული საფუძვლები ძლიერ სუსტია და ვერავითარ კრიტიკის ვერ უძლებს.

მასთანავე ეპოქა, საზოგადოებრივი ცხოვრება, კეშმარიტების ინტერესი უსათუოდ კლასიკური განათლების საწინააღმდეგოდ ლა-პარაკობენ და რეალური განათლების გავრცელებას მოითხოვენ. მიუხედავად ამისა კლასიკური სისტემა განათლებისა მაინც გაბა-ტონებული იყო და მას მრავალი მომხრები ჰყავდა.

სად არის ამ მოვლენის საფუძველი? რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პედაგოგიური თეორიის თვალსაზრისით ყოველად გაუმართლებელი სისტემა განათლებისა ბატონობს და გასაქანს არ აძლევს მოწინავე პედაგოგიურ იდეებს?

რა თქმა უნდა, იღები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და საზოგადოებრივი ყოფიერებიდან გამომდინა-

რეობს. „საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა შეცვლილება შორის შორის წყაროს უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოების ყოფიერებაში, რომლის სახვათაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები და სხვ.“ \*

მაშასადამე, კლასიკური განათლების იდეის წარმოშობის წყარო და საფუძველი ამ იდეის ჰეშმარიტებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

საზოგადოებრივ ყოფიერებას კი საწარმოო ძალები, საწარმოო ურთიერთობა და ამ საფუძველზე წარმოშობილი კლასობრიობა განსაზღვრავს. „კლასობრივ საზოგადოებაში გაბატონებული იდეები მუდამ იყო გაბატონებული კლასის იდეები“ (მარქსი). და, თუ ჩვენ მიერ აღდგულ პერიოდში გაბატონებულია კლასიკური განათლების იდეა, ეს იმით აისახება, რომ ეს იდეა გაბატონებული კლასის იდეაა და ის ამ კლასის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მაშასადამე, საკითხი იმის შესახებ, თუ განათლების რომელი სისტემა უნდა ყოფილიყო გაბატონებული რესეტში — კლასიკურია თუ რეალური, წყდებოდა არა იმის მიხედვით, თუ რომელი ამათგანი იყო პედაგოგიური თეალსაზრისით მისაღები და მტკიცე თეორიულ საფუძველზე დამყარებული, არამედ იმის შესაბამისად, თუ რას მოითხოვდა გაბატონებული კლასის — თავადაზნაურობისა და მემამულეების პოლიტიკური ინტერესი, მათთვის კლასობრივი შეგნება და კლასობრივი მდგრამარეობა.

ამიტომაც იმ ბრძოლაში, რომელსაც აღვილი ჰქონდა ონიშნულ პერიოდში, საშუალო განათლების საკითხებზე, გადამწვერი მნიშვნელობა ეძლოდა პოლიტიკურ მოტივებს და არა საღ. პედაგოგიურ მოსაზრებებს.

ეს დებულება საერთოდ აღიარებულია პედაგოგიის როგორც მარქსისტულ, ისე ბურჟუაზიული ისტორიკოსების მიერაც.

მაგალითად, პროფ. გრანოვსკი სტატიაში „კლასიკური სწავლების შესუსტება გიმნაზიებში და ამ ცვლალების აუცილებელი შედეგები“, რომელიც 1856 წელს დაიწერა განათლების სამნისტროს დავალებით და გამოქვეყნდა 1860 წელს „მოსკოვსკი ველომოსტის“ № 97-ში, სწორედ კლასობრივი იდეოლოგიის თვალ-

\* საქ. კ. პ. (ბ) ისტორია, შოკლე კურსი, გვ. 139.



საზრისით იხილავს კლასიციზმისა და რეალიზმის საკითხს და ეჭვი კუთხით გამოიყენება სტატიაში უფრო გარკვევით და მეტაფილი არის მოცემული მისამართისა ტენდენცია, ვიდრე მის თანამებრძოლთა წერილებში. გრანოვსკი შემდეგი სახით ავითარებს სტატიის ძირითად აზრს: რეალური განათლება ნერგავს ახალგაზრდობაში რევოლუციურ განწყობილებას, ას ახლოს დგას და დაკავშირებულია სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებთან. „ახალგაზრდობის გაცნობა გარე ბუნებასთან, მის მექანიკურ და ქიმიურ კანონებთან, ბუნების მეტყველება, მოწყვეტილი ისეთ მოძღვრებათაგან, რომელთაც საგნად აქვთ ყოფიერების სულიერი მხარეები, უცილებლად იწვევს მატერიალიზმს“, რეალურმა განათლების, გრანოვსკის აზრით, დიდად შეუწყო ხელი,—დასავლეთ ეროპაში რევოლუციურ მოძრაობას, თავისუფალ აზრებს, რესპუბლიკური იდეების გავრცელებას და თვით რევოლუციურ მოძრაობას. „ი, მაგალითად,—წერდა ის,—ყვილაშე უფრო ცნობილმა სასწავლო დაწესებულებამ ევროპაში—პოლიტექნიკურმა სკოლამ—თავისი დაარსების დღიდანვე შეინარჩუნა რესპუბლიკური მიმართულება. აღფორტის ვეტერინარიული სკოლა მუდამ აგზავნიდა თავის აღსაზრდელებს ბაზეკალებზე, როგორც კი პარიზში თავს იჩინდა რამე აგანყება... აქსტრიის მთავრობა გულმოლგინედ ნერგავდა ტექნიკურ და რეალურ სასწავლებებს, ის არაოდეს არ უწყობდა დიდად ხელს ქლისიკურ განათლებას: ვენის სტუდენტები კი შეადგენდნენ აკადემიურ ლეგიონს“.

კლასიკურ განათლებას კი, გრანოვსკის აზრით, არაფერი აქვს საერთო რევოლუციურ იდეებთან. „განა რა არის საერთო ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და კომუნიზმისა და სოციალიზმის იდეებს შორის“?

აქედან გამომდინარე ის აკეთებს დასკვნას, რომ რეალური განათლების გავრცელებას საზოგადოება მიყავს დაღუპებისაკენ, ე. ი. რევოლუციური იდეების გავრცელებისაკენ, კომუნიზმის და სოციალიზმისაკენ. „ამჟარა სიჭარებე დადებით ცოდნათა, რომელთაც მატერიალური ცხოვრებისათვის იყენებენ, ისეთ ცოდნათა წინაშე, რომლებიც ყრმათა გულებში ავითარებს და ამტკიცებს სიყვარულს სიმშვენიერისადმი, თუნდაც ეს იყოს სიკეთისა და სილამაზის განუხორციელებელი იდეალები, ევროპულ საზოგადოებას უფრისებლივ მიიყვანს ისეთ ზნეობრივ ავადმყოფობამდე, რომლისაგან განსაკურნებლად სხვა წამალი არ არსებობს გარდა სიკვდილისა“.

გრანოვსკის აზრით, რეალური განათლება წარმოშობს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, გამოიწვევს რევოლუციას, არ-

სებტემბერი წესწყობილების დანგრევას, მემამულეთა და კაპიტალის მიერჩევაზე  
თა ბატონობის დამხმას (და არა საზოგადოების სიკედლებზე) მართვა  
სოციალიზმსა და კომუნიზმს და სწორედ მიტომ იბრძების კლასი-  
კური განათლების განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის.

განათლების მინისტრი ნორავი თავის წლიურ ანგარიშში 1856  
წელს წერდა: „გაბატონებული მიმართულება დაბალ და საშუალო  
განათლების სასწავლო ღწესწყობულებებში უნდა იყოს კლა-  
სიკური იმისათვის, რომ გონიერი ნივიერებათა განვითარები-  
სას დავიცვათ ის (გონიერა. — ს. ს.) მატერიალიზმის გავლენისაგან,  
რომელიც თავიდანვე კლავს ყოველგვარ კეთილშობილურ მისწრე-  
ცებას, აღვიძებს თავმოყვარეობას და პატივმოყვარეობას“. (Ист. ინ. ქექ. М. Н. II., стр. 369).

ამასვე იმეორებს განათლების სამინისტროს 1871 წლის 19 ივ-  
ნისის ცირკულარი. მა ცირკულარში ვრცელი მონაწერია მოყვა-  
ნილი ვინმე გუსტავ მიულმანის წერილიდან, რომლის აზრს სავ-  
სებით იჩიარებს მინისტრი და წერს: „იმავე ავტორს კლასიკურ  
სიცელეთა, ე. ი. საუკეთესო ნაწარმოებთა ორიგინალში შესწავ-  
ლა, სამართლიანად მიაჩნია უაღრესად კეთილის მყოფელ  
ზომად ჩვენი დროის სულ უფროდაუფრო რო მზარ-  
დი მატერიალიზმის წინააღმდეგ“. \* (ხაზი ჩვენია. — ს. ს.).

ამრიგად, ნათელია, რომ კლასიკური განათლების თეორია ემ-  
ყარებოდა გაბატონებული კლასების პოლიტიკურ ინტერესებს, მიზნად ისახავდა ასებული წყობილების განმტკიცებასა და მი-  
მართული იყო მატერიალიზმისა და რევოლუციურ მისწრაფებათა  
წინააღმდეგ. მიტომაც, ასე თავგამოდებით იცავდა თვითმშეკრიბე-  
ლობა კლასიკური განათლების სისტემას.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების იმ დონეს, რომელსაც მან  
მიაღწია რუსეთში 60-იანი წლებისათვის, სრულებითაც ვერ აქმა-  
ყოფილებდა კლასიკური განათლების გზით მომზადებული კადრე-  
ბა. ჩეალური განათლება უფრო შეესაბამებოდა ეპოქის მოთხოვ-  
ნილებას, ასებულ ვითარებას. მიტომაც, ბრძოლამ ჩეალური  
სკოლისათვის ფართო საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოძრაობის  
ხასიათი მიიღო და მაშინდელი საგანმანათლებლო სისტემის ყველა  
მხარის გადასინჯვა და გადაფისება გამოიწვია.

მაგრამ გაცხოველებულ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოძრაობას  
საქართველოც გამოეხმაურა.

საქართველოს სინამდვილეშიც ორი მიმდინარეობა ებრძოდა

\* Цирк. КГО, 1872, 76 г. Г., стр. 289.



ერთიმეორეს, მავრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განათლებული ბის კლასიურ სისტემას თვალსაჩინო მომხრები ჩეცნში არ ჰყოლია.

უკელა ქართველი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ქართული პრესა და საერთოდ მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა კლასიური განათლების სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებდა და რეალური საშუალო სკოლისათვის იბრძოდა.

განათლების კლასიური სისტემის დამცველად მხოლოდ და მხოლოდ მმართველობა გამოდიოდა განათლების საქმის ოფიციალურ ხელმძღვანელთა სახით.

განვიხილოთ, თუ რა მიმართულებით იშლებოდა ეს ბრძოლა ამ ორ მიმღინარეობას შორის და რა ხსიათი მიიღო საზოგადოებრივ-პედაგოგიურმა მოძრაობამ საშუალო განათლების საკითხებზე 60 — 70-იან წლებში.

ამ საკითხში მმართველობის პოზიციის გასარკვევად ჩვენ დაგვჭირდება კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელთა პედაგოგური შეხედულებების გაცნობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია სტარიპოლის გიმნაზიის დირექტორი ნევეროვი, რომელიც 1864 წლიდან კავკასიაში სასწავლო საქმის ხელმძღვანელი გახდა და, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვრცელი სტატია მოათავსა — „ორეჩესტვენიე ზაპისკის“ 1860 წლის დეკემბრის ნომერში.

ეს სტატია საერთოდ შეეხება განათლების სამინისტროს მიერ განსახილეულად დაშვებულ საშუალო და დაწყებითი სკოლების წესდების პროექტს და მასში ვრცლად არის განხილული კლასიური და რეალური განათლების საკითხები.

ნევეროვი ჩვენში განათლების საქმეს ხელმძღვანელობდა 1864-დან 1878 წლამდე. მისი აზრი საშუალო განათლების შესახებ გარეეცულ ინტერესს იწვევს და ზემოდასახელებული მისი სტატიაც, უსათუოდ, მნიშვნელოვანი დოკუმენტია განსახილველი საკითხების გასარკვევად.

ნევეროვმა თავის წერილში ასეთი ძირითადი დებულება წამოაყენა: საგიმნაზიო განათლება უნდა იყოს ჰუმანური ანუ კლასიური და რეალური. ორივე ამ სახის განათლებას თანაბარი უფლება უნდა მიეცეს. ის იშიარებს ვინმე ოჩბინსკის აზრს, რომ სკოლამ უნდა მოამზადოს ადამიანი ცხოვრებისათვის; ცხოვრების მთავარი ამოცანა კი არის — შრომა; ამიტომ სკოლის მთავარ მოვალეობას შეაღენს — ადამიანი აქციოს შრომის უნარისმქონედ, მისცეს მას საერთო განათლება სპეციალური განათლების გარეშე.

„შრომა, — ივითარებს თავის აზრს ნევეროვა, — შეიძლება გონიერი რიცი და ფიზიკური, ხშირად ორივე ერთად, მაგრამ უპირატყობისა უფრთხოებისა უფრთხოებისა ან ერთს, ან მეორეს. მაშასაღამე, სკოლაშ უნდა მოაძინოს ადამიანი ან გონებრივი ან ფიზიკური შრომისათვის. ფიზიკური შრომისათვის მომზადება სახალხო სკოლის საქმეა; გონებრივი შრომისათვის კი ადამიანს ამზადებს მაღალი სკოლა — გიმნაზია, პროგიმნაზია; მაღალი განათლება სრულდება სპეციალურით: უნივერსიტეტის ფაკულტეტები, აკადემია, ინსტიტუტი, კორპუსები და სხვ.

გონებრივი მუშაობა თავის მხრივ ორი სახისაა: ის შეეხება ან ადამიანს ან ნივთიერ სამყაროს, მოსამართლის, იურისტის, სასულიერო წოდების პირის, მასწავლებლის, სწავლულის გონებრივი მუშაობის სფერო ადამიანის სულიერი მხარეა — ეს არის ჰუმანური საქმიანობა. ვაჭარი, ფამრიკანტი, ინჟინერი, სამხედრო პირი გონებრივ მუშაობას ეწევა, მაგრამ უკვე ნივთიერი სამყაროს მძმართ; ვათი საქმიანობა რეალურია. როგორც პირველი, ისე მეორე კატეგორიის გონებრივ მუშაკებს წინასწარი საერთო განათლება სცირდებათ, მაგრამ პირველ მათგანს ჰუმანიტარული განათლება, მეორეს — რეალური. ჰუმანიტარული განათლების სკოლაში უნდა სკარბობდეს ისეთი მეცნიერებანი, რომელთაც ადამიანის შესწავლა აქვთ საგნად, ე. ი. ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერებანი. რეალურ განათლების სკოლაში — ნივთიერი ბუნება, ე. ი. მათემატიკა, ფიზიკა, საბუნებისმეტყველო დისკიპლინები უნდა ისწავლებოდეს. აქედან, აკენის ნევეროვა, ორი ტიპის საშუალო განათლების სკოლაა საჭირო — ჰუმანიტარული ან კლასიკური და რეალური. ორივე მათგანი აძლევს საერთო განათლებას, მაგრამ სხვადასხვა სახის სასწავლო დისკიპლინების საშუალებით. რადგანაც სასწავლო გეგმაში მრავალი საგნის შეტანა შეუძლებელს განდის ძირითად საგნების საფუძვლიან შესწავლას, ამტომ ნევეროვს საჭიროდ მიაჩინა კლასიკურ გიმნაზიაში დიდი დრო დაეთმოს ბერძნულ და ლათინურ ენებს, ხოლო ბუნებისმეტყველება სრულდებოთ ამოღებულ იქნას კურსიდან. რეალურ გიმნაზიაში კი ძველი კლასიკურ ენების ნაცვლად აღვიდს უთმობს მუნებისმეტყველებასა და ქიმიას (ხულ 31 საათი). ამასთანავე კლასიკური და რეალურ გიმნაზიების სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს აგებული, რომ პირველი ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ დაუბრეოლებლივ შეეძლოს მოსწავლეს გადასცელა ერთი ტაპის სასწავლო დაწესებულებიდან მეორეში, რათა ამ გზით თავისუფლად შესძლოს აირჩიოს მოსწავლემ თავისი შემდგომი მუშაობის.



ასპარეზი იმისდა მიხედვით, თუ რა ნიკი და მიღრექილება აჭარის განვითარება  
აჩნდება მას.

ამრიგად, გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრებისას, მოსწავლემ  
შევე უნდა აირჩიოს თავისი მომავალი სპეციალობა ან ფაქულტე-  
ტი, რომელზეც მას სურს შესვლა და ამისდა მიხედვით განაგრ-  
ძოს სწავლა კლასიურ ან რეალურ გიმნაზიაში. ამავე მიზნით მას  
საჭიროდ მიაჩნია რეალური გიმნაზიების ისეთი ქსელი, რომელიც  
ოთოოულ გუბერნიაში აუცილებლად უზრუნველყოფს ერთი რეა-  
ლური გიმნაზიის არსებობას კლასიური გიმნაზიის პარალე-  
ლურად.

შემდეგ პერიოდში ნევეროვმა ეს თავისი სისტემა შეავსო  
ერთი ახალი დებულებით. თავის მონსენებაში კავკასიის სასწავლო  
საქმის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც მან 1865 წელს წარუდ-  
გინა მმართველობას, ის მოითხოვს კავკასიისათვის სამი ტიპის სა-  
მუალო განათლების სასწავლო დაწესებულებას: სრულ კლასი-  
ურ განათლებას რუსი მოსახლეობისათვის, ნახევრად კლასიურის  
მართველებისა და სომხებისათვის და რეალურს მაჰმადიანებისა-  
თვის. ამ დებულებას ის შემდეგი სახით ასაბუთებს: „მუსულმან-  
თათვის მისაწვდომია უპირატესად გონების სფერო და არა სუ-  
ლიერი მხარე და ამიტომ ის თავის განვითარების უმაღლეს ხაფე-  
სურზედაც არაბული განათლების აყვავების ხანში, მუშავებდა  
მხოლოდ დადებით ცოდნას და არ შეუტანია არაფერი კაცობრიო-  
ბის სულიერ საუნგეში... ამასვე ვხედავთ ჩვენ ახლა: ოსმალეთი,  
ყოველნაირი ცდის მიუხედავად, სესხულობს ეკროპიდან მხოლოდ  
ზოგიერთ ცოდნას და მისი ცივილიზაციის გარევან ბრწყინვალე-  
ბას და არა მის სულიერ საუნგეს“. იქვე ის აზრიც არის გატარე-  
ბული, რომ კლასიციზმი ქრისტიანობის ნაყოფია და მუსულმანი  
მას ვერ შეეგვება და ვერ ჩაწერდება იმ სილამაზეს, რაც ბერძნულ-  
ლათინურ მუსერლების შემოქმედებაშია მოცემული.

ამრიგად, ნევეროვი ამ საკითხში რასობრივი თეორიისა და რე-  
ლიგიური თვალსაზრისის პოზიციებზე დგას და ამის მიხედვით  
სურს გადასწყვიტოს საშუალო განათლების საკითხი.

ეს კიდევ იმასაც ჩიშნავს, რომ განათლების ხასიათი და, მა-  
შისადამე, მოწაფის მომავალი მუშაობის ასპარეზი რასობრივი და  
რელიგიური ნიშნებით უნდა განისაზღვროს.

ჩა თქმა უნდა, ეს ისეთი თეორიაა, რომელზეც არ ღირს შეჩე-  
რება; მისი არსი და ბუნება ისედაც ნათელია, მაგრამ ის კი უნდა  
აღინიშნოს, რომ სინამდვილემ, პრეტირამ სულ მალე გააბათილა  
ეს თეორია. ასე, მაგალითად, 1876 წელს რუსეთის კლასიურ გმ-  
2. ს. სიგუა



ნაზიების მოწაფეთა შორის მუსულმანები შეაღვენდნენ 0,2%.  
რეალურ გიმნაზიებში კი 0,04%-ს. ეს ცნობა ნათლად აღიძეტუ-  
ლია მუსულმანი მოსახლეობა უფრო ეტანებოდა კლუბებით რომ ეს  
გიმნაზიას, ვიდრე რეალურს, მოსხედავად სარწმუნოებისა, ეროვ-  
ნებისა და ნევეროვის „თეორიული“ მოსაზრებისა.

საერთოდ ნევეროვის მთელი ზემომოყვანილი მსჯელობა მოკ-  
ლებულია ყოველგვარ მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველს.

მისი ძირითადი დებულება, რომლითაც მას მხოლოდ კლასი-  
კური განათლება აქვს მიჩნეული პუმანური იღწერდის საშუალებად,  
შემცდარი და არასწორია: არავითარი საფუძველი არ არსებობს  
იმისათვის, რომ პუმანური იღწერდის თვალსაზრისით კლასიკურ  
ენებსა და მწერლობას მიეკუთვნოს პრიორიტეტი ახალ ენებთან,  
ახალ მწერლობასთან და მეცნიერულ დისციპლინებთან შედარე-  
ბით. რეალური განათლება, თუ ის საერთო განათლების პრინციპ-  
ზეა აგებული, პუმანურ განათლებას უზრუნველყოფს და მიმომ  
დაძირისაბირება პუმანური და რეალური განათლებისა, არასწორი  
და უსაფუძვლოა.

შემდეგ ნევეროვის წამოყენებული აქვს ბურეუაზოულ ქვეყნებ-  
ში გაფრცელებული სახალხო განათლების ორი სისტემის იდეა:  
პირველი სისტემა — დაბალი განათლების სკოლა თავისი ზეღა-  
შენი პროფესიული განათლებით მშვიდებს აღმიანებს ფიზიკური  
შრომისათვის. ეს სისტემა ნევეროვს განკუთვნილი აქვს მასებისა-  
თვის. მეორე სისტემა გულისხმობს საშუალო სკოლას და უმაღ-  
ლეს სასწავლებლებს, რაც ბუნებრივად მმართველი წრეებისა და  
გაბატონებული კლასებისათვის არის დანიშნული, რათა მათი შვი-  
ლებისაგან მოშვიდდეს ხელმძღვანელი მუშაქები და მაღალი კვა-  
ლიფიკაციის სპეციალისტები. ეს ჩევეულებრივი ბურეუაზოული გა-  
ნათლების სისტემის თეორიაა და ნევეროვი ამ შემთხვევაში ამ  
თეორიის პროპაგანდისტად გვევლინება.

გონიეროვი შრომის სახეების ნევეროვისებური კლასიფიკაცია  
ხელოვნურია. არავითარი მეცნიერული საფუძველი ამ კლასიფი-  
კაციისათვის არ არსებობს. მართლაც, რა მოსაზრებით ყუთვნებს  
ნევეროვი, ვთქვათ, სწავლული ბუნებისმეტყველის მუშაობას პუ-  
მანურ საჭმიანობათა ჯგუფს, როდესაც ამ მეცნიერის მოქმედების  
ასპარეზი სწორედ რომ მატერიალური სამყაროა და არა სულიერი.  
ანდა, მაგალითად, ჯარისკაცის (რა თქმა უნდა, ნევეროვს მხედვე-  
ლობაში რთულობა ჰყავს) შრომა რატომ უნდა მიეკუთვნოს მატე-  
რიალურ სამყაროს და არა აღამიანთა შორის მუშაობას.

ნევეროვის გამოაქვს ღამკვნა, რომ საშუალო სკოლა ორი ტი-

პისა უნდა არსებობდეს, ერთი მათგანი ადამიანს მოამზადებს ჰუ-  
მანიტარულ დაწეში სამუშაოდ (კლასიკური ცოდნა), მეორე — ნიკო-  
ლაი სამყაროს დაწეში (რეალური სკოლა).



ცხადია, რაფი ის მსჯელობა უსაფუძვლოა, საიდანაც ასეთი  
დასკვნაა მიღებული, თვით დასკვნაც მისი პირადი სურვილების  
პრიდუქტია და არა რამე მეცნიერული არგუმენტების შედეგი.

თუმცა ნევეროვი გამოდის კლასიკური განათლების მომხრედ,  
მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას კლასიციზმის უკიდურეს დამ-  
ცველებთან შედარებით მაინც საშუალო ხაზი აქვს აღებული იმ-  
დენად, რამდენადაც ას არ უარყოფს რეალურ განათლებას, მო-  
ითხოვს რეალური გიმნაზიის უფლებრივად გათანასწორებას კლა-  
სიკურ გიმნაზიასთან და რეალური სკოლების ქსელის ფართო  
გამლას.

კერძოთ, საქართველოსათვის მან რეალურ გიმნაზიასთან ერ-  
თად ნახევრად კლასიკური გიმნაზია მიიჩნია მისაღებად. მა ხაზს ის  
პოლომდე იცავდა, მაგრამ უნაყოფოდ, რასაც ქვემოთ დავინახავთ.

ასეთი იყო ნევეროვის შეხედულება ამ საკითხში, იმ ნევერო-  
ვისა, რომელიც 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გა-  
ნათლების საქმეს კავკასიში და რომლისაგან ამ მხრივ ბევრი რამ  
იყო დამოკიდებული.

ბარონ ნიკოლაის, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის  
მზრუნველი იყო 1853 წლიდან 1860 წლიდე, განსხვავებული პო-  
ზიცია ეჭირა ამ საკითხებზე. მისი წერილი საშუალო სკოლის რე-  
ფორმის შესახებ გამოქვეყნდა „მოსკოვსკი სბორნიკში“. ამ წე-  
რილში ბარონ ნიკოლაი ემხრობა სპეციალური პროფესიული ხა-  
სიათის განათლებას.

რეალური სკოლა მას წარმოდგენილი აქვს როგორც პროფესი-  
ული სკოლა, საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამ-  
ზადებლად მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის და ასეთი ტი-  
პის რეალური სკოლის გავრცელება კავკასიში მას მეტად საჭი-  
როდ მიაჩნია. ის კატეგორიულად წინააღმდეგია რეალური სას-  
წავლებლის კლასიკურ გიმნაზიასთან გათანასწორებისა და, მაშა-  
სადამე, უმაღლეს სასწავლებლებისათვის მოსამზადებელ სასწავ-  
ლო დაწესებულებად თვლის მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიას; ნი-  
კოლაი მოითხოვს კლასიკური გიმნაზიის სასწავლო გეგმიდან ბუ-  
ნებისმეტყველების განდევნას და მათემატიკის სწავლების ძლიერ  
შეზღუდვას. ძველი ენებიდან მოითხოვს მხოლოდ ერთის — ლა-  
თინური ენის სწავლებას, რასაც, მისი აზრით, უნდა დაეთმოს  
უდიდესი ნაწილი სასწავლო სამოქმედოსა.

კლასიციზმის დამცველთა შორის გავრცელებული აზრის წინა-  
მდებარებული აღმდეგ, ბარონ ნიკოლაი ამ წერილში ცდილობს დაამტკი მისამართშია  
ჩატარებულ მეცნიერებათა შესწავლა ხელს უშესობს რელიგიურ აზრ-  
დას. ის წერს: „გააცნობთ რა საოცარ წესრიგს ყველაფერში, რაც  
არსებობს, როცა მიუთოთებთ, რომ ყოველ აზს თავისი მიზანი  
და თავისი არსებობის განსაკუთრებული პირობები აქვს, ეს მოს-  
წავლები გააძინებოლებს დაკვირვებულობასა და მოსაზრებულო-  
ბას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მათ აწავლის  
მოქმედებით შეიგნონ სიბრძნე, სიდიადე და სათნოება შემოქ-  
მედისა“.

რა თქმა უნდა, სულ სხვანაირი იყო ქართველი საზოგადო მოლ-  
ვაწეების, ქართული უურნალ-გაზეთებისა და საზოგადოებრიობის  
შეხედულებანი ამ საკითხებზე.

კერძოდ, მაშინდელი ქართული უურნალ-გაზეთები ერთხმად და  
გადაჭრით ილაშქრებდნენ კლასიური განათლების სისტემის წი-  
ნააღმდეგ და აშკარად უკერდნენ მხარს რეალურ განათლებას. ამ  
მხრივ, მხოლოდ უურნალმა „ცისკარმა“ ვერ გამოიჩინა სრული  
თანამდებობა. მაგრამ მიუხედავად ამისა „ცისკარიც“ არ არს  
კლასიციზმის დამცველი.

უურნალი „ცისკარი“ პედაგოგიურ საკითხებზე სისტემატურად  
ათავსებდა წერილებს. მათ შორის ჩვენ ვხვდებით პედაგოგიურ-  
თეორიულ საკითხებსაც, წერილებს პედაგოგიკის ისტორიიდან,  
სტატიებს სწავლა-განათლების საქმის მდგრადირეობისა და ამოცა-  
ნების შესახებ ჩვენში და ა. შ.

„ცისკარს“ არ გამორჩენია მხედველობიდან ის ბრძოლა, რო-  
მელიც საშუალო განათლების საკითხებზე წარმოებდა მაშინ და  
ამ თემას რამდენიმე წერილი უძღვნა.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წერილებში ზოგჯერ ერთი  
მეორის საწინააღმდეგო დებულებანია წამოყენებული. უურნალი  
ხშირად მარტოოდნენ შაშინდელი საშუალო განათლების ნაკლოვა-  
ნებათა აღნიშვნით კრაფტილდება.

ამ პერიოდში „ცისკარში“ მოთავსებული წერილებიდან აღსა-  
ნიშნავია ჭრის ვილიამისის სტატია, რომელიც უშუალოდ მაშინ-  
დელ ბრძოლის საგანს — რეალური და კლასიური განათლების  
საკითხს ეხება და თავგამოძებით იცავს კლასიური განათლების  
სისტემას, ეს სტატია ეკუთვნის საქართველოს სინამდვილიდან.  
შორს მდგრმ პიროვნებს და ის არ შეიძლება „ცისკარის“ პედა-  
გოგიურ კრედოს გამომხატველად მივიჩნიოთ.



სამაგიეროდ, სხვა წერილებში „ცისკარი“ გარკვევით გმობს ქართველობა „შინდელ გიმაზიერში გაბატონებულ აღზრდის სისტემას, იუსტიციით რეალურ განათლებას, აყენებს მოწინავე პედაგოგიურ იდეებს და ეწივა ამ იდეების პროპაგანდას.“

ასე, მაგალითად, „ცისკრის“ 1867 წლის № 2-ში მოთავსებული ქრ. მამაცაშვილის წერილი სწავლების ამოცანად სახავს ბუნების კანონებისა და მოვლენების შესწავლას და, მაშასადამე, მოსწავლე ახალგაზისრდობის მეცნიერული ცოდნით შეიარაღებას. მთელი სტატია ამ დებულების დამტკიცებისადმია მიძღვნილი. მამაცაშვილი წერს: „თუ მიწის შემმუშავებელს უნდა, რომ რიგიანად მოსავალი მოსდომდეს ყოველთვის, არ ეყარგებოდეს ბევრი დრო და შრომა ტყუილად არ შერჩეს ხოლმე, უნდა იცოდეს ბუნების ყოველი-ვე კანონები და მოვლინებები განვითარებითა, ესე იგი ამას შესწავლილი უნდა ქონდეს ყოველივე მეცნიერება, რომელიც კი ცვალევენ და ისწავლიან ბუნებას.“

აშენია, რომ აქ უკვე რეალურ განათლებაზეა ლაპარაკი და არა კლასიკურზე.

„ცისკრის“ 1863 წლის აგვიტოს ნომერში მოთავსებულია ჭვარელის წერილი, რომელშიც სხვათა შორის, ნათევამია: „როცა თორმეტი წლის შეიქმნება ან მეტის, მაშინ საწყალ ბავშვს მშობლები მისცემს სადმე ლემნაზიაში ანდა შეკლაში სასწავლებლად. იქ თუ როგორც ასწავლიან ყმაწვილებს ყველას კარგად მოგეხსენებათ: დირს მხოლოდ თქვენს შეილებს უნახოთ ყურები და ხელის თითები. გასაკვირალია, რამ გაუზარდა იმ რიგად ან ყურები, ან თითები...??“

ამ წერილში უკვე გიმაზიაში გამეფებული რეჟიმის კრიტიკაა მოცემული.

ამრიგად „ცისკარი“ ერთ-ერთი ის ქართული პერიოდული ორგანია, რომელიც გმობს მაშინდელი საგიმნაზიო განათლების სისტემას, სკოლაში გაბატონებულ რეჟიმს და აყენებს ბუნების მეცნიერებათა შესწავლის აუცილებლობას, ე. ი. სწავლების ახალ შინაარსს და, მაშასადამე, სწავლებას ახალ სისტემას.

მოწინავე პედაგოგიური იდეებისათვის გაცილებით უფრო მეღვარ ბრძოლას აწაროებდა ი. ჭავჭავაძის „ივერია“.

„ივერია“ წარომადგენდა საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის მებრძოლ ორგანოს. ის განათლების საკითხებშიც პროგრესულ ხასს ატარებდა და თანამიმდევრობით იბრძოდა საღი პედაგოგური თეორიების გავრცელებისა და დანერგვისათვის.



ამ ორგანოს ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ი. ჭეშმარიანია შეურიცებლად ებრძოდა ძეველი სკოლის ფორმალიზმს, სქოლასტიკას, დოგმატიზმს და კალმხრიობას, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ და მეცნიერული ცოდნისაგან გამოფიტულ განათლებას.

აქედან, ცხადია, რომ „ივერია“ თუცილებლად კლასიკური განათლების წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, რაღვანაც სწორედ პირველ რიგში კლასიკური გიმნაზია წარმოადგენდა ფორმალურ-სკოლასტიკური განათლების სკოლას.

მოუხეადვად ამისა, „ივერიამ“ ჩეენთვის საინტერესო პერიოდში თითქმის უყურადღებოდ დასტოვა საშუალო სკოლის განათლების ხასიათის საკითხი და მის შესახებ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სტატია მხოლოდ 1881 წელს გამოაქვეყნა.

მასთალია, „ივერიამ“ გიმნაზიის საკითხებს მანამდეც უძღვნა არა ერთი და ისე მიმოხილვა, მაგრამ ისინი უმთავრესად შეეხებიან ქართული ენის სწავლების მდგრამარეობას და არა საგიმნაზიო განათლების საერთო მიმართულებას.

მოუხეადვად ამისა „ივერიამი“ მოთავსებული ცალკეული შენიშვნები, 1881 წლის № 1-ში გამოქვეყნებული გ. თუმანიშვილის წერილი საკითხის საბუთს წარმოადგენს იმის გამოსარჩვევად, თუ რა ხასის ატარებდა საერთო „ივერია“ საშუალო განათლების დარგში.

1879 წ. იანგრის №-ში „ივერია“ წერდა: „ხალხის სწავლისა და განათლების საქმე ჩეენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზე იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნვადა, მხოლოდ და მხოლოდ მათს, ასე თუ ისე, გაერთიანდას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელი მარტო შეძლებულთათვის არის მისამართები, ე. ი. თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლებას შესახებ დღეს აქმამდე მარტო წოდებათა განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვა არაფერს“.

სრულიად სწორი და სამართლიანი დახასითებაა ცარიზმის პოლიტიკისა, მშინდელი საშუალო სკოლის, მისი არსება და დანიშნულებისა. აქედან ისიც ჩანს, რომ „ივერია“ უკმაყოფილოა იმით, რომ თვითმმკრძალებულობა არ ზრუნავს სახალხო განათლებაზე, სოფლის სკოლებშე და მხოლოდ თავადაზნაურობისათვის მიუპყრია ყურადღება და ისიც „ასე თუ ისე“. ეს „ასე თუ ისე“ უბრალო სიტყვები კი არაა, ასამეც ლრმააზრვანი ქრიტიკა, რაც ასე უნდა გავიგოთ: საშუალო სკოლა ხომ უვარვისია და უმსგავსო, მაგრამ ისიც მიუწვდომელია ხალხისათვის, მასებისათვის, გლეხებისათვის.



იმავე წლის „ივერიის“ V — VI ნომერში დაბეჭდილი იაზრულება ვაკაძის შინაური მიმოხილვა არქვეტ კლასიურ გიმნაზიაში უქმდის მიზანით შემოტკიცისას მიზეზებს და ამ მიზეზთა შორის ასახელებს: „ვერ თვითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღო თვისის ლათინურით და ბერძნულით, რომელიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაშვილს, როგორც წყლის ნაყვა ან ნაცრის ქექა“. ი. ჟავავაძე ნათლად აღნიშნავს, რომ მოწაფეთა და შშობელთა დამოკიდებულება ძველი ენებისადმი უარყოფითია, რადგანაც მათი სწავლება უნაყოფოა, უმიზნოა, უაზრო და უშინაარსო ისე. როგორც წყლის ნაყვა ან ნაცრის ქექა. აბსოლუტურად სწორია ეს შეფასება, ვერც შშობელი და ვერც მოწაფე ვერავითაზე მიზანსა და აზრს ეერ ხედავდნენ ძველი ენების შესწავლაში. მათ კარგად იცოდნენ, რომ 10 — 12 წლის მანგილზე შვალებით შეძენილი ლათინური და ბერძნული გრამატიკის ცოდნა ახალგაზრდებს აჩსად და არაფერში არ დასჭირდებოდათ, არ გამოადგებოდათ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ კლასიურ გიმნაზიებიდან მოსწავლეთა განთვევა დიდი იყო. ამას ჩვენ ქვემოთ კონკრეტულ მასალაზე დავინახავთ. ამრიგად, ამ ორიოდე წინადაღებით ი. ჟავავაძემ უაღრესად პრინციპული საკითხი დააყენა და გვიჩვენა ამ საკითხის მთელი სიღრმე და სიგანე.

„ივერიის“ 1881 წ. I და IV ნომერებში მოთავსებული სტატია, რომელიც ცნობილ პუბლიცისტს გ. თუმანიშვილს ეკუთვნის, სხვა საკითხებთან ერთად დაწვრილებით იხილებს კლასიური და რეალური გიმნაზიების საკითხს. განსაკუთრებით ტოლსტოის პოლოტიკას ამ დარგში. გ. თუმანიშვილი ეხება საშუალო განათლების მდგრამარეობას ტოლსტოის ბატონობის პერიოდში და შესანიშნავ ანალიზს უკეთებს მას. გ. თუმანიშვილი ამ წერილში ამეღავნებს განათლების საქმის მაშინდელი ვითარების ღრმა და საფუძვლიან ცოდნასა და როგორც მახვილონიერი დამკვირებელი ზედმიშვერნით ზუსტ შეფასებას აძლევს მთელ იმ პოლიტიკას, რასაც ცარიშმი ტოლსტოის მეშვეობით ატარებდა. ავტორი წერს: „ტოლსტოიმ რუსეთის ახალგაზრდობას გაუმნელა განათლების მიღება: სახალხო სკოლები თავიად ცოტა იყო და რაც იყო, ასიც იჩაგრებოდა სოფლის მდგრალისა და ურიაღნიკისაგან: გიმნაზიებში ლათინურმა და ბერძნულმა ენამ უფრო მეტი ადგილი დაიჭირეს. ვიდრე თვით ჩუსულმა, ან სხვა უმთავრესმა საგანმა. ვინც არ გაისცებდა თავს მომკვდარ და დამარჩულ ენის სიტყვებით, იმას ნება არ ეძლეოდა უნივერსიტეტში შესულიყო. რეალურ სასწავლებელში ისეთი პროგრამა იყო დადგენილი, რომ იმათ შევირ-



დებს თუ არ საინჟინერო, ტექნიკოგიური და სხვა სპეციალურებისას წამოსახულებები, სხვაგან არსად იღებდნენ და მასთანავე სპეციალურების მოხერხებული, რომ ამ სპეციალურ ფაღებით და ინსტიტუტებში ათი რეალისტიდან ძლიერ ერთი, ორი მიიღებოდა, დანარჩენი კი რჩებოდა „უსაქმით“ (ივ. 1881 წ. № 1, გვ. 130). საერთოდ კი, ასკვნის გ. თუმანიშვილი, „ტოლსტოიმ ისე მომართა სწავლის საქმე, რომ ყველას ეგონებოდა და განათლებისათვის კი არა, გასულელებისათვის არის გამართული სასწავლებელი... სასწავლებლები ასულელებდნენ ყმაწვილკაცობას ზნეობითაც და სულითაც და ასე დამახინებულს ისტუმრებდნენ ცხოვრებაში“. („ივერია“, 1881 წ. № 4, გვ. 63).

ზეღმიშვილით სწორად არის დახმაითებული ტოლსტოის რეაქციული პოლიტიკა, მის მიერ შექმნილი გიმნაზიის სახე, რეალური სასწავლებლის მოჩვენებით და ფაქტიური მდგრამარეობა და სწავლების შინაარსი. სრულიად ზუსტადა აღნიშნული, რომ ტოლსტოის მიერ შექმნილი სქოლსტიური სკოლა განათლებას კი არ იძლეოდა, არამედ ყმაწვილებს ასულელებდა და მათინჯებდა გონებრივადაც და ზნეობრივადაც.

ტოლსტოის პოლიტიკის ეს შეფასება, ეს აბსოლუტურად სწორი კრიტიკა დახავსებული სკოლისა და საერთოდ განათლების მაშინდელი სისტემისა, ნათლად გვიჩვენებს როგორც გ. თუმანიშვილის, ისე „ივერიის“ დამოკიდებულებას ტოლსტოის პოლიტიკისადმი საერთოდ და კლასიკური და რეალური განათლებისადმი — კერძოთ.

რას უპირისპირებდა ი. ჭავჭავაძე და მისი „ივერია“ კლასიკურ გიმნაზიის?

ილ. ჭავჭავაძე იბრძოდა რა ძველი სკოლის წინააღმდეგ, ფორმალური და სქოლსტიური განათლების წინააღმდეგ, აყენებდა იდეას ახალი სკოლისას, რომელიც აღზრდიდა ყოველმხრივ განვითრებულ ადამიანს, შეაირალებდა მას მეცნიერული ცოდნით, მაღალი ზნეობით, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით და სხვა თვისებებით, რაც ესოდენ უცხო და უჩვეულო იყო მაშინდელი განათლების სისტემისათვის.

ამიტომ ჩვენ სავსებით საფუძვლიანად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძე არის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი ძველი კლასიკური განათლების წინააღმდეგ, დახავსებული განათლების სისტემისა და ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმ-



დეგ და თავგამოდებული დამცველი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების ველშე აგებული ახალი განათლების სისტემისა.

იმ შერიცლებიდან, რომლებსაც ვხვდებით ჩვენ მაშინდელ ქართულ ეურინალ-გაზეობში საშუალო განათლების საკითხებზე, მეტისმეტად საინტერესოა და საყურადღებო „კრებულში“ (1871 წ. № 2—3) მოთავსებული ნ. სკოლელის (ნ. ნიკოლაძის) სტატია „ახალგაზრდობის აღზრდა“. ნ. ნიკოლაძემ, ლიბერალური ბურჟუაზიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ახალთაობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, პედაგოგიურ საკითხებშიც გამოიჩინა თვით, როგორც ამ დარგის მცირდნებ და ამ სფეროში მოწინავე იდეებისათვის მებრძოლმა აღმიანდა.

აღზრდის მიზანი, რაც ძირითად ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს ყოველი პედაგოგური თეორიისა და საგანმანათლებლო პოლიტიკისა, რაზეც დამკიდებულია ყოველგვარი პედაგოგური სისტემა მოელი თავისი შინაარსითა და მეთოდებით, ნ. ნიკოლაძეს შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: „ახალგაზრდობის აღზრდას ყველაზე უფრო ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ აღზრდილ ყმაშვილს ხეირინად ესმოდეს რა ბუნება არტყაა იმას გარშემო, რა საზოგადოება, რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა და ამ საზოგადოების გაუკეთესება. ამას გარდა, აღზრდა იმას ამ შრომისათვის საკმაო ღონისძიებას, მოხერხებას და ცოდნას უნდა აძლევდეს“ (გვ. 193).

აღზრდის მიზნის ამ განსაზღვრით ნ. ნიკოლაძე საცხებით ემიჯნება კლასიური განათლების თეორიის და პრაქტიკის. ამ განმარტების მიხედვით, აღზრდის მიზანია ისეთი თაობის მომზადება, რომელსაც ცოდნაც ექნება და შეძლებაც საზოგადოებრივი ყოფიერების გარდასაქმნელად, გასაუკეთესებლად. აქედან ცხადია, რომ აღზრდის მიზნის, და მაშინადამ, შინაარსის მეთოდები საზოგადოებრივი ცხოვრებიდან არის იღმოცენებული და ამ საზოგადოების ინტერესებს ექვემდებარება. ცოდნა, რაც აღზრდის პრიცესში უნდა მიეცეს ახალგაზრდობას, ბუნებისა და ამ საზოგადოების კანონზომიერებათა შესწავლაში მდგომარეობს, რათა ამ ცოდნით შეიარაღებულმა აღმიანდა დაიმორჩილოს ბუნება, გაბატონდეს მასზე და გამოიყენოს ბუნების რესურსები და საზოგადოების კანონზომიერებათა ცოდნა ამავე საზოგადოების გასაუკეთესებლად. მაგრამ ნიკოლაძეს კარგად ესმის, რომ მარტო ცოდნა არ არის საკმარისი. ცოდნისთან ერთად საჭიროა ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. აქ ცოდნა — პრაქტიკა — შრომასთან



არის დაკავშირებული და მოცემულია ცნობილი დაწმულებულებისა ცოდნა — ცხოვრებისათვის. მარიგად, ამ განსაზღვრაში თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხიც არის წამოყენებული და თვითი დროის დამისაცვით სწორად გადწყვეტილი.

ყოველივე ამით ნ. ნიკოლაძემ საცხებით სწორად განსაზღვრა აღზრდის მიზანი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამომდინარე და საზოგადოების გარდაქმნის ამოცანებისადმი დაქვემდებარებული. მან სწორად განსაზღვრა აღზრდის შინაარსი (უფრო სწორად განათლების შინაარსი), როგორც ობაჟეტურად ასებული სინამდვილის, მატერიალური სსმყაროს ბუნებისა და საზოგადოების შესწავლა, ე. ი. ნამდვილი მეცნიერული ცოდნას დაუფლება; ასევე სწორად დაუკავშირა მან ეს ცოდნა შრომას, პრაქტიკას და თუმცა მერთლად, მაგრამ აუცილებლად მახვილონივრულად აღნიშნა ის ხარებზე, რაც ცოდნასა და შრომას, სასკოლო აღზრდასა და ცხოვრებას შორის ასებობდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე საცხებით რეალური განათლების მხარეზე დგას და ებრძეს იმ კლასიურ განათლებას, რომელიც აღზრდის მიზანს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ამოცანებს სწავლებული, ბუნებისა და თანამედროვე საზოგადოების შესწავლას უარყოფდა და თეორიის და პრაქტიკას ერთი მეორეს აშორებდა. აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძეს მიერ მოცემული აღზრდის მიზნის განსაზღვრა უნაკლო არა და, რაც მთვარია, ასებითად ის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათის განმარტება.

ნ. ნიკოლაძეს მხედველობიდან „გამორჩენილი“ აქვს ის გარემოება, რომ საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი, თითოეულ კლასს თავისი კლასობრივი ინტერესები აქვს და საერთო საზოგადოებრივი ამოცანები კლასობრიობის გარეშე არ ასებობს.

ამ აღზრდის საბოლოო მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ის გიმნაზიის ამოცანებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: გიმნაზია „ერთი მხრივ საბოლოო აღზრდას უნდა აძლევდეს ამ ყმაშვილებს, რომელიც პირდაპირ გიმნაზიიდან ცხოვრების ასპარეზზე გადადიან და მოსამაზადებელ აღზრდას უნდა აძლევდეს იმათ, რომელიც უმაღლეს სწავლების მიღებას აპირებენ“. აქ სრულიად სამართლამნად არის მითითებული, რომ გიმნაზიაში კურსდამთავრებული ყმაშვილები ყველანი როდი აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, არამედ უშუალოდ ცხოვრებაში ებმებიან და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან. ამიტომ გიმნაზიის ამოცანაა ისეთი ყმაშვილკაცობა მოამზდოს, რომელიც უმაღლეს სკოლაში შეძლებს სწავლის გაგრძელებას და ცხოვრებაშიაც პრაქტიკულ საქ-

მიანობას. ორივ შემთხვევაში, მიბობს ნ. ნიკოლაძე, აუცილებელი და მიმდინარე გაცემის მიზანისა და ცხოვრების ფოდნა; პრაქტიკაც მის მოითხოვს და უმაღლესი სასწავლებელიც. ის წერს: „სახელმწიფოს ისეთი კაცები ს სკორია, რომელთაც პატიოსანი და შეურყეველი ხასიათი ჰქონდეთ, გახსნილი, ნათელი და მოხერხებული გონება და გონების შრომას შეჩვეულა თავი და ხელები. ამ მიზანს ისეთი აღზრდის სისტემა სჭირდა, რომელიც ნათლად და გონიერად გააცნობდეს კაცს მის საზოგადოებას და ბუნებას“ (გვ. 208).

შის მიერ წამოყენებულ დებულებათა დასამტკიცებლად ნიკოლაძემ თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან აღმოაღვინა. ის ასახელებს 1866 და 1870 წლის ომების მიგალითს და აღნიშნავს, რომ ამ ომებმა ნათელყვეს, რომ იმარჩებს ის, ვისაც მეტა ცოდნა და მომზადება აქვს. „დღეს, როდესაც ჯარი იძულებულია ოცდაოთხი საათის გამოვლობაში უშველებელი რეინის ხიდი გამართოს... როცა ათიათასობით საჭიროა ქამიჯოსი და ტექნიკები — თოფ-იარაღის, წამლის, მასალების მოსამაღლურად და სხვა და სხვა, მნიარ მდგომარეობაში ლათინური და ბერძნული გრამატიკა უცარგისი და უძლურია“.

მას მოჰყავს საგულისხმო მიგალითი, რომელსაც თავის დროზე მოელი ეკრობის უყრადღება მიუქცევა: „ერთი ბერძნული ენის პროფესორი ჩატრიცხათ ჯაში, ეს პროფესორი იმდენად უვარების გამოდგა ჯარისათვის, რომ ჯარის ცხენებს მიუყენეს, მწყემსაც“. „რანაირად დასცინოდა მაშან ლიტერატურა თეორითიან მწყემს. რომელიც ბერძნულად უჭავრდებოდა ცხენებს და ლათინური ლექსებით მიყავდა ისინი წყლის სასმელად“.

ამავე წერილში ნიკოლაძე იხილავს კატკოვისა და მის მოწინააღმდეგოთა ბრძოლის ისტორიას და ამ მიმართულებას შემდეგნაირად ახსიათებს: „კლასიკურ და რეალურ გიმნაზიებს შორის „უშველებელი“ განსხვავება არის. გაზიერების უყრადღება მიეკუა 1863 წელს, როდესაც მმართველობამ მოინდომა გიმნაზიებს წესდების შეცვლა. კლასიკური განათლების დამცველად გმოვიდა „მოსკოვსკიე კედომოსტი“ — კატკოვი, რეალურის კა — „გოლოსა“.

„ეს გაზიერი („მოსკ. კედომოსტი“) მუდამ იმას ამბობდა, რომ ახლადელი არეულობა და აყალმაყალი (მხედველობაშია პოლონეთის აჯანყება — ს. ს.) სულ ბუნების მეცნიერების საქმეო, ბუნების მეცნიერება უხვთოობას და მთავრობის უაღყოფას ასწავლისათვის; ცუდია, როცა ყმაშვილი სჯას და თავისი ჭკუთ მუქმედიბას ეჩვევაო, და თუ ჩვენ, რუსეთს, ამ უსიამოვნო სენის მოშორება გვინდა, აუცილებლად ისე უნდა მიემართოთ სასწავლებლის საქ-



მეს, რომ შიგ ყმაშვილს არც დრო და არც შეძლება ჰქონდეს კუთხისა და თავის კუუაზე სიარულისა, რომ ის შეეჩიოს შესწერის მიზანით რომელმაც იმის კუუას მარტო მოძრაობა მისცეს და არც ცუდი და არც კარგი ნაყოფი არ დაუტოვოს შრომისათვის შრომას გარდა. — „მაშ — მბობდა უფალი კატუოვი — ვასაც ჩვენი ქვეყნის სიკეთე სურს, ის კლასიკური სისტემის მომხრე უნდა იყოს; ვინც კი რეალურ სისტემას უღება, ის მამულის და სახელმწიფოს მოაღარე და მტერია“.

როგორც გხედავთ, ნ. ნიკოლაძეს სრულიად სამართლიანად შეუნიშნავს მაშინვე, რომ კატუოვს პოლიტიკური მოტივები ამოძრავებდა კლისტიკურის დაცვაში და არა პედაგოგიურ-მეცნიერული მოსახრებები. ნიკოლაძეს ისიც სწორად აქვს აღნიშნული ამ წერილში, რომ კატუოვის სისტემის მიზანია აზროვნების უნარი დაუკარგოს ყმაშვილკაცობას, წაართვას მას გონება და თვითმოქმედების უნარი და გადაქციოს ისეთ ცოცხალ მანქანად, რომელიც მონა-მორჩილი იქნება ასებული წყობილებისა და ზუსტად შეასრულებს ბატონთა და მბრძანებელთა სურვილს. ეს აზრი კიდევ უფრო მეაფილ აქვს გამოთქმული მას, პროფესიული განათლების კატუოვისებური სისტემის განხილვის დროს: „ამ სისტემას, — წერს ნიკოლაძე, — ჩასაკვირველია ის შედეგი ექნება, რომ გონება გაუსწოს სწავლის აღზრდას და ბრძანებულობას სხვადასხვა ხელობას ასწავლიან და ისევ უბრალო, ბრძანებულებებად, მაშინაც განდინა“. (ხაზი ჩვენია. — ს. ს.).

„კატუოვისათვის პასუხის გაცემა, — განაგრძობს ნიკოლაძე, — მაშინდელ პირობებში ძნელი იყო, უშიშარი საქმე აზ იყო და ამტკომ ვინ გასცემდა ხმას. მას მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგი გამოუჩნდა, ეს იყო „გოლოს“.

ანირებული დაცვა იყო ეს დაცვა, მაგრამ როგორიც „ალია, იმისთვის ფლავია“. იმ კატს, რომელიც მბობდა, რომ ქიმიისა და მექანიკის სწავლა სახელმწიფოს საძირკველს უნგრევსო, „გოლოს-მა“ დაუშეულ დამტკიცება, რომ რობესპიერი სან უუსტი, დემოულენი და თათქმის სხვა ყველა გამოჩენილი რევოლუციონერი, რომელიც იხეთი გაცოცებით შეეტაცნენ საფრანგეთის მმართველობას და დასცეს ის. — ეს რევოლუციონერები ლათინურ და ბერძნულ წიგნებზე იყვნენ აღზრდილნი. მათი რესპუბლიკის სურვილი, მათი გრძნობა პლუტარხის და ციცერონის თხზულებების კითხვამ დაბადათ“. ჩა იქმა უნდა, ეს მოსაზრება „გოლოსის“ სახელით აქ მოტანილი, მარტო „გოლოს“ არ ეკუთვნიდა: ამ აზრს მეფე ნიკოლოზ პირველი იზიარებდა და 50-იან წლებში სწორედ

ასეთი შეხედულება იყო გაბატონებული მმართველ წრეებში. ეს რა უცხოულია რასაკვირველია, სრულიად უსაფუძვლო შეხედულება „გოლოუშიშვილისა“ განუმღერებია 60-იან წლებში, როგორც ამას ნიკოლაძე გვაუწყებს.

როგორც გარევევით ჩნის, ნიკოლაძე არც „გოლოუში“ უჭირს მხარს და არც „მოსკოვსკი ველომოსტს“ — ორივე შეხედულება მას შემცდარად მიაჩნია.

„ცხოვრებაში „მოსკ. ველომოსტის“ აზრში გაიმარჯვა“ — ვანაგრძობს ნიკოლაძე, — მაგრამ ამავე ცხოვრებამ ნათელყო, რომ ეს აზრიც შემცდარი და უმართებულო იყო. მის შესახებ კატკოვიც ალპარაკდა და მმართველობაც და უკვე შექმნილია კომისია ამ სისტემის გადასასინჯავადო. ნიკოლაძე იმედს გამოსთვევს, რომ კომისია სწორედ გადასცრის საკითხს.

ეს უკვე ნ. ნიკოლაძემ დიდი შეცდომა დაუშვა. არც კატკოვსა და არც მმართველობას აზრიც არ მოსვლია აზრებული სისტემის გარდაქმნა-გაუმჯობესება. პირიქით 70—71 წ.წ. პერიოდში კომისიები და მმართველი ორგანოები ამუშავებდნენ რეაქციულ ღონისძიებათა სისტემას 1864 წლის წესდების შესაცვლელად, კლასიკური განათლების არარაობამდე დასაყვანად და 60-იანი წლების ყველა მონაბოვართა სალიკვიდაციოდ. ეს ღონისძიებები მუშავდებოდა და ტარდებოდა ცხოვრებაში სწორედ იმ ღრის, როდესაც ნიკოლაძის ეს წერილი დაწერილა და ნიკოლაძემ კი არსი მ ღონისძიებათა, მათი ნამდვილი აზრი და მიზანი უერ გაიგო, ყოველ შემთხვევაში არ აღნიშნა მაინც. მან იმედიც კი დაამყარა ტოლსტოის კომისიაზე, რომელმაც 1871—1872 წ.წ. რეაქციული პროექტი დამუშავა.

ასეთია ხვედრი ლიბერალური მთაწროვნისა, რომელიც იმედებს ამყარებდა ცარიზმზე და ფიქრობდა, რომ ცარიზმი ღლეს თუ არა ხვალ მანც ჩატარებს რეფორმებს, გააუკეთესებს და გარდაქმნის ცხოვრებს და ა. შ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ნ. ნიკოლაძის სახით ჩვენ საქმე გვაქს მოწინავე პედაგოგიური იდეებისათვის მებრძოლ პიროვნებასთან, რომელმაც ქართულ რუსნალ-გაზიერებში უვილაზე უფრო მკაფიოდ გააშუქა კლასიციზმისა და რეალიზმის ნამდვილი არსი და ბუნება, სწორად ასახა ის ბრძოლა, რომელიც ამ ორ მიმღინარეობას ჰორის წარმოებდა 60-იან წლებში, დასახა საშუალო სკოლის განვითარების ერთადერთ 29

მართებული გზა მაშინდელ პირობებასთავი  
და წამთაყენა მთელი რიგი უაღრესად პუნქტით  
ჩესული პედაგოგიური პრინციპები. მართლიანობა  
ის ჰერაგზაზე შეჩერდა, უადგილო ადგილის დასვა წერტალი, ოპ-  
ტიმიზმი გამოიჩინა ტოლსტიოს მიმართ, მაგრამ ის ღონეც, საღამ-  
დეც ნიკოლაძე იყიდა, საქმაოდ მაღალია და ბრწყინვალე, რაც მას  
აუცილებლად საპატარი აღილს მოუპოვებს საქართველოს პედა-  
გოგის ისტორიაში.

სახელმოვან ქართველ პედაგოგს, პუბლიცისტსა და საზოგადო  
მოღვაწეს ი. გოგებაშვილს, რა თქმა უნდა, არ გამოჩენია მხედ-  
ველობიდან „კილილი რეალისტებასა და კლასიკებისა“ და მან  
თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთვევა სააზნაურო სკოლის სა-  
ზოგადოების წლიურ კრებაზე 1893 წლის 30 აპრილს, აღნიშნა:  
„მოგეხსენებათ, რომ საზოგადო სწავლა ორგარია: კლასაუკური  
და რეალური. რომელს მათვანს უნდა მივცეთ უპირატესობა?..  
რას ასწავლის კლასიური გძმნაშია, ჩვენ ეს ყველაზ კარგად ვი-  
ცით. ნაგლეჯები ბერძნული და ლათინური გრამატიკებასა, ძველი  
ენების კანკლეონბანი და ულელილებანი — აი მთავარი ავლა-  
დიდება პროცენტის მოწაფის გონიერისა. სიტყვებით, ფრაზებით,  
გრამატიკების ფორმებით არის, უმეტეს ნაწილად, გამოტენალი მათი  
თავი... ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზე-  
პირებას და შეუდგეთ შეძენას ნამდვილის, კეშშარიტის ცოდნესას.  
ხოლო ამგვარ ცოდნას იძლევა ეგრედწოდებული რეალური სის-  
ტემა განათლებისა. ამ სისტემის ყველა უპირატესობა აქვს კლასი-  
კური სისტემის წინაშე“...\* ეს ამონაშერი რომ არ გავაგრძელოთ,  
იხედაც ნათელია, რომ ი. გოგებაშვილი სასტიკი შოშანააღმდეგეა  
განათლების კლასიური სისტემისა და მთლიანად განათლების  
რეალურ სისტემას იცავს.

საკითხის სისტემისათვის საჭიროდ ვთვლით, გაკვრით მანც  
აღვნიშნოთ, თუ როგორი იყო საზოგადოების იმ ფენის დამოკი-  
კიდებულება კლასიური განათლებისაღმი, ვისთვისაც კლასიკური  
გიმნაზია იყო დანიშნული. მასალები ამ საკითხის გასარკვევად  
ძლიერ მცირე მოგვეპოვება; შემდეგი კალევა-ძიება, ალბათ, მრა-  
ვალ საგულისხმო ფაქტს გამოამზეურებს; მაგრამ ის მასალებიც  
კი, რაც ჩვენ ხელთ არის. უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ  
შშობლებისა და მოწაფეობის დამკიდებულება განათლების კლა-

\* ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები  
1910 წ. ტ. 1, გვ. 278—89.

სიკური სისტემისადმი უარყოფითი იყო; ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულება მათ მიერ მიჩნეულია როგორც ტანგვა-წამების კონკრეტული კურსი, რაც აუცილებლად უნდა გაევლო ყველას, ვისაც საზოგადო დოკუმენტი ასპარეზში გამოსულა სურდა, თანამდებობა და ჩინი ანტერესებდა. ყველა ამ სანუკვაზ იდეალთა მისაღწევად ასე-ზობდა ერთადერთი გზა კლასიკური განათლების სახით. ეს გზა კი ნარ-ეკლიანი იყო და ამ ნარ-ეკალს ლათინური და ბერძნული ენები წარმოადგენდა. თუ ვისოდეს ან რისთვის იყო მოგონილი ასეთი საჭამებელი სკოლა,—გაუგებარი და უცნობი ჩეჩებოდა მოწაფეთა და მათი მშობლებისათვის; ეს კიდევ უფრო ძლიერებდა აღმფოთებას, რაც ზოგჯერ სკოლიდან გაქცევაში გამოიხატებოდა და ზოგჯერაც მოსწავლეთა აჩეულობას იწვევდა.

მაშინ, როდესაც 1864 წ. წესდების პროექტის განხილვა წარმოებდა, მრავალმა მშობელმა წარადგინა თავისი მოსახრებანი ამ საკითხზე: ეს წერილები, როგორც წესი, მუდამ კლასიკური განათლების წინააღმდეგ იყო მიმართული; ამ, მაგალითად, რას წერდა ერთ-ერთი მშობელი: „მოგვეცით ჩვენ რაიმე საბერძნეთისა და რომის ცხოვრებიდან თარგმანში ან საქმიან მეცნიერულ სტატიაში წასაკითხად, ჩვენ მათ სიმორნებით წაიკითხავთ. ხოლო ამისათვის ძეველი ენების შესწავლა, გვაძატიეთ, უდრიობის გამო არ შეგვიძლია.

რაც შეეხება ჩვენს ბავშვებს, ლათინური მათ მხოლოდ იმაში ემსახურება, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში კვირაში ორჯერ უსადილოდ ჩეჩიან, რაც ძლიერ ვნებს მათ განმრთელობას. თუ ვინდათ თქვენ ისინი განავითაროთ, მაშინ მიეცით ბავშვებს ისეთი ცოდნა, რომელსაც უფრო თხოულობს თანამედროვე ცხოვრება და მეცნიერება. მათი სახით ჩვენ გვინდა ვხედავდეთ არა ბერძნებს და რომაელებს, არამედ განათლებულ ევროპელებს და რუსებს. ჩვენ არ გვინდა მათგან გამოვიყენოთ რაღაც ხელოსნები, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ისინი ბავშვობიდანვე ემზადებოდნენ სპეციალისტებად ისეთ მეცნიერებაში, რომელიც არც ჩვენ და არც მათ გულს არ აინტერესებს“.

1850 წელს, როდესაც თბილისში კომერციული გიმნაზია გაიხსნა, ამ გიმნაზიაში კლასიკური გიმნაზიიდან მრავალი მოწაფე გადავიდა. რა უნდა ყოფილიყო ამ გადასცლის მიზეზი? სხვა არაუერი, თუ არა რეალური განათლების უპირატესობის შეგნება საზოგადოების მიერ.

ბაზონი ნიკოლაი თავის წერილში, რომელსაც ზემოთ შევეხეთ, პირდაპირ მიუთითებდა, რომ აქაური მოსახლეობა მტრულად

ეკიდებოდა ლათინური ენის სწავლას. ის წერდა: „ლათინური ენა აქ უცქერიან არა მარტო მტრულად, არამედ ველურადაც შეგვაიყენეთ თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი საწავლო ოლქის მხრუნველობისადმი წარდგენილ წლიურ ანგარიშში (1872 წ.) ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობდა. ანგარიშიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ გამწვავებული ყოფილა მაშინ მშობლებისა და მოსწავლების დამოკიდებულება სკოლის ხელმძღვანელობასთან და მასწავლებლებთან საერთოდ და ამ ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, კელიხოვესკის აზრით, კლასიკური ენების სწავლება უნდა ყოფილიყო. კელიხოვესკი წერს, რომ კლასიკური განათლების კრიტიკა, რაც უურნალ-გაზეთებში იწერება მშობლების მეშვეობით მოწავეთა ყურადღე აღწევს და მათ გიმნაზიის წინააღმდეგ ამხედრებს. კელიხოვესკის მშობელთა სპეციალური კრებაც კი მოუწვევია, სადაც მისი ცნობით ექვსსასამდე კაცი და ესწრო და ამ კრებაზე პირდაპირ დაუყენებია საკითხი: თუ ამ მოგწონთ კლასიკური სისტემა განათლებისა, რათ აძლევთ თქვენს ბავშვებს კლასიკურ გიმნაზიაში და თუ შემოგიყვანით აქ თქვენი ბავშვები, მაშინ ამ სკოლისადმი პატივი და სიყვარული უნდა შთაგონოთ მათთ.

1868 წლის ბოლოს თბილისის კლასიკური გიმნაზიის VII კლასის მოწავეებს არეულობაც კი მოუწყვიათ და შეურაცყოფა მიუყენებიათ უელიხოვესკისათვის; თუ რამდენად იყო დაკავშირებული ეს შემთხვევა ლათინური და ბერძნული ენების სწავლების სკოთხებთან, მასალებში არაფერია ნათევამი, მაგრამ ხსნებული საანგარიშო მოსსნება უფლებას გაძლევს ვითიქროთ, რომ ამ არეულობის მიზეზთა შორის ძველი ენების სწავლებას უკანასკნელი ადგილი არ უნდა სჭერდა.

1874 წ. ქ. თბილისში გაიხსნა პროგიმნაზია (შემდეგში II გიმნაზიად გადაეთეობული); ამ გიმნაზიის გახსნის აღსანიშნავ საზეამო სხდომაზე გიმნაზიის დირექტორმა ლილოვმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა: „რატომ შეგვავთ თქვენ ბავშვებისაში, როდესაც თქვენ მასზე ესოდენ უკუღმართი შეხელულება გაქვთ, როდესაც თქვენ მას მტრულად ეპყრობით“.

საქმიად ნათელია, რომ იმ ღრის მმართველობამაც კარგად იცოდა მშობელთა მტრული დამოკიდებულება კლასიკური განათლებისაღმი, მაგრამ ანგარიშს კი არ უწევდა ამ ფაქტს.

უნდა აღნიშნოთ ის გარემოება, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა საგიმნაზიო განათლების შესახებ თავისი გამოხატულება მხატვრულ ლიტერატურაშიაც ჰპოვა. თუ რას წარმოაღვენ-



და კლასიური განათლების სისტემა, რა შედეგებს იძლეოდა მა, როგორი იყო დამოკიდებულება ამ სისტემისადმი მოწაფეებს და საერთოდ საზოგადოებრიობის მხრივ, ეს საუცხოოდ ქვეს პა-ხელი გ. წერეთელს თვეის რომანში „პირველი ნაბიჯი“.

ამ რომანის მთავარი გმირი ერემია წარბა, ქუთაისის კლასიურ გმინაზიაში სწავლობდა სწორედ 70-იანი წლების დასწყისში. ერემია ერთ-ერთი ნიჭიერი და ბეჭითი მოწაფე იყო. კარგად სწავლობდა, კარგად ითვისებდა გაკვეთილებს და პირველ მოწაფედ ითვლებოდა მიუხედავად იმისა, რომ მას მის ამხანაგებთან ერთად ძლიერ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდა.

ერემიამ მაღლ აიცრუა გული სწავლაზე, ხელი მიყო ქეიფს და გარყვნილ ცხოვრების, საბოლოოდ ბორიტმოქმედების გზას და ადგა, საზოგადოებისათვის მავნე პიროვნებად იქცა.

რამ დააყენა ერემია ბორიტების ამ გზაზე? როგორც ამას გ. წერეთელი სამართლიანად გვისურათხატებს, ერემიას ცხოვრების გზის აბნევაში კლასიურმა განათლების სისტემამ გადამწყვეტი როლი ითამაშა. აი, რას წერს ამის შესახებ გ. წერეთელი: „ერთი მრავალთაგანი მსხვერპლი ამგვარის სწავლებისა შეიქმნა ერემიაც. ეს ქორფა გონების მოწაფე ცდილობდა შერიგებოდა ახალ წესს; იყიდა ბერძნული და ლათინური გრამატიკები და მის-და გაუგებარი სიტყვების ზეპირებას. კლასში ყურთასმენად იყო ის გადაქცეული... თითქოს სჯეროდა გაკვეთილები გავიგო; მაგრამ, როცა სწავლა გაუთავდებოდა, შინ დაბრუნდებოდა და სადილის უკან ამოილებდა თვეის ლათინურ გრამატიკს, უნდოდა და ეწყო მეორე დღის გაკვეთილის შესწავლა, მაშინ ჩრდილობებოდა, რომ რაც მასწავლებელს კლასში ელაპარაკნა, იმის არაფერი ახსოვდა. მეტი რა ღონე ჰქონდა, მოყვებოდა უაზრო ზეპირებას ლათინურის ულვლილებისა და კინკლებობისას. ამ ჭაპანწყვეტაში რაც უფრო დრო გადიოდა ისე უფრო ეკარგებოდა სწავლების ხალისი ერემიას. ბოლოს სუმ. fui. esse -ს ზეპირებაში გონება დაუბნელა, ნერვები აუშალა და გააბრაზა. ყმაწვილი სრულებით გამოიცაალა, უწინდელი შვეიცარიანი სახის გამომეტყველება გაუქრა. შესძულდა მასწავლებლები, შესძულდა თვით ლირექტორი და მისი მოსამსახურები... ...მას შესძულდა თვით გიმნაზიაც, იქ სიარული არაფრად ეპიტაზიანებოდა...“

ამავე გარემოებაში ჩავარდა მომეტებული ქართველი შეგირდობა\*. \*

\* გ. წერეთელი, პირველი ნაბიჯი. თბ. სანქლეგამი, 1936 წ., გვ. 107—108.



ამის შემდევ ერემიაზ დაცულ დუქნებში სიარული და ქვეითი. ეს კი ფულს მოითხოვდა და ჩადგანაც მას ფული არ პქონზე არის ამხანაგებოთან ერთად ქურდობას მიჰყო ხელი.

გ. წერეთელმა თავის რომანში მკვეთრად ასახა მშინდელი კლასიკური გიმნაზიის სახე, რომელმაც მრავალი ახალგაზრდა იმ-სხვერპლა და დაყენა ბოროტების გზაზე.

განათლების კლასიკური სისტემის მსხვერპლთა ტიპიურ წარ-მომაღენელს ერემია წარბა წარმოადგენს.

ამრიგად, როგორც ზემომოყვანილი მასალებიდან ჩანს, ბრძო-ლა რეალური განათლებისათვის საქართველოს სინამდვილეშიაც უართოდ გაიშალა.

მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, პრესა, მშობ-ლები და მოსწავლები მედგრად ილაშქრებდონ განათლების კლა-სიკური სისტემის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ განათლების ახა-ლი სისტემის შემოლებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოში, ისე, როგორც რუსეთში, კლასიკური განათლების სისტემა გაბატონდა. 60—70-იანი წლე-ბის განმავლობაში მტკიცედ დამკვიდრდა და მნიშვნელოვნად გან-მტკიცდა ეგრედწოდებული გრამატიკული კლასიკიზმის ის სახე, რომელიც კარკოვისა და ლეონტიევის „პედაგოგიური სიბრძნის“ ნა-და ტოლსტოის უანდარმული საგანმანათლებლო პოლიტიკის ნა-ყოფეს წარმოადგენდა.

## თ ა ვ ი 11

### საგანმანათლებლო კსელი, მოსწავლათა კონგრესი და ორგანიზაციული საქმითხარი

1. ქსელი. პირველი სკოლა, დაარსებული ცარიზმის მიერ ამიერკავკასიაში, იყო თბილისის კეთილშობილთა ორქლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1804 წელს გაიხსნა. თბილისის კეთილ-შობილთა ორქლასიანი სასწავლებელი 1820-იან წლებში გადაკეთდა კეთილშობილთა ექვესკლასიან სასწავლებლად, ხოლო 1830 წელს კი — გიმნაზიად.

ეს იყო ერთადერთი გიმნაზია საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის გან-მავლობაში. მეორე გიმნაზია გაიხსნა მხოლოდ 1850 წელს ქ. ქუ-თაისში.

ამრიგად, 60-იანი წლების დასწუყისისათვის საქართველოში არსებობდა სულ ორი სახელმწიფო საშუალო სკოლა ვაჟთათვის შემოწმებით თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები. 60—70-იანი წლების განმავლობაში გაიხსნა სამი სასწავლო დაწესებულება: თბილისის რეალური გიმნაზია (შემდეგში რეალურ სასწავლებლად გადაკეთებული), თბილისის პროგიმნაზია და ქუთაისის პროგიმნაზია.

70-იანი წლების დასასრულისათვის საერთო განათლების ვაჟთა საშუალო სკოლების ქსელი განისაზღვრებოდა: სამი გიმნაზიით, ორი პროგიმნაზიით და ერთი რეალური სასწავლებლით (თბილის I და II გიმნაზია, ქუთაისის გიმნაზია, თბილისის რეალური სასწავლებელი, თბილისისა და ქუთაისის პროგიმნაზიები).

ეს იყო მთელი ის ქსელი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ქვეყნის მოთხოვნილება საშუალო განათლების დარგში.

კავკასიის სასწავლო ოლქს რუსეთის სხვა სასწავლო ოლქებს შორის მე-9 ადგილი ეყირა საშუალო სკოლების ქსელის მხრივ (სულ 12 სასწავლო ოლქი არსებობდა).

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა საქართველოში (ქ. თბილისში) კერძო სასწავლებლებიც იყო განსაზღვრული.

1. მონასტრირცევისა და ტერ-აკოფოვის გიმნაზია, დაარსებული ქ. თბილისში 1858 წლიდან. თავიდან ეს სასწავლებელი სამყლასიანი იყო და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მომზადებას გიმნაზიებში შესასვლელად. ეს სასწავლო დაწესებულება 1866 წელს ვადაკეთებულ იქნა გიმნაზიად, კლასიკური და რეალური კლასებით. ფაქტოურად ტერ-აკოფოვისა და მონასტრირცევის გიმნაზია სრულკომპლექტიანი არ ყოფილა მთელ იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ და 1879 წლისათვის მასში ჯერ კიდევ მხოლოდ პროგიმნაზიის კლასები არსებობდა.

2. მანდენვის პროგიმნაზია არსებობდა ქ. თბილისში 1875 წლიდან. ეს პროგიმნაზია 1879 წლისათვის ოთხი კლასისაგან შედგებოდა.

3. მელიქ-ბეგლააროვის რეალური სასწავლებელი არსებობდა ქ. თბილისში 1876 წლიდან.

საქართველოს სხვა ქალაქებში კერძო გიმნაზიებს, პროგიმნაზიებს და რეალურ სასწავლებლებს ვერ ვხვდებით.

კერძო სასწავლებელთა ქსელი განკუთვნილი იყო ბურუუაშიული კლასებისათვის და მ ქსელით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ დიდი შეძლების პირებს, რაღაც სასწავლო გადასახარი 5—6-ჯერ აღმატებოდა ასეთივე ტიპის სახელმწიფო სასწავლებლებში არსებულ ნორმებს.



ქალაქის თვითმმართველობებს და საზოგადოებრივ ოფიციალურად კი მთელს კავკასიაში არც ერთი საერთო სასწავლებელდან ყოფილი იყო.

2. კონტინგენტი. კავკასიის სასწავლო ოლქის 1853 წლის დებულების § 33 თვალისწინებდა თავისუფალი მდგომარეობის ყველა ბავშვის მიღებას გიმნაზიებში. ამ დრომდე გძმნაზიებში მიიღებოდა მხოლოდ თავად-აზნაურთა, მელიქთა, ბეგთა, მთიულ ტომების მამასახლისთა და მეფის დამსახურებულ მოხელეთა ბავშვები.

ამრიგად, 1853 წლის დებულება გიმნაზიაში შესვლის უფლებას ანუ კერძოდ თავისუფალი მდგომარეობის პირებსაც, რომელიც მსეთ უფლებას ამ დრომდე მოკლებული იყვნენ.

თავისთავად ცხადია, რომ ყმა გლეხობას, როგორც არათავისუფალ წოდებას, უფლება არ ჰქონდა გიმნაზიაში მიებარებინა ბავშვები.

1864 წლის წესდებამ ეს უფლება კიდევ უფრო გააფართოვადა ამ წესდების § 23-ში ნათელად: „გამნაზიებში და პრივატნიებში მიიღებიან ყოველგვარი მდგომარეობის ბავშვები, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა“.

რა თქმა უნდა, ეს მოვლენა უსათუოდ ფრიად მნიშვნელოვანია რუსეთის საკინაზიო განათლების ისტორიაში. თუ წინად მხოლოდ წარჩინებულ წოდებათა წარმომადგენლებს ჰქონდათ მინაკებული საშუალო და, მაშასადმე უმაღლესი განათლების მიღების უფლება, ახლა უკვე კანონი ნებას რთავდა ყველას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა და სარწმუნოებისა, მიეღო საშუალო განათლება.

ამიერიდან არ ასებობდა წოდებრივი შეზღუდვა გიმნაზიებში შემსველთათვის და კანონმდებლობით გიმნაზიის კარგები დახული არ ყოფილა თვით არათავისუფალ გლეხებისათვისაც კი.

ამ სახით, თვათმპრობელობამ ნაბიჯი გადადგა კარჩაკეტილი წოდებრივი სკოლის კლასობრივი სკოლით შესაცელელად. ეს კი უსათუოდ დადგებით მოვლენას წარმომადგენდა არა მატერიალური მიზანებისათვის, რომელიც პრაქტიკულად იყენებდნენ ამ ახალ ვითარებას, არამედ ამათთვისაც, ვინც ვერ სარგებლობდა საშუალო სკოლით. „ჩვენ სრულიადაც იმის თქმა არ გვინდა, რომ წოდებრივი სკოლის კლასობრივი სკოლით შეცელისა და ამ უკანასკნელის გაუმჯობესების საკითხი უმნიშვნელო და სულ ერთი იყო იმ კლასისათვის, რომელიც ვერ სარგებლობდნ და არც შეუძლიათ ისარგებლონ საშუალო სკოლით: პირიქით, მათთვისაც ეს საკითხი



სულერთა როდია, ვინაიდან წოდებრიობა ცხოვრებაშიაც, სკოლაში მოხადა  
შიაც მათ მძიმე ლოდად აწევს, რადგანაც წოდებრივი სკოლაში მოხადა  
შეცვლა კლასობრივით — ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი  
რუსეთის საერთო და ყოველმხრივი ეკრაპიზაციის პროცესისა". \*

ამრიგად, 50—60-იანი წლების განმავლობაში გადაიდგა პირ-  
ელი ნაბიჯები წოდებრივი საშუალო სკოლის კლასობრივი საშუა-  
ლო სკოლით შესაცვლელად, მაგრამ მიუხედავად ამისა, გიმნაზია  
მაინც წოდებრივ სკოლად დარჩა.

თვითმმკრობელობამ მიიღო ყველა ზომა, რათა წესდების ეს  
„დემოკრატიული" პუნქტი არარობამდე დაუკავანა და შეენარჩუ-  
ნებინა გიმნაზია, როგორც პრივილეგირებული წოდების — თავად-  
აზნაურობის სკოლა და ჩამოეცილებინა მისგან ყველა სხვა წო-  
დება.

ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას ამ მიმართულებით, როგორც  
ასა ერემოთ დავინახავთ, სწავლების კურსის გახანგრძლივება  
წარმოადგენს.

არანაულებ მნიშვნელოვანი ზომა იყო ამ მიზნის მისაღწევად  
სასწავლო გადასახადის შემოღება.

იმ დროს, როდესაც მხოლოდ წარჩინებული წოდების ბავშვებს  
ღებულობდნენ გიმნაზიაში, სასწავლო გადასახადი არ ასებობდა.  
სასწავლო გადასახადი ჩვენში მხოლოდ 1848—1853 წლების გან-  
მავლობაში იქნა შემოღებული ე. ი. იმპერიუმულებით, რა დებუ-  
ლებითაც თავისუფალი მდგომარეობის ბავშვები დაუშვეს გიმნა-  
ზიაში.

სასწავლო გადასახადი სწორედ ამ თავისუფალი მდგომარეო-  
ბის ბავშვების წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგანაც თავად-  
აზნაურთა და მოხელეთა ბავშვები თავისუფლებოდნენ გადასახა-  
დისაგან, როგორც პანსიონერები; პანსიონის აღსაჩრდელებს სას-  
წავლო გადასახადის გადახდა არ ეყისრებოდათ; პანსიონში კი  
მხოლოდ თავად-აზნაურთა და მოხელეთა შეიღები მიიღებოდა.

სასწავლო გადასახადი რომ სწორედ ამ თავისუფალი მდგომა-  
რეობის პირების წინააღმდეგ იყო მიმართული და წარმოადგენდა  
დაბრულებას მათთვის გიმნაზიაში შესვლის დროს, ამას მრავა-  
ლი ფაქტი აღასტურებს. ასე, მაგალითად, იმპერატორმა ნიკოლა  
I-მა 1845 წელს წინადადება მისცა განათლების სამინისტროს  
გაუდიდებინა სასწავლო გადასახადი, რათა ამით შეეზღუდა რაზ-  
ნოჩინელების გიმნაზიაში შესვლის შესაძლებლობა. მაშინდელმა

\* ლენინი — თხ. სრ. კრებული, III რუს. გამოცემა, ტ. II, გვ. 284.



განათლების მინისტრმა უკაროვდა მიზანშეწონილად არ შემოვიდა  
ამ ზომის გამოყენება იმ პერიოდში და ითხოვა ამ ღრმასძლებების  
ხუთი წლით გადადების ნებართვა. იმპერატორი დაეთანხმა მი-  
ნისტრს და შემდეგი დაავალა: „მოისახეოთ, ხომ არის ოიშე  
საშუალება, რომ გაძნელდეს უაზნოთა გიმნაზიაში მიღება“.

ეს ფაქტი ნათლად მოწოდეს, რომ სასწავლო გადასახადი თერ-  
დანვე წარმოადგენდა საშუალებას „ჩაზნოჩინცების“ წინააღმდეგ.

სასწავლო გადასახადის გადახდა, სწავლებისთან დაკავშირე-  
ბულ სხვა ხარჯებთან ერთად აუცილებლად მძიმე ტვირთი იყო  
საზოგადოების არაშეძლებული ფენებისათვის; ამ ტვირთის ატანა  
შეეძლო მხოლოდ შეძლებულებს, საზოგადოების მაღალი ფენის  
წარმომადგენლებს და ამიტომაც, სასწავლო გადასახადი წარმო-  
ადგენდა საშუალებას, რომლითაც თვითმმკრობელობა ცდილობდა  
გიმნაზიის კარები დაეხმო ნაკლებად შეძლებული ფენის წარმო-  
მადგენელთათვის და ამ გზით მოეხდინა გიმნაზიის კონტინგენტის  
გაცხრილვა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

ამას აღსატურებს თვით სინამდვილეც: ასე, მაგალითად, 1870  
წელს სახსრების უქონლობის გამო ქუთაისს გიმნაზიაში სწავ-  
ლას თავი დაანება 34 მოსწავლემ, ამავე გიმნაზიიდან 33 მოსწავ-  
ლე გირიცხა 1872 წელს სასწავლო ქირის გადაუხდელობის გამო,  
და ასე ყოველწლიურად (იხ. ცენტრ. არქივი, ფონდი 107, სერ. პ.  
საქ. 465, გვ. 346).

ნევეროვი თავის 1867 წლის საანგარიშო მოხსენებაში პირდა-  
პირ აღნიშნავს: „სასწავლო გადასახადის გადიდებამ თბილისის  
და ქუთაისის გიმნაზიებში და ამ გადასახადის შემოლებამ ამიტ-  
კავკასიის ზაგორით უფრო მრავალრიცხვოვან სასწავლებლებში  
ბუნებრივად გამოიწვია გარედან მოსიარულე მოსწავლეთა რიცხ-  
ვის შემცირება ამ სასწავლებლებში. \* „მეორე ლონისძიება, რო-  
მელიც არააკლებ ქმედით, მაგრამ ნაკლებ შესამჩნევ საშუალებას  
წარმოადგენდა მოსწავლეთა სიმრავლისაგან გიმნაზიების დასაკა-  
ვად — ეს იყო გიმნაზიის გადაკეთებასთან ერთად სწავლის ქირის  
გადიდება. ახლა, ქირის გადიდების გამო, გიმნაზიაში შემსვლელ-  
ნი, ასე ვთქვათ, თვითონვე დახარისხდებიან გაცილებით უფრო  
მკაფიოდ“. \*\*

ეს სიტყვები, რომლებიც ქუთაისის გიმნაზიის ღირებულობის  
ეკუთვნის, მთელ სიცხადით გვიჩვენებს სასწავლო გადასახადის  
ნამდვილ აზრისა და მნიშვნელობას ცარიზმის პირობებში.

\* ცკი 1868 წ. გვ. 24.

\*\* ცკი 1869 წ. გვ. 26.



ასევე დამაბრკოლებელ საშუალებას წარმოადგენდა გიმნაზიები. ში შემსვლელთათვის 1871 წლის წესდებით დაწესებული მშენებითობა ღები გამოცდები.

მოსამზადებელ კლასში შემსვლელ ბავშვებს უნდა ჩიებარებინათ მისაღები გამოცდები რუსულ ენაში, ანგარიშში და საღვთო სჯულში ელემენტარული მომზადების ფარგლებში. ხოლო პირველ კლასში შემსვლელს კი მოეთხოვებოდა რუსული წერა-კითხებია და რუსული ენის კარგად ცოდნა, ანგარიშში და საღვთო სჯულში საქმაოდ დიდი მომზადება და ამასთანავე ძველი სლავური ენის ცოდნაც.

რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნილება გიმნაზიაში შემსვლელთა მიმართ, განსაკუთრებით ამიერკავკასიის პირობებში, უცილებლად მოითხოვდა სკოლაში შესვლამდე სისტემატურ მეცადინეობას საქმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მასწალებლის ხელმძღვანელობითა და, მაშასადამე, საგრძნობ ხარჯებს. ასეთი ხარჯების გაწევა არ შეეძლო საზოგადოების დიდ უმრავლესობას.

ამ მიზეზის გამო ბავშვები სკოლის გარეთ ყოველწლიურად დიდი რაოდენობით რჩებოდნენ. ასე, მაგალითად, საქართველოს ყველა გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში და პროგიმნაზიებში 1879 წ. 851 თხოვნა შევიდა ჩარიცხვის შესახებ. სკოლაში ჩაირიცხა 489 ბავშვი; უარი თქვევა ჩარიცხვაშე 422-ს; მთ შორის 306 ბავშვი სკოლის გარეთ დარჩა იმის გამო, რომ ვერ ჩააბარა მისაღები გამოცდები.

1880 წელს მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარა და ამის გამო კაგიასის ყველა გიმნაზიის გარეშე დარჩა 173 ბავშვი; პროგიმნაზიებში — 166; რეალურ სასწავლებელებში — 184; ყველა ტიპის სკოლებში მისაღებ გამოცდებზე ჩაიჭრა — 523 ბავშვი, რაც გამოცდებზე დაშვებულთა 30%-ს უდრის.

ეს ფაქტიური მასალა საესტებით აღიასტურებს, რომ მისაღები გამოცდები წარმოადგენდა დაბრკოლებას გიმნაზიებში შემსვლელთათვის და მიმართული იყო ნაკლები შეძლების პირთა ბავშვების წინააღმდეგ.

ამრიგად, მაღალი სასწავლო გადასახადი, სწავლების კურსის გახანგრძლივება და მისაღები გამოცდების დაწესება წარმოადგენდნენ იმ საშუალებებს, რომელთაც თვითმშეკრობელობა იყენებდა წესდების იმ მუხლის გასაბათოლებლად, რომელიც ყველა წოდების ბავშვს ანიჭებდა გიმნაზიაში შესვლის უფლებას.

ოფიციალური დოკუმენტები არც ფარავენ მოვლენათა ამ მხა-



ჩეს. პირიქით, განათლების სამინისტროს წერილები, ცირკულარების ბი და განკარგულებანი ამჟარად ლაპარაკობენ იმ შეზღუდვითა და დამაბრკოლებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა დანიშნულებაც იყო გიმნაზიიდან ცარიზმისათვის სოციალურად მიუღებელი ელემენტების ჩამოცილება.

ასე, მაგ., 1871 წლის წესდების განმარტებით ბარათში სხვათ შორის ნათქვამია: „გიმნაზიაში მიღება უფრო ადვილი შეიქნა, ვიდრე სამაზრო სასწავლებელში, რამაც უკეთესად ხელი შეუწყო ვიმნაზიის დაბალი კლასების ისეთი მოსწავლებით გადატვირთვას, რომლებსაც უფრო შეეფერებოდათ სამაზრო სასწავლებლებში სწავლა“.

მიტომ, ვკითხულობთ განმარტებით ბარათში, აუცილებელია გაიზარდოს მოთხოვნილება ცოდნის მხრივ გიმნაზიაში შემსვლელთა მიმართ, რათა გიმნაზიაში შესვლა უფრო ძნელი გახდეს, ვიდრე სამაზრო სკოლაში.

1887 წ. დელიანოვმა დახურა გიმნაზიებთან მოსამზადებელი კლასი და ეს ღონისძიება მან გაატარა „გიმნაზიიდან ისეთი მოსწავლეების ჩამოშორების მიზნით, რომლებსაც მათი შშობლების პირობების გამო არ უნდა გამოეჩინათ მისწრაფება საშუალო გიმნაზიური განათლების მისალებად“.

80-იან წლებში დელიანოვმა სახელი გაითქვა თავისი ცნობილი ცირკულარით „მზარეულთა და მეტობეთა შეილების შესახებ“, რომლითაც დაბალი პროფესიის მქონე პირთა ბავშვები გიმნაზიაში სასწავლებლად არ დაიშვებოდნენ.

ამრიგად, თვითმყრობობელობა მიმართავდა სხვადასხეულისათვის პირდაპირ თუ ასაპირდაპირ საშუალებებს, რათა გიმნაზიისათვის ჩამოშორებინა საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენლები და საერთოდ ის პირები, რომლებიც „მათი შშობლების შდომარეობისა და საშუალებათა მიხედვით“ მიუღებელი იყვნენ ცარიზმისათვის.

ეს ზომები თავის მიზანს, რა თქმა უნდა, აღწევდა. ქუთაისის გიმნაზიაში თავად-აზნაურთა ბავშვები შეაღვენდნენ:

1871 წ. 529 მოსწავლიდან 429-ს ანუ 81%-ს.

1873 წ. 502 მოსწავლიდან 382-ს ანუ 76%-ს.

საერთოდ, კავკასიაში გიმნაზიისა და პროვინიაზიების მოსწავლეთა შორის 1879 წელს თავადაზნაურობა შეაღვენდა 60,8%-ს, 1893 წელს — 59,6%; მოელს რუსეთში 1876 წელს ყველა კლასიკური სასწავლებლის მოსწავლეთა 49,8% — თავადაზნაურობა იყო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავადაზნაურობა ამ პერიოდში



მთელი რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 1,3%-ს უდრიდა, ცხადირულება განდება, თუ რაოდენ შეუსაბამო იყო მოსწავლეთა რაოდენობასთან შეფარდებით.

სოფლის მოსახლეობა (თავადაზნაურობისა და სასულიერო პი- ჩების გამოკლებით) — მოსახლეობის საერთო რაოდენობის 81% შეაღვენდა. რუსეთის კლასიურ გიმნაზიებში კი, მათი ხვედრითი წონა განისაზღვრებოდა 1871 წ. 1,1%-ით, 1873 წ. 1,2%-ით, ხოლო 1876 წ. — 1,5%-ით.

კავკასიის გიმნაზიებში სოფლის მოსახლეობის ბავშვები შეაღ- ვენდნენ 1879 წ. 4,8%-ს, ხოლო 1893 წელს 2,6%-ს.

ეს მაჩვენებლები აქ მხოლოდ იმის დასადასტურებლად აღვ- ნიშეთ, რომ ნათელგვეყო დებულება: ოუმცა გიმნაზიის წესდება, 1864 წლიდან გიმნაზიაში შესვლის უფლებას განურჩევლად წო- დებისა, ყველას ანიჭებდა, მაგრამ პრაქტიკულად თვითმპრობე- ლობის მიერ ზემომართველილ ღონისძიებათა შედეგად გიმნაზია წინანდებურად თავადაზნაურობის სკოლად, პოლიტიკურად გაბა- ტონებული კლასის სკოლად დარჩა. მა სკოლაში აგრეთვე იღებ- დნენ მეფის მსხვილ მოხელეთა, ვაკარ-მრეწველთა და მემამულე გლეხთა შვილებს.

საზოგადოების დანარჩენი ფენებისათვის: გლეხობისათვის, ხე- ლოსნებისათვის, დაბალი თანამდებობის პირებისათვის, წერილი კასრებისათვის და სხვა მათი თანაბარი მდგომარეობის აღამიანთა ბავშვებისათვის გიმნაზიის კრები დახშული იყო ისევე, როგორც წინად.

საკითხავია, თუ თვითმპრობელობას განზრახული არ ჰქონდა დაეშვა გიმნაზიებში ყველა წოდების ბავშვები, მაშინ რატომ არ აქრძალა მან ზოგიერთი წოდების წარმომაღვენლების დაშვება გიმ- ნაზიებში თვით წესდებითვე.

ნუთუ არ შეიძლებოდა საკითხის უბრალოდ გადაჭრა ახალი კანონის გამოცემათ, რომელიც პირდაპირ აუკრძალავდა საზოგა- ლოების გარკვეულ ფენებს გიმნაზიაში შესვლას?

საქართველოსა და კავკასიისათვის ამ კითხვაშე პასუხის გაცე- მა სულ ადვილია: კავკასიის სასწავლო ოლქს თავისი დებულება ჰქონდა 1853 წლამდე. ეს დებულება ითვალისწინებდა ადგილობ- რივ ვითარებას და მისიღმინედვით 1848 წლიდან თბილისის გიმ- ნაზიაში მხოლოდ თავად-აზნაურების შვილებს ღებულობდნენ. ქუთაისის გიმნაზიაში კი თავისუფალი მდგომარეობის ბავშვებსაც (თბილიში თავისუფალი მდგომარეობის პირთათვის კომერციული კიმნაზია იყო მიჩნეული).



| 1853 წლიდან კი საქართველოსა და კავკასიაში თანდაოშენიშვილი და ადამიანები რუსეთის სამწავლებელთა დებულება და ტურქეთი და ამიერიდან საქართველოსა და რუსეთის გიმნაზიებში მიღების პირობები ერთნაირი იყო.

რაც შეეხება რუსეთს, აქ ეს საკითხი დაქავშირებულია იმ რეფორმებთან, რომლებიც სამოციან წლებში ტარდებოდა საერთოდ და სახალხო განათლების დარგში — კერძოთ.

მართალია ისიც, რომ 70-იანი წლების რეაქციამ მრავალი რამ დაასამართა, რაც 60-იან წლებში იქნა მოპოვებული, მაგრამ ამ მონაპოვართაგან ზოგიერთი რამ მაინც დარჩა და მათ შორის გიმნაზიებში ყველა წოდების ბავშვთა მიღების უფლებაც:

შეუძლებელი იყო ამ მონაპოვარზე აშკარად უარის თქმა. ასეთ პირობებში ცარიზმის ის-ლა დარჩენოდა ფინანსურად ეს უფლება ძალაში დაეტოვებინა, ფაქტიურად კი არარაობამდე დაეყვანა. ცარიზმი ასცც მოიქცა.

რა თქმა უნდა, გიმნაზიებიდან და პრივიტნაზიებიდან მოსწავლეთა განთესვას და ჩამოშორებას არა მარტო მიღების პირობები, სასწავლო გადასახადი და სწავლების ხანგრძლიობა უწყობდა ხელს, არამედ ამ სასწავლო დაწესებულებებში გაბატონებული მთელი სწავლა-აღზრდის სისტემაც.

თვითმპყრობელობა, ერთი მხრივ, მიმართავდა მთელ რიგ საშუალებებს გიმნაზიიდან არასასურველი ელემენტების ჩამოსაშორებლად, ხოლო მეორე მხრივ, ყოველნაირად ხელს უწყობდა წარჩინებულთა კლასის წარმომადგენლებს, „достойных классов общества“ (ტოლსტოის გმოთქმით), რათა ამ წრიდან გამოსული ახალგაზრდები სკოლაში მიეზიდა და მათთვის საშუალო და უმაღლესი განათლება უზრუნველეყო.

ერთ-ერთი ასეთი საშუალება წარჩინებულთათვის აყო პანსიონების არსებობა გიმნაზიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ 1864—67 წლების წესდებათა საფუძველზე გიმნაზიებში მიიღებოდა ყველა წოდების ბავშვები, გიმნაზიებთან არსებულ პანსიონებში ხაზინის ხარჯზე მხოლოდ თავადაზნაურთა და რუს მოხელეთა შვილებს იღებდნენ. 1867 წლის დებულებაში ამის შესახებ ნათქვამია: „წ. 45. ყოველ ამ სააღმზერდელო დაწესებულებაში სახაზინა ხარჯზე მუდმივად იმყოფება შემდეგი რიცხვი აღსანზრდელებისა: а) თბილისის პანსიონში — 65 კაცი: აქედან 30 ბავშვი თბილისის გუბერნიის დამსახურებული თავადებისა და პნეურებისა, 20 ბავშვი რუსი წარმოშობის დამსახურებული ჩინოვნიერებისა, რომლებიც გარდაიცვალნენ ან



ამჟამადაც განაგრძობენ სამსახურს ამიერკავკასიაში, და 15 ბაზე უმაღლესი წოდების დამსახურებული მუსულმანებისა და ჩიშჩიკთავა მეტთა მელიქებისა.

ბ) ქუთაისის პანსიონში — 60 ალსაზრდელი: აქედან 50 ბავშვი ქუთაისის უბერნიის თავადებისა და აზნაურებისა და 10 ბავშვი დამსახურებული რუსი ჩინოვნიკებისა, რომლებიც გარდაცვალნენ ან ამჟამადაც განაგრძობენ სამსახურს ამიერკავკასიაში”.

დებულების ეს მუხლი პრაქტიკაში ზუსტად ტარდებოდა. ასე, მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში 1873 წლის 1-ლი იანვრისათვის ირიცხებოდა 99 ალსაზრდელი; მათ შორის სახელმწიფოს ხარჯზე — 60; მეფისნაცვლის სტაცენდით — 6; ეკონომიდან — 3; და მშობლების კმაყოფაზე — 30; პანსიონის ყველა ალსაზრდელთა შორის წოდების მიხედვით თავადი და აზნაური იყო — 98 და ხოლო ერთი მდაბიოთაგანი, რომელიც თავის ხარჯზე იყოფებოდა.

1877 წლის პირველ იანვრისათვის თბილისის გიმნაზიის პანსიონში 109 ალსაზრდელი ირიცხებოდა: აქედან სახელმწიფოს ხარჯზე იყო — 61; მეფის ნაცვლისა — 10; მშობლების ხარჯზე — 33; ეკონომიდან — 3; ნახევრად პანსიონერები — 2.

ყველა ეს ალსაზრდელი მთავრობის, თავადების, აზნაურებისა და მეფის მოხელეთა წრიდან უკვენენ გამოსულნი; არც ერთი მათგანი არ ეკუთვნოდა სხვა წოდებას. საინტერსოა აღვნიშნოთ, რომ მათ დროს თბილისის გიმნაზიაში ქალაქისა და სოფლის წოდების — 133 მოსწავლე ირიცხებოდა. ამათგან, როგორც ვხედავთ, პანსიონში სახელმწიფოს ხარჯზე არც ერთი არ მოსვედრილა.

აშკარაა, რომ პანსიონი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის არსებობდა, რათა უზრუნველეყო სამუალო სკოლის დამთავრება სახელმწიფო ხარჯზე თავად-აზნაურთა და მეფის დამსახურებულ მოხელეთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობისათვის.

ამრიგად, პანსიონების დანიშნულება ერთხელ კიდევ აღასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრების სისწორეს.

ახლა განვიხილოთ მოსწავლეთა შემადგენლობა და მათი მორაობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში.

როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების ქსელი კავკასიაში 60—70-იანი წლების განმავლობაში გაიზარდა. შესაბამისად იზრდებოდა მოსწავლეთა რაოდენობაც, რაც შემდეგი ცხრილიდან ნათლად ჩანს:



	1855 წ.	1860 წ.	1870 წ.	გერმანიული 1879 წ.
მთელს ქავეკასიაში . . . . .	935	1366	3369	4253
შათ შორის:				
თბილ. კლას გამნახიაში . . . .	337	700*	699	656
ქუთ. კლ. გამნახიაში . . . . .	174	360	525	468
თბ. რეალურ სასწავლებელში . . .	—	—	189	362
თბ. პროგიმნაზიაში . . . . .	—	—	—	268
ქუთ. პროგიმნაზიაში . . . . .	—	—	—	165
სულ საქართველოში . . . . .	511	1060	1413	1919

ამრიგად, მოსწავლეთა რაოდენობა მთელ ქავეკასიაში 20 წლის განმავლობაში 211%-ით გაიზარდა; საქართველოში კი ეს ზრდა 81%-ს უდრიდა, ე. ი. ამ შემთხვევაში ზრდის ტემპი უფრო ნებრია, ვიდრე საერთოდ ქავეკასიაში.

ყოველ შემთხვევაში ფაქტია ის გარემოება, რომ მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოში საშუალო სკოლებში 1860 წელთან შედარებით გაიზარდა 1879 წლისათვის 81%-ით. მაგრამ ეს პროცენტები სრულებითაც არაა იმის მაჩვენებელი, რომ თვითმპურობელობა ოდნავად მაინც აქმაყოფილებდა მასების მოთხოვნილებასა და მისწრაფებას განათლებისაკენ. ლენინი ეხება რა განათლების ზრდის პროცენტული მაჩვენებლების არს ცარიშმის პირობებში, ლინიშნავს: „რუსეთის პოლიტიკური „წესებისა“ თუ უ წერ სობის ნაფიცი მეგობრები ტყუილად ივიწყებენ იმას, რომ მათი ზრდის საოცრად მცირე ციფრები პროცენტულ გამოანგარიშებაში ყოველთვის „უდიდესი“ სისწრაფით იზრდება. მათხოვარს, რომელსაც სამი კაპიტი გააჩნია, შაურიანი რომ აჩუქოთ, მისი „ქონება“ ერთბაშად „უდიდესად“ გაიზრდება მთელი 167%-ით.“\*\*

ამრიგად, კონტინენტის ზრდის ეს მაჩვენებელი აღარ გამოდგება საშუალო განათლების ღონის ღასახასიათებლად და საერთოდ ცარიშმის საგანმანათლებლო პოლიტიკის გასაჩეულებლად. სა-

\* მოწავეთა რაოდენობა თბ. კლ. გამნახიაში 1860 წელს 700-მდე პლუტოდა. ზუსტი რიცხვი დაფგუნილი არაა.

\*\* ლენინი, თხ. სრული კრებული, III რუს. გამოცემა, ტ. XVI ვე 409.



კიროა სხვა მაჩვენებლები, უფრო ზუსტი და ნამდვილი, რომელიც საც შეუძლია მოგვცეს სწორი წარმოდგენა ამ საკითხზე. გრაფიკული ლენინი ასეთ მაჩვენებლად იღებს მოსწავლეთა რაოდენობის შეფარდებას მოსახლეობის რაოდენობასთან, რაც ერთადერთი სწორი მაჩვენებელია მდგომარეობის ზუსტ წარმოსაღვენად.

1870 წლისათვის საშუალო სკოლის ერთი მოსწავლე მოდიოდა დაახლოებით 1200 მცხოვრებზე.

ჩვენ თუ შევადარებთ ამ მაჩვენებლებს სსრ კავშირის სინამდვილეს და აგრეთვე ბურუუაზიული ქვეყნების მდგომარეობას 1938 წლისათვის, შემდეგ სურათს მივიღებთ: სსრ კავშირში საშუალო სკოლის ერთი მოსწავლე მოდიოდა ყოველ 8 მცხოვრებზე, ჩაშშ-ში — 20 მცხოვრებზე, ინგლისში — 60-ზე, გერმანიაში — 70-ზე, საფრანგეთში — 166-ზე; იტალიაში — 230-ზე და იაპონიაში — 100-ზე.

ლენინი 1913 წლას რუსეთს განათლების მხრივ სავსებით სამართლიანად თვლიდა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ეცრობაში. უფრო ჩამორჩენილი იყო რუსეთი ამ მხრივ 60 — 70-იან წლებში. ლენინი წერდა: „ევროპაში რუსეთს გარდა არ დარჩენილა ასეთი ველური ქვეყანა, სადაც ხალხთა მასები ამდენად იყვნენ გაძარცული განათლების, სინათლისა და ცოდნის მხრივ“. და ეს ჩამორჩენილი, ველური და ცოდნისაგან თვითმშპრობელობის მიერ გაძარცული რუსეთი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იქცა ყველაზე მოწინავე ქვეყნად განათლების მხრივ მთელს მსოფლიოში. საშუალო სკოლის ერთი მოწავე ყოველ ჩვა მცხოვრებზე — ეს 2½-ჯერ მეტია, ვიდრე ყველაზე მოწინავე ბურუუაზიული ქვეყნის ჩაშშ-ის მაჩვენებლები ამ დარგში; ეს 7½-ჯერ მეტია ინგლისზე; 22-ჯერ მეტი საფრანგეთზე და ა. შ.

მასების ლტოლვა განათლებისაკენ ძლიერ დიდი იყო. ყოველ წლიურად აუარებელი მოწაფეობა აწყდებოდა საშუალო სკოლას. მაგრამ მათი დიდი ნაწილა სკოლის გარეთ რჩებოდა აფგანის უქონლობისა და აგრეთვე ამ ხელოვნურ დაბრკოლებათა შეოხებით, რომლებიც საგანგებოდ იყო შემოღებული.

ასე, მაგალითად, კავკასიის ყველა საშუალო სკოლა მთხოვნელთა მხოლოდ 50—60%-ის მიღებას ახერხებდა. დანარჩენი 50—40% სკოლის გარედ რჩებოდა.

1880 წელს თბილისის კლასიურ გამნაზიაში მიღებულ იქნა — 145 ბავშვი, უარი ეთქვა — 103-ს; ქუთაისის გიმნაზიაში ამავე წელს მიღეს 102, უარი ეთქვა — 62-ს; თბილისის პროგიმნაზია-

ში — 87, უარი ეთქვა — 70-ს; ქუთაისის პროგიმნაზიაში — 29, უარი ეთქვა 43-ს; თბილისის რეალურ გამნაზიაში მიიღეს უცხანული შვი, უარი ეთქვა 149-ს.

1877 წელს ამავე სასწავლებლებში ჩარიცხვის მთხოვნელი სულ იყო 731, სკოლებში ჩაირცხა — 358, დანარჩენი 373 ბავშვი სკოლას გარეთ დარჩა.

1868 წელს მთავრობამ თბილისში გახსნა დაწყებითი სკოლა ეს სკოლა, როგორც სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება, უნდა უოფილცო ერთგვარი მოსამზადებელი სასწავლებელი საშუალო სკოლაში შეძლებულთათვის. ამ სკოლაში ჩარიცხვის მსურველი აღმოჩნდა 120 ბავშვი; ჩარიცხეს — 40; დანარჩენი 80 ბავშვი სკოლის გარეთ დარჩა.

გაზეთი „კავკაზი“ თბილისის კლასიკური გიმნაზიის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წერილში სხვათა შორის წერდა: „ჩვენში ვერ კიდევ მრავალ შშობელს, ადგილობრივ მკვიდრთაგან, რომლებმაც ყოველცვე იღონეს, რათა მოამზადონ თავაათი ბავშვები გიმნაზიაში შესავლელად და ამისათვის დახარჯეს, შესაძლებელია, უკანასკნელი გროშებიც კი, უარს ეუბნებიან და კეტავენ მათთვის გიმნაზიის კარებს, მაუხედავად ბავშვთა ნიჭიერებისა და წარმატებისა.“

გიმნაზიაში ჩარიცხვაზე ბავშვებს უარს ეუბნებოდნენ არა მარტო მაშინ, როდესაც ისინი მისალებ გამოცდებს ვერ აბარებდნენ, არამედ მაშინაც კი, როდესაც ასინ სათანადო მომზადებას და ნიჭს იჩენდნენ. ამ შემთხვევაში მიზეზად აღვილის უქონლობას ასახელებდნენ.

„ქუთაისის გიმნაზია და საერთოდ ყველა სასწავლებლები ქუთაისის გუბერნიასა გადატვირთულია მოწაფებით. პირველ მათგანში მე იძულებული ვიყავი შემეწყვიტა მოსწავლეთა მიღება, დაბალი კლასების უკიდურესად გადატვირთვის გამო“, — წერდა ნევეროვი 1866 წელს საანგარაში მოხსენებაში.

„მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში განკითხვის დღე და უდგათ ჩვენებურს მოზარდ ყმაშვილებსა. ამბობენ ათასხუთასი მეტი იყომ აქაურ სასწავლებლის კარზედ მიყენებულიონ და მარტო ორასიოდეს გაეღო კარაო. სხვანი კი, რიცხვით ათასსამასი, მულხელდაკრეფილმა შშობლებმა წყევლა-კრულვით წაიყვანეს შინაო, ვაკანსიების უქონლობის გამოთ“. ასე აგვიწერს ი. ჭავჭავაძე 1879 წლის მისალები გამოცდების შედეგებს და იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშაც იმყოფებოდნენ შშობლები და მათი ბავშვები.

თუ რამდენად დიდი იყო ლტოლვა სწავლა-განათლებისაკენ ჩვენში, მას ნათლად ადასტურებს შემდეგი ფაქტიც: 1871 წელს კოროვალი კავკასიაში ჩამოვიდა ალექსანდრე II; მას სხვადასხვა წოდების წარმომადგენლებმა და ცალკე პირებმა 449 თხოვნა მიაზოვეს. უკლის გახსნის შესახებ.

ასეთი ძლიერი ლტოლვა განათლებისაკენ და მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა სკოლებში კამიტალიზმის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ კამიტალიზმი ფეოდალიზმ-თან შედარებით პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს და მასი პროგრესული გავლენა განათლების სფეროშიაც იჩენს თავს, ამ შემთხვევაში განათლებისაკენ ლტოლვის გაძლიერებას სახით.

რა თქმა უნდა, თვითმპყრიბელობა სრულებითაც არ იწუხებდა თავს განათლებაზე ზრუნვით. საზოგადოების მოწინავე ნაწილში კარგად იცოდა ეს და ამიტომაც მთელი იმედები უმთავრესად საზოგადოებრივ ინიციატივას ემყარებოდა.

ასეთ პირობებში ჩვენ ვხედავთ, განსაკუთრებით 70-იან წლებში, ფართო კამპანიას პრესის ფურცლებში, რათა საზოგადოებას თვითონ ეკისრა სკოლების გახსნა და შენახვა თავის ხარჯშე. და მათთვის, საზოგადოებრივმა ინიციატივამ დაღი როლიც შეასრულა განსაკუთრებით სახალხო განათლების დარღვი. რაც შეეხება, საშუალო განათლებას, აქ საზოგადოების როლი შედარებით ნაკლები იყო, რაღაც თვითმპყრიბელობა განსაკუთრებით ზღუდავდა საზოგადოების ინიციატივას ამ მიმართულებით. და ამასთანავე საშუალო სკოლის შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. მიუხედავად მისა, საზოგადოების მხრივ ამ მიმართულებითაც იყო ცალკეული ცდები. ასე, მაგ., 1866 წელს სიღნაღის მცხოვრებლებმა თხოვნით მაშართეს სასწავლო ოქტე, რათა მთავრობას სიღნაღში გაეხსნა პროგიმნაზია; საზოგადოება კისრულობდა ვალდებულებას გამოიყო სათანადო შენობა და გარდა ამისა ყოველწლიურად გაეღო 1000 მანეთი სკოლის შესანახად.

მთავრობამ ეს თხოვნა არ დააქმაყოფილა.

ამრიგად, სკოლისაკენ ლტოლვა მეტად მნიშვნელოვანი იყო, სკოლაში შესვლას მსურველთა დიდი ნაწილი სკოლის გარეთ ჩამობოდა უადგილობის გამო და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ბევრი მათგანი მისალებ გამოცდებს ვერ აბარებდა. საზოგადოება ითხოვდა სკოლების გახსნას, საზოგადოება მზად იყო გაეღო სკოლის შესანახი ხარჯების განსაზღვრული ნაწილის

ლ. პრესა განსაკუთრებით მწვავედ აყენებოდა  
ამ საკითხს; მიუხედავად უოველივე ამის პრეცენტი  
შუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის  
ზრდა იმდენად უმნაშვნელო იყო, რომ სრუ-  
ლიად ვერ აქმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

როგორი იყო მოსწავლეთა ნაციონალური და სოციალური შე-  
მაღანენლობა? მთელ კავკასიაში საშუალო სკოლის მოსწავლეთა  
შორის რაოდენობის მხრივ პარველი აღგილი რუსებს კვადათ, მე-  
ორე აღგილი — სომხებს, მესამე აღგილი — ქართველებს. ასე, მაგ.,  
კავკასიის ყველა საშუალო სკოლის 4253 მოწაფილან 1880 წლის  
1-ლი ანგრისათვის რუსი იყო — 2087, ანუ 49%; სომები — 987  
(23%) და ქართველი — 969 (22%).

საქართველოს საშუალო სკოლებში 1870 წელს სწავლობდა:  
ქართველი — 547 — 38%, რუსი — 440 — 31% და სომები —  
322 — 22%.

მრიგად, თუმცა საქართველოში ქართველ მოსწავლეთა რიცხ-  
ვი რამდენიმედ სჭარბობს რუსებისა და სომხების რიცხვს, მაგრამ  
მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით აშკარა უპირატესი მოვო-  
მარება რუსებს აქვთ მოპოვებული: „მცხოვრებთა კვალობაზედ  
ერთი გიმნაზიელი რუსებს მოსდით 833 კაცზე, სომხებს 1111 კაც-  
ზე, ქართველებს 1666-ზე, მთის ხალხს — 10.000-ზე და თაორებს —  
12500-ზე. თბილისის გიმნაზიაში ამში — 41 რუსი, 31 სომები,  
ქართველი კი მარტო 16. საზოგადოდ ას შეგირდში რუსია 35, თა-  
თარი 18, სომები 18, ლექები და სხვა მთის ხალხი 11 და ქართ-  
ველი კი 10\*. \*

1880 წელს „კურსდამთავრებული გიმნაზიებსა და პროგიმნაზი-  
ებში სულ 52 კაცია, ამათში რუსი 24, სომები — 15, ქართველი —  
4, თათარი — 1, მთის მცხოვრები — 1, ევროპელი — 7\*. \*\*

მრიგად, ამ კონკრეტულ მაჩვენებლებში გამოვლინებულია ცა-  
რისმას კოლონიური პოლიტიკა კავკასიის აღგილობრივ მკვიდრ  
ეროვნებათა მიმართ.

რაც შეეხება მოსწავლეთა სოციალურ შემაღებელობას, რო-  
გორც ეს ზემოთ გვქონდა აღნაშნული, თვალაზნაურობისა და მო-  
ხელეთა ბავშვების რაოდენობა გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში  
საშუალოდ 60%-ს უდრიდა, სასულიერო წოდების — 5—6%-ს, ქა-  
ლაქის წოდების — 20—25%-ს, სოფლის წოდებისა — 5—9%-ს. მოს-

\* ი. გავჭავაძე, პეტაგოგიური თხუშულებანი, 1938 წლის გამოცემა. გვ. 246.

\*\* იქცე, გვ. 256.



წავლეთა რაოდენობის ეს შეფარდება სტაბილურია და საგრძნობრივოა  
ბი ცვლალებები ამ მხრივ არ შეინიშნება. თუმცა ერთგვარი ტენისი  
ფენცრა ჩანს ქალაქისა და სოფლის წოდებათა ზრდის მხრივ, მავ-  
რამ მაინცდამაინც საგულისხმო რამ ამ დარგში არ მომხდარა. ასე,  
მაგ., 1878 წ. სოფ. წოდება შეაღენდა 4,2%; 1879 წ.—4,8%;  
1880 წ.—8,8%; ქალაქის წოდება შესაბამისად 22, 23,2 და 24,2%-ს.

რეალური სასწავლებლების მოწაფეთა სოციალური შემაღენ-  
ლობა ცოტათი განსხვავდებოდა გიმნაზიებისაგან. მაგალითად:

	1878 წ.	1879 წ.	1880 წ.
სულ მოწაფეთა რაოდენობა . . .	1174	1190	1689
მათ ზორის:			
თავატაზნაურობა . . . . .	52,2%	52,2%	50%
ქალაქის წოდება . . . . .	25%	30,7%	30,7%
სოფლის წოდება . . . . .	10%	10,3%	13%

ამრიგად, საშუალო სკოლა ცარიზმის საგანმანათლებლო პო-  
ლიტიკის პირობებში წარმოადგენდა თავადაზნაურობის, მსხვილი  
ბურჟუაზიისა და რუს სახელმწიფო მოხელე ჩინოვნიკების სკო-  
ლას. საზოგადოების სხვა ფენათა და სხვა წოდებათა წარმომად-  
გენლებს გიმნაზიის კარები მაგრად პქონდათ დახურული და მათ-  
გან მხოლოდ მცირე გამონაკლისი ახერხებდა სკოლაში მოხვედრას.

ამავე ტაბის კერძო სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენ-  
ტი 1877 წლისათვის შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

სკოლების დასახელება	სტატისტიკური შეფარდები	მათ ზორის				
		სომხები	რუსი	ქართ- ველი	საფა- როუ- ნიბი	
მონასტრილებისა და ტერაკოფოვის გიმ- ნაზია . . . . .	262	167	36	29	30	
მარცვლების პროგიმნაზია . . . . .	92	78	4	7	3	
მედიკ-ბეგლაიაროვის რეალური სას- წავლებელი . . . . .	72	58	10	3	1	
სულ . . . . .	426	303	50	39	34	

როგორც ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, კერძო სასწავლებლე-  
ბი ძირითადად სომები ვაჭართა და მრაწველთა წოდებას ემსახუ-  
რებოდა და მათში სხვა ეროვნებათა და სხვა წოდებათა წარმო-  
მადგენლებს უმნიშვნელო ადგილი ეჭირათ.

საერთოდ, როგორც ცნობილია, კერძო სასწავლებელი ჩეეჭ-  
4. ს. სიგუა



ლებრივად ბურუუაზისათვის განკუთვნილი სკოლაა და, ფრანგულად საქართველოს სინამდვილეშიც ამ კლასის ინტერესებს აქციურებულება.

ამრიგად, ყველა ზემომოყვანილი საბუთებიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

1. საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი იზრდება 60—70-იან წლებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ის დიდი მისწრაფება საშუალო განათლებისაკენ, რასაც აღგილი პერია მაშინ ჩეენში, სრულიად დაუკმაყოფილებელია. საშუალო სკოლაში შესვლის მსურველთა დიდი უმრავლესობა სკოლის გარეშე რჩება იმ ხელოვნურ დაბრკოლებათა გამო, რომელთაც ცარიზმი ქმნიდა გიბნაზიებში, პროგიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში შემსრულდათვის.

2. 60—70-იან წლებში ერთგვარი ნაბიჯი გადაიდგა წოდებრივი საშუალო სკოლის კლასიბრივ საშუალო სკოლად გარდა ქმნისათვის. ამ სკოლებში გარკვეული ადგილი ბურუაზიულმა კლასებმაც მოიპოვეს, მაგრამ მასში წოდებრიობის ელემენტები მაინც მტკიცედ დარჩია და საერთოდ ეს სკოლა ისევ თავადაზნაურობისა და მათთან უფლებრივად გათანასწორებულ წოდებათა სკოლა იყო და ორ მასებისათვის მისაწვდომი სასწავლო-სააღმისრდელო დაწესებულება.

3. საშუალო სკოლების მოწაფეთა ეროვნული შემადგენლობა და შეფარდება მოსახლეობის რაოდენობისთან ამედავნებს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ნაციონალურ ჩაგრძას, რუს-ჩინოვნიკების გაბატონებულ მდგომარეობასა და აღგილობრივ ეროვნებათა განსაკუთრებულ შევიწროებას განათლების მხრივ.

III. საშუალო სკოლის ორგანიზაციული საფუძვლები 1829 წლის დებულებით თბილისის გიმნაზიის სტრუქტურა შემდეგი სახით იყო განსაზღვრული: გიმნაზია შედგებოდა შეიდი კლასისაგან; ამათგან I კლასში სწავლების ვადა განუსაზღვრელი იყო, ხოლო შემდეგი კლასები თითო წლისათვის იყო ნავარაუდევი. I კლასი ორი-სამი განყოფილებისაგან შედგებოდა, მოსწავლეთა მომზადების დონის მიხედვით და ამ კლასის ყველა განყოფილებას ერთდროულად ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლიდა. II კლასიდან სწავლების საგნობრივი სისტემა იყო შემოღებული.

ამრიგად, პირველი კლასი მოსამზადებელ განყოფილებას წარმოადგენდა. ამ პერიოდის რუსეთის გიმნაზიაც, ისე როგორც შემდეგაც, შეიდი კლასისაგან შედგებოდა, მაგრამ ც I კლასის შემ-

ხულელებს შოეთხოვებოდათ მომზადება იმ ფარგლებეში და იმ მო-  
ცულობით, რაც დაახლოებით თბილისის გიმნაზიის I კლასი შეესაბა-  
კურსს უდრიდა. მტრიგად, რუსეთის გიმნაზიის I კლასი შეესაბა-  
კმებოდა თბილისის გიმნაზიის II კლასი, II კლასი — III კლასი  
და ა. შ. აქედან ნათელი ხდება ის გარემოება, რომ თბილისის  
გიმნაზია მოსწავლეებს ვერ მისცემდა მომზადებას იმ მოცულო-  
ბით, როგორსაც იძლეოდა რუსეთის გიმნაზია. თბილისის გიმნაზია  
არსებითად ექვსკლასიანი საგიმნაზიო კურსისაგან შედგებოდა.  
ექვსი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო საგიმნაზიო კურსის  
დაძლევა და მოსწავლეთა შეიარაღება ცოდნის იმ მინიმუმით, რაც  
უნივერსიტეტში შესასვლელად იყო საჭირო.

თბილისის გიმნაზიას ორც პერიოდა დაუალებული მოსწავლეთა  
მომზადება უნივერსიტეტში შესასვლელად; ეს სასწავლო დაწე-  
სებულება მხოლოდ სახელწოდებით იყო საშუალო სკოლა და ორა  
თავისი მიზნებითა და ამოცანებით და სწავლების შინაარსით; ამ  
გარემოებას ეფარდებოდა გიმნაზიის ის სტრუქტურაც, რომელიც  
1829 წელს იქნა დადგენილი.

თბილისის გიმნაზიის ასეთი სტრუქტურა 1848 წლამდე უც-  
ლელად დარჩა. ბუნებრივია, რომ ას ფრიიად მნიშვნელოვანი ცვლი-  
ლებები, რასაც ადგილი პერიოდში, კერძოთ, 40-იან  
წლებში, საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაში, ახალ  
ამოცანებს აყენებდა საშუალო განათლების დარგში, რაც აუცი-  
ლებლად მოითხოვდა გიმნაზიის სწავლების კურსის შეცვლას და  
საერთოდ საგიმნაზიო განათლების დონის ამაღლებას. მაგრამ  
თვითმყრობელობა ორც ისე გრძნობიერი იყო ამ ახალ სოცია-  
ლურ-ეკონომიკურ ვითარებათა მიმართ და ერთხელ ჩამოყალიბე-  
ბულ სასკოლო რუტინას ის ასე აღვილად არ სცვლიდა.

ბოლოსდაბოლოს, საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკა მა-  
ინც თავისას მოითხოვდა და ცარიზმი იძულებული გახდა გადა-  
ედგა ნაბიჯი საგიმნაზიო განათლების დარგში, რაც იმაში გამოი-  
ხატა, რომ შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ახალი ე. წ.  
1848 წლის დებულება. ამ დებულების საფუძველზე გითხმდა არი  
ახალი გიმნაზია, \* გადაისინგა გიმნაზიის სწავლების შინაარსი და  
შეიცვალა სტრუქტურაც.

ამ შემთხვევაში გიმნაზიის სტრუქტურამ შემდეგი სახე მიიღო:  
კურსი განისაზღვრა რვა კლასით; მათგან I კლასი — მოსამზადე-  
ბელ კლასად დარჩა, II და III კლასებს სამარტო სკოლის კლა-

\* ქუთაისის გიმნაზია და თბილისის კომერციული გიმნაზია.



სები ეწოდა, ხოლო IV—VIII კლასები საკუთრევ გიმნაზიის სამსახურის  
სებად ითვლებოდა.

გარდა ამისა, თბილისის გიმნაზიასთან უნდა დაარსებულიყო  
ორი სპეციალური კლასი: ერთი მათგანი იმ მოსწავლეთათვეს, რო-  
მელთაც გამაშრახული ჰქონდათ უნივერსიტეტში სწავლის გარემ-  
ლება; მეორე კი — სამაზრო სკოლებისა და გიმნაზიის დაბალი  
კლასებისათვის მასწავლებელა მოსამზადებლად.

სამაზრო სკოლა, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიან სასწავ-  
ლებელს, ამზადებდა მოსწავლეებს როგორც პრაქტიკული საქმია-  
ნობისათვის (კუნცელარის დაბალი ჩინის მოხელეებს და სხვა),  
ისე გიმნაზიის სათანადო კლასში შესასვლელად. \*

გიმნაზიის ამ სტრუქტურაში ზოგიერთი ფორმალური ხასია-  
თის ცვლილებები იქნა შეტანილი 1853 წელს; I კლასი მოსამზა-  
დებელ კლასად გადაკეთდა; გიმნაზია შვიდელისანი სასწავლებე-  
ლი გახდა.

სპეციალური დამატებითი კლასები არ გახსნილა.

საშუალო სკოლის სტრუქტურის თავისებურებას საქართვე-  
ლოს სინამდვირეში წარმოადგენდა გიმნაზიებთან მოსამზადებელი  
კლასის არსებობა.

რუსეთის გიმნაზიებში მოსამზადებელი კლასი არ არსებობდა  
70-იან წლებამდე; საქართველოში კი გიმნაზიასთან შეიქნა მოსამ-  
ზადებელი კლასი გიმნაზიის დაარსების პირველი დღიდანვე.

რით იყო გმოწვეული ეს?

ადგილობრივ მცვიდრ მოსახლეობას: ქართველებს, სომხებს,  
თათრებს და სხვა არარუს ეროვნებათა წარმომადგენლებს განსა-  
კუთრებული მომზადება ესაჭიროებოდათ გიმნაზიაში შესასვლე-  
ლად რუსული ენის უცოდინარობის გამო, რადგანაც სწავლება  
გიმნაზიაში ამ ენაზე მიმდინარეობდა. მაშასადამე, გიმნაზიაში რომ  
მოწავეს ესწავლა, რუსული ენა უნდა სცოდნოდა. ამის გარეშე  
ბავშვი ვერ მოხვდებოდა გიმნაზიაში და ვერ მიიღებდა საგიმნა-  
ზიონ განათლებას. თვითმშერობელობა კი დაინტერესებული იყო  
მოემზადებინა კალტები ადგილობრივი თავადაზნაურობისა და სხვა  
წარჩინებულ წოდებათა შვილებისაგან. განსაკუთრებით საკირო  
იყო ცირიზმისათვის ამ წოდებათა ახალთაობის აღზრდა რუსულ  
სკოლებში, რუსიფიკატორული პოლიტიკის თვალსაზრისით. ამ მი-

\* სამაზრო სკოლები, რომელთა წამოყალიბება 1830 წელს დაიწყო. 50-იან  
წლებში არსებობდა: გორში, დუშეთში, სიღნაღმში, თელავში, ახალციხეში და  
ოზურგეთში.



ჟენების გამო თვითმპყრობელობა ცუელა ზომას იღებდა ადგილობრივი რივი ეროვნების მაღალ წოდებათა ბავშვების სკოლებში მისურჩევითი დად. ერთ დროს სპეციალური ჯილდოც კი ექლეოდათ მოწაფეებს გაცემილზე დასწრებისათვის. ამავე მიზეზით გაიხსნა გიმნაზიის მოსამზადებელი კლასიც.

ამრიგად, მოსამზადებელი კლასის დანიშნულებას შეადგენდა უპირველესად ყოვლისა რუსული ენის სწავლება და ერთგვარი ელემენტარული მომზადების მიცემა მოსწავლეთათვის იმ მოცულობით, როგორიც ეს იყო საჭირო I კლასში შემსვლელთათვის.

1864—71 წლების რეფორმების შემდეგ მოსამზადებელი კლასი შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ შეიცვალა მისი დანიშნულება და, მაშასადამე, სწავლების მოცულობა და შინაარსიც.

ამ დრომდე მოსამზადებელ კლასში შემსვლელს არ მოეთხოვებოდა რაიმე მომზადება; რეფორმების შემდეგ კი მოსამზადებელ კლასში ჩაირიცხებოდა მხოლოდ ის მოსწავლე, რომელმაც უკვე იცოდა რუსული წერა-კითხვა და ენა იმდენად, რომ მას შესძლებოდა მასწავლებლის გაგება. გარდა ამისა ელემენტარული მომზადება უნდა ჰქონოდა არითმეტიკასა და საღოთო სჯულში.

ცხადია, ამ ღონისძიების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მას ვაეძნებინა გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში და მაშასადამე, გიმნაზიაში შესვლა. ეს, ერთგვარი დამატებითი დამაბრკოლებელი ღონისძიება იყო, რომლის მიზანსაც შეადგენდა მოსწავლეთა განსაზღვრული კონტინგენტის ჩამოცილება გიმნაზიიდან.

ეს ფაქტი დავავშირებულია გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების 1871 წლის წესდებასთან. სახალხო განათლების მინისტრი ტოლსტიო, თავის მოსაზრებებში, რომლებიც მან გააცნო სახელმწიფო საბჭოს 1864 წლის წესდების შესაცვლელად, ითვალისწინებდა გიმნაზიის VIII კლასის გახსნას. სახელმწიფო საბჭომ ეს წინადადება უარჲყო, რადგანაც მისი გატარება დამატებით ხარჯებს მოითხოვდა და ამ ხარჯების გაღება განათლებისათვის თვითმპყრობელობამ არ მოისურვა.

ამრიგად, გიმნაზია დატოვებულ იქნა ისევ შეიდელიანი კურსით, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ აირჩია კომპრომისული გზა და გაიზიარა ტოლსტიოს მოსაზრება გიმნაზიაში სწავლების კურსის განვითარების აუცილებლობის შესახებ.

გიმნაზიის მეშვიდე კლასი ორწლიანი კურსით განისაზღვრა. ეს კლასი ორ განყოფილებად უნდა გაყოფილიყო: უმცროსი და უფროსი. ორივე განყოფილებაში მეცალინება ერთდროულად იწარმოებდა ერთი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ეს ღონის-



ძიება იწვევდა მოსწავლეთა სამეცადინო დროის გადადებაზე მომავალი წარმატების მხრივ (საათების მხრივ) გაუდიდებლაშიც და მაშასადამე, დამატებითი ხარჯების გარეშე.

1871 წლის 30 ივნისის წესდებით ეს ღონისძიება დაქანონებულ იქნა. წესდებაში ნათქვამია: „გიმნაზია შვიდკლასიანია, თითო წლის სწავლების კურსით პირველ ექვს კლასში და ორწლიანი კურსით უმაღლეს VII კლასში, ამასთანავე სწავლება ამ კლასში ეწყობა იმგვარად, რომ მის მაღალ და დაბალ განკოფილებათა მეცნიერობა სწარმოებს ერთად“.

ამ მიზნით, რომ დაკომპლექტებული ყოფილიყო VII კლასის უფროსი განკოფილება, განათლების სამინისტრომ გიმნაზიების ღირებულების დაუზიანება მითითებულ წლიური გამოცდების ჩატარების შესახებ. ეს მითითება ითვალისწინებდა იმდენად მკაცრი გამოცდების ჩატარებას VII გამოსაშვებ კლასში, რომ მხოლოდ გამონაჯლისებს უნდა შესძლებოდათ გამოცდის ჩაბარება და კორსის დამთავრება. VII კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა უნდა დარჩენილიყო ისევ VII კლასში და მათგან უნდა შექმნილიყო VII კლასის უფროსი განკოფილება; ცხადია, რომ უმცროს განკოფილებას VI კლასიდან გადმოსული მოწაფეები შეავსებდნენ.

რა გამოვიდა აქედან?

ამ წელს, რესერის ცველა გიმნაზიის VII კლასებში 1379 მოსწავლე ირიცხებოდა. მათგან გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება შესძლო და მაშასადამე, კურსი დამთავრა მხოლოდ 306 კაცმა, ე. ი. 22%-ში. დანარჩენი 78% დატოვებულ იქნა მეორე წელს VII კლასში. \*

ქუთაისის გიმნაზიის VII კლასში ამ წელს ირიცხებოდა 17 მოსწავლე, მათგან მხოლოდ ერთმა კაცმა ჩაბარია გამოცდა; დატოვებული 16 კაციდან მხოლოდ ორი აღმოჩნდა VII კლასში მეორე წელს დარჩენის მსურველი, 14 კაცმა სკოლას თავი დაანება.

ამ დრაკონულ ღონისძიებათა მეორებით ტოლსტოიმ მოახრხა გამოეყო განსაზღვრული კონტინგენტი VII კლასის უფროს განკოფილებათა დასაკომპლექტებლად.

ამ ღონისძიების პრაქტიკაში გატარებას დიდი დაბრკოლება გადაელობა და ფაქტიურად ჩაიშალა. VII კლასში ორ ჯგუფთან ერთად მეცნიერობა იმდენად არანორმალური და ყოვლად მიუღებელი

\* იბ. ითვეტ მНII ვა 1872 გ. стр. 43

აღმოჩნდა, რომ მასზე დაუყოვნებლივ ალპარაკდა აღგილობრივი სასწავლო აღმინისტრაცია: სკოლის დირექტორები, სასწავლულო კონფერენცია თლექის მზრუნველი და პირველ რიგში პედაგოგები, რომელთქმულებისა დაწევათ, მათ ტვირთის სიმძიმე.

ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა, რათა მისთვის ნება დაერთოთ მოწყო თრივე ჯგუფის ერთად მეცადინება მხოლოდ საღვთო სჯულში, გეოგრაფიაში, ფრანგულ და გერმანულ ენებში. სხვა საგნებში კი ცალ-ცალკე — VII კლასის უფროს და უმცროს განყოფილებათავის.

ყაზანის ოლქის მზრუნველმა მოითხოვა ყველა საგნებში ცალ-ცალკე მეცადინეობა.

ქუთაისის გიმნაზიის დირექციაში ითხოვა V პარალელური კლასის გაუქმებისა და მის ნაცვლად VIII კლასის გახსნის ნებართვა.

განათლების მინისტრი იძულებული გახდა გაეცა განკარგულება (1873 წ. 25. VII), რომლითაც ის ნებას აძლევდა აღგილობრივ სასწავლო მმართველობას მოწყო ცალკე მეცადინეობა VII კლასის უფროს და უმცროს განყოფილებებში, იმ პირობით, თუ ამისათვის საჭირო დამატებითი ხარჯები აღგილობრივ მოიძებნებოდა.

ქუთაისის გიმნაზიაშ ნებართვა მიიღო დაეხურა V პარალელური კლასი და მის მაგიერ გაეხსნა VIII კლასი. ეს ღონისძიება ცხოვრებაში 1873 წლიდან გატარდა.

ობილისის კლასიურ გიმნაზიას 1872 წელს გამოშვება არ ჰქონია და მერვე კლასი 1873 წლიდან აქაც გაიხსნა სპეციალური სახსრების ხარჯზე.

1874 წელს ფინანსთა სამინისტრო დათანხმდა გაეღო თანხები VIII კლასის ხარჯების დასაფარავად, ხოლო იმ პირობით, თუ ეს VIII კლასები გაიხსნებოდა გიმნაზიებთან თანდათანობით, ოთხი წლის განმავლობაში.

ყოველივე ამის საფუძველზე სახელმწიფო საბჭომ 1875 წლის 13 მაისს მიიღო დაღვენილება გიმნაზიებთან მერვე კლასის გახსნის შესახებ.

ამრიგად, 1875 წლიდან გიმნაზია გახდა რვა-კლასიანი სასწავლო დაწესებულება, ყოველ კლასში თითო წლის სწავლების ხანგრძლიობით, და მოსამზადებელი კლასით. მოსამზადებელ კლასში სწავლების ვადა 2-3 წლით იყო განსაზღვრული.

გიმნაზიის პირველი ოთხი კლასი წარმოადგენდა პროგიმნაზიის

კურსი, ამ სახელწოდებით პრეზენტი ცალკე სასწავლო დაწესებული /  
ლებათა თანაბრად.

რით იყო გამოწვეული VIII კლასის გახსნა, რა მნიშვნელოვანი  
ჰქონდა ამ ღონისძიებასა და როგორ უნდა იქნას შეფასებული ეს  
ამბავი საგიმნაზიო განათლების ისტორიაში?

ოფიციალური წყაროები, მხედველობაში გვაქვს 1871 წლის  
წესდების განმარტებითი ბარათი და საშუალო სკოლის ისტორიით-  
ის შეიძინ ნამრაობი, რომელშიც ტენდენციურადაა გაშუქებული  
ისტორიული მოვლენები, VII კლასის ორ განყოფილებად გაყოფის  
და მაშასადამე, VIII კლასის გახსნის აუცილებლობას შემდეგი სა-  
ხით ასაბუთებენ: საგიმნაზიო კურსის დაძლევა მეტისმეტად ძნე-  
ლია; ეს კურსი არ არის შეფარდებული არც მოსწავლეთა წინასწარ  
მომზადებასთნ და არც იმ დროსთან, რაც დაწესებულია საგიმნაზიო  
კურსის გასავლელად. გიმნაზიის კურსის გავლას ნორმალურად იშ-  
ვიათ შემთხვევაში ახერხებს მასში მოსწავლე ახალგაზრდობა; მოს-  
წავლეთა უმეტესი ნაწილი მეორე წელს რჩება ამა თუ იმ კლასში  
და მათგან მნიშვნელოვანი რაოდენობა თავს ანებებს გიმნაზიის  
კურსის დაუმთავრებლად. მაგალითად, ამ დოკუმენტში აღნიშნუ-  
ლია, რომ ჩერნიგოვის გიმნაზიის 1 კლასის 48 მოსწავლიდან მხო-  
ლოდ 4-მა მიაღწია VII კლასიმდე, 2 კაცი დარჩა V-VI კლასებში  
და 36-მა თავი დაანება სწავლის კურსის დამთავრებამდე.

ჩერნიგოვის გიმნაზიის მაგალითი გამონაცელის არ წარმოად-  
გენდა. იგი მთელი რუსეთისათვის იყო დამახსასიათებელი.

ამ მდგომარეობის გამოსწორების საშუალებად, განათლების მი-  
ნისტრის აზრით, ორი გზა ასებობდა: პირველი — საგიმნაზიო  
კურსის განტვირთვა, მეორე — სწავლების ვადის გადიდება.

პირველი საშუალების გამოყენება, ე. ი. სწავლების კურსის  
შევეცა განათლების სამინისტროს დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ  
მეორეხარისხოვანი საგნების მიმართ; მოუხედავად ამისა, სწავლე-  
ბის ვადის გადიდება ერთადერთ ნაჩდვილ და უებარ საშუალებად  
იყო მიჩნეული ტოლსტოის მიერ.

ეს უკანასკნელი ღონისძიება, ე. ი. სწავლების ვადის გადიდე-  
ბის აუცილებლობა შემდეგი ძირითადი არგუმენტებით იყო დასა-  
ბუთებული: 1) უცხოეთის საშუალო სკოლების მაგალითთ; 2) რუ-  
სეთის 40-იანი წლების გიმნაზიის პრაქტიკით.

უცხოეთის გიმნაზიებში სწავლების ხანგრძლიობა 9 წელს უდ-  
რის, ნათელადია განმარტებით ბარათში; ამასთანავე უცხოეთის გიმ-  
ნაზიებს ის უპირატესობა აქვთ, რომ გარემოება ხელს უწყობს მო-  
წავეთა განვითარების ღონის ამაღლებას და აესებს მთელ რიგ ხარ-



ეჭის, რასაც სტოკებს სკოლა მოწაფეთა მომზადების საქმეში. უცხოეთის სკოლას ჰყავს საუკეთესო პედაგოგები და აქვს მშვინიერებულებული სასწავლო მოწყობილობა.

რუსეთის გიმნაზიაში ისწავლება ორი უცხო ენა, საზღვარგარეთი ერთ-ერთი. რუსეთის გიმნაზიაში ისწავლება ძველი სლავური ენა; საზღვარგარეთ ამის შესატყვისი საგანი ან არის; მოოლოიდისტორია დამოუკიდებელი საგანია ჩვენში, საზღვარგარეთ ეს საგანი ისწავლება მშობლიურ ისტორიასთან ერთად.

ყოველივე ამ მიზეზების გამო რუსეთის გიმნაზიას სწავლების კურსის ხანგრძლიობა არამც თუ უნდა უდრიდეს საზღვარგარეთულს, არამედ უნდა აღმატებოდეს კიდეც მას.

ტოლსტოი თვლიდა, რომ ეს ღონისძიება, ე. ი. გიმნაზიასთვის VIII კლასის დამტკიცება, ხელს შეუწყობდა საფუძვლიან და მტკიცებულიათა შეთვისებას, მოწაფეთა მომზადების დონის ამაღლებას, გაადვილებდა კურსის დაძლევის ყოველდღიური დატვირთვის გაუდიდებლად და მომზადებდა უნივერსიტეტებს გონიერივად და ზნეობრივად უფრო მომწიფებულ მსმენელებს.

ტოლსტოის ეს ღონისძიება მიაჩნია ორწლიანობისა და განთევვის შემცირების უებაზ საშუალებად.

ეს დასაბუთება, რომელიც განათლების სამინისტროდან გამომდინარეობდა და, რომელიც 1871 წლის რეფორმის სულისჩამდგმელების, ცნობილი რეაქციონერების კატკოვისა და ლეონტიევის მიერ იყო შედგენილი, მოიწონა სახელმწიფო საბჭომ და დამტკიცადებულისანდრე Ⅱ.

სწავლების ვადის გახანგრძლივება არ ამოიწურა VIII კლასის გახსნით, არამედ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გიმნაზიას დამატა კიდევ მოსამზადებელი კლასიც 2—3 წლის სწავლების ხანგრძლიობით; ამრიგად, საგიმნაზიო კურსი 1871 წლის წესდების საფუძველზე გადიდა. 7 წლიდან 10-11 წლამდე, ე. ი. მთელა სამიოთხი წლით. თუ ამას დაუმატებთ პირებულ დაწყებით მომზადებას, რაც საჭირო იყო მოსამზადებელ კლასში შესასვლელად, ნათელი ხდება, რომ სწავლების ხანგრძლიობა საშუალო განათლების მისაღებად 12-13 წლით განისაზღვრებოდა.

ამ ფაქტს, ე. ი. სწავლების გახანგრძლივებას 12-13 წლამდე წევნ კოვლით ერთ-ერთ უაღრესად რეაქციულ მოვლენად რუსეთისა და საქართველოს საშუალო განათლების ისტორიაში.

ის გარემოება, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა საგიმნაზიო კურსის დაძლევის გაადვილების, საფუძვლიანი და მტკიცებულიათა შეთვისების მოტივით, უნივერსიტეტში შეშველელ აბი-

ტურქენტთა საერთო მომზადების დონის ამაღლების საბაბით, შეფერ  
მარეობას ვერ ცვლის.

გიმნაზიაში სწავლების შინაარსი განისაზღვრებოდა კუმისუმზე მარკებული განვითარებული ცენტოთ. კლასიციზმის სკოლა შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოწაფეთა ტანჯვა-წამების სკოლა და არა ნამდვილი განათლების სკოლა. ეს კლასიური ცოდნა გონიერას უჩილუნგებდა მოსწავლე ახალგაზრდობას, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, სკოლასტიკური განათლებით.

ასეთ პირობებში გიმნაზიაში სწავლების გახანგრძლივება ნიშნავდა მოსწავლე ახალგაზრდობის ტანჯვა-წამების გახანგრძლივებას, მათი ნებისყოფის განაღებურებას, მათი სულიერი და გონიერივი ძალების გამოფერებას.

ყოველი ზედმეტი წელი ტოლსტოის გიმნაზიისა, საყურობილები ყოფნის შემდეგ წელს უდრის; ასეთია ის ერთადერთი დასკვნა, რაც ტოლსტოის მთელი საგანმანათლებლო პოლიტიკიდან, მისი კლასიკური განათლების სისტემიდან და საერთოდ ამ პერიოდში რეაქციის ბარონობიდან გამომდინარეობს.

განვიხილოთ ეს საკითხი სხვა მხრივაც. ეს ღონისძიება მიმართული იყო ნაკლებ შეძლების შშობელთა წინააღმდეგაც. სწავლების ვადის სამი-ოთხი წლით გადიდება აუცილებლად აუტანელი შეიქნებოდა შშობელთა განსაზღვრული ფენებისათვის, საზოგადოების დაბალი წრის წარმომადგენელთათვის. ის დამატებით ხარჯებს მოითხოვდა სასწავლო გადასახადისა და სხვა სასწავლო ხარჯების სახით. ვის შეეძლო ამ ხარჯების გაღება? რა თქმა უნდა, მხოლოდ წარჩინებულთა წრეს, საზოგადოების შეძლებულ ფენას.

გარდა ხარჯებისა საგულისხმოა ისიც, რომ ნაკლები შეძლების შშობელი დაინტერესებული იყო მის შვილს რაც შეიძლება ადრე დაემთავრებინა სკოლა, გამოსულიყო ცხოვრებაში, მიშველებოდა ოჯახს, თავი მაინც შეენახა.

ლენინი თავის შესანიშნავ სტატიაში „ნაროლნიკული პროექტორობის მარგალიტები“ — ეხება რა სხვათა შორის ამ საკითხს, აღნიშნავს: „თანამედროვე საზოგადოებაში ის საშუალო სკოლაც, სადაც სწავლის ფულს სულ არ თხოვლიბენ, ამით სრულიადაც არ კარგავს თავის კლასობრიობას, რაღანაც მოწაფის შესანახი ხარჯები 7-8 წლის განმავლობაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე სწავლის ფულის ხოლო ამ ხარჯების გაწევა შეუძლია მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას“. (ნაზი ჩვენია. — ს. ს.) (იხ. ლენინი,



ლენინს აქ ნიმუშად აღებულა აქვს საშუალო სკოლა, სადაც  
სწავლის ფულს სულაც არ იხდიდნენ და სწავლების ხანგრძლიობა  
7-8 წელია. ჩვენ მიერ დასხელებულ საშუალო სკოლაში კი სწავ-  
ლების ხანგრძლიობა 12-13 წელს უდრის, რაც გაცილებით მეტ  
შესანაც ხარჯებს მოითხოვს, ვიდრე 7-8 წლიანი საშუალო სკოლა  
და ამასთანებე ამ ხარჯებს სასწავლო გადასახადიც ემატება.

საესებით ცხადია, რომ ეს გარემოება მიუწვდომელს ხდიდა სა-  
შუალო განათლებას საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის,  
პირველ რიგში მშრომელი მასებისათვის, ხელოსნებისათვის, რაზ-  
ნოჩინელებისათვის, გლეხებისათვის და ა. შ.

ამ გარემოებას განათლების სამინისტროც ვერ ფარავს; წეს-  
დების განმარტებით ბარათში აღნიშნულია: „რა თქმა უნდა, სა-  
გიმნაზიო კურსის ერთი წლით გადიდება რამდენიმედ შეავეწ-  
როებს ნაკლები შეძლების მშობლებს, ერთი ზედმეტი სასწავლო  
წლის განმავლობაში მათთვის შვილის შესანახი ხარჯების დაკის-  
რებით“.

მმრიგად, აშკარაა, რომ სწავლების განაგრძლივება აღიდებდა  
ნაკლები შეძლების მშობელთა ტვირთს და აუცილებლად საზოგა-  
დლოების განსაზღვრულ ფენას ართმევდა შესაძლებლობას მიეცა  
ამ ფენიდან გამოსულ ბავშვებისათვის საგიმნაზიო განათლება:  
მათ ეშვიბოდა გზა უმაღლესი სკოლისაკენ.

ასეთი იყო ამ ღონისძიების მეორე მხარე, ასე ვთქვათ, მისი  
სოციალურ-კლასობრივი საფუძველი.

მაგრამ ყოველივე ამასთანავე ერთად, ერთ-ერთი მთავარი მა-  
სულდგმულებელი მოტივი ამ ღონისძიებისა იყო გიმნაზიის მოს-  
წავლებაზარდობის გაცხრილვა პოლიტიკურად კეთილსამე-  
ობის თვალსაზრისით.

ცარიშმის განსაკუთრებით საზრუნავ საგანს წარმოადგენდა ამ  
პერიოდში 60—70-იანი წლების სოციალ-პოლიტიკურ კითარებათა-  
პირობებში, უმაღლესი სკოლების დაცვა თავისუფლად მოაზროვნე  
ახალგაზრდობისაგან.

ამ მხრივ საშუალო სკოლას უსათუოდ ფრიად საპასუხისმგებ-  
ლო მოცან ეკისრებოდა და ეს მოცანა იმაში მდგომარეობდა,  
რომ გამნაზიას უნდა უზრუნველეყო აუცილებლად შემოწმებული  
და იდეოლოგიურად მისაღები კონტინგენტის მიწოდება უმაღლე-  
სი სკოლისათვის.

ამ მიზნით შემოღებული აქნა სიმწიფის გამოცდა, გატარდა.



მთელი რიგი სხვა ღონისძიებებიც და ამავე მიზნით დაკავისრა გრძელებულ  
ნაზის დირექტორს პერსონალური პასუხისმგებლობა გიმნაზიაში გამოიყენება  
კურსდამთავრებული სტუდენტის ყოფაზეც ვისა და პოლიტიკური  
განწყობილებისათვის. გიმნაზიის დირექტორს ევალებოდა სიმწი-  
ფის მოწოდასთან ერთად თავდებობის ბარათი მიეცა კურსდამ-  
თავრებულ მოწაფისათვის და მხოლოდ ამ თავდებობით მიიღებო-  
და ის უნივერსიტეტში.

გიმნაზიის დირექტორს კარგად უნდა სცოდნოდა მოსწავლის  
განწყობილება, პოლიტიკური მრწამისი, მიმართულება, ხასიათი,  
გონიერივი და ზენობრივი მხარეები. 7 წელი მოსწავლის შესას-  
წავლად, ალბათ, საკმარისი არ ღომიჩნდა, მით უმეტეს, რომ მერ-  
ვე წელი ისეთ ასაქშე მოღიოდა, როდესაც ასე თუ ისე საბოლოოდ  
ყალიბდება მოწაფის მსოფლმხედველობა; ეს, ასე ვთქვათ, დავუ-  
კაცების წელია. მორალური მომწიფების პერიოდია. „მოსწავლე  
ახალგაზრდობაშე კიდევ ერთი დამატებითი წლის განმავლობაში  
ყოველდღიური კონტროლის დაწესება როგორც მათი მეცადინეო-  
ბის დარგში, აგრეთვე მათი ცხოვრების ხასიათშე, უმცველად კე-  
თილსამყოფელ გავლენას მოახდენს მასობრივ დარგშიაც“.

მაშასადამე, მერვე დამატებითი წელი ცარიზმისათვის ნიშნავ-  
და მერვე დამატებითი წლის კონტროლს მოწაფეთა ყოფაზეცვაზე  
და მათ ზენობაშე.

ტოლსტოის აც მერვე წელი მიაჩნდა საკმარისად, ის ფიქრობ-  
და შემდეგში მეცხრე კლასის დამატებასაც, მაგრამ ამ ღონისძიე-  
ბას განხორციელება არ ღირსებდა.

ამიგად, ჩევნ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ VIII  
კლასის გახსნა, ძველი სკოლის პირობებში, წარმოადგენდა რეაქ-  
ციული ხასიათის ღონისძიებას, რომელიც მიმართული იყო საზო-  
გადოების დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ და ერთი მუქა უმცი-  
რესობის სასარგებლოდ. ეს ღონისძიება ნაკლები შეძლების მშო-  
ბელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდობას უმაღლესი სკოლას კა-  
რებს უხშიოდა და წარმოადგენდა ერთგვარ ცხრილს ცარიზმისა-  
თვის იდეოლოგიურად მიუღებელი პირებისაგან მომავალ სტუ-  
დენტთა შემაღენნლობის გასაწმენდად.

ასე გადაიჭრა კლასიური გიმნაზიის სტრუქტურის საკითხი  
60—70-იან წლებში.

რაც შეეხება რეალურ გიმნაზიას, აქ მდგომარეობა რამდენი-  
მედ სხვანარი იყო. 1864 წლის წესდების საფუძველზე ჩამოყა-  
ლიბებული რეალური გიმნაზია წარმოადგენდა საშუალო სკოლას  
7-კლასიანი სწავლების კურსით. რეალური გიმნაზიის სტრუქტუ-  
რა



1872 წლის 15 მაისს დამტკიცებული წესდების საფუძველზე არსებოთად შეიცვალა რეალური გიმნაზიების მიზანი, სწავლების კურსი, დანიშნულება და ამასთან დაკავშირებით სტრუქტურაც რეალური გიმნაზია რეალურმა სასწავლებელმა შეიცვალა.

რეალური სასწავლებელი შედგებოდა ექვსი კლასისაგან; სწავლების ხანგრძლივობა თითოეულ კლასში უდრიდა თითო წელს, წესდებით დასაშვებად იყო მიჩნეული რეალური სასწავლებლის V—VI კლასების ორ განყოფილებად გაყოფა: ძირითადი და კომერციული; ძირითადი განყოფილების გარდა შესაძლებლად იყო ცნობილი მაღალი დამატებითი კლასის დააჩვება (VII კლასის) სამი განყოფილებით: საერთო, უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში შემსვლელთა—მოსამზადებლად, მექანიკურ-ტექნიკური და ქიმიურ-ტექნიკური.

მოსამზადებელი კლასი რეალურ სასწავლებელში არ არსებობდა. რეალურ სასწავლებელში მოსწავლები უნდა გადმოსულიყოვნენ სხვადასხვა სკოლებიდან და მისდა მიხედვით წესდება ითვალისწინებდა ისეთი რეალური სასწავლებლის აჩვებობას, რომელსაც ექნებოდა მხოლოდ II—VI, III—VI, IV—VI და V—VI კლასები.

რეალური სასწავლებლების — VI კლასებში კომერციულ განყოფილებათა შექმნისა და აგრეთვე VII დამატებითი კლასის განყოფილებათა ჩამოყალიბების საკითხი ადგილობრივ მოთხოვნილებათა მიხედვით წყდებოდა და იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ამ განყოფილებათაგან რომელს აირჩევდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები.

სინამდვილეში კი არც კომერციული და არც მექანიკურ-ტექნიკური და ქიმიურ-ტექნიკური განყოფილებანი არ საჩვებლობდნენ სათანადო პოსულარობით; ამ განყოფილებებზე სწავლის გაგრძელების მსურველნი არ იყვნენ და ამის გამო, როგორც წესი, ყალიბდებოდა მხოლოდ საერთო განყოფილება.

ამ ღონისძიებათა აზრი ნათელია: 1872 წ. წესდებით რეალური სასწავლებელი იქცა უფრო დიდალა ტიპის სასწავლო დაწესებულებად, ვიდრე კლასიკური გიმნაზია; ცარიზმი ცდილობდა რეალური გიმნაზია ექცია სპეციალური პროფესიული ხასიათის სასწავლო დაწესებულებად, რომელსაც უმთავრესად ტექნიკური მომზადება უნდა მიეცა მოსწავლეთათვის.



1872 წელს შექმნილი სტრუქტურა სწორედ იმ მიზანით იქნადა.

კაციასის სასწავლო ოლქის აღმინისტრაცია წევეროვას სახით შეეცადა შეენარჩუნებინა რეალური გიმნაზიისათვის VII კლასი, მაგრამ ამაოდ: ჩვენშიც ისე, როგორც რუსეთში, რეალური სასწავლებელი ექვსკულასიანი კურსით დარჩა, ე. ი. ის როგორც სწავლების კურსით, ისე სტრუქტურით ას უძრიდა საშუალო სკოლას.

პროგიმნაზია, რომელიც პირველად 1864 წლის წესდების საფუძველზე იქმნება რუსეთში და მხოლოდ 1874 წლიდან არსება ჩვენში, სტრუქტურის მხრივ წარმოადგენდა ოთხკლასიან სკოლას და შეესაბამებოდა გიმნაზიის პირველ ოთხ კლასს. ცალკე შემთხვევებში დასაშვებად იყო მიჩნეული პროგიმნაზიების არსებობა ექვსკულასიანი კურსითაც, გიმნაზიის პირველი ექვსი კლასის შესაბამისად. ასეთი ტიპის პროგიმნაზია საქართველოში ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში არ არსებობდა.

## სეავლების გირეასი და მეთოდები

1. სასწავლო გეგმები. 1860—1880 წ. წ. პერიოდში, ე. ი. მთელი ორი ათეული წლის გამავლობაში სამუალო სკოლას მტკიცი სასწავლო გეგმა არ ჰქონია. სასწავლო გეგმა ხშირად იცვლებოდა და სკოლებს გარღმავალი გეგმით უხდებოდათ მუშაობა.

ის სასწავლო გეგმა, რომლითაც სკოლები მუშაობდნენ 50-იან წლებში და, რომელიც 1853 წლის დებულებით იყო შემუშავებული, 60-იანი წლების დასწყისიდნენ საფუძვლიანად შეიცვალა. სასწავლო ოქტავი გაუქმდა და კავკასიაში სასწავლო ხელმძღვანელი ცენტრის არ ასებობდა, იმ დროს, როდესაც აქაური სკოლები განათლების სამინისტროს უშუალო არ ემორჩილებოდა, თითოეულ სკოლას ერთგვარი „ავტონომიური“ მდგომარეობა შეუშინა გუბერნატორის უშუალო ხელმძღვანელობით. ამ პირობებში თითოეულ გიმნაზიას ადგილობრივი ხასიათის ცვლილებები შეჰქონდა სასწავლო გეგმაში და თავისებური სასწავლო გეგმით მუშაობდა.

სკოლები მოწყვეტილი იყო ერთი მეორეს და საერთო ხელმძღვანელობის გარეშე, ყოველი მათგანი თავისი შეხედულების მიხედვით, ცვლიდა სწავლების კურსს. ამ მოვლენას უარყოფითი გავლენა ჰქონდა სკოლის ნორმალურ მუშაობაზე და დეზორგანიზაცია შეჰქონდა პედაგოგიურ პროცესში.

ცხადია, რომ გიმნაზიის პირობებში, რაც მეტი დამოუკიდებლობა ჰქნებოდა სკოლას, მთი უკეთესი უნდა ყოფილიყო სკოლის მუშაობა პრიორესულ იდეათა ნაკადის შეტანის თვალსაზრისით; ამ მდგომარეობას მოწინავე მასწავლებლობა უთუოდ გამოიყენებდა და დახავსებული რუტინის შესაცვლელად და სწავლების კურსში და მუშაობის სისტემაში საღი პედაგოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე ცელილებების შესატანად; მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მაშინდელი მასწავლებლობა კონსერვატული იდეებით შეპყრობილი, ჩამორჩინილი იდეოლოგიურად, ნაკლებად დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმით და



უფრო მეტად გატაცებული პარადი კეთილდღეობით, ამ „ფაქტურულ გილებლობას“ სათანადოდ ვერ იყენებდა.

ამ მდგომარეობისათვის ბოლოს მოღება და კავკასიაში არსებულ სკოლებში ერთიანი და მტკიცე სასწავლო გეგმების, შემოღება წილად ხვდა ახლად აღდგენილი სასწავლო ოლქის მთავარი ინსპექტორს ნევეროვს.

ნევეროვა შეუდგა რა 1864/65 წელს სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას პირველ ჩიგში ყურადღება მიაქცია სკოლების მუშაობის სწორედ ამ მხარეს. ნევეროვის დანიშვნა მთავარი ინსპექტორის პოსტზე დამტხვე 1864 წლის წესდებისა და ამ წესდებასთან ერთად ახალი სასწავლო გეგმის დამტკიცება რუსეთის გიმნაზიებისათვის. მთავარი ინსპექტორის პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ის იყო, რომ დაუყოვნებლივ დაიწყო კავკასიის გიმნაზიების გადაყვანა 1864 წლის სასწავლო გეგმებით მუშაობაზე. ყუბანისა და სტავროპოლის გიმნაზიებში მაშინვე შემოიღეს ახალი წესდება: თბილისის გიმნაზიაში დაბალი კლასები გადაიყვანეს ახალი სასწავლო გეგმით მუშაობაზე და ქუთაისის გიმნაზია კი პირველ ხანებში ისევ წინანდელ მდგომარეობაში დარჩა.

ამრიგად, 1865 წლიდან იწყება კავკასიის გიმნაზიების გადაყვანა ახალი სასწავლო გეგმებით მუშაობაზე, მაშასადამე, 60-იანი წლების მეორე ნახევარში საშუალო სკოლა საქართველოში გარდამავალი სასწავლო გეგმებით მუშაობს.

ის ორნისძიება, რასაც ამ მიმართულებით კავკასიის სასწავლო ოლქი ატარებდა 1865 წლიდან, დამტკიცებულ იქნა საქანონმდებლო გზით 1867 წლის დებულების სახით და ამ დებულებასთან ერთად დამტკიცდა სასწავლო გეგმაც კავკასიის გიმნაზიებისათვის.

განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენდა ეს სასწავლო გეგმა.

სათების ამ განაშილებაში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას და ფიზიკა-კოსმოგრაფიას კავკასიის გიმნაზიებში ეთმობოდა უფრო მეტი საათები, ვიდრე რუსეთში. ეს მომენტი აუცილებლად აუმჯობესებდა რუსეთის გიმნაზიების 1864 წ. სასწავლო გეგმას, მაში რეალური განათლების ელემენტების გაძლიერების მხრივ. ცხადია, რომ სსათლების გადიდება ამ სასწავლო დისციპლინებში პედაგოგიური მოსაზრებით უთუოდ აუცილებელი იყო.

საქმე იმაშია, რომ კავკასიაში და კერძოთ, საქართველოში სასწავლო დისციპლინებში სწავლების კურსის დამლევას გაცილებით მეტი დრო სჭირდებოდა სწავლების ენის სუსტი ცოდნის გამო, ვიდრე რუსეთში; სწორედ ეს გარემოება იყო მიღებული მხედვე-



საქმების დასახურება	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	V კვ.	VI კვ.	VII კვ.	VIII კვ.
	ჩემ.	გვ.	ჩემ.	გვ.	ჩემ.	გვ.	ჩემ.	გვ.
1. სადგომის სეული . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
2. რეგისტრი ქმ . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
3. ლათინური ქმ . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
4. ურამსადან ქმ . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
5. ფარმაცეული ქმ . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
6. მარტინიური . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
7. მსტრიანი . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
8. გრაფიანური . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
9. სენატის სამინისტრო . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
10. ფინანსი კომისია . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
11. სეული წერა, სატეა. ბაზა . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
12. ქართული ქმ . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—
ს ტ რ . . . .	24	26	25	28	27	28	27	28



ლობაში ამ შემთხვევაში და საათების ეს გადიდება სრული მნიშვნელობა  
ნიშნავდა ცოდნის მოცულობის გადიდებას.

ქართულ ენას და საერთოდ ადგილობრივ ენებს თერთმეტი სა-  
ათი ეთმობა, რაც რა თქმა უნდა, ძალზე მცირეა; თუ მივიღებთ  
მხედველობაში, რომ რუსულ ენას 35 საათი ჰქონდა დათმობილი,  
ლათინურს — 39 და ფრანგულს — 19, აშკარა ხდება, თუ რაოდენ  
დამცირებული იყო ქართული ენის ადგილი და ხევდრითი წონა  
სწავლების კურსში. ამასთანავე ეს სასწავლო გეგმა ქართული  
ენის შესწავლას სავალდებულოდ ხდიდა ქართველებისათვის და  
სომხეთი ენისას — სომხებისათვის. წინათ კი ადგილობრივი ენები  
ყველასათვის სავალდებულო იყო.

მ წესიდან გამონაკლისს შეადგენდნენ პანსიონერები, რომელ-  
თაც დავალებული ჰქონდათ ერთ-ერთი ადგილობრივი ენის სავალ-  
დებულო წესით შესწავლა, რაღვანაც მომავალი სახელმწიფო მო-  
ხელისათვის საჭირო იყო პრატიკულ მუშაობაში ადგილობრივი  
ენის ცოდნა.

რუსულ ენას — 11 საათით მეტი ეთმობოდა, ვიდრე რუსეთში;  
საათების ასეთი გადიდება აქაური პირობების მხედვით, სრუ-  
ლიად აუცილებელი რამ იყო; და ეს მომენტი ამ სასწავლო გეგმის  
დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს.

რუსეთის გომნაზიებში ორი ახალი უცხო ენა ისწავლებოდა;  
თბილისისა და ქუთაისის გომნაზიებში-კი ერთი,

ესეც აუცილებლად სასწავლო გეგმის დადებითი მხარე იყო.

აშკარაა, რომ ჯერ კიდევ რუსული ენის სუსტი ცოდნის პირო-  
ბებში სამი სხვა ენის შესწავლა: ლათინურის, ფრანგულისა და გერ-  
მანურის, მართლაც, რომ სრულიად შეუძლებელი რამ იქნებოდა  
მოსწავლეთათვის და ამიტომაც გერმანული ენის შეუტანლობა სას-  
წავლო გეგმაში პედაგოგიურად მართებულ ზომად უნდა მიეჩინოთ.

ბუნებისმეტყველების სწავლება წარმოებდა სასწავლო გეგმით  
პირველ სამ კლასში; V-VII კლასებში კი ფიზიკა და კოსმოგრაფია  
ისწავლებოდა. ესეც ამ სასწავლო გეგმის დადებითი მხარეა, თუ  
მხედველობაში მივიღებთ იმ „გვაროსნულ“ ომს, რომელიც გომ-  
უცხადეს ამ საგანს კლასიციზმის დამცირებება. ამასთანავე უზრად-  
ლება უნდა მიექცეს იმ მომენტსაც, რომ ბუნებისმეტყველებას  
ძლიერ მცირე საათები ჰქონდა დათმობილი. ის რაღაც 2-2 საათი,  
რაც ამ საგანს ეთმობოდა პირველ სამ კლასში, სრულებითაც ვერ  
უზრუნველყოდა ბუნებისმეტყველებიდან ძირითადი ცოდნის მი-  
წოდებასაც-კი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

სწავლების მთავარ საგნად მიჩნეული იყო რუსული და ლათი-



ნური ენებია: მუშაობის მთელი სიმძიმე ამ საგნებზე იყო გადატე-  
ჭრავისა  
ნილი. ასევე მთავარ საგნად იყო აღიარებული საღვთო სჯული გულებითთვის  
საღვთო ისტორია. დიდი ყურადღება ექცევოდა აგრეთვე უცი ესა  
და მათემატიკას.

ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება და ფიზიკა-კოსმო-  
გრაფია მეორე ხარისხოვან საგნებად ითვლებოდა. ადგილობრივი  
ენა კი სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვებული.

პროპორციის მხრივ ენებს, მთელი სასწავლო დროის 54%-მდე  
ეთმობოდა, სხვა საგნებს ერთად აღებულს, საღვთო სჯულის გა-  
მოკლებით, 39%.

აქედან აშენაა, რომ 60-იანი წლების კლასიკური გიმნაზია  
წინანდებურად დარჩია ცალმხრივი განათლების სკოლად, რომელიც  
მოსწავლე ახალგაზრდობას მომზადებას უმთავრესად ენების დარგ-  
ში იძლევდა. ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა შემს-  
წავლელი მეცნიერული დისკიპლინები, მათ საგანმანათლებლო და  
სააღმზრდელო მნიშვნელობასთან შეფარდებით, სრულიად შევიწ-  
რობულ და დამკირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც  
რუსულმა, ისე უცხოურმა და აგრეთვე ქართულმა ლიტერატურამ  
ხასწავლო გეგმაში აღიალი ვერ ჰქოვა. ეს სრულიად ბუნებრივია  
კლასიკური განათლების თვალსაზრისით. ლიტერატურას უნდობ-  
ლობის თვალით უყურებდა თვითმშერობელობა, ლიტერატურა  
მეორეხარისხოვან საგნად იყო მიჩნეული და სასწავლო გეგმაში ეს  
დისკიპლინა შეტანილი არ ყოფილა. მართალია, ენის პროგრამაში  
ლიტერატურის მასალაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ, ჩვენ  
ეცვმოთ დავინახავთ, თუ რას წარმოადგენდა ეს ლიტერატურა.

ამრიგად, ეს სასწავლო გეგმა განსაზღვრავდა კლასიკურ გიმნა-  
ზიას, როგორც ფორმალური განათლების სკოლას.

თანამიმდევრობისა და ასაკობრივი თავისებურებათა გათვალის-  
წინების პრინციპი, რაც დიდაგეტყვის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვ-  
ნილებას წარმოადგენს და, რომელსაც ყოველი მოწინავე პედაგოგი  
იცავს, ამ სასწავლო გეგმით დაცული არ არის. მხედველობაში არაა  
მიღებული ის ელემენტარული ჰემშპარტება, რომ ყოველი ახალი  
სასწავლო საგნის შეტანა სწავლების კურსში დასაშვებია მხოლოდ  
იმ კლასში, რომლის მოსწავლეებსაც ამ სასწავლო საგნის შეთვი-  
სებისათვის საჭირო მომზადება ექნებათ. ამ შერივ საქართველოსა  
და საერთოდ ამიერ კავკასიის საშუალო სკოლების სასწავლო გეგ-  
მაში ყოვლად შეუწყნარებელი, პედაგოგიურად მიუღებელი, საღი  
პრაქტიკული მოსაზრებით გაუმართდებელი განაწილება იყო და-  
შეებული ენების სწავლებაში და არა მარტო 1860-1880 წ. წ. პე-



რიოდში, არამედ მთელი მეცნიერებულის განმავლობაში გადასახლდა  
XX საუკუნეშიც კი — თვით ცარიზმის დამხობამდე.

ეს პედაგოგიური დამახინჯება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსული ენა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო სწავლების I წლიდანვე, ლათინური ენა 1 კლასიდანვე და ფრანგული ენა II კლასიდან, რასაც შემდეგში ბერძნული ენაც დაემატა.

საქართველოს სახელოვანმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა უკეთ იმ მიღწევათა საფუძველზე, რაცი მოიპოვებოდა მაშინდელ პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკაში, ნათელყო, რომ რუსული ენის სწავლების დაწყება არარუსულ სკოლაში სწავლების მესამე წელზე აღრე ხელს არ უწყობს რუსული ენის სწავლების საჭმეს, რადგანაც: „აჩქირება რუსული ენის სწავლებისა შეაჩერებს ბავშვების გონიერის გამოფენიზლებას, წესიერ განვითარებას, აღუძრავს სიძულვილს რუსულის ენისადმი და უკან დააყენებს სწავლას საზოგადოდ და რუსულის ენისას კერძოდ“. ი. გოგებაშვილმა მრავალი სტატია მოყდომნა მს საკითხს და შესანიშნავი არგუმენტაციით ნათელყო, რომ „ქართული სკოლის შეგირიდებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ რუსულის ენის სწავლის დაწყება, როდესაც გონიერა საკმაოდ გაეხსნებათ, და ორს წელიწადზე აღრე კი ეს შეუძლებელია... რუსულის ენის კარგად შესასწავლად საჭიროა შედარებითი მეთოდი, ე. ი. რუსული ენის თვისებისა და აგებულების შეღარება ქართულის ენის თვისებასა და აგებულებასთან, და ეს მეთოდი მაშინ არის გამოსაყენებელი, როდესაც ერთი შესადარებელი საგანი მაინც ბავშვისაგან კარგად შეგნებულია. თუ ორივე საგანი უცნობია, ბავშვი კერძოდ დასძლევს სიძნელეს და ეს ჩინებული მეთოდი ფრქვედ ჩინვლის“. (გოგებაშვილი, თხ. ტ. I, 1910 წ. გამოც. გვ. 115).

გოგებაშვილი იმოწმებს უშინესის, კორფს და მრავალ სხვა ავტორიტეტს პედაგოგიკაში, რომელნიც მს მოსაზრებას იცავენ და ასაბუთებენ, რომ უცხო ენის გრამატიკის სწავლებას აუცილებლად წინ უნდა უძლოდეს დედანის გრამატიკის სწავლება.

სახელოვანი პედაგოგი იან ამოს კომენციი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში წერდა, რომ სახაცილო იქნება ბავშვს ცხენზე ჯდომა ასწავლო, იმაზე აღრე, სანამ ფეხით სიარული არ უსწავლია, ე. ი. უცხო ენა ასწავლო მაშინ, როდესაც მან ჯერ კიდევ შშობლიური ენა არ იცისო.

ამრიგად, კლასიკოსი პედაგოგების მიერ არა ერთხელ დადასტურებული, პრაქტიკაში შემოწმებული პედაგოგიური დებულება, რომ შშობლიური ენის ცოდნის საფუძველზე უნდა აიგოს ბავშვისათვის ყოველი უცხო ენის სწავლება, რათა წარმატებას მივაღ-



ჭიოთ სწავლებაში საერთოდ და ამ უცხო ენის შესწავლაში, კერძოდ ქართველობის საქართველოსა და ამიერკავკასიის საზოგადოებას შეუალო სკოლების სასწავლო გეგმით.

რუსული ენის სწავლება იწყება სწავლების პირველი დღიდანვე, მაშან, როდესაც მოსწავლემ არამც თუ შობლიური ენის გრამატიკა, არამედ თვით ეს შობლიური ენაც არ იცის; ორი წლის შემდეგ, ე. ი. I კლასში, ლათინური ენის სწავლებაც იწყება; I კლასის მოსწავლე, რომელიც მხოლოდ ორი წელია სწავლობს შობლიურ და რუსულ ენებს პარალელურად და, რომელიც ჯერ კიდევ ამ ენების წერა-კითხვას არაა დაუფლებული, ახალი და ისიც ლათინური ენის სწავლას იწყებს, ენისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რუსულსა და მით უმეტეს ჭარიულ ენასთან.

როგორც ლათინური ენის ერთ-ერთი მასწავლებელი აღნაშნავს, I კლასის მოწაფეები იმდენად სუსტნი აღმოჩნდნენ რუსული ენის ცოდნაში, რომ მათ ცალკე სიტყვის გადაწერაც კი არ შეეძლოთ შეუცდომლად დაფიქან. ასე, მაგ. სიტყვა „отец“ დაწერილი დაფაზე მასწავლებლის მიერ, მოსწავლეებს გადაუწერიათ ასე: „Человек“ „атеи“, „Человек“ „отецъ“ და ა. შ. და ამასთანვე მასწავლებლის მითითების შემდეგაც ერ აღმოჩნდათ ბავშვებს დაშვებული შეცდომა.

იგივე მასწავლებელი წერს: „რაღანაც ჩეენს გიმნაზიებში ლათინური ენა იწყება I კლასიდან და ბავშვები, რომელნიც ამ კლასში შემოდიან ძლიერ სუსტად არიან დაუფლებული რუსულ ენას ზეპირად და წერილობით და სრულებით არ იცნობენ თეორიულ მხარეს არც რუსული ენისა და თვით თავიანთი შობლიური ენისა და რაღანაც ყოველი მქედარი ენის შესწავლა და, მაშასადაც, ლათინური ენისაც უნდა ეყიდოს შობლიურ ენას, აქ კი რუსულს... ლათინური ენის მასწავლებელს წინ უდევს ძნელი და რთული ამოცანა: 1) გაცნოს მოსწავლეებს საერთო ლოგიკური საფუძვლები, რომელსაც ეყიდება ყოველი ენის გრამატიკა; 2) მიაწოდოს მათ ცნობები რუსული ენის თეორიიდან და ა. შ. (იხ. ცКУО 1868 გ., № 4, ც. 19).

აქ აღწერილი მდგომარეობა არ შეიძლება გამონაკლისი ყოფილიყო, რაღანაც ორი წლის განმავლობაში 8-9 წლის ასაკის ბავშვს არ შეუძლია შეითვისოს არამც თუ ორი, არამედ ერთი ენაც კი ისე, რომ კარგად წერდეს, კითხულობდეს, იცოდეს ენის თეორია და იცნობდეს გრამატიკის საფუძვლებს.

ამიტომაც ლათინური ენის სწავლების შემოლება I კლასიდან სრულებითაც არ შეეფარდება ამ კლასის მოსწავლეთა მომზადების დონეს, მათ ასაკობრივ თავისებურებასა და თანამიმდევრობას



პრინციპს. I კლასის მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, არ გაშემჩუმა ის ელემენტარული მომზადება, რაც აუცალებელია ლათინური კუსტობრის შესწავლის დასაწყისი და მაგრამ, ამ არსებით მხარეს სასწავლო გეგმა მხელეელობაში არ იღებდა; მაშასადმე, ეს სასწავლო გეგმა პედაგოგიურ მოსაზრებებს არ უწევდა ანგარიშს, უგულებელყოფდა დიდაქტიკის საფუძვლებს, ყურადღებას არ აქცევდა სკოლებას გამოცდილებას, აუტანელ ტვირთს აკისრებდა მოსწავლეს, სკოლასა და მასწავლებელს.

ეს შეუსაბამობა იმდენად აშკარა იყო, რომ ამის შესახებ ალაპარაკდა არა მარტო რიგითა მასწავლებლობა, არამედ განათლების საქმის ის ხელმძღვანელი მუშაკებიც კი, რომელთაც საღი მოსაზრებისა და გამბედაობის ელემენტები კიდევ შერჩენდათ. ასე, მაგ., ბარონ ნიკოლაიმ, კავკასიისა და კიევის სასწავლო ოქების ყოფილმა მზრუნველმა, სახალხო განათლების მინისტრის ყოფილმა თანამშემწერმ და შემდეგ სახალხო განათლების მინისტრმა მოითხოვა ლათინური ენის სწავლების III კლასიდან დაწყება, მაგრამ არა იმ დროს, როდესაც თვითონ ხელმძღვანელობდა განათლების საქმეს, არამედ 1899 წელს (იხ. „Русский архив“, 1899 გ., № 8).

პრაქტიკულად კი მხოლოდ XX საუკუნეში მიაღწიეს ლათინური ენის I კლასიდან III კლასში გადატანას.

ყველაფერი, რაც ლათინური ენის შესახებ ითქვა, სავსებით შეიძლება გვარცულდეს ბერძნულ ენაზედაც, რომელიც II კლასიდან ისწავლებოდა.

ამრიგად, ნათელია, რომ თანამიმდევრობის მხრივ სასწავლო გეგმით უხეშ პედაგოგიურ დამაზინებას ჰქონდა აღვილი.

დატვირთვის მხრივ მდგომარეობა ასეთი იყო: I კლასში ისწავლებოდა 8 საგანი; II კლასში—9; III კლასში—10; IV კლასში—9; V კლასში—8; VI კლასში—8 და VII კლასში—8. საგანთა რაოდენობა ცალკე კლასებში არ არის მანიკუდამაინც დიდი, მაგრამ მათი განაწილება შეუსაბამისია; ასე, მაგ., II, III და IV კლასებზე 9—10 საგანი მოდის, მაშინ, როდესაც V—VII კლასებში 8 საგანი ისწავლება. პედაგოგიური თვალსაზრისით კი მიზანშეწონილი იქნებოდა დაბალ კლასებში ნაკლები ყოფილიყო საგნების რაოდენობა, მაღალ კლასებში კი მეტი.

ყოველდღიური დატვირთვა 4—5 გაყვეთილს უდრიდა. გავვითლის ზანგრძლიობა ერთ კალენდარულ საათს, ე. ი. 60 წუთს შეადგენდა. ამრიგად, ახლანდელ აეადემიურ საათზე გადაყვანით გმინაზიებში ყოველდღიურად ტარდებოდა მეცადანეობა 6—7 გაკვეთილის ოდენობით.



გავეთილის ხანგრძლიობა 60-იან წლებამდე 75 წეთი იყო. ცხადია, რომ 75 წეთიანი გავეთილი ყოვლად აუტანელი ჰქონდა არის ფიზიკურად. მთელი 75 წეთის განმავლობაში კდომა გავეთილზე, ისიც უმოძრავ, მართლაც რომ საშინელი ტანკვა უნდა ყოფილიყო სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. ჩანს, რომ არც ფიქოლვის კანონები იყო მიღებული მხედველობაში და არც ბავშვის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურება. 1864—67 წლების სასწავლო გეგმამ ეს დამახინჯება ნაწილობრივ გამოასწორა, მაგრამ საცხებით კი ვერა.

სასწავლო წელი იწყებოდა პირველ სექტემბერს და მთავრდებოდა 15 ივნისს. 1849—1862 წლებში სასწავლო წელი კალენდარულს წელს ემთხვეოდა. საგაზაფხულო არდალეგები იწყებოდა 15 ივნისიდან და გრძელდებოდა 1-ლ სექტემბრამდე. საზამთრო არდალეგები — 23 დეკემბრიდან — 2 იანვრამდე. საგაზაფხულო არდალეგები არ არსებოდა.

აյადემიური წარმატების აღრიცხვა წელიწადში ორჯერ ხდებოდა, სემესტრების მიხედვით.

რეალური გიმნაზიის სასწავლო გეგმა შემდეგი სახისა იყო: (იხ. გვერდი 72).

როგორც ამ გეგმიდან ჩანს, რეალური გიმნაზიის სასწავლო გეგმის ძირითადი განსხვავება კლასიური გიმნაზიისაგან იმაში მდგომარეობს, რომ რეალურ გიმნაზიაში არ ისწავლება მეცნიერება; ბუნებისმეტყველებას კლასიურ გინაზიაში ეთმობა 6 საათი, რეალურ გიმნაზიაში კი — 23; რეალურ გიმნაზიაში ისწავლება ქიმია, კლასიურ გიმნაზიაში — არა. რეალურ გიმნაზიაში ორი ახალი უცხო ენა ისწავლება, კლასიურში — ერთი.

სხვა სავნებში უმნიშვნელო განსხვავებაა, ანდა სრულებით არა განსხვავება; საღვთო სჯული ერთნაირი მოცულობით ისწავლება, რესულ ენას ხეთი საათით ნაკლები ეთმობა რეალურ გიმნაზიაში, ვიღრე კლასიურში, ფრანგულ ენას სამი საათით მეტი, მათემატიკას 2 საათით მეტი, ისტორიას 3 საათით ნაკლები, გეოგრაფიას ერთი საათით ნაკლები, ფიზიკა-კოსმოგრაფიას ერთი საათით მეტი და ხატვა-ხაზებს და სურთა წერას 8 საათით მეტი.

ამრიგად, ბუნებისმეტყველება პროფილის მიმცემ საგნადა მიჩნეული ამ სასწავლო გეგმისა და საერთოდ რეალური განათლების მაშინ გაძარენებული თეორიის მიხედვით.

ენებს სასწავლო ღრიას 42% ეთმობა, ესეც, რა თქმა უნდა, არა მცირე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ენებს შორის ადგილი არ აქვს ძეველ ენას.



საათების ამ განაწილების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩეალური გიმნაზია 60-იანი წლებისა თავებრივია სუფალი იყო იმ ცალმხრიობისაგან, რაც კლიფის სიკურ გიმნაზიას ახასიათებდა, თავისუფალი იყო იმ პროფესიონალიზმისაგან, რაც ჩეალური სკოლის ნიშანდობლივ თვისების შეადგენდა 40—50-იან და აგრეთვე 70-იან წლებშიც. ჩეალური გიმნაზია ამ სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოადგენდა საერთო განათლების საშუალო სკოლას, რომელიც გაცილებით ფართო გონიერია პორიზონტს და მეცნიერულ მომზადებას მისცემდა ახალგაზრდობას, ვიღრე კლასიკური გიმნაზია.

რა თქმა უნდა, ამა თუ იმ საგნის შეტანა სასწავლო გეგმაში ზუსტად არ გვიჩვენებს განათლების ხასიათსა და მიმართულებას. მეცნიერული ღისტორიის სასწავლო კურსში შეტანა ყოველთვის არ ნიშნავს სკოლის განთავსისუფლებას სქოლასტიკისა და ფორმალიზმისაგან. აյ მთავარია პროგრამა, სწავლების მეთოდები და სისტემა; ამიტომ, მხოლოდ სასწავლო გეგმით გარკვევა საკითხესა, თუ რა ხასიათის განათლებას იძლეოდა ესა თუ ის სკოლა, შეუძლებელია.

ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩეალური გიმნაზია 60-იანი წლების სასწავლო გეგმის მიხედვით გაცილებით მოწინავე ტიპის სკოლა იყო, ვიღრე კლასიკური გიმნაზია. ჩეალური გიმნაზიის სასწავლო გეგმაში გაცილებით უფრო მეტი მოცულობით იყო გათვალისწინებული პოზიტიური საგნები მეცნიერებათა სხვადასხვა დაჩგირან, ვიღრე კლასიკურ გიმნაზიაში; ჩეალურ გიმნაზიაში გაცილებით ნაკლები იყო გამოუსადეგორი, ცხოვრებისაგან და სინამდვილისაგან მოწყვეტილი საგნები, ვიღრე კლასიკურ გიმნაზიაში და სხვ.

დატვირთისა და სასწავლო წლის ორგანიზაციის მხრივ ჩეალური გიმნაზია, თითქმის, არაფრით განსხვავდებოდა კლასიკურისაგან.

რესერთან შედარებით კავკასიის ჩეალური გიმნაზიის სასწავლო გეგმა შემდეგი ხასიათის თავისებურებას შეიცავდა: საერთო დატვირთვა 144 საათით მეტი იყო; განსხვავებული საგანი — (აღვილობრივი ენა) ისწავლებოდა; რესულ ენას 5 საათით მეტი ეთმობოდა; გერმანული ენის საათები შემცირებული იყო სამი საათით; მათემატიკას ერთი საათით მეტი ეთმობოდა; ფრანგული და



გერმანული ენა რუსეთის რეალურ გიმნაზიებში I კლასიდან მოგვიალეობის იწყებოდა. საქართველოში კი — II და III კლასიდან. საეჭვიშვილის სლავური ენა რუსეთში ისწავლებოდა, ჩვენში კი მხოლოდ რუსებისათვის იყო სავალდებულო.

ამრიგად, ადგილობრივი თავისებური პირობების საფუძველზე მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით სრულიად მართებული და მიზანშეწონილი ცვლილებები იყო. გატარებული სასწავლო გეგმვის. ეს ცვლილებები საერთოდ აუმჯობესებდა სასწავლო გეგმას.

ასე იყო თუ ისე, კავკასიის გიმნაზიები 1871 წლისათვის უკვე მუშაობდნენ ახალი სასწავლო გეგმით. ბოლოსდაბოლოს, გარკვეული და მტკიცე მდგომარეობა თითქოს შეიქმნა, მაგრამ ის ხან-მოქლე აღმოჩნდა. საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელად ტოლსტოის მიერ საიდუმლოდ მომზადებული და გატარებული ახალი რეფორმა გამოცხადდა და რუსეთის სკოლების განვითარების ისტორიაში ახალი პერიოდი დაწყუ.

1871 წლის 26 ივნისის ცირკულარით განათლების მინისტრმა ქვეყანას აუწყა 1864 წლის წესდების შეცვლა და ახალი, ჭერი კოდეკ გამოქვეყნებელი, წესდების ძირითადი საფუძვლები. ერთი თვის შემდეგ ახალი წესდებაც დამტკიცებულ იქნა და ამ ცირკულარისა და წესდების საფუძვლზე 1864 წლის სასწავლო გეგმები, და მასთან ერთად კავკასიის გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების 1867 წლის სასწავლო გეგმები გაუქმდა. დაიწყო ახალ სასწავლო გეგმებზე და პროგრამებზე სკოლების გადაყვანა.

განათლების მინისტრის ცირკულარისა და 1871 წლის წესდების გამოქვეყნებისთვანავე მზრუნველმა განკარგულება გასცა ახალი სასწავლო გეგმით მუშაობაზე გადასვლის შესახებ. ამ შემთხვევაში თითქმის არავითარი თავისებურება კავკასიისათვის დაშვებული არ ყოფილა. განათლების მინისტრი ტოლსტოი მოითხოვდა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ახალი წესდების მოელს იმპერიაში უცვლელად გატარებას.

კავკასიის სასწავლო ოლქიც დაუყოვნებლივ შეუდგა ამ წესდების გატარებას.

პირველი წლის განმავლობაში ახალ სასწავლო გეგმაზე მთლიანად გადაყვანილი იქნა მოსამზადებელი კლასი.

შეწყდა ბუნებისმეტყველების სწავლება; შემცირდა გაძვეთალების რაოდენობა ქართულ ენაში და ეს საგანი არასავალდებულო საგნად გამოცხადდა, ისიც მხოლოდ პირველ ოთხ კლასში, დაბალ კლასებში გაღიდდა საათები ლათინურ ენაში და მათემა-



ტრიაში, ბუნების მეტყველებისა და ქართული ენის საათების მუზეუმის  
ხარჯზე.

სრულიად ბუნებრივია, რომ, თუ სხვა საკითხებს არ მივიღებთ  
მხედველობაში, რუსული ენის პროგრამის იმავე მოცულობით და-  
ტვიცა საქართველოს გიმნაზიებში, როგორც ეს რუსეთში იყო,  
მეტისმეტად მძიმე მდგომერეობაში იყენებდა სკოლას, მოსწავლე-  
ებსა და მასწავლებლობას.

1872 წლის დებულებით რეალური გიმნაზიები რეალურ სას-  
წავლებლებად გადაკეთდა.

ამრიგად, 1872 წლიდან იწყება საქართველოს საშუალო სკო-  
ლების გადაყვანა ახალ სასწავლო-გეგმით მუშაობაზე.

მაგრამ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ სასწავლო გეგმების  
ზუსტად ისე გატარება, როგორც ეს რუსეთისათვის იყო დაწესე-  
ბული, ყოვლად შეუძლებელი იყო და ამიტომაც შემდეგ წლებში  
ზოგიერთი ცვლილება, ტოლსტოის დიდი წინააღმდეგობის მიუხე-  
დავად, მაინც იქნა გატარებული.

1872 წელს ნევეროვმა დირექტორების თათბირი მოიწვია იმ  
საკითხის განსახილველად, თუ რა სახით უნდა გატარებულიყო  
წესდება კავკასიაში.

დირექტორების ამ თათბირმა დამუშავა 1871 და 1872 წლე-  
ბის წესდებათა კავკასიაში გატარების წესები და ეს წესები წარ-  
დგენილ იქნა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში დასამტკი-  
ცებლად.

ამ წესებით სასწავლო გეგმაში შემდეგი ხასიათის ცალილო-  
ბები იყო ნავარაუდევი: 1) ერთ-ერთი ძველი ენის დატოვება  
ორის ნაცვლად, 2) საექლესიან-სლავური ენის სავალდებულო  
აღიარება მხოლოდ რუსებისათვის, 3) ბერძნული ენის სწავლების  
დაწყება IV კლასიდან ნაცვლად III კლასისა, 4) რუსული ენის და  
სიტყვიერების საათების გადიდება, 5) რეალური სასწავლებლების  
შვიდებასიანი კურსით დატოვება, 6) საათების საერთო როოდე-  
ნობის გადიდება რუსეთის გიმნაზიებთან შედარებით 10 საათით  
თბილისის გიმნაზიაში და 13 საათით ჭუთაისის გიმნაზიაში.

განათლების სამინისტროს სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად  
ამ პროექტის ძირითადი პუნქტები უარყოფილ იქნა უმაღლესი  
ინსტრანციების მიერ. მაგრამ ამასთანავე ზოგიერთი „თავისებურე-  
ბა“ მიინც დაუშვეს ამ მხრივ. ეს „თავისებურება“ შემდეგში მდგო-  
მარეობდა: 1) ბერძნული ენის სწავლება სავალდებულო არ იყო  
ჭუთაისის გიმნაზიაში; 2) პროგიმნაზიებში ბერძნული ენის სწა-  
ლება შემოღებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ მსურველთათვის;



3) ბერძნული ენის სწავლება სხვა გიმნაზიებში იწყებოდა IV კლასი  
სიდან ნაცვლად III კლასისა; 4) როგორც გიმნაზიებში, ისე გიმნაზიებში გიმნაზიებში ისწავლებოდა ერთი ახალი ენა და არა ორი, რო-  
გორც ეს იყო რუსეთში; 5) დაშვებულ იქნა საათების გადიდება  
რუსულ ენში და 6) აღვილობრივი ენები ჩრებოდა როგორც სას-  
წავლო გეგმის გარეშე საგანი, პირველ ოთხ კლასში, მხოლოდ  
მსურველთათვის.

რაიმე აჩავებითი ხასიათის მნიშვნელობა ამ ცვლილებებს არ  
ჰქონია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც რამდენიმედ აუმჯობე-  
სებდა სასწავლო გეგმას და ასე თუ ისე ანგარიშს უწივდა აღგი-  
ლობრივ პირობებს.

1873 წ. 22/XI-ს ეს ორნისძიებანი დამტკიცებული იქნა საკანონ-  
მდებლო წესით და 1873/4 სასწავლო წლიდან იწყება მისი ცხოვ-  
რებაში გატარება.

რას წარმოადგენდა ეს ახალი სასწავლო გეგმები?

კლასიკური გიმნაზიის ახალი სასწავლო გეგმა, დამტკიცებული  
1871 წლის 30 ივნისს, შემდეგი სახისა იყო:

მათემა- ტიკური კლასი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
1 საღვთო სკული . . . . .	4	2	2	2	2	2	1	1	1	13
2 რუსული ენა, საცეკვით სლავური ენით . . . . .	6	4	4	4	3	3	2	2	2	24
3 ლოგიკის მოქლე საფუძ- ვილი . . . . .	—	—	—	—	—	—	—	1	1	1
4 ლათინური ენა . . . . .	—	8	7	5	5	6	6	6	6	49
5 ბერძნული ენა . . . . .	—	—	—	5	6	6	6	7	6	36
6 მათემატიკა (ფიზიკა, მათ. გეოგრაფი, მოქლე ბუ- ნებისმ.) . . . . .	6	5	4	3	3	4	6	6	6	37
7 გეოგრაფია . . . . .	—	2	2	2	2	—	—	1	1	10
8 ისტორია . . . . .	—	—	—	2	2	2	2	2	2	12
9 ფრანგული ან ფრანგუ- ლი ენა . . . . .	—	—	3	3	3	3	3	2	2	19
10 სუფთა ჭრა . . . . .	6	3	—	2	—	—	—	—	—	5
ს უ ლ . . . . .	22	24	24	26	26	26	26	27	27	206



ამ გეგმის მიხედვით, როგორც ვხედავთ, ბერძნული ენა დამკრინილია მატა სასწავლო დისკიპლინების საერთო რიცხვს და ცალკე მაჯაგოთია ნად გამოიყო ლოგიკა; ბუნებისმეტყველება, ფიზიკა და მათემატიკური გეოგრაფია ამოვარდა სასწავლო გეგმილან, როგორც ცალკე სასწავლო დისკიპლინა და მათემატიკასთან იქნა გაერთიანებული. გადიდდა საათების რიცხვი ლათინურ ენაში 39-დან 49-მდე; ბერძნული ენის მოცულობა განისაზღვრა 36 საათით.

ამრიგად, ძველ ენებს დაეთმო სულ 85 საათი, რაც მთელი სასწავლო გეგმის 41,2% შეადგენს; საერთოდ კი ყველა ენებს ეთმობოდა 128 საათი ანუ მთელი სასწავლო დროის 63%-მდე. .

საათების ამ განაწილებიდან ნათლად ჩანს, რომ 70-იანი წლების კლასიკურ გიმნაზიის სწავლების კურსი განისაზღვრა მეცნიერული სასწავლო დისკიპლინების მაქსიმალურად შეკვეცით და ფილმალური განათლების ელემენტების უკიდურესობამდე გაძლიერებით; ამ სასწავლო გეგმის მიხედვით კლასიკური გიმნაზია, ისე-დაც ცალმხრივი განათლების სკოლა, უკიდურესი ცალმხრიობის გზით წავიდა.

თავისითავად ცხდია, რომ კლასიკური გიმნაზიის მთელი „საგანმანათლებლო“ ამოცანა განისაზღვრებოდა მხოლოდ ძველი კლასიკური ენების შესწავლით და მეცნიერული ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღება მას ას ქქონდა დავალებული. 1871 წლის სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის გამოსახული ეს მიზანდა-სახულობა.

ეს სასწავლო გეგმა კავკასიაზეც გავრცელდა იმ უმნიშვნელო ცვლილებებით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული. ასებითად შეიცვალა რეალური გიმნაზიის, აწ უკვე რეალური სასწავლებლის სასწავლო გეგმაც.

1872 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებული სასწავლო გეგმა რეალური სასწავლებლებისა. ითვალისწინებდა ექვსწლიან სასწავლო კურსს, მაშინ, როდესაც გიმნაზიის სწავლების კურსი 8 წლიანი იყო. ამით, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რეალური სასწავლებელი იქცა ასახულ საშუალო სკოლად. ბუნებრივია, რომ 6 წლის განმავლობაში საშუალო სკოლის კურსის დაძლევა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამსადან შესძამისად რეალურ სასწავლებელში საათების რაოდენობა შემცირდა ყველა სასწავლო დისკიპლინებში, ე. ი. შეიკვეცა ამ სასწავლო დისკიპლინების მოცულობა. ბუნებისმეტყველებას თუ წინა 23 საათი ჰქონდა დათმობილი, ახალი სასწავლო გეგმით საათების რაოდენობა ამ საგანში 6-მდე იქნა დაყვანილი;



ისტორიას — 8 საათი დაენიშნა წინანდელი 14 საათის ნაცეკლაუზე  
ფინიკის — 6 საათი — ცხრა საათის ნაცეკლად და ა. შ. გიგანტის

საათების ასე შემცირება საერთო განათლების საგნებში — ბუ-  
ნებისმეტყველებაში, ისტორიაში, ფიზიკაში, მშობლიურ ენაში და  
სხვა, ცხადია, აღაბლებდა მოსწავლეთა მომზადების დონეს და  
აქცეულებდა რეალურ სასწავლებლებს 60-იანი წლების მდგომა-  
რეობასთან შედარებით.

საათების ამ საერთო შეკვეცასთან ერთად, რამდენიმედ გადიდ-  
და საათები მათემატიკაში — 25-დან 28-მდე, მნიშვნელოვნად გაი-  
ზარდა საათების რიცხვი ხატვა-ხაზვაში და სუფთა წერაში —  
20-დან 36-მდე; შემოღებული იქნა ახალი საგანი — მექანიკა — 4  
საათი; გამოიყო ცალკე საგნად ქიმია — 4 საათი.

ეს ცვლილებები იმით იყო გამოწვეული, რომ მმართველობას  
განსაზღვრული ჰქონდა რეალური სასწავლებელი საერთო განათ-  
ლების ნაცეკლად ტექნიკური განათლების სკოლად ექცია და მა-  
ტომაც გაძლიერდა სწავლების კურსში ტექნიკური განათლების  
ელემენტები: მათემატიკა, მექანიკა, ქიმია და ხატვა-ხაზვა; დამა-  
ტებით განყოფილებებში მრავლად იყო მოცემული ტექნიკურ-  
პროფესიული განათლების საგნები და საერთოდ ყველაფერი ეს,  
ერთად აღებული, განსაზღვრავდა რეალურ სასწავლებელს, რო-  
გორც საშუალოშე დაბალი ტიპის საერთო განათლების სკოლას,  
პროფესიული განსრით.

რეალური სასწავლებლის ეს სასწავლო გეგმა კავკასიაში გავრ-  
ცალდა 1874 წ. 27 თებერვალს დამტკიცებულ კავკასიის რეალურ  
სასწავლებელთა სასწავლო გეგმის სახით. ცვლილება მხოლოდ  
იმაში მდგომარეობდა, რომ რუსულ ენის ჩვენში ეთმობოდა 27 სა-  
ათი (რუსეთში — 22) და ნებადართული იყო ქართული ენის სწავ-  
ლება მსურველთათვის, სასწავლო გეგმის გარეშე, 6 საათის მო-  
ცულობით; სხვა მხრივ არავითარი განსხვავება ას ყოფილა.

სასწავლო გეგმების ანალიზის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ  
კლასიკურ გიმნაზიაში მაქსიმალურად შეიცვეცა საერთო განათლე-  
ბის საგნები და უკიდურესობამდე გაძლიერდა კლასიკური განათ-  
ლების ელემენტები; რეალურ სასწავლებელში შეიცვეცა საერთო  
განათლების საგნები და გაძლიერდა პროფესიული განათლების  
ელემენტები. მაშასადამე, რეაქციის პერიოდმა ასებითად განლევ-  
ნა როგორც კლასიკური გიმნაზიის, ისე რეალური სასწავლებლის  
სწავლების კურსიდან მეცნიერებათა საფუძვლების ის ელემენტე-  
ბი, რაც წინათ ასე თუ ისე დაშვებული იყო კიდევ და მათ ნაცე-



ლად გააბატონა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი გამოცადებარი საბჭოთა შიგნიური მუზეუმი.

კატეკოლეონტივებისა და კლასიციზმის სხვა დამცველთა ლაშე-რობამ, მეცნიერული ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეია-რაღების წინააღმდეგ, თავისი ნაყოფი გამოიიტა.

პროგოვის მგზებაზე სიტყვები ნაადრევი სპეციალიზაციის წინააღმდეგ, რასაც ალფროვანებული შეეგება მთელი მოწინავე საზოგადოებრობა, ცარიზმმა დაასამარა.

ასეთი 70-იანი წლების ჩეაქციის ნაყოფი საშუალო განათლების დარგში იმ სასწავლო გეგმების მიხედვით, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ.

ამ სასწავლო გეგმებით უხდებოდა მუშაობა კავკასიის გიმნაზიებს 70-იანი წლის ბოლომდე. 1878 წლიდან, როგორც კი კავკასიაში განათლების საქმეს სათავეში ჩაუდგა სასწავლო ოლქის ახლადგანიშნული მზრუნველი იანვესკი, იერიში ამ სასწავლო გეგმებზედაც იქნა შეტანილი.

ოლქის მზრუნველმა თავისი „მოღავწეობა“ ამ დარგში იმით დაიწყო, რომ პედაგოგიურ საბჭოებს დაავალა გამოეთქვათ თავი-ანთი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება გატარდეს კავკასიის გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრული უნიფირაცია რუსეთის გიმნაზიების სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან.

ამ საკითხზე პედაგოგიური საბჭოების მიერ გამოთქმული მოსაზრებანი განხილულ იქნა მზრუნველის საბჭოს მიერ და კერძოთ, სასწავლო გეგმების შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანეს:

1. სასწავლო დისციპლინების საათების განაწილება საქსებით უნდა შეეფარდებოდეს 1871 წლს დამტკიცებული რუსეთის გიმნაზიების საათების განაწილებას. ზოგიერთი ცვლილება, რაც დაშეებული იყო საათების ამ განაწილებაში კავკასიის გიმნაზიებისათვის 1873 წლის წესების მიხედვით, უნდა გაუქმდეს; მხოლოდ რუსულ ენას უნდა დაემატოს რამდენიმე საათი დაბალ კლასებში.

2. შემოღებულ იქნას საათების განაწილების საერთო სქემა კავკასიის ყველა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის და ის განსხვავება, რომელსაც აღგილი პქონდა ცალკე სასწავლო დაწესებულებებში, უნდა აღმოიფხერას.

ამრიგად, მზრუნველის საბჭოს ეს დადგენილება აუქმებდა 1873 წლის წესებით დაშვებულ მცირეოდნ გადახვევებსაც საერთო სასწავლო გეგმიდან.



რა თქმა უნდა, პედაგოგიურ მოსაზრებათა მიხედვით გაუმართებელი იყო ეს ნაბიჯი: პედაგოგიური საბჭოების შეირგებლების მოსაზრებები ამ საკითხზე აჩ მიიღო მზრუნველოს საბჭომ მხედველობაში და გამოიტანა დადგენილება რუსეთის ვიზ-ნაზიებისა და პროგიმნაზიების სასწავლო გეგმებისა და პროგრა-მების კავკასიაში უცვლელად გატარების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე დამუშავებული სასწავლო გეგმა (საათების განაწილება) დაამტკიცა მეცის ნაცვალმა მიხეილმა 1879 წლის 24 მარტს.

ეს სასწავლო გეგმა მხოლოდ და მხოლოდ იმით განსხვავდებოდა რუსეთში მოქმედ სასწავლო გეგმებისაგან, რომ რუსულ ენას უკე-ლა კლასში 10 საათით მეტი ი ეთმობოდა რუსეთის გიმნაზიებთან შედარებით და ბერძნულ ენას კი ერთი საათით ნაკლები.

ამ გეგმის მიხედვით ბერძნული ენას სწავლება შემოღებულ იქნა III კლასიდან ნაცვლად IV-ისა, როგორც ეს რუსეთის გიმნა-ზიებში იყო.

ეს სასწავლო გეგმა უნდა შევაფასოთ როგორც მორიგი რეაქ-ციული ნაბიჯი.

ამიერიადან დაიწყო იანოვსკის თავაშვებული თარეში კავკასიაში და პირველი საჩუქარი, რაც მისგან მიიღო საშუალო სკოლამ, 1879 წლის სასწავლო გეგმა იყო.

პროგრამა 60-იანი წლების პირველ ნახევარში სასწავლო გეგმები ცენტრალიზებული არ ყოფილა და მათი შეცვლა ადგი-ლობრივ ხდებოდა მმართველობისა და თვით პედაგოგიური საბჭოს მიერ. ასეთივე მდგომარეობა იყო პროგრამების საკითხშიც.

მაგრამ ახალი სასწავლო გეგმის შემოღებასთან ერთად ნეკეროვი პროგრამების საკითხის მოწესრიგებასც შეუდგა.

მან გამოითხოვა ნებართვა მეცის ნაცვლისაგან მოეწვია ქ. თბი-ლისში საგნის სპეციალისტ-მასწავლებელთა ყრილობა პროგრამების შესადგენად. პირველი ყრილობა მოწვეულ იქნა 1866 წლის 15 დე-კემბერს. ყრილობას ესწრებოდა სტაციონალის, ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიის სიტყვიერების, ისტორიის და ბუნების-მეტყველების მასწავლებლები.

ყრილობის მონაწილეთაგან შედგა სამი კომისია და ამ კომი-სიებს დაევალა რუსული ენისა და სიტყვიერების, ისტორიისა და ბუნებისმეტყველების პროგრამების პროექტების შედგენა.

პროგრამები შედგენილ იქნა კომისიების მიერ, რაც სათანადო ინსტანციებში განხილვის შემდეგ დაიბეჭდა და მიეცა სკოლებს სახელმძღვანელოდ.

მასწავლებელთა II ყრილობა მიმდინარეობდა 1867 წლის დეკემბერში და 1868 წლის იანვრის 1 ნახევარში; ამ ყრილობამ დამტკიცირავთ უკავა პროგრამები ფიზიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიასა და კოსმიკური მართვისა და გრაფიკაში, ქიმიაში და ბუნებისმეტყველებაში.

შემდეგი წლების განმავლობაში დამუშავებულ იქნა პროგრამები და სხვა სასწავლო დასკვიპლინებშიც, სულ ხუთი ასეთი ყრილობა ჩატარდა და საბოლოოდ მუშაობა პროგრამებშე დასრულდა 1870 წელს.

კავკასიაში დამუშავებულ და გამოცემულ პროგრამებს რუსეთის პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამაც მიაქცია ყურადღება. კერძო, პედაგოგიური პრესა გამოხმაურა ამ პროგრამებს. ყურან „უყითეს“ ას 1869 წლის № 17-ში დაიბეჭდა მეტად სანალ „ უკავკასიაში და სალი პედაგოგიური ხსიათის რეცენზია კავკასიის მასწავლებელთა ყრილობის მიერ დამუშავებულ „რუსული ენისა და სიტყვიერების“ პროგრამის შესახებ.

ამ რეცენზიას პასუხი გასცა პროგრამის მთავარმა ავტორმა მოძალევსკიმ, რასაც მოჰყვა კამათი პრესის ფურცლებზე ამ პროგრამების გარშემო.

ყოველივე ამას აუცილებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგიური აზრის განვითარების თვალსაზრისით.

თვითონ ნევეროვი ამ მოვლენას შემდეგნაირად აფახებს: „ეს ყრილობები ოლვიძებდა მასწავლებლებში ცნობისმოყვარეობას, მის-წრაფებას თავისი ცოდნის გამდიდრებისაკენ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით, აფართოებდა მათ მეცნიერულ პორიზონტს და აწყობდა საგარი ანგარიშს თავისი მეცნიერულ შეხედულებათა და მოქმედებათა გამო“.

რა თქმა უნდა, ეს ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი სკოლების განვითარების ისტორიაში არ მიეწერება მხოლოდ ნევეროვის დვაწლს და დამსახურებას. საქმე იმაშია, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც 1864 წლის წესდება მოქმედებდა მთელს რუსეთის იმპერიაში და მათ შორის კავკასიაშიც და ამ წესდების ძალით პროგრამების ღამუშავება აღვილებზე სკოლებსა და სასწავლო ოლქებს ჰქონდათ მინდობილი. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაბოვაზი იყო 1864 წლის რეფორმისა და ამ მონაბოვარმა თავისი პირველი ნაყოფი კავკასიაშიც გამოილო. ნევეროვი კარგად იყენებდა ამ გარემოებას და ატარებდა ცხოვრებაში იმას, რაც 1864 წლას წესდებით იყო დაკანონებული.

მაგრამ ამ პროგრამებს ბევრი ნაკლიც ჰქონდა; მთავარი ამ ნაკლთაგანი იყო პროგრამების ფორმალური განათლების თეორიის



საფუძველზე აგება და ამავე დროს მათი გადატევირთვა მრავალი უცნებელი და ძნელი მასალით, თუმცა, როგორც ამას ჩევნ ქვემოთ უწარჩინება ხავთ, ეს პროგრამები ბევრად სკობდა განათლების სამინისტროს პროგრამებს, რომლებიც შემდეგ წლებში გამოვიდა.

ასე იყო თუ ისე კავკასიის გიმნაზიებს 1870 წლისათვის უკვე ჰქონდა მასწავლებელთა ყრილობის მიერ დამუშავებული პროგრამები და სკოლებიც ამავე პროგრამებით აწარმოებდა მუშაობას. მაგრამ სულ მოკლე ხაზში ეს პროგრამები განათლების სამინისტრომ გაიუქმა.

1871 წლის წესდების შედეგად დამტკიცებულ იქნა ახალი სასწავლო გეგმები. 1873 წელს კი გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ახალმა პროგრამებმა, რომლებიც დამტკიცებული იყო განათლების სამინისტროს მიერ რუსეთის გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის, შესცვალა ყველა აღგილობრივი პროგრამა.

მრიგად, 1873 წლიდან კავკასიის გიმნაზიებში შემოიღეს განათლების სამინისტროს პროგრამები.

1877 წელს განათლების სამინისტრომ პროგრამის ახალი სქემება გამოივიყენა, რაც რამე საყურადღებო ცვლილებას 1873 წლის პროგრამებთან შედარებით არ შეიცავდა.

ჩას წარმოადგენდა გიმნაზიების, პროგიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების ის პროგრამები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ კავკასიში 60—70-იან წლებში?

ამის გასარკვევად განვიხილოთ 60-იანი წლების ის პროგრამები, რომლებიც კავკასიის მასწავლებელთა ყრილობების მიერ იყო დამუშავებული და 70-იანი წლებიდან განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული.

რუსული ენისა და სიტყვიერების პროგრამა 60-იანი წლებისა შემდეგი სახით იყო განსაზღვრული.

მოსწავლეთაგან თავისუფალ კითხვას, წაკითხული ტექსტის გაეგბას და საერთო მომზადებას რუსულ ენაში იმდენად, რომ დაუბრკოლებლივ შესძლებოდათ სწავლა I კლასში.

I, II და III კლასებში მხოლოდ გრამატიკული და ენობრივი მასალა იყო გათვალისწინებული (მთელი სასწავლო დრო უნდა მოხმარებოდა ზეპირ და წერილობით მეცადინეობასა და ვარჯიშს ენის გრამატიკული ფორმების დაუფლების მიზნით).

IV კლასში. ისტორიული ხსიათის სტატიების გაცნობა უშინესების „Детский мир“-დან. მოსწავლემ უნდა შესძლოს მთავარი გმირების დახასიათება. გრამატიკიდან — სინტაქსი. რუსული

ენის პროგრამაში შედის აგრეთვე ლოგიკიდან: ცნება, მსჯელობა, დასკუნა; ფსიქოლოგიდან — საერთო ცნება ნიჭიერებათა შესახებ; კონვენიენტურობა აზროვნების მთავრი კანონები; გარეგანი გრძნობები, შეგრძნების და მესიერება, წარმოდგენა, წარმოსახვა, გონება, ჰეუა, ნებისყოფა, თეოთნებობა.

V კლასი 6 — იწყება სიტყვეერების შესწავლა, სტილის-ტიკა და პროზის თეორია.

V კლასშივე იწყება რუსული ენის თეორიის შესწავლა ძველი სლავური და ძველი რუსული ენის გამოყენებით. ამ მიზნით იყით-ხება და განიხილება კლასში ოსტრომიჩოვის სახარება და „Летопись Нестора“.

VI კლასში — გრძელდება ლიტერატურის თეორიის შესწავლა. მწერლებიდან დამატებით ისწავლება ტოლსტოი, ღოვანევსკი და ნეკროსოვი. შეტანილია პროგრამაში უცხოების ლიტერატურის ნიმუშები (ნაწყვეტები „ოდისეიდან“, ნაწყვეტები ვალტერ-სკოტისა და დიკენსის ნაწყერებიდან, ნაწყვეტები შექსპირის „მეფე-ლირიდან“). აღმოსავლეთის პოეზიაც არა უყურადლებოდ დატოვებული პროგრამის მიერ.

VII კლასში — გათვალისწინებულია ლიტერატურის ისტორიის სისტემატური კურსი.

ამ პროგრამის მიხედვით აშკარა ხდება, რომ რუსული ენის გრამატიკა უპირატესი ადგილი ეჭირა სწავლების კურსში. გრამატიკა ისწავლება დაწყებული მოსამზადებელი კლასიდან და დამთავრებული VII კლასით; ამავე დროს ლიტერატურული ნიმუშების განხილვა ხდება უმთავრესად გრამატიკულად და ამით ეს პროგრამა თავის წილს მიუზღავს გრამატიკულ კლასიციზმს.

პროგრამაში ვრცლად არის მოცემული ლიტერატურული მასალა — შეტანილია თითქმის რუსეთის ყველა გამოჩენილი მწერალი და მასთანავე დასავლეთ ეკროპის მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. პროგრამა არც აღმოსავლეთისა და არც ანტიკური ქვეყნების ლიტერატურულ საყაროს წარმომადგენლებს იყიძებს და მათ გარევაულ ადგილს უთმობს. ეს, რა თქმა უნდა, მაშინდელ პირობებში დადგებით მხარეა ამ პროგრამისა. მაგრამ მწერლობისა და მათი შემოქმედების ნიმუშების შეტანა პროგრამაში ამ შემთხვევაში სრულებით არ ნიშნავს ამ მწერლობის ნამდვილ შესწავლას.

არც ერთი ნაწარმოები არ არის მოცემული მთლიანად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლექსებს, იგავ-არაკებს და ბილინებს.

საუკეთესო ლიტერატურულ ნიმუშებიდან მხოლოდ ნაწყვეტე-



ბია აღებული და ისიც თითო-ორიოლა ნიმუშის მიხედვით. უფრო მატერიალურად ცხადია, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლური განვითარების მიხედვით ყოვლად შეუძლებელია. შეუძლებელია მწერლის შემოქმედების გაცნობა მისი შემოქმედების ცალკე აღგორების შესწავლით. კავკასიის გიმნაზიების რუსული ენისა და სიტყვიერების პროგრამის ეს სუსტი მხარე სწორადაა აღნიშნული „Учителъ“-ის. 1869 წლის №17-ში მოთავსებულ რეცენზიაში. ყოვლად გაუმართ-ლებელია, ვკითხულობთ ამ რეცენზიაში, ლიტერატურის შესწავლა ნაწყვეტებით; „Лучше знакомить учеников с немногими произведениями литературы, но только целыми (ხაზი რეცენზენტისაა.—ს. ს.)

თვითონ მოძღვავი, პროგრამის აცტორთაგანი, არ უარყოფს ამ დამახინჯებას.

ამრიგად, ლიტერატურამ მხოლოდ ცალკე ნაწყვეტების სახით ჰქონა აღგორებით ამ პროგრამაში და ამიტომაც ჩვენ ვასკვნით: თუ პროგრამაში შეტანილი იყო ესა თუ ის მწერალი, მაგალითად, პუშკინი, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მაშინდელ გიმნაზიაში პუშკინს პერნდა დათმობილი ის საპატიო აღგორები, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც კლასიკოს მწერალს, რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს.

მაშასადამე, პროგრამაში შეტანილი ლიტერატურული მასალა არ უზრუნველყოფდა ლიტერატურის შესწავლას, რადგანაც ერთი მხრივ, ამ მახალის შესწავლა ხდებოდა უმთავრესად ფორმის მიხედვით, გრამატიკული და სტილისტური განხილვის წესით და მეორე მხრივ, ცალკე აღგორება და ნაწყვეტები ნაწარმოებიდან თავითავად გამორიცხავდა ლიტერატურული შემოქმედების ნამდვილი შესაძლებლობას.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ისიც, რომ თუმცა პროგრამაში აღგორებით დასავლეთ ეკროპის მწერლებსა და პოეტებს, აღმოსავლეთის მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს, ანტიკური ლიტერატურის ძეგლებს, ხუცების ქადაგებებს და ვექილთა სიტყვებს, მაგრამ ქართული ლიტერატურიდან კი პროგრამაში არც ერთი ნიმუში შეტანილი არ ყოფილა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისის საშუალო სკოლაში და მეორე უმნიშვნელოვანეს აღმინისტრაციულ ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრში ქ. ქუთაისის გიმნაზიაში ისწავლება ფირდოსი, ისწავლება ვალტერ-სკოტი, დიკენსი, სერვანტესი და მთელი რიგი სხვა უცხოელი მწერლები, ხოლო რუსთაველი კი, სხვა ქართველ მწერლებზე რომ არაფერი ვთქვათ, დავიწყებულია. ქართველთა



რესული ენისა და სიტყვიერების პროგრამაში შეტანილია ლო-  
გია და ფსიქოლოგია. სასწავლო გეგმაში ეს საგნები არ არის,  
მაგრამ პროგრამის შემდგენთ განუზრახავთ შეაქსონ სასწავლო გეგ-  
მის ეს სახეები და ენისა და სიტყვიერების შესწავლას უკავშირე-  
ბენ მასალას ლოგიკიდან და ფსიქოლოგიდან. რა გამოდის აქედან?  
ორგანულად დაკავშირება შეიღწიველი ჩერგა. სისტემატური და  
საფუძვლიანი შესწავლა ამ საგნებისა შეუძლებელია, რადგანაც სა-  
თანადო დრო ამისათვის გამოყოფილი არ არის, მასალა-კი საქმაოდ  
ბევრია, განსაკუთრებით ფსიქოლოგიდან; ყოველივე ამის შედეგია  
პროგრამის გადატეიროთვა სრულიად ზეღმეტი ხელოვნურად შემო-  
ტანილი მასალით.

პროგრამა აუცილებლად მეტისმეტად გადატეიროთულია, განსა-  
კუთრებით V, VI და VII კლასებში.

აუარებელი მასალა გრამატიკიდან, მეტად ვრცელი მასალა ლი-  
ტერატურიდან, ძველი სლავური ენა, სიტყვიერების თეორია, ლო-  
გია, ფსიქოლოგია და სხვ. რასაც თან ერთვის აუარებელი წერითი  
სავარჩიშო მასალა გმინაზიის ყველა კლასში — მეტისმეტად ტვირ-  
თავდა მოსწავლე ახალგაზრდობას და ამავე დროს შეუძლებელს  
ხდიდა მოცემული მასალის ასე თუ ისე საფუძვლიან და მტკიცე  
შესწავლას.

ასანიშნავია ის გარემოებაც, რომ სისტემატურობას და თანა-  
ზომდევრობას არაეთარი ყურადღება არ ექცევიდა ლიტერატურის  
მასალის განლაგებაში. ლიტერატურის სისტემატური კურსის შეს-  
წავლა არც არის გათვალისწინებული, არამედ ცალკე ნიმუშებია  
აღებული ერთი მეორესთან დაუკავშირებლად.

ასეთი იყო რესული ენისა და სიტყვიერების პროგრამა, რო-  
მელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში აღენდა ჯერ მასწავლე-  
ბელთა ყრილობა და შემდეგაც სპეციალური კომისია.

აქვე უნდა აღნიშნოთ ერთი მომენტი, რომელიც ხაზგასმულაა  
ურნალ „უჩიტელ“-ში გამოვეყენებულ რეცენზიაში: „არც ერთი  
კომპეტენტური პედაგოგი არ დაიწყებს დავას, რომ უცხო ენის  
სწავლება იმავე უცხო ენითვე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც  
ბავშვებს ამ ენაზე არც ერთი სიტყვა არ ესმით — სისულელეა.“

მოუხედავად ამისა, აეტორები ერთ სიტყვასაც არ ამბობენ იმის  
შესახებ, რომ რესული ენის მასწავლებელმა აუცილებლივ უნდა  
იკოდეს ადგილობრივ მკვიდრთა ენა და, რომ ამ საგნის სწავლება  
ადგილობრივ მკვიდრთა მშობლიურ ენაზე წარმოებდეს“.



ამრიგად, პროგრამა სრულებით არ უწევს ანგარიშს იმ „შემთხვევაში რომ აქაურ გიმნაზიებში არარესებიც სწავლობდნენ, რომლებმაც უმეტეს შემთხვევაში სრულებით არ იციან რუსული ენა სკოლაში შესვლის დროს და მათმა მასწავლებელმა კი ბავშვების სალაპარაკე ენა. ყოვლად გაუმართლებელია ახეთი სწავლება პედაგოგიის თვალსაზრისით და დიდაქტიკური მოსაზრებით, მაგრამ ამ „წვრილმანს“ პროგრამა არ ითვალისწინებს და გულისხმობს, რომ ყოვლისშემატებელ თვალსაზრისით ნატურალური სწავლების მეთოდი ყოველივეს აღვილად გადალახავს.

კიდევ მეტი, მოძალუესკი ეკამათება „უჩიტელ“-ს და უტიტრად აცხადებს: ახეთი შემთხვევები სხვა ქვეყნებშიაც არის, მაგრამ ეს არ უშძლის ხელს სწავლების საქმეს (იხ. კავკასიის სსსწავლო ოლქის ცირკულარები, 1869 წ.).

არ იქნებოდა სწორი ხელალებით დაგვეგმო ეს პროგრამა; უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრამა დაწერა 60-იან წლებში და იმ დროის მიხედვით მას უცილებლად გარევეული დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. პროგრამის დადებითი მხარეებიდან უნდა აღნიშნოთ ის, რომ პროგრამა საქართველოს დროისა და აღგილს უთმობდა წერით სავარჯიშოებს და კლასგარეშე კითხვას; პროგრამაში შეტანილი იყო მასალა სიტყვიერების თეორიიდან და მასში მნიშვნელოვანი აღგილი ჰქონდა დათმობილი როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის ლიტერატურას.

პროგრამა უცილებლად უზრუნველყოფდა საქმოდ მაღალ მომზადებას რუსულ ენაში და სწორი წერილობითი და ზეპირი მეტყველების გამომუშავებას მოსწავლეებში.

რუსული და საეკლესიო-სლავური ენისა და სიტყვიერების პროგრამა 70-იანი წლებისა, დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ, რომელიც სავალდებულო იყო კავკასიისათვისაც და, რომლითაც შეიცვალა ჩვენ ჩერე ზემოთ განხილული პროგრამა, არსებითად განსხვავდებოდა 60-იანი წლების პროგრამისაგან. მთავრი ხაზი, რაც გატარებული იყო ამ პროგრამაში თავიდან ბოლომდე, ითვალისწინებდა ლიტერატურის ელემენტების მაქსიმალურ შეკვეცას და გრამატიკის უკიდურესად გაძლიერებას. ამის შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა ძირითადად შემდეგში მდგომარეობდა: მოსამზადებელი კლასისათვის პროგრამა ითვალისწინებდა რუსულ წერა-კითხვაში შემდგომ ვარგიშს (ნაგულისხმევი იყო, რომ მოსამზადებელ განყოფილებაში რუსული წერა-კითხვის კარგად მცოდნე ბავშვები შემოდიოდნენ) და საეკლესიო-სლავური ტექსტის კითხვას და თარგმნას.



I, II და III კლასებში ისწავლებოდა გრამატიკა, ეტიმოლოგია, უცრულებელი სინტაქსი და საექლესიო-სლავური ენა.

IV კლასში ისწავლებოდა საექლესიო-სლავური ენის გრამატიკა მთლიანად.

საექლესიო-სლავური გრამატიკის შესწავლა ხდებოდა ოსტრომორვის სახარების ტექსტებზე ვარგიშით და რუსული ენის გრამატიკისთან შედარებით. მორიგად, პირველი ოთხი კლასის განმავლობაში მთავრდებოდა მთელი რუსული გრამატიკისა და საექლესიო-სლავური ენის გრამატიკის შესწავლაც. მიუხედავად ამისა პროგრამა პირდაპირ ავალებდა მასწავლებელს შემდეგ V, VI, VII და VIII კლასებში გრამატიკის სისტემატურ განმეორებას ლიტერატურული ტექსტების გარჩევასთან დაკავშირებით.

IV კლასში მთავრდება მთელი გრამატიკა — ნათევამია პროგრამის განმარტებით ბარათში, — მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგ კლასებში არ ისწავლება გრამატიკა; პირველ, ყოველთვის მოიძებნება ისეთი ეტიმოლოგიური და სინტაქსური ფორმები, რომელიც მასწავლებელს საბას მისცემს განიმეოროს და აუსინას მოსწავლებს გრამატიკული ფორმები.

V კლასში ისწავლება სიტყვიერების თეორია და ლოგიკა. თუმცა კალკულის ცალკე საათი აქვს გამოყოფილი VII კლასის უფროს განყოფილებაში, მაგრამ V კლასში სხვადასხვა ტექსტის გარჩევასთან დაკავშირებით მოსწავლეებს ცნობები ლოგიკიდან და სიტყვიერების თეორიიდან ეძლევა.

VI და VIII კლასებში ისწავლება რუსული ლიტერატურა; მთავრი ყურადღება ექცევა ძველ მწერლობას: კურბაპი, კანტემირი, ვარი უცრულებელი კარამზინი, ფონვიზინი, კარამზინი და სხვა. ახალი მწერლობიდან პროგრამაში არა შეტანილი გონჩაროვი, ტურგენევი, ტოლსოტონი, დოსტოევსკი, ნეკრასოვი. უცხოეთის მწერლები უკლებლივ ყველა მოლებულია პროგრამიდან.

პროგრამა იძლევა მხატვრული ნაწარმოების შესწავლისა და გარჩევის მტკიცე სქემას და მითითებას, თუ რა სახით უნდა ხდებოდეს ნაწარმოების განხილვა. ამ სქემისა და მითითების მიხედვით ნაწარმოების განხილვა განსაზღვრულია შემდეგი სახით: 1) შინაარსის გაცნობა; 2) ნაწარმოების კონსტრუქცია, მისი ნაწილები; 3) ნაწარმოების განხილვა ენის მხრივ (გრამატიკა); 4) განხილვა სახისა და გვარის მიხედვით (სიტყვიერების თეორია); 5) ისტორიული კომენტარიები.

„შემოჩიმოთვლილ მოთხოვნილებათა გარდა, გრძნაზიაში მეტადინეობას კურსიდან რუსულ სიტყვიერებაში გამოირიცხება სხვა



სახის ყოველგვარი გარჩევანი და მიმართულებანი, რომლებიც ცეკვის  
ბილია ესთეტიკური ანუ მხატვრული, ფსიქოლოგიური და ჭრის მუშაობა  
ლური კრიტიკის სახელით და სხვ. მათი აღილი უნივერსიტეტშია  
და არა სამუალო სასწავლო დაწესებულებაში", ნათევამია პროგ-  
რამის განმარტებით ბარათში.

პროგრამაში გატარებული ეს ხაზი გამომდინარეობდა რეაქციის  
პერიოდის საერთო პოლიტიკიდან განათლების დაზღვში. ლიტერა-  
ტურა ერთ-ერთი ყველაზე საშიშ საგნად იყო მიჩნეული ცარიშმის  
მიერ და იდევნებოდა სკოლიდან. ამიტომაც ტოლსტიო 1871 წლის  
წესდების განმარტებით ბარათში წერდა: „გამოცდილებამ საქმაოდ  
გვიჩვენა, რომ წარმატებებს რუსულ ენაში არ უშრონელყოფს  
ამ საგნისათვის გამოყოფილი გაკვეთილების რაოდნობა, რადგა-  
ნაც მასწავლებლები შესაძლებლად ნახულობენ ეს გაკვეთილები  
გამოიყენონ (არა მარტო რუსულ სიტყვიერებაში, არამედ რუსულ  
ენაშიც) სრულიად სხვადასხვანაირი მსჯლობებისათვის, რომლე-  
ბიც არა მარტო უსარგებლოა, არამედ ზოგჯერ პარდაპირ სა-  
ზიანოა".

და აი სწორედ, რათა თავიდან იქნას აცილებული ეს მსჯელო-  
ბა, ესოდენ საშიში ცარიშმისათვის, პროგრამა გარკვეულ ჩარჩოებ-  
ში აყენებს მასწავლებელს და ჩარჩოები კი იმდენად ვიწროა, რომ  
გრამატიკისა და სიტყვიერების თეორიის ფარგლებს ვერ სცილ-  
დება.

ემ პროგრამაში საყურადღებოა ის მომენტიც, რომ რუსული  
ენა ერთგვარად მსახურის როლშიც არის გამოყვანილი ლათინური  
და ბერძნული ენების მიმართ და ეს გარემოება კი სისტემატურო-  
ბასა და თანამდიდრეობას ანგრევს გრამატიკის სწავლებაში.

ასე, მაგალითად, პროგრამის განმარტებათ ბარათში ნათევამია:  
I, II და III კლასებში რუსული გრამატიკის სწავლება შეთანხმე-  
ბულ უნდა იქნას ლათინური გრამატიკის სწავლებასთან... რუსული  
ენას მასწავლებელი ერთმოლოგიის სწავლების დროს ვალდებუ-  
ლია ხელმძღვანელობდეს იმ ტერმინოლოგით, რომლითაც ისწავ-  
ლება ლათინური ენა... რადგანაც II კლასში ლათინურ ენაში ის-  
წავლება როულ წინადადებათა კონსტრუქცია, რუსული ენის გა-  
კვეთილზე მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააცნოს მოსწავლებს  
პრაქტიკულად რთული წინადადებანი.

პროგრამაში მოცემული მთელი რიგი ასეთი სახის მითითებება  
უფლებას გვაძლევს ვიზუალო, რომ რუსულ ენას, განსაზღვრული  
მნიშვნელობით, მსახურის როლი ჰქონდა მიკუთვნებული.

მსახურის როლში გამოდიოდა აგრეთვე საეკლესიო-სლავურა



ენაც, მაგრამ არა თანამედროვე რუსული ენის, არამედ საღვთო სკულის მიმართ. საეკლესიო-სლავური ენის დანიშნულება ჯრივით მიეცა მოსწავლეთათვის საეკლესიო-სლავურ ენაზე დაწერილი რელიგიურია ხასიათის ტექსტების წაყითხვისა და გარჩევის ჩვევა. ამიტომაც მთელი მეცადინეობა საეკლესიო-სლავურ ენში მიმდინარეობდა ოსტრომიროვის სახარების ტექსტებზე ვარჯიშით.

პროგრამის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ რუსული ენის მასწავლებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლეებს საეკლესიო-სლავური გრამატიკის მთავარი ფორმები და I და II კლას-შივე. ამრიგად, თუმცა დაბალ კლასებში ჭერ კიდევ სლავური ენის გრამატიკა არ ისწავლება, მაგრამ მასწავლებელს მაინც ევალება გააცნოს მოსწავლეებს სლავური ენის ზოგიერთი ფორმა — საღვთო სკულის სწავლების გადავალების მიზნით. ასეთ პირობებში საეკლესიო-სლავური ენის გაკვეთალები უმთავრესად რელიგიური აღზრდის საქმეს ემსახურებოდა და არსებითად ჩელიგის გაკვეთილებს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ხანგრძლივობა გაღიდდა VIII კლასის გახსნით და აგრეთვე მოსამზადებელი განყოფილების რეორგანიზაციით, პროგრამა მაინც გადატარობული იყო — განსაკუთრებით IV კლასში. IV კლასში (კავკასიის სინამდვილეში) ახალი საგანი — ბერძნული ენა იწყებოდა. ამავე დროს ამ კლასში მთელი ძველი საეკლესიო-სლავური ენის გრამატიკის შესწავლა იყო გათვალისწინებული და რუსული ენას მთელი გრამატიკის განმეორება. IV კლასის მოსწავლეებს უხდებოდათ საერთოდ მთელი მასალის განმეორება ყველა საგანში, რაც კი მათ ჰქონდათ გავლილი I კლასიდან დაწყებული, რადგანაც IV კლასი გამოსაშევებ გამოცდებს აბარებდა. ყოველივე ეს აუცილებლად შეტისმეტად მძიმე მდგომარეობას უქმნიდა ამ კლასს.

პროგრამა დიდ ადგილს აუთმობდა წერით სავარჯიშოებს; წერით სავარჯიშოები სრულდებოდა როგორც კლასში გაკვეთილები, ისე საშინაო დავალებათა სახითაც. მოსწავლის მიერ დაწერილ თხზულებას არ მოეთხოვებოდა არც სიახლე და არც აზრთა ორივინალობა, არც შინაახსის სისრულე და არც ენის სალამაზე (პირდაპირ ასე მითითებული პროგრამაში). თხზულება დაწერილი უნდა ყოფილიყო სწორი, სუფთა და ზუსტი ენით; აზრთა გაღმოცემაში უნდა დაეცვათ ლოგიური კატეგორია და თანამიმდევრობა. შინაახსის კი უნდა ახასიათებდეს ბუნებრიობა და ისეთი აზრები, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულებაშია თემასთან.

მოკლედ, მოსწავლეს არ მოეთხოვებოდა კრიტიკულა აზროვნე-



ბა, ორიგინალური აზრები, შემოქმედებითი უნარი არც ფორმისა  
და არც შინაარსის მხრივ და არამც თუ არ შოთხოვებოდეს არამც მეღ  
პარდაპირ ექრალებოდა კიდევ.

ამის შესახებ პროგრამის კავკასიელი ავტორები აშკარად წერ-  
ლენენ: „მოსწავლის დამოუკიდებლობა და თეოტოქმედება უნდა  
გამოიხატოს არა მისი შემოქმედების წარმოსახვიში, რომელიც  
ჯერ კიდევ მძაფრი და ატაცებულია, არამედ შესწავლილი მასალის  
სოლილურ ანალიზსა და ზუსტ ანგარიშში“.

მოსწავლეთა მიერ შესრულებული წერითი სამუშაოები, მათი  
აზრით, „ცარაელ ავტორობასა და კრიტიკულ ჩხირკედელობას კი  
არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ უპირატესად წაკითხულისა და  
შესწავლილის სერიოზული ანგარიში უნდა იყოს“.

ასეთი აუც ის მოთხოვნილებები, რასაც პროგრამა უყენებდა-  
წერით საგარენიშოებს გიმნაზიის უფროს კლასებში.

ლათ ინ უ რ ი ე ნ ა. — დაწყებული პირველი კლასიდან და  
დამთავრებული VIII კლასით ისწავლებოდა გრამატიკა; II კლასი-  
დან გრამატიკასთან ერთად იწყებოდა ლათინურ ენაზე დაწერილი  
ძეგლების კითხვა და გარჩევა.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 49 საათიდან გრამატი-  
კას უმობდა 26½ საათს; დანარჩენი 22½ საათი ლათინურ ავ-  
ტორთა კითხვას. მედინსკი აღნიშნავს: „ავტორთა კითხვის დროს  
უმთავრესად მოითხოვდნენ საფუძვლიან გრამატიკულ და სინტაქ-  
სურ გარჩევას“. დიდი დრო და ადგილი ჰქონდა დამობილი წე-  
რით სამუშაოებს — თარგმანს რუსულიდან ლათინურად და პირ-  
შეუ.

ასეთივე მდგომარეობა იყო ბერძნულ ენაშიც: ბერძნულ ავ-  
ტორთა კითხვა იწყებოდა ქსენოფონტეთი, სწავლების II წელს;  
პროგრამა მოითხოვდა მოსწავლეთაგან თვითონ წაეკითხათ მთე-  
ლი რიგი სხვა ავტორები და აგრეთვე ამავე ავტორთა სხვა თხზუ-  
ლებანი.

ავტორთა კითხვას პროგრამა მოითხოვს შემდეგი სქემის მი-  
ხედვით: 1) კითხვას წინ უძლვის ავტორის მოკლე პირვანებია;  
2) კითხვისას მთავარი ყურადღება ექცევა სიტყვების ცოდნას,  
გრამატიკულ ფორმებს. მოსწავლეებს ცნობები ტექსტის მოთხოვ-  
ნილების მიხედვით ეძლევათ ისტორიიდან, გოგრაფიიდან, სი-  
ტყვიერებიდან, 3) თარგმნა უნდა იყოს პირველ ხანებში სიტყვა-  
სიტყვითი და ამავე დროს ისე, რომ თარგმნა ახლო იყოს ორიგა-  
ნალთან. ამისათვის სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი აღვალი განმეორე-  
ბული უნდა იქნას ლიტერატურული ენით; 4) მოსწავლეებს მო-



ეთხოვებათ დროგამოშვებით წაკითხულის ზეპირად გაღმოცემა რაც რაც რაც რაც; 5) პოეტური ნაწარმოები იქთხვის მიზანით ნაწილ-ნაწილად, გარდა რთული ლირიკული ადგილებისა ბერძნული ტრაგიდიიდან.

წერითი ვარგიში ლათინურ ენაში უმთავრესად მოითხოვს რუსულიდან ლათინურად თარგმნას.

როგორც ვხედავთ, ლათინური და ბერძნული ენების პროგრამა აუარებელ მასალას შეიცავს. ერთფერივანი, მოსაწყენი და მოსაბეჭრებელი სახისაა მთელი ის მუშაობა, რაც ამ საგნებში ტარდება, როგორც კლაში, ისე საშინაო დავალებათა სახით. დაუსრულებელი ვარგიში გრამატიკულ ფორმებზე, წერილობით და ზეპირად; თარგმანი ტექსტებისა, რომელთა შინარხი მოსწავლეთათვის გაუგებარი იყო ყოველ შემთხვევაში სწავლების II და III წელს, მრავალი საზეპირო მასალა, მოწავეთათვის უცხო და სინამდვილისაგან მოწყვეტილი, კლავდა ბაქშებში ყოველგვარ ინტერესს ამ ენებისა და ენებზე დაწერილ ძეგლებისადმი.

60-იანი წლების პროგრამებთან შედარებით ლათინური ენის ამ პროგრამის განსხვავება მდგომარეობს მასალის სიდიდეში. წერითი და ზეპირი სავარგიშოების რაოდენობაში და საერთოდ გაცილებით მეტ მოთხოვნილებაში ცოდნის მხრივ, ვიღრე ეს წინათვით. ბერძნული ენა კი, როგორც უკვე გვქონდა ონიშნული, სრულებით არ ისწავლებოდა 60-იან წლებში და მხოლოდ ახალი სასწავლო გვემოთა და პროგრამით იქნა შემოღებული.

მათე მატიკა. მასალა მათემატიკაში შემდეგი სახით იყო განაწილებული: არითმეტიკა იწყებოდა I კლასში და მთავრდებოდა III კლასში; ალგებრა იწყებოდა III კლასში და მთავრდებოდა VII კლასში ნიუტონის ბინომითა და ჯუფთა თეორიით; გეომეტრია ისწავლებოდა IV—VII კლასებში; მთავრდებოდა გეომეტრიის კურსი გეომეტრიული სხეულის მოცულობათა და ზედაპირის გამოანგარიშებით. VII კლასში ხდებოდა გეომეტრიის სრული კურსის განმეორება. ტრიგონომეტრია იწყებოდა და მთავრდებოდა VII კლასის უფროს განყოფილებში (იგივე VIII კლასი).

მათემატიკური გეოგრაფია ისწავლებოდა VII კლასში, იწყებოდა პორიზონტით და მთავრდებოდა კეპლერის კანონითა და კომეტებით.

ფიზიკის პროგრამა ითვალისწინებდა:

VI კლასში — მოძღვრებას მაგარ, თხევად და გაზობრივ ნივთიერებათა შესახებ.

VII კლასში — სითბო, მაგნეტიზმი, ელექტრობა.



VIII კლასში — (VII კლასის უფროსი განყოფილება) — სინათ-  
ლე, მოძრაობა, ხმიანობა, ოპტიკური მეტეორები.

მათემატიკაში შედიოდა აგრეთვე ბუნებისმეტყველებაც; ბუნე-  
ბისმეტყველებას ეთმობოდა 2 საათი VI კლასში და შეიცავდა ზო-  
ლოგიას, ბოტანიკას და აღამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას;  
ბუნებისმეტყველების პროგრამიში შეტანილი იყო აგრეთვე ზო-  
გიერთი მასალა ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიადან და მინერალო-  
გიიდან.

ამრიგად, ორი საათის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში  
მაშტავლებელს უნდა ესწავლებინა მოწავეთათვის ბოტანიკაც, ზო-  
ლოგიაც, აღამიანის ანატომია და ფიზიოლოგიაც და ამასთანავე  
მინერალოგია და ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია. მასალათა ასეთი  
სიმრავლის პირობებში ღროის იმ მოკლე მონაცემზე, რაც ბუნე-  
ბისმეტყველებას ჰქონდა დათმობილი, მოწავეები საფუძვლიანად  
ვერაფერს სწავლობდნენ.

60-იან წლებში ბუნებისმეტყველებას 8 საათი ჰქონდა დათმო-  
ბილი, მასალაც გაცილებით ნაკლები იყო შეტანილი, მაუხელავად  
ამისა, მაშინაც ბუნების მოვლენათა მხოლოდ იღწერით კრაიოფილ-  
დებოდა პროგრამა და არც ერთი მოვლენის ახსნა სწავლების კურ-  
სით გათვალისწინებული არ ყოფილა. 70-იან წლებში ბუნებისმეტ-  
ყველების საათები 75%-ით შემცირდა, მასალა გაიზარდა და ყო-  
ველივე ამის შედეგად ეს სასწავლო დისციპლინა აჩსებითად ამო-  
ვარდა სწავლების კურსიდან.

ბუნებისმეტყველების ასეთ პირობებში ჩაყენება გასაგები იქ-  
ნება, თუ მოვიგონებთ იმ დისკუსიას, რაც წარმოებდა აღნიშნულ  
პერიოდში განათლების ხასიათის საკითხებზე და იმ პოზიციას, რო-  
მელიც ეკავათ ბუნებისმეტყველების მიმართ კლასიციზმის მომხრე-  
ებს. ბუნებისმეტყველება მიჩნეული იყო რეალური განათლების  
საგნად და ყოველივე რეალურ განათლებასთან დაკავშირებული  
იდევნებოდა სკოლიდან. ბუნების მოვლენების მეცნიერული ახსნა  
არ შეიძლება დაშვებული ყოფილიყო მაშინ სკოლაში, სხვა არა  
იყოს რა რეალიგიური აღზრდის თვალსაზრისით. ამიტომაც, სას-  
წავლო გეგმით ბუნებისმეტყველების საათები შეიცველა, ხოლო  
პროგრამა კი ისე იქნა შედგენილი ამ საგანში, რომ აჩავითარ მეც-  
ნიერულ ცოდნას ბუნების მოვლენათა შესახებ მოსწავლე არ ღე-  
ბულობდა.

ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ერთი  
მეტად საგულისხმო ფაქტი: რეალურ სასწავლებელთათვის მაშტავ-  
ლებელთა ყრილობის მიერ დამუშავებული პროგრამის განმარტე-



ბით ბარათში ბუნებისმეტყველების სწავლების მიზნად მიჩნად მიჩნეული იყო „ბუნებაზე მთლიანი წარმოდგენის მიცემა“. პროგრამის მიზანი იყო ხილვის ღროს სასწავლო ოლქის წარმომადგენელმა განაცხადა: „ბუნებაზე მთლიანი წარმოდგენა შეუძლია მოგვცეს რელიგიაშ და ფილოსოფიაშ და ორა ბუნების ისტორიის (Учителя естественности и истории) მასწავლებელმა თავიანთი ზოგადი დასკვნებით“.

მათემატიკაში კი პროგრამა სისტემატურ-ელემენტარულ კურსს ითვალისწინებდა. პროგრამა ამ შემთხვევაშიაც გადატევირთული იყო, განსაკუთრებით ტრიგონომეტრიაში და გეომეტრიაში. ცხადია, რომ ერთი წლის განმავლობაში ორ საათიანი გაკვეთილების ფარგლებში ტრიგონომეტრიის დაძლევა შეუძლებელი იყო.

ფიზიკაში ძალზე შექვეცილი კურსი იყო გათვალისწინებული პროგრამით.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვა საგნებიდან აღსანიშვია ისტორია და გეოგრაფია.

60-იანი წლების პროგრამით გეოგრაფიის სწავლება იწყებოდა II კლასიდან და მთავრდებოდა V კლასში; კავკასია გამოყოფილი იყო ცალკე შესწავლის ობიექტად; ახალი პროგრამით კი გეოგრაფია მთლიანად ისწავლებოდა I—IV კლასებში, განმეორება ხდებოდა VII კლასში და ხელახლა შესწავლა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა VIII კლასში; კავკასია ისწავლებოდა ისე, როგორც სხვა გუბერნიები რუსეთის იმპერიისა.

ახალი პროგრამით გეოგრაფიაში მოსწავლეებს მეტი მასალა ეძლევათ.

პედაგოგიური თვალშაზრისით არ შეიძლებოდა გაგვემართლებინა ის გარემოება, რომ გეოგრაფიის სწავლება წყდებოდა მთელი ორი წლის განმავლობაში და შემდეგ ხელახლა იწყებოდა თავიდანვე. IV კლასიდან VII კლასამდე მოსწავლეს ბევრი რამ ავიწყდებოდა. ამიტომაც, ის თითო საათი, რომელიც გეოგრაფიის პერიოდა დათმობილი VII—VIII კლასებში, სრულებითაც არ იყო საქმარისი პროგრამით გათვალისწინებული მასალის დასაძლევად.

გეოგრაფიის სწავლებაში პროგრამა ღიდ ადგილს უთმობდა რუსებზე ვარჯიშს და რუსების შედგენას თვით მოსწავლეთა მიერ. პროგრამა მოითხოვდა მოსწავლეთაგან ცალკე ქვეყნების რუსის დახატვას ზეპირად.

ისტორია ისტორია საეჭვო ღირსების სასწავლო დასკვიპლინად იყო მიჩნეული. განსაკუთრებით ეკრობის ახალ ისტორიაში ხედავდა ცარიზმი საფრთხეს მონარქიისათვის და ამიტომაც ყველა



ზომა იყო მიღებული ისტორიის მთელი კურსის ქველი ქვეპეტიონული ისტორიამდე დასაყავანად. „გიმნაზიაში ისტორიის სწავლების შემცირება ვაჩ საგნად ქველგან ითვლება (და სავსებით სამართლიანდაც) სამშობლო ქვეყნისა და ქველ კლასიურ ხალხთა ისტორია“, წერდა და განათლების მინისტრი 1871 წლის წესდების განმარტებით ბარათში.

„რამდენადაც ნაკლებ აქტივიან გიმნაზიებში საკუთრივ ისტორიას და რამდენადაც უფრო გააუნიბენ ახალგაზრდობას ქველ კლასიურ ხალხთა ცხოვრებას, ეს მით უფრო უკეთესი იქნებოდა საერთოდ მეცნიერებისათვის და განსაკუთრებით ისტორიული მეცნიერებისათვის“, ვკითხულობთ იქვე:

„გავვეთილების ზედმეტ რაოდენობას, რომელიც ისტორიისათვისა გამოყოფილი, მივყევართ იმისაკენ, რომ მასწავლებლები მოწაფებს აწედიან ან მეტისმეტად დაწვრილებით ცნობებს, რაც გონიერს უსარგებლოდ ტვირთავს, ან ისტორიულ პირებსა და მოვლენებზე ზოგად შეხედულებებს, რომელიც ხელს უშლის ახალგაზრდობის სწორ გონიეროვ და ზნეობრივ განვითარებას“.

განათლების მინისტრის ეს სახელმძღვანელო მითითებები ისტორიის სწავლების შესახებ განსაზღვრავდა ისტორიის სწავლების კურსს გიმნაზიაში და იმ საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც უნდა ყოფილიყო აგებული ისტორიის პროგრამა.

პროგრამა ორ ნაწილად იყოფოდა: ეპიზოდური კურსი III—IV კლასში და სისტემატური კურსი — V—VIII კლასში; ეპიზოდური კურსი შეიცავდა პერიოდს ქველი აღმოსავლეთის ისტორიით დაწყებული და დამთავრებული რუსეთის ისტორიიდან იმპერიატორი ალექსანდრე I-ით. მძრიად, ორი კვირეული სათასის ფრაგმებში ორი წლის განმავლობაში 14—15 წლის ასაკის ბავშვებს უნდა შეესწავლათ: ძელი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია, საშუალო საუკუნეებისა და ახალი ისტორია, რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით. სიტორიიდან აღებული იყო მხოლოდ ცალკე ეპიზოდები, ერთი მეორისაგან მოწყვეტით და ყოველგვარი კავშირის გარეშე; პროგრამაში შეტანილი იყო ცალკე ისტორიული ფაქტები და აუარებელი ქრისტიანობის თარიღი, რომელთა განხეპირება სავალდებულო იყო მოსწავლისათვის და ყოველივე ამას ეწოდებოდა ისტორიის ეპიზოდური კურსი. განათლების მინისტრი იმასაც კი მოითხოვდა, რომ პირველწყაროების მიხედვით ყოფილიყო შესწავლილი საბერძნეთისა და რომის ისტორია.

V—VIII კლასებში ისწავლებოდა ისტორიის სისტემატური 94



კურსი; მასალა შემდეგნაირად იყო განაწილებული: V კლასში შემცირებული საბერძნეთისა და რომის ისტორია; VI კლასში — სასწავლო წლის პირველი ნახევარი — შუა საუკუნეები რეფორმაციით დამთავრებული; მეორე ნახევარი — რუსეთის ისტორია რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობიდან დაწყებული ითანე მრისხანემდე; VII კლასი — ეკროპის ახალი ისტორია საფრანგეთის რევოლუციამდე და მასთან ერთად რუსეთის ისტორია. VIII კლასში შთავრდებოდა რუსეთის ისტორია XIX საუკუნის 60-იანი წლებით. ამავე კლასში ხდებოდა განმეორება ისტორიის მთელი მასალისა და რომისა და საბერძნეთის ისტორიიდან განვლილი კურსის შევსება ახალი მასალებით. საერთოდ, VIII კლასში მეტი დრო ეთმობოდა საბერძნეთსა და რომს.

განმარტებითი ბარათი მასწავლებლებისაგან მოითხოვდა:

- 1) ისტორიის სწავლების რელიგიურ აღზრდასთან დაკავშირებას; 2) რუსეთის დახასიათებას, როგორც ფორპოსტისას აზიელ ბარბაროსთა წინააღმდეგ; 3) მოწაფეთათვის იმ აზრის შთაგონებას, რომ პლებების ბრძოლა პატრიციების წინააღმდეგ ხასიათდებოდა ზომიერებითა და თავშეკავებით ორივე მხრივ და ამასთანავე გმორიბითა და თავდადებით გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში; 4) ისტორიული ამბების გადაცემის ღროს უნდა გამოტოვებულიყო ყველაფერი, რასაც შეეძლებოდა რევოლუციური განწყობის გამოწვევა მოწაფეებში; 5) შუა საუკუნეებისა და რუსეთის ძველი დროის ისტორიის განხილვას საბერძნეთისა და რომის ისტორიისთან დაკავშირებით; 6) რუსეთის როლის ჩვენებას დასაცლეთ კვრობის ისტორიულ მოვლენათა განვითარების საქმეში; 7) დაწვრილებით შესწავლას ძველი ქვეყნებისა და რუსეთის იმ ისტორიული პირებისას, რომელთაც მეტი სარგებლობა მოუტანეს ქვეყნას და სხვ. ეს და მთელი რიგი სხვა მსგავსი რეცეპტები განსაზღვრავლენ ისტორიის სწავლების მიზანდასახულობას და მიმართულებას.

მინისტრის მითითებებმა და ამ მითითებათა საფუძველზე იგბულმა პროგრამამ აქციეს „гимназический курс истории вспомогательно пропаганду монархизма“ (მედინსკი, რუსეთის პედ. ისტორია, ვ. 337).

თავისთავად ცხადია, ისტორიის პროგრამაში არც 60-იანი და არც 70-იან წლებში საქართველოს ისტორიიდან არაფერი არ ყოფილა შეტანილი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა საღვთო სჯულს. პროგრამა ითვალისწინებდა სისტემატურ კურსს დაწყებული ლოცვე-

ბითა და ძველი აღტქმათ და დამთავრებული მსოფლიო და რუსეთი /  
კურნალური განვითარების სამსახურის მიერთვის მიზანის მიზანის  
თას ეკლესიის ისტორიით.

უცხო ენა მეორე ხარისხსოვანი საგანი იყო. პროგრამა საკუთრივად კურსის დამთავრებისას მოსწავლეს შესძლებოდა ისტორიუ-  
სოვლა კურსის დამთავრებისას მოსწავლეს შესძლებოდა ისტორიუ-  
სოვლი და თხობითი ხასიათის ტექსტების თარგმნა უხეში შეცდომე-  
ბის გარეშე. უცხო ენის სწავლებისგან მთავარი ყურადღება გრამა-  
ტიკის მეცნიერება.

ზემომყვანილი საბუთების საფუძველზე შესაძლებელია გამოვიტანოთ საერთო დასკვნა პროგრამების შესახებ: კლასიკური გიგანტის სასწავლო პროგრამები საცხებით შეფარდებული იყო ფორმალური განათლების ამოცანებთან და ამის მიხედვით ფორმალური ელემენტების უკიდურესობამდე გაძლიერებასთან ერთად ძლიერ შექვეცილად და დამახინჯებულად იყო მოცურმული მასალა მეცნიერებათა სხვადასხვა დარგიდან. პროგრამა მეტისმეტად იყო გადატვირთული და ანგარიშს აჩ უწევდა მოსწავლეთა ასაკობრივ თავის სებურებას, მათ შესაძლებლობასა და უნარს. პროგრამა აჩ იყო შეფარდებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების რაოდენობასთან; პროგრამაში ზუსტად იყო გატარებული ცარისმისათვის მასალები იდეოლოგია და ამ იდეოლოგიის შესაბამისად იყო განვითარებული ყოველი მასალის დამუშავება. პროგრამა უსაზღანსაზღვრული ყოველი მასალის დამუშავება. პროგრამა სამინიონეროდ ტვირთავდა მოსწავლეებს, როგორც საკლასო, ისე სამინიონებითა და სავარჩიშოებით. ის იმდენად დიდ მოთხოვნილებას უყენებდა მოსწავლეებს, რომ მისი შესრულება მხოლოდ გაბანა უკავებდა 70-იანი წლების პროგრამებისა 60-იანი წლების პროგრამებთან შედარებით გამოიხატებოდა: 1) ფორმალური განათლების ელემენტების გაძლიერებაში; 2) საერთო განათლების ელემენტების შეკვეცაში; 3) საერთო ტვირთვის მნიშვნელოვნად გადიდებაში და 4) კერძო, საქართველოსათვის კა იმ განსხვავებათა ლიკვიდაციაში, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით იყო დაშვებული 60-იან წლებში.

ମୁଦ୍ରାକାରୀ ପାଇଁ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଏବଂ ଉତ୍ସାହିତ ଜଗନ୍ନାଥଙ୍କିରଣ ଶରୀରରେ

ରୋଲ୍ଯୁମ୍ ସାହିତ୍ୟରେ ପାଇଁ ଏକ ଅନୁଭବ ହେଉଥିଲା । ଏହାର ପରିମାଣ ମେଦିନୀର ବିଷୟରେ ଆଧୁନିକ ଶାଖାରେ ଉପରେ ଥିଲା । ଏହାର ପରିମାଣ ମେଦିନୀର ବିଷୟରେ ଆଧୁନିକ ଶାଖାରେ ଉପରେ ଥିଲା ।

70-იან წლებშიც ძირითადად შენობებულია ერთხაიმი აოგზადა საერთო საგნებში. რუსული ენა და სიტყვიერების საერთო კურსი შეფარდებულია გიმნაზიის კურსთან, მაგრამ რადგანაც რეა-



ლურ სასწავლებელში საათების რაოდენობა ნაკლებია, შემცირებული ბუღალტერა მასალა, უმრავრესად ძეგლი ლიტერატურული ტურა, რეალურ სასწავლებელში მოწაფეებს უცხო ენაში მეტი მოთხოვნილებანი ჰქონდათ წაყენებული. კურსის დამთავრებისას მოსწავლეს მოეთხოვებოთავა: აღვილად წაეკითხა და გაეგო უცხო ენაზე დაწერილი საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ისტორიული ხასიათის სტატია; დამოუკიდებლად უნდა შეედგინა და დაეწერა არართული კორესპონდენცია უცხო ენაზე საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ხასიათის საყითხებზე; გეოგრაფიასა და მათემატიკურ გეოგრაფიაში პროგრამა ძირითადად ემთხვეოდა გიმნაზიის პროგრამას; დამატებით კომერციულ განყოფილებაში ისწავლებოდა კომერციული გეოგრაფია, რომელიც ვაჭრობის საკითხებს განიხილავდა გეოგრაფიულ ასკექტში; ასე, მაგალითად, სავაჭრო მნიშვნელობა სამიმოსვლო გზებისა და გადასაზიდ საშუალებათა; ზღვები ვაჭრობასა და მრეწველობასთან დაკავშირებით და ა. შ. ისტორიიში მსოფლიო ისტორიის კურსი განსაკუთრებით შემოქლებულია; მთავარი ყურადღება ექცევა რუსეთის ისტორიას და უმთავრესად ვაჭრობა-მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების ისტორიას. ამ თვალსაზრისით სპეციალურად გამოყოფილია რომანვების ხანა, ხოლო აღრინდელი პერიოდი მოკლედ, ეპიზოდურად ისწავლება; რეალური სასწავლებლის მათემატიკის პროგრამა მეტ მოთხოვნილებას შეიცავს, ვიღრე გიმნაზიისა; კერძოთ, გეგმაში ზღვართა ორორიის ელემენტებიც არის მოცემული; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ალგებრის გამოყენებას გეომეტრიაში; სწავლების კურსში შეტანილია აგრეთვე მსაზღველობითი გეომეტრიის დაწერებითი კურსი.

ბუნებისმეტყველება შედარებით ვრცლად არის მოცემული, ხოლო კომერციულ განყოფილებებში ამ საგნის სწავლების დროს ყურადღება გამახვილებულია მრეწველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მაგალითად: რა მასალას იძლევა ბუნება მრეწველობისათვის, რა მასალისაგან რა პროცესები მზადდება და ა. შ.

ქიმიის სწავლების მოცანა ძირითადად იმით განისაზღვრებოდა, რომ ყმაწვილები მომზადებინათ სამრეწველო დარგში საქმიანობისათვის.

ამას ემატებოდა რეალური სასწავლებლის დამატებით კლასებში გათვალისწინებული სპეციალურ-პროფესიული ხასიათის საგნები.

საერთო განათლების საგნებს გამოყენებითი მეცნიერების განხრა აქვს მიცემული: ისტორია — ტექნიკის ისტორიის სახეს იღებს, უცხო ენის სწავლება ვაჭრობა-მრეწველობის ამოცანებთან არის



შეფარდებული; ბუნებისმეტყველების სწავლება პროდუქციული  
წარმოების საკითხებს უკავშირდება.

ახლა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენდა ქართული ენის პრო-  
გრამა იმ პერიოდში, როდესაც ეს საგანი ჯერ კიდევ ისწავლებოდა.

აς სრული ტექსტი ქართული ენის პროგრამისა, რომლითაც მიმ-  
ღინარეობდა მეცანიერობა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში  
1869-70 სასწ. წელს:

I კლასი — კითხვა, წაკითხულის თხრობა და წერა. მოკლე წინა-  
დადებათა თარგმნა რუსულ ენაშე, სახელმძღვანელო: ანბანი და  
პირველდაწყებითი საკითხავი წიგნი ი. გოგებაშვილისა.

II კლასი — წაკითხულის გადმოცემა სიტყვიერად და წერილო-  
ბით. რამდენიმე ლექსის ზეპირად ცოდნა. თარგმნა რუსულად. სა-  
ხელმძღვანელო: ბუნების კარი — ი. გოგებაშვილისა. გრამატიკიდან  
წინადადებისა და მისი ნაწილების პრაქტიკულად გაცნობა.

III კლასი — წაკითხულის წერილობით გადმოცემა, რამდენიმე  
იგავ-არავის ზეპირად ცოდნა და მათი რუსულად თარგმნა. გრამა-  
ტიკიდან — ერთმოლოგია. სახელმძღვანელო — მოკლე ქართული  
გრამატიკა ჩუბინიშვილისა და ბუნებისკარი ი. გოგებაშვილისა.

IV კლასი — წაკითუხელის წერილობით გადმოცემა, რამდენიმე  
ლექსის ცოდნა ზეპირად. ძველი ქართული ენიდან რამდენიმე აღ-  
ვილი პროზაული სტატიისა და ლექსის თარგმნა. გრამატიკიდან  
სინტაქსი, სახელმძღვანელო იგივე, რაც III კლასში.

V კლასი — ქართული ლიტერატურის მთავარი ნიმუშების გაც-  
ნობა XVIII საუკუნემდე. ძველი ქართული ენიდან თარგმნა რუ-  
სულად. გრამატიკა მთლიანად. ქართული ლექსულობა. სახელმძღვა-  
ნელო ჩუბინიშვილის გრამატიკა, მისი ქრესტომათია, 1863 წლის  
გამოცემა.

VI კლასი — ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ნიმუ-  
შების გაცნობა. რუსულიდან თარგმნა. აღვილი თხზულება. სახელ-  
მძღვანელო: ჩუბინიშვილის ქრესტომათია.

VII კლასი — განმეორება ყველა იმ მასალისა, რაც წინა კლა-  
სებში იყო შესწავლილი. თხზულება. ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია.

როგორც ვხედავთ, პროგრამა საქმიოდ ვრცელია, შეიცავს რო-  
გორც გრამატიკას, ისე ლიტერატურას, მაგრამ არ არის განსაზღვ-  
რული სახელდობრ, თუ რომელი მწერლება და ლიტერატურული  
ნიწარმოებები იგულისხმება იმ ზოგადი გამოთქმების ქვეშ. რაც  
ასე დამახსიათებელია ამ პროგრამისათვის. პროგრამა ქართული  
ენის გაკვეთილების საქმიო დროს უთმობს რუსულ თარგმანში ვარ-



ჭიშს, ასე რომ, ამ პროგრამის მიხედვით ქართული ენის გაცვეთი ლები რუსული ენის გაცვეთისთვის უნდა ქცეულიყო, ყოველ შემცირებით თხევები ნაწილობრივ მაინც.

ამნაირი იყო რუსიფიკატორული პოლიტიკის ბუნება და ტენ-დენცია და ამან ამ პროგრამაშიაც იჩინა თავი.

4. სწავლების მეთოდები. 40-50 წლებში საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მეტად გაერცელებული იყო სწავლების ე. წ. ბელ-ლანჯასტერის მეთოდი. ამ მეთოდით ასწავლიდნენ 50-იან წლებში თითქმის ყველა დაწყებით სკოლასა და საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. „სწავლება თბილისისა, ქუთაისისა და სტავროპოლის დირექტორების ყველა პირველ დაწყებით სკოლებში და ამ დარექციების დანარჩენ სასწავლო დაწესებულებათა მოსამაშიადებელ კლასებში წარმოებს ურთიერთ სწავლების მეთოდით“ — აღნიშნულია კავკასიის სასწავლო ოლქის 1854 წლის წლიურ ანგარიშში (იხ. აქტები, ტ. XI, გვ. 725).

ამავე მდგომარეობას აღსატურებს 1856 წლის ანგარიშიც, სადაც ამ საკითხის შესახებ ნათქვამია: „ურთიერთ სწავლების მეთოდი მიღებულია სახელმძღვანელოდ თბილისის, ქუთაისისა და სტავროპოლის დირექტორების სასწავლო დაწესებულებებში, ხოლო შავიზლეისპირეთის (ჩერნომორსკის) დირექტორიში კი ამისათვის საჭირო მასწავლებელთა უყოლობისა და სასკოლო შენობათა სივიწროეის გაძრ, ეს მეთოდი ჯერ კიდევ არ არის შემოღებული“ (აქტები, ტომი XI, გვ. 449).

ამასვე ადასტურებს ჩვენი სახელოვანი პოეტი აკაკი ჭერეთელი „ჩემი თავგადასავლის“ იმ ნაწილში, სადაც მას აღწერილი აქვს სკოლაში შესვლას პირველი ღლები.

ამრიგად, უდავოა, რომ ურთიერთ-სწავლების მეთოდს, ე. ი. ბელ-ლანჯასტერის სისტემას ჩვენში ფართო გავრცელება პერიოდი 40-50-იან წლებში. ამ სისტემამ, რომელიც წარმოიშვა ინგლისშე XIX საუკუნის დასწყისში, ჩვენშიც მოიყიდა ფეხი XIX საუკუნის შეუკუნის წლებში. ამ სისტემის პედაგოგური მცდარობის გამოვლინების შემდეგ მისი გაერცელება ეკრანპაში შეჩერდა. ალბათ, ამ გარემობამ იქნია გავლენა საერთოდ რუსეთშე და კავკასიაზეც და უკვე 60-იან წლებში არც ერთი წყარო აღარ ისხენიებს ურთიერთსწავლების მეთოდს. ამ საფუძველზე ჩვენ ვერასულობთ, რომ 60-იანი წლების მეორე ნახევრისათვის კავკასიის სკოლებიდან უარყოფილი და ძირითადად განდევნილი იქნა ურთიერთსწავლების მეთოდი — ბელ-ლანჯასტერის სისტემა.

ჩვენს მიერ აღებულ პერიოდში ფართო გავრცელება პეოვა კავ-



კასიაში ე. წ. თვალსაჩინო სწავლების მეთოდია. ეს მეთოდი პრო-  
ელდაწყებით კლასებში სწავლების მეთოდი იყო და ჩვენი უკანონურა-  
ცელდა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ მეთოდის შემთხვე-  
ბისა და გავრცელების ინიციატორი კავკასიაში იყო თბილისის სა-  
ქალაბო პროგიმნაზიის ინსპექტორი და შემდეგში კი თბილისის  
კლასიური გიმნაზიის დირექტორი უელიხოვსკი.

როგორც წყაროებიდან ჩანს, უელიხოვსკის თავისი ინიციატივით  
შემოღვა ეს მეთოდი ქალთა პროგრენაზიაში; აღმინისტრაციას ყუ-  
რადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და მოუწონება უელი-  
ხოვსკის მუშაობა ამ მიმართულებით. ამის შემდეგ სასწავლო ოლ-  
ქის მზრუნველმა უელიხოვსკის დავალა მოემზადებინა ამ მეთოდით  
სამუშაოდ დაწყებითი კლასის მასწავლებლები. ამ მიზნით უელი-  
ხოვსკი ატარებდა მეცადინეობას თბილისის სკოლების მასწავლებ-  
ლებთან, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან და სხვა დირექტივი-  
ბიდანაც იქნა გამოწვეული მასწავლებლები თვალსაჩინო სწავლების  
მეთოდის დაუფლების მიზნით. უელიხოვსკი სისტემატურ მეცადი-  
ნეობას ატარებდა ამ მიმართულებით როგორც თეორიულად, ისე  
პრაქტიკულად. მანვე შეაღინა სასწავლო ოლქის მზრუნველის და-  
ვალებით ხელსაწყო მასალის კომპლექტი და ნომენკლატურა. რაც  
უნდა შეეძინა თითოეულ სკოლას თვალსაჩინო მეთოდით სწავლე-  
ბის უზრუნველსაყოფად.

რა თქმა უნდა, თვალსაჩინოება, როგორც პრინციპი სწავლებისა,  
უდავოდ, აუცილებელი რამ არის პედაგოგიური პროცესის საღ-  
ლიდაქტიურ საფუძვლებზე აგების თვალსაზრისით, მაგრამ სულ  
სხვა იყო უელიხოვსკის „თვალსაჩინო სწავლების მეთოდი“. ეს მე-  
თოდი გულისხმობდა საგნების და ნივთების სწავლებას მასწავლებ-  
ლის ცოცხალი სიტყვის ნაცვლად. მასწავლებელთა და მოსწავლეთა  
საერთო სალაპარაკო ენის უქონლობის პირობებში, ეს მეთოდი  
იქცა ე. წ. მუნჯური სწავლების მეთოდად.

მუნჯური „მეთოდი“ ადრეც იყო გამოყენებული სკოლებში,  
მაგრამ ამ „მეთოდმა“ დაკანონებული სახე 60-იანი წლების მეორე  
ნახევრიში მიიღო და ერთგვარ „თეორიულ“ სამოსელში გაეხვია.

მუნჯური მეთოდი გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევებისა-  
თვის, როდესაც მოსწავლემ სწავლების ენა — რესული ას იცოდა-  
და მასწავლებელმა კი მოწავის მშობლიური ენა. ასეთ კითარე-  
ბაში მათ მხოლოდ საგნებით, ნივთებითა და მუნჯური ნიშნებით  
შეეძლოთ გადაეცათ ერთიმეორისათვის თავიანთი აზრი. ამ პირო-  
ბებში თვალსაჩინო სწავლების მეთოდი საქმეს აადვილებდა.

აქვე უნდა აღანიშნოს, რომ 60—70-იან წლებში მასწავლებელს  
100



ჰქონდა უფლება მოსწავლეთათვის ქართულად ეთარგმნა ესა ფლორეალის სიტყვა. ამიტომ იმ შემთხვევებში (ასეთი შემთხვევები კი მეტაზურალური იყო), როდესაც მასწავლებელს ცოტათი მაინც ესმოდა მოსწავლის ენა, მუნჯური ნიშნების ნაცვლად სიტყვებს იშველა-ებდა. შემდეგ პროფესიი მასწავლებელს აეკრძალა გაკვეთილზე ქართული ენის მოშევლის გა ამ პირობებში მუნჯური მეთოდის გამოყენებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

ამრიგად, 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფართოდ გავრცელდა ჩვენში თვალსაჩინო სწავლების მეთოდი, რაც კავკასიის თავისებურ პირობებში თანდათანობით მუნჯურ მეთოდად იქცა.

სხვა კერძო ხასიათის მეთოდებიდან აღსანაშნავია ე. წ. პრაქტიკული მეთოდი, რასაც უმთავრესად იყენებდნენ ახალი ენების სწავლებისას (ნაწილობრივ კა სიტყვიერების თეორიისა და აგრეთვე საეკლესიო-სლავური ენის სწავლების დროს I—III კლასებში). ამ მეთოდის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უცხო ენის გრამატიკის სწავლება მიმდინარეობდა არა იმ სისტემით, როგორც ეს დადგნილია საერთოდ გრამატიკაში, არამედ ტექსტებისა და სტატიების კითხვისა და გარჩევის პროცესში, იმის მიხედვით, თუ რომელი გრამატიკული წესის, ფორმის ან კანონის განმარტება იყო საჭირო ტექსტის განხილვის დროს. ამ სახით ენა ერთოდროულად ისწავლებოდა ყოველმხრივ: ეტიმოლოგიურად, სინტაქსურად, ლექსიის გამდიდრების მიზნით და ა. შ.

ასევე ხდებოდა სიტყვიერების თეორიის შესწავლა რუსული ენის გაკვეთილებზეც. მაგალითად, რომელიმე იგავ-არავის შესწავლისას მოწაფეებს ეძლეოდათ განმარტება ნაწარმოების ეანრის შესახებ: ლექსის შესწავლისას განმარტებოდათ, თუ რა არას საერთოდ ლექსი და რა სახის ლექსს წარმოადგენს კონკრეტულად მოცუმული ლექსი ფორმისა და შინაარსის მიხედვით და სხვ.

ასეთი წესით სწავლებას პრაქტიკული სწავლების მეთოდს უწოდებდნენ და ფართოდ იყენებდნენ ზემოაღნიშნული საგნების სწავლების დროს.

უდაცოა, რომ ამ მეთოდს თავისი დადებითი და მეტად მნიშვნელოვანი მხარეები აქვს, მაგრამ მას სისტემატურობის პრინციპი ეწირება, რაც საბჭოთა პედაგოგიკის თვალსაზრისით ყოვლად დაუშევებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა ყრილობამ, რომელიც 1870 წელს იყო მოწვეული სტავროპოლში ძველი ენების პროგრამის დასამუშავებლად, მიზანშეწონილად ჩათვალა პრაქტიკული სწავლების მეთოდის გამოყენება ძველ ენებშიც, მაგრამ მმართვე-



ლობაშ ამის ნება არ დართო იმ მოტივით, რომ ახალი კუთხით და სწავლებას პრაქტიკული მიზნები აქვს, ხოლო ძველი ენებშიც მას უკავშირდებას კი ფორმალურით.

ცხადია, მმართველობას არ შეეძლო სისტემატურობა უარეყო ძველი ენების სწავლებაში, ხოლო ახალი ენები, როგორც მეორე-ხარისხოვანი საგნები, თუ ამით დაზარალდებოდა, ეს არც იმდენად იყო საშიში აღმზრდელობითი მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით.

ყველა კლასში მეტად გავრცელებული იყო ახსნითი კითხვის მეთოდი (Метод общеизвестного чтения): ლექსი, სტატია და საერთოდ შესასწავლი ტექსტი კლასში იკითხებოდა უმთავრესად ძლიერი მოსწავლის მიერ; კითხვის პროცესში ხდებოდა უცნობი სიტყვებისა და ტერმინების განმარტება. მასალის განხილვა გრამატიკული ფორმების მხრივ, სიტყვიკრების თეორიისა და შინაარსის მიხედვით და სხვ.

ასეთი წესით მასალის განხილვის შემდეგ ხდებოდა კატეგიზაცია და წარმოებდა ვარჩიში შინაარსის მოყოლაში. დაბალ კლასებში ერთი-ორი მოსწავლის მიერ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მთელი კლასი კითხულობდა გუნდურად (хором) მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

კლასის მიერ ტექსტის ერთად წაკითხვა ფართოდ იყო გამოყენებული სწავლებაში. ამ წესს დიდ მნიშვნელობას აკადემიურ მაშინ, როგორც მთელი კლასის მუშაობაში ჩაბმის საშუალებას. ერთად კითხვა გამოყენებული იყო აგრეთვე ცალკე ტერმინების, ფრაზების, წესებისა და ზოგჯერ მთელი ლექსის ან პროზაული პატარა ნაწარმოების კლასშივე გასახიერებლად.

ასეთი წესით განხილულ ტექსტს უმეტეს შემთხვევაში იყენებდნენ საკლასო წერითი სამუშაოების ღროს, აგრეთვე საშინაო წერითი სამუშაოს შესასრულებლად.

აქროამატული გადაცემა გაკვეთილისა მასწავლებლის მიერ საერთოდ იშვიათად იყო გამოყენებული. მთავარი დაგილი სწავლებაში, სახელმძღვანელოში მოცემული გასალის კითხვას, კატეგიზაციას, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილის მოყოლას ან ზეპირ გადმოცემას ჰქონდა დათმობილი. ასე, მაგალითად, ქ. ობილისში ასებული სამასწავლებლო სკოლის დირექტორი 1868 წელს წლიურ ანგარიშში წერდა: „Метод преподавания в школе катехизический, изредка обращались преподаватели к эвристическому, реже к сократовскому, а всего менее к акроаматическому“ (იხ. კავკასიუს ლექსი ცირკულარები, 1868 წ., გვ. 41).



ზემოდახასიათებული მეთოდები სწავლების მეორე ხარისხოვნები მეთოდები იყო, რომელთაც იყენებდნენ ცალკე საგნებში და ცალკე სამუშალებას. ძველი კლასებში, როგორც ერთგვარ დამხმარე საშუალებას. ძველი სკოლის მთავარ მეთოდს სერტოდ და კერძოთ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში წარმოადგენდა ზეპირობა, წერთა და მუშტრირება. „ძველი სკოლა წრთვის, მუშტრირების და ზეპირობის სკოლა იყო“ (ლენინი).

წყაროები სავსებით ადასტურებენ ამ მოსაზრებას; დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი.

1870 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროემა სკოლებს დაუგზავნა სპეციალური ცირკულარი, რომლითაც ილაშქრებდა ზეპირობის (зазубривание) წინააღმდეგ; ამ ცირკულარში ვკითხულობთ: „ბავშვები და ჟაბუკები ერთნაირად ცდებიან, როდესაც სწავლების საქმეში პირველ რიგზე იყენებენ მახსოვრობას. აქედან გამომდინარე ბეჭითი მოწაფეებიც მიმართავენ დაზეპირებას, რაც გამოცდების წინ ყველაფერი გავლილის საშინელ ზუთხვაში გამოიხატება და რაც მოსწავლის შეგნებილან მაღლე ქრება“.

ამ ამონაშერიდან ჩანს, რომ მთელი განვლილი მასალის გაზეპირება განსაკუთრებით გამოცდების წინ იძღვნად სერტო და გავრცელებული მოვლენა იყო, რომ მზრუნველი იძულებული გახდა სპეციალურად მიექცა ყურადღება ამ მდგომარეობისათვის. ჩევნთვის აშერაა, რომ ნევეროე, როგორც განათლებული პედაგვიკი, გრძნობლა ამ მოვლენის საზიანო გავლენას სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ ის მართალი არ იყო, როდესაც ახალგაზრდობის შეცდომას მიაწერს გაზეპირების მეთოდის გავრცელებას. ცხადია, რომ ახალგაზრდობა აქ არაფერ შეაშია.

ამავე მდგომარეობას ადასტურებს განათლების მინისტრის 1879 წლის ანგარიშის განსახილველად გამოყოფილი კომისია. კომისიამ განიხილა რა განათლების მინისტრის უქვეშევრდომილესი ანგარიში 1879 წლისა, სხვათა შორის ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას სწავლების საქმეში თვით ძლიერ ნიჭიერი მოსწავლეებისათვისაც წარმოადგენს წერითი სამუშაოებით მათი არაზომიერი დატვირთვა და დასაზეპირებლად დოდი გაკვეთილების მიცემა“. \*

(ხაზი ჩევნია.—ს. ს.). კომისიამ შეამჩნია, რომ მოსწავლეებს დიდალი საზეპირო მასალა ეძლეოდათ, რაც აფერხებდა სწავლების წარმატების საქმეს, მაგრამ ამ მახინჯი მოვლენის მიზეზად საშინაო დავალებათა უთა-

\* იქ ყო, 1879 წ., № 9, ცр. 271.



ნაბროდ განაშილებაა მიჩნეული, და არა ის ფაქტი, რომ კავკაციული სასწავლო გეგმა და პროგრამა განსაზღვრავდა მოსწავლების და მომსახურების ტვირთვას ამ საზეპირო მასალით.

მოწინავე მასწავლებლობა მტკიცედ მოითხოვდა რადიკალურ ღონისძიებათა გატარებას ამ მიმართულებით.

თბილისის კრასიკური გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელმა დელარიუმ თავის სტატიაში, რომელიც მოთავსებული იყო კავკაციულ თლქის ცირკულარებში 1875 წელს, შემდეგი სახით დაახასიათა რუსული ენის სწავლების მდგომარეობა: „მთელი საქართველო მხოლოდ მთელი რიგი წესების დაზუთხვაში გამოიხატება. მოსწავლე პრაქტიკულ სარგებლობას იმაში ვერ ხედავს და სინამდვილეში არც გამოაქვთ. ისინი ამ წესებს უცემერიან როგორც შშრალი, არაფრის მაქნის მასალის, მოწყვენილი არიან გაკვეთილებზე და მათი მომზადების დროსაც და ნელ-ნელა იმსჭვალებიან სრული ზიზღით სლავური ენის დასაზეპირებელ წესებისადმი და თვით ამ ენისადმი“. \*

ამასვე ოდასტურებს რუსული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელი ლილოვი.

1869 წლის განმავლობაში თბილისის რეალურ გიმნაზიაში გეოგრაფიას ასწავლიდა სტოიანოვი. სტოიანოვი, როგორც მისი პედაგოგიური ხასიათის წერილებიდან ჩანს, ყოფილა ფრიად განათლებული პედაგოგი, რომელიც კარგად იცნობდა როგორც თავის საგანს, ისე პედაგოგიას და სწავლების მეთოდებს. მან მოინდომა სანიმუშოდ დაეყუნებინა გეოგრაფიის სწავლება და ამ საქმეში გამოიყენა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ მექანიკური გაზეპირება შაინც ვერ აიცდინა თავიდან. ის წერს: „ჩემი აღსაზრდელები ნახევრად შეგნებულად ითვისებდნენ იმას, რასაც მე მათ უუჩნიდი“.

ცხადია, მასწავლებლობას, სკოლის პრაქტიკულ მუშაյებს უკეთ უნდა ცოდნოდათ, თუ სწავლების რა წესი იყო გაბატონებული სკოლებში და მათ მიერ აღნიშნული მდგომარეობა სწორი უნდა იყოს.

ეს მეთოდი განსაკუთრებით უცილებელი იყო იმ სკოლებში, სადაც სწავლება მოსწავლეთა დედაენაზე არ მიმდინარეობდა. მოსწავლეს, რომელმაც არ იცოდა ან სუსტად იცოდა სწავლების ენა — რუსული, ისლა რჩებოდა, რომ მექანიკურად გაეზეპირებინა მისთვის გაუგებარი ტექსტი. რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით გაზეპირებას არც კი მოითხოვდა.

\* ცК КУО, 1875 г., № 12, ст. 219.

არამ'მობლიურ ენაზე სწავლება სკოლებში აუცილებლად ერთ ერთ მიწებს წარმოადგენდა გაზეპირების მეთოდის წარმოშობისტკონკრეტულ გავრცელებისა და დანერგვისათვის.

სწავლებაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი ვარჯიშს სა- ერთოდ და წერით სავარჯიშოებს, კერძოთ, ეს შეეხება უმთავრე- სად ენებს: რუსულს, ლათინურს, ბერძნულს, ფრანგულს და ძველ სლავურს. მაგრამ ამასთანავე წერითი სავარჯიშოები გამოყენებუ- ლი იყო ისტორიაში, გეოგრაფიაში და სხვა საგნებშიც.

რუსულ ენაში მთვარი სახე წერითი სავარჯიშოებისა დაბალ კლასებში იყო კარნაზი და შინაარსის გადმოცემა; მაღალ კლასებ- ში კი ობზელების დაწერა წაკითხული და შესწავლილი მასალის მიხედვით ას განკუნებულ თემებზე. სავარჯიშოების სახეები პროგ- რამით ზუსტად განისაზღურებოდა.

ძველ ენებში გაბატონებული ფორმა წერითი სავარჯიშოებისა იყო ე. წ. extempore — თარგმნა რუსულიდან ლათინურად და ბერძნულად.

წერითი სავარჯიშოებით მოწავეობა მეტისმეტად გადატვირ- თელი იყო. მმართველობა განსაუთრებულ ყურადღებას აქცევდა 暨 სავარჯიშოებს, რომელთა როდენობა პროგრამით მტკიცედ იყო განსაზღვრული თითოეულ საგანში.

წესდება მოიხოვდა თითოეულ გიმნაზიასთან ფიზიკური კა- / ბინეტის არსებობას, ბუნებისმეტყველების სწავლებისათვეს საჭი- რო სასწავლო ხელსაწყოებისა და გეოგრაფიაში — რუკების, გლო- ბუსების, ნახაზების, სურათებისა და მოდელების შეძენას. რეა- ლური სასწავლებლისათვის სავალდებულო იყო აგრეთვე საბუნე- ბისმეტყველო და ქიმიის კაბინეტების ორგანიზაცია. უნდა აღი- ნიშნოს, რომ ექსკურსიას, როგორც სასწავლო მუშაობის სახეს, აღნიშნული პერიოდის სკოლები სრულებით არ იცნობდნენ.

პედაგოგიურ პროცესში დიდი ადგილი ჰქონდა წათმობილი განმეორებას. სისტემატური და პერიოდული განმეორება განვლი- ლი მასალისა აუცილებელ და სავალდებულო წესად იყო მიღებუ- ლი. სასწავლო გეგმითა და პროგრამებით განმეორებისათვის სა- ჭირო დრო ყველა კლასში განსაზღვრული იყო. გამოსაშევა კლა- სებში (IV, VIII) განმეორებას ზოგიერთ სასწავლო საგანში დათ- მობილი ჰქონდა მოელი სასწავლო წელი, სხვა საგნებში კი ნახე- ვარი წელი.

სასწავლო წლის დასაწყისში საგნის სწავლება იწყებოდა ამ საგანში წინა წელს განელილი მასალის განმეორებით და ცალკე შემთხვევებში ამ განმეორებას ეთმობოდა მოელი პირველი მეოთ-



ხედი (ორა თვე). სასწავლო წლის ბოლოს ხდებოდა წლიური მა-  
სალის განმეორება, მეოთხედის ბოლოს მეოთხედის მასალების მეორება და ა. შ.

პედაგოგიური თვალსაზრისით ძნელია განმეორების მნიშვნე-  
ლობის გადაფასება. თქმულება: „განმეორება სწავლების დედა“,  
რა თქმა უნდა, თავის ძალასა და მნიშვნელობას არასოდეს არ და-  
კარგავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინდელ საშუალო სკოლაში  
გაბატონებული განმეორების სისტემა არ შეიძლება ნორმალურად  
მივიჩნოთ.

როგორც ზემოთ გვქონდა ოლნიშნული, საშინაო დაცალებათა  
აღგილი სწავლებაში მეტად დიდი იყო. კავკასიის ერთ-ერთი ექი-  
მის გამოანგარიშებით გიმნაზიის მოსწავლეს ყოველდღიურად არა-  
ნაკლებ ხუთი საათის მეცალინება სჭირდებოდა შინ გაცემითილე-  
ბის დასამზადებლად და სხვა საშინაო დაცალებათა შესასრულებ-  
ლად. თუ ამას დაცუმატებით საელასო მეცალინებას, გმოღის, რომ  
საშუალო სკოლის მოწაფეს დღეში არანაკლებ 8—10 საათის გან-  
მავლობაში უხდებოდა გონებრივი მუშაობა სკოლაში და შინ. ამ  
მეცალინებობათა გამო ფიზიკურად და გონებრივად ღონეგამოლეუ-  
ლი და ქანტმისტილი მოწაფე უძლურია სხვა სახის საქმიანობათა  
მიმართ და მაშინადან მისი გონება ვითარდება სხეულისა და სუ-  
ლიერი ძალების განუვითარებლობის ხარჯზე“.\*

ექიმის აზრით, საშუალო სკოლა ამაზინებს მოსწავლე ახალ-  
გაზრდობას ფიზიკურად, მორალურად და გონებრივად საელასო  
და საშინაო სამუშაოებით გადატვირთვის გამო.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ექიმის მიერ გამოიტქმულ ამ მოსაზ-  
რებებს ნევეროვიც თანაუგრძნობდა, თუ მთლიანად არა, ნაწი-  
ლობრივ მაინც, რაღანაც მის წერილს აღგილი დაუთმო ოფიცია-  
ლურ ორგანოში.

მოწაფების გადატვირთული იყო საშინაო დაცალებებით და ეს  
საკითხი სისტემატური შეცელობის საგანს წარმოადგენდა არა მარ-  
ტო საკლასო კომისიებისათვის, არამედ მზრუნველის საბჭოსა და  
განათლების სამინისტროსათვისაც.

ზოგიერთმა სკოლამ სცადა ერთგვარი რეგლამენტის დამუშა-  
ება.

მაგრამ საშინაო დაცალების მოწესრიგების ცდაშ სრულებითაც  
ვერ გამოასწორა საქმე, მოსწავლე მაინც გადატვირთული დარჩა.

რა თქმა უნდა, სხეანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: და-

\* კავკ. სასწ. ოლქის ცირკულარები, 1867 წ., № 11, გვ. 11.



სამუშავებელი მასალა იმდენად დიდი იყო, სავარგიშოთა რიცხვი იმდენად მრავალი, რომ საშინაო დავალებათა ვერავითზე განკუთხული იყო და მოწაფეობას ვერ განტვირთავდა ასებულ საპროგრამო მოთხოვნილებათა პირობებში.

საშინაო დავალებათა დამოუკიდებლად შესრულება უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეს არ შეეძლო. ამიტომ მას აუცილებლად სკორდებოდა დამარტება უფროსების მხრივ. ასეთ პირობებში ფართო გავრცელება პროგრამები რეპეტიტორობაში. რეპეტიტორი გიმნაზიელისათვის აუცილებელი რამ იყო და მის გარეშე მეცადინეობას და დავალებათა შესრულებას იშვიათად თუ ვინმე ახერხებდა.

პანსიონერები უზრუნველყოფილი იყვნენ რეპეტიტორით, რადგანაც ეს ფუნქცია პანსიონის ზედამხედველს ჰქონდა დაყისრებული. მოსწავლეს, რომელსაც განათლებული მშობლები ჰყავდა, მშობლები უწევდნენ რეპეტიტორობას, დანარჩენებს სპეციალურად უნდა ეყყანათ რეპეტიტორი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გიმნაზიებსაც ჸყავდა რეპეტიტორი შინიდან მოსიარულე ბავშვებისათვის, მაგრამ ამ თანამდებობის დაწესებამ გიმნაზიებში თავიდანვე მახინჯი სახე მიიღო; ასე, მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიაში პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით 1866/67 სასწავლო წლიდან დაწესებულ იქნა სამი რეპეტიტორის თანამდებობა სხვადასხვა საგანში; რეპეტიტორს ხელფასი დაენშნა სპეციალური სახსრებიდან 30 მაჩქონის რაოდენობით თვეში; რეპეტიციები წარმოებდა ყოველდღე 2—4 საათამდე, მაგრამ რეპეტიციებზე დასწრება სავალდებულო იყო მხოლოდ იმათვის, ვინც საშინაო დავალებას არ შეასრულებდა.

მრიგად, თუ მოსწავლე არ მოამზადებდა გაკვეთილს და ისე მოვიდოდა სკოლაში, მას გაკვეთილების გათავების შემდეგ ორი საათით სტოვებდნენ სკოლაში და ავალებდნენ რეპეტიციებზე დასწრებას. ეს იყო ერთგვარი სასჯელი (იხ. ცენტრ. აქტივი, ფ. 107, სერია ბ., საქ. № 1234).

ასეთი სახე სასკოლო რეპეტიტორების მუშაობას შერჩა მთელი მდერიოდში, რომელსაც ჩენ ვიხილავთ; საშინაო დავალების შეუსრულებლობისათვის გაკვეთალების შემდეგ სკოლაში დატოვებას საჯარიმო საათები ეწოდებოდა.

ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ ყოველ სკოლას როდი ჰყავდა შტატის რეპეტიტორი.

ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს თვათონ უნდა შეესრულებინა



დამოუკიდებლად საშინაო დავალება სკოლაში საჭარიმო საპრეზიდენტო  
განმავლობაში.

მეთოდური ხასიათის საკითხების განხილვა პედაგოგიური საბჭოს ფუნქციას შეაღენდა, მაგრამ 60-იანი წლების დასასრულიდან გომნაშეცი უკვე საგნობრივი კომისიები ყალიბდება. 1871 წლის წესდებით საგნობრივი კომისიების არსებობა საშუალო სკოლებში დაკანონებულ იქნა და 70-იან წლებში ამ კომისიების მუშაობამ ფართო ხასიათი მიიღო. გიმნაზიაში საგნობრივი კომისიის თავმჯდომარედ ინსპექტორი ითვლებოდა, ხოლო პროგიმნაზიაში ინსპექტორის მიერ გამოყოფილი ერთ-ერთი პედაგოგი. საგნობრივი კომისია მეთოდურ და საპროგრამო საკითხებს იხილავდა. საგნობრივი კომისიისათვის თითოეულ მასწავლებელს უნდა წარედგინა თავისი მოსაზრებები წერილობითი მოხსენების სახით იმ საგნის სწავლების შესახებ, რომელსაც თვითონ ასწავლიდა. მოხსენებაში დაწვრილებით უნდა ყოფილიყო მოცემული, თუ რა სახით, რა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ფიქრობდა მასწავლებელი საპროგრამო მასალის დაძლევას. თითოეული მის მიერ წამოყენებული დებულება აუცილებლად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული.

წარმოდგენილ მოხსენებას განიხილავდა საგნობრივი კომისია და აზრთა გაცვლა-გამოცელის შემდეგ გამოქვენდა დადგენილება.

საგნობრივი კომისიების ოქმები მზრუნველს ეგზავნებოდა; ზოგიერთი მათგანი იბეჭდებოდა კიდეც სასწავლო ოქმის ცირკულარებში. ასე დაიბეჭდა, მაგალითად, ქუთაისის პროგიმნაზიის ფილოლოგიური საგნების საგნობრივი კომისიის 1880 წლის ოქმები.

საგნობრივი კომისიები სისტემატურ მუშაობას აწარმოებდნენ და მათი მნიშვნელობა ძლიერ დიდი იყო როგორც სასწავლო მუშაობის გაუმჯობესების, ისე მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით.

რეკომენდირებული იყო დალკე სკოლებში მონათესავე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა გაევთილებზე ურთიერთდასწრება უმთავრესად იმ მიზნით, რომ სწავლების ერთნაირი მეთოდი და ხერხები ყოფილიყო გამოყენებული ყველა მასწავლებლის მიერ.

5. გამოცდის წესები. 1864 წლის წესდებით გამოცდის წესების დამუშავება საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს ჰქონდა მინდობილი. ამ უფლების საფუძველზე თითოეულ გიმნაზიას თავისებური გამოცდის წესები ჰქონდა და ეს წესები ზოგი-

ერთ შემთხვევაში მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებდა მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიას ასეთი საკითხების დამოუკიდებლად გადატრის უფლებები 1864 წლის წესდების დამტკიცებამდეც ჰქონდა მინიჭებული, რაღაცაც სასწავლო ოლქი გაუქმდებული იყო და ხელმძღვანელი ცენტრის არ არსებობის პირობებში თითოეული სკოლა თავისებურად წყვეტდა მგვარ სპეციალურობას. ცნობილია ის ფაქტი, რომ 60-იანი წლების დასაწყისში თბილისის გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ კლასიდან კლასში გადასაყვანა და გამოსაშვები გამოცდები განსაკუთრებით გაადვილებული სახით ჩატარა (ცოდნის მხრით გაცილებით ნაკლები მოთხოვნილება წაუყენა მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარებისას). 1871 წლის წესდების მიხედვით გამოცდის წესები საერთო უნდა ყოფილიყო მთელი ამბერისათვის და ამ წესების დამუშავება-დამტკიცება განათლების სამინისტროს პერიოდა მინცობილი.

განათლების სამინისტრომ 1872 წლის 8 დეკემბერს დამტკიცა „სახალხო განათლების სამართლებრივი გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მოსწავლეთა გამოცდების წესები“. ასეთივე წესები რეალურ სასწალვებელთათვის მხოლოდ 1875 წ. 20 პრილს დამტკიცდა.

რა არის ნიშანდობლავი და დამახასიათებელი ამ წესებისათვის?

ამ წესებით პირველად იქნა შემზღებული გამოსაშვები გამოცდების ნაცვლად — გამოცდები სიმწიფას მოწმობის მისაღებად გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლეთათვის. სიმწიფის მოწმობაშე გამოცდების ჩაბარება კი ნიშანვდა არა მარტო ცოდნაში გამოცდას, არამედ იმის გამორკვევასც, თუ რამდენად მომწიფებული იყო მოსწავლე როგორც გონიერივად, ისე ზნეობრივად, რათა მას სიმწიფის მოწმობა და, მაშასადამე, უნივერსიტეტში შესვლის უფლება მისცემოდა. ამ შემთხვევაში, ისე, როგორც საერთოდ ჩერაციის პერიოდში, უპირატესი ყურადღება მოსწავლის „ზნეობრივ სიმწიფეს“ ექცეოდა. „ზნეობრივი სიმწიფის“ სახით უმთავრესად ახალგაზრდის პოლიტიკური კეთილსამედობა იგულისხმებოდა, თუმცა ინსტრუქციაში ეს ტერმინი არ არის ნახმარი. იქ მხოლოდ ყოფაცცევაზე და კანონის მოთხოვნილებათა შესრულებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ძნელი არაა მიხვედრა, თუ რა აზრს შეიცავს ამ შემთხვევაში ეს ტერმინი და საერთოდ მთელი ინსტრუქცია. ინსტრუქციის 45-ე პარაგრაფში ნათქვამია: „გიმნაზიის ყოველ მოსწავლესთან დაკავშირებით პირველად დაწვრილებით განიხილება“.



მისი ზეობრივი სიმწიფის დონე, შემდეგ მისი გონიერივი მუშაქიალა ფეხულობა და წარმატებანი ცალკეულ საგნებში. მოსწავლეების ზეობრივ სიმწიფეზე მსჯელობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს: 1) მათ ყოფაქცევას, ე. ი. მათ შისწავლის დაცვან კანონის მოთხოვნილებანი და კეთილზნების წესები, როგორც სასწავლო დაწესებულებაში, ისე მის კელლებს გარეთაც".

სპეციალური კომისია დირექტორის თავმჯდომარებით და ინსპექტორისა და გამოსაშვები კლასის ყველა მასწავლებლის შემადგენლობით გამოცდების დაწყების წინ იხილავდა უკანასკნელი კლასის მოსწავლეთა სიმწიფის გამოცდებზე დაშვების საყითხს — ზეობრივი სიმწიფისა და აკადემიური წარმატების თვალსაზრისით. გამოცდებზე დამვებოდა მხოლოდ ის, ვინც ყოფაქცევის მხრივ აქმაყოფილებდა წესდების ზემომოყვანილ მოთხოვნილებას და ამასთანავე აკადემიური წარმატების მაჩვენებელი ყველა საგანში ექნებოდა არანაკლებ სამიაშ.

ამრიგად, თუ კომისიის წინაშე მოსწავლეს დაახსასიათებდნენ, როგორც „ზეობრივად მოუმწიფებელს“ ანდა თუ ერთ საგანში აღმოაჩნდებოდა 3-ზე ნაკლები ნიშანი, მაშინ მას მეორე წელს სტოკებდნენ იმავე კლასში, ანდა რიცხავდნენ გიმნაზიიდან.

სიმწიფის გამოცდებს იბარებდა კომისია დირექტორის თავმჯდომარებით და ინსპექტორის, საგნის მასწავლებლის და ორი ასისტენტის შემადგენლობით. კომისიაში შედიოდა აგრეთვე სასწავლო ოლქის წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით. ზეპირ გამოცდას ატარებდა საგნის მასწავლებელი, მაგრამ დირექტორს და სასწავლო ოლქის წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ თვითონ გამოცდათ მოსწავლე ან სხვა მასწავლებლისიათვის მიენორო გამოცდის ჩატარება. ამ უფლებას, ალბათ, იმ შემთხვევაში გამოიყენებდა აღმინისტრაცია, როდესც მასწავლებელს რაიმე მიზეზით ნდობა არ ჰქონდა დამსახურებული.

შეკითხვების მიცემის უფლება კომისიის ყველა წევრს ჰქონდა. ნიშანს კომისია წერდა, რაზეც დებოდა ოქმი კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი არ ეთანხმებოდა კომისიის წევრების აზრს, საყითხი სასწავლო ოლქში გადადიოდა და საბოლოოდ იქ წყდებოდა. ამრიგად, წესების ეს პუნქტი გადამწყვეტ მნიშვნელობას ნიშნის დაწერაშა ღირექტორს ანიჭებდა. საგნის მასწავლებლის უფლება ამით, რა თქმა უნდა, ძლიერ შეზღუდული იყო.

განსაკუთრებით მკაცრი იყო წერითი გამოცდები. თემებს წერითი გამოცდებისათვის სასწავლო ოლქი აგზავნიდა დალუქული



კონვერტით, რაც გამოცდის დაწყების მომენტში ახსნებოდა. წერილი რის დროს სასტიკი ზედამხედველობა იყო დაწესებული მოსწავლის მიმართ და ყოველ თ ბავშვს ერთი მეთვალყურე ყავდა ლეგის მიმართ და ყოველ თ ბავშვს ერთი მეთვალყურე ყავდა მინერული, რათა არ ესარგებლათ ვისიმე დახმარებით ან „შპარგალით“. წერით ნამუშევარში 3-ზე ნაკლები ნიშნის მიღება მოსწავლეს ართმევდა სიმწიფის გამოცდის ჩაბარების უფლებას. ამ შემთხვევაში ის მეორე წელს უნდა დარჩენილიყო იმავე კლასში ან გაირიცხებოდა გიმნაზიიდან.

პედაგოგიური საბჭოს სხდომისათვის, სადაც საბოლოოდ წყდებოდა სკოლის სიმწიფის მოწმობის გაცემის შესახებ, დაწესებული იყო მტკიცე რეგლიმენტი: როგორი თანამდებობით უნდა ელაპარაკოთ საბჭოს წევრებს, ვის უნდა მიეცა პირველიდ ხმა კენჭის ყრის დროს და ა. შ.

სერთოდ სიმწიფის გამოცდის ეს წესები ყოველგვარი ინიციატივის უფლებას ართმევდა პედაგოგებს და არ სტროვებდა არც ერთ შესაძლებლობას თვით უმნიშვნელოსაც კი, რომ მისი გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილიყო ინსტრუქტიის გარეშე, რადგანაც ინტისრუქტია ყოველგვარ შემთხვევას თვალისწინებდა, რასაც კი ადგილი შეიძლებოდა ჰქონოდა გამოცდის პროცესში.

კლასიდან კლასში გადასაყვარი გამოცდები ძირითადად იმავე წესების დაცვით ტარდებოდა, რაც სიმწიფის გამოცდებისათვის იყო დაწესებული, მხოლოდ მასში ზოგიერთი შემამსუბურებელი მუხლიც მოიპოვებოდა.

ინტერესმოქლებული არა აღვნიშნოთ, რომ რუსულ ენასა და სიტყვიერებაში წერითი გამოცდებისათვის მოსწავლეებს თემები ეძლეოდათ არა რუსული სიტყვიერებიდან, არამედ უმთავრესად ბერძნი და რომაელი ავტორების თხზულებათაგან ან ისტორიულ და განყენებული ხასიათის საკითხებშე. ასე, მაგალითაო, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გიმნაზიებში მოსწავლეებს სიმწიფის გამოცდებზე შემდეგი თემები მიეცათ: საშობლოს სიყვარული ძველი ბერძნებისა და რომაელების ისტორიაში; პეტრე დიდი და მისი დრო; მონასტრების მნიშვნელობა რუსეთში; პორაციუსი, როგორც პოეტი; აქილესი და ილია შურომეცი; სიღარიბისა და სიღდიდრის გავლენა ზეობრიობაზე; არავინ არის ჩეენს უბედურებაში დანაშავე, გარდა ჩეენი საკუთარი თავისა; შავი ზღვის მნიშვნელობა პოლიტიკური და ვაჭრობის თვალსაზრისით და ა. შ.

ამ თემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ სიმწიფის მოწმობის მაძიებელს მაინც მაინც არ მოეთხოვებოდა ცოდნა რუსული ლიტერატურისა, ხოლო საბერძნეთისა და რომის ავტორები კი აუცი-



ლებლად უნდა პქონოდა შესწავლილი; ამით ერთხელ კიდურებულებული ტურდება, რომ რუსული ლიტერატურა მეორეხარისხოვნის მიზნებით წარმოადგენდა და სასწავლის მომართვის მიზნებით იყო შემთხვევებში მოსწავლეებს სრულიად მოულოდნელი თემები ეძლეოდათ ისეთ საკითხებზე, რაც მათ პროგრამის მიხედვით ას შესწავლიათ. ასეთი იყო უმთავრესად განყენებული თემები.

1873 წელს ამ წესების მიხედვით პირველი გამოცდები ჩატარდა. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, კირ კიდევ 1872 წელს ამავე პრინციპით იყო ჩატარებული გამოცდები განათლების სამინისტროს სპეციალური ცირკულარის საფუძველზე. სიმწიფის გამოცდების შემოღებამ მნიშვნელოვნად შეიძლია კურს-დამთავრებულთა და შემდეგ კლასებში გადაყვანილთა რაოდენობა.

თვითონ განათლების მინისტრი თავის ანგარიშში აღნიშნავს: „1873 წელს ახალი წესებით პირველად ჩატარდა გამოცდები გიმნაზიაში. ამ წესების პირველ ხანებში გამოყენების ღროს არ შეიძლებოდა არ გვეფიქრა მაღალ კლასებში გადასაყვანი მოსწავლეების რიცხვის რამდენადმე შემცირება.“

სინამდვილეში ეს შემცირება სხვადასხვა სასწავლო ოლქებში და გიმნაზიებში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა“.

ჩანს მრავალი შენიშვნები და წინადაღებები შევიდა განათლების სამინისტროში გამოცდის ამ წესების პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ. ოლქის მზრუნველებმა, რომელთაც ვერ დავწამებოთ ვერც ლიბერალიზმს და ვერც ტოლსტოის რეაქციის თრგულობას, მრავალი წინადაღება წმინდაყენეს თავითონ ანგარიშებში გამოცდის წესებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ, მაგრამ ტოლსტოი ულმობელი აღმოჩნდა. სასწავლო ოლქის ამ შენიშვნების პასუხად განათლების მინისტრი წერს განმარტებას გამოცდის წესების შესახებ 1873 წელს და ცირკულარს ამავე საკითხზე 1874 წელს; ორივე ამ დოკუმენტის აზრი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ სასწავლო აღმინისტრაციასა და პედაგოგიკურებს ევალებათ ზუსტად და ურყევებად გაატარონ ცნოვრებაში ყოველი პუნქტი გამოცდის წესებისა.

არც ერთი ცვლილება ამ წესებში შეტანილი არ ყოფილა მოელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ტოლსტოი განაგებდა განათლების სამინისტროს. მხოლოდ ტოლსტოის წასელის შემდეგ მოხერხდა ზოგიერთი კორექტივის შეტანა მასში განათლების სამინისტროს 1881 წლის 28 აპრილის ცირკულარის საფუძველზე. ამ შემთხვევაში შეცვლილ იქნა წესების მხოლოდ ორი პუნქტი: § 30, რაც მოსწავლის აქადემიურ წარმატების წლიურ ნიშანს საშუალო



არითმეტიკულად განსაზღვრავდა და 59, რომლის ძალითაც წერპ შეისრი ნიშნების მიღებას გადამშეცვეტი მნიშვნელობა ენიჭებოული განვითარებული კავკასიის გამოცდების საკითხში არავითარი ინიციატივა არ გამოუჩენია; აქეური მართველობის მთელი ამოცანა იმით ამოიწურა, რა, რომ ის წესები, რაც ტოლსტოის მიერ იქნა დაწესებული, ზუსტად სრულდებოდა.

1879-80 სასწავლო წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქი შეუდგა გამოცდის ახალი წესების დამუშავებას კავკასიის ყველა საშუალო სკოლისათვის, რაც 1881 წლის 31 ოქტომბერს დამტკიცდა. მაგრამ ეს უკვე შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება და ამიტომ მის განხილვას აქ არ შევუდგებია.

აკადემიური წარმატება ფასდებოდა ხუთბალიანი სისტემით: 5, 4, 3, 2 და 1. ძირითად ნიშნად მიჩნეული იყო 5, 3 და 1; 5 ნიშნავდა წარჩინებულს, 3 — დამავმაყოფილებელს, და 1 — სუსტს; 2-4 წარმოადგენდა დამატებით ნიშანს: 4—ეს იყო ნიშანის „ხუთის“ ერთგვარი სახესხვაობა, 2 — ასეთივე სახესხვაობა იყო — ნიშანი „ერთისა“; ნიშანთა საშუალო არითმეტიკული წყვეტდა გამოცდებზე დაშვებისა, კლასიდან კლასში გადაყვანისა და კურსის დამთავრების საკითხს. ეს საშუალო ნიშანი დადი პატივით საზოგადობრივი არამც თუ სამოცდაათიან წლებში, არამც 40-50-60 წლებში და შემდეგაც და მასწავლებელთა განსაზღვრული ნაწილი ამ წესს აკადემიური წარმატების მათემატიკური სიზუსტით შეფასების უებარ საშუალებად თვლიდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოლსტოის მიერ შემოცდებულმა გამოცდის წესებმა დაუშვა საშუალო ნიშნის ერთი ბალით შეცვლის შესაძლებლობა მასწავლებელთა დახმასითების საფუძველზე, მაგრამ ამ შემთხვევაში შეცვლა ნავარიუდევი იყო ნიშნის დაკლების ხაზით (მაგალითად: თუ მოსწავლე ყოფაქცევის, გაცვეთილზე ყურადღებისა და ბეჭითობის მხრივ დახასიათებული იქნებოდა უარყოფითად).

ბალების ის სისტემა, რაც მაშინ იყო გაბატონებული, წარმოადგენდა ფართოდ გატრცელებული დასჯის ზომასა და მოწაფეთა დამორჩილების საშუალებას.

ერთ-ერთმა მასწავლებელმა შეკითხვაშე, თუ როგორ ახერხებს ის ასე მრავალრიცხვოვნ კლასში წესრიგისა და სიწყნარის დამყარებას, უპასუხა: „ჩემი საშუალება უბრალოა: შიში ცუდი ბალის მიღებისა, დასჯის ზომების სიმკაცრე და მიუდგომელი რიგება ნოლებისა და ხუთებისა ამ სასწაულის საცხებით ნათელ ახსნას იძლევა... აი რით ეხელმძღვანელობ მე კლასის მართვის საქმეში და



ჩემზე რომ იყოს მინდობილი, მე შემიძლია ვმართო მთელი ქვეყნის მეცნიერებას.\* ამ მასწავლებელმა საკუდით ზუსტად გაძოხატებული იყო მეცნიერების შეხედულება ამ საკითხზე. ასეთი შეხედულების აღამიანები, მმართველობაზე რომ არაფერი ვთვათ, მრავალნი იყვნენ მასწავლებელთა შორისაც.

უხეირო და მოუმზადებელი მასწავლებელი, ჩინოვნიკურად განწყობილი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმისადმი, ბალების სისტემას ეყარებოდა მთელს თავის მუშაობაში და სწავლების მეთოდების დაუფლება-გამოყენებაზე ნაკლებად ზრუნველი. მოსწავლეს აუცილებლად უნდა მოემზადებინა გაკვეთილი, მიცემული მასწავლებლის მიერ „აქედან აქმდე“, ცუდი ბალის შიშით მოსწავლე ვერ დარწმვევდა წესრიგს, და ა. შ.

მოსწავისათვის კარგი ბალი ყველაფერი იყო; მიზანიც, იდეალიც, საოცნებო და სანატრელი საგანიც. კარგი ბალი ატესტატს ანიჭებდა მას; ატესტატი ჩინსა და მუნდირს, მაშასადმე კარგი ბალის მიღება, ამ ძირითადი ამოცანა, რაც იღვა მოწაფის წინაშე სკოლაში შესვლისთანავე. აქედან მასწავლებლის მოტყუილება ათასნაირი საშუალებით: სიცრუე, პიროვნობა, „შპარგალები“, კარნახი, მუქარა, ზოგჯერ ძალადობაც კი და ათასი სხვა რამ.

რა თქმა უნდა, მოსწავლეთა კოლინის შეფასების ხუთბალიანი სისტემა პედაგოგურად სრულიად მართებული და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება მოსწავლეთა სტიმულირებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის; მაგრამ ამ სისტემამ იმდენად მახინჯი სახე მიიღო 70-იანი წლების გიმნაზიაში, რომ ის სრულებითაც არ უწყობდა ხელს მოსწავლეთა გონიერივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეს.

6. ეკადემიური წარმატება. ყველა იმ პირობათა გათვალისწინებით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული და განხილული, ჩვენ წინასწარ შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ ჩვენ მიერ მოხაზული პერიოდის საშუალო სკოლის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები ძლიერ დაბალი უნდა ყოფილიყო. სწავლების კურსის სიძნელე, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადატევირთვა უმეტეს შემთხვევაში მიუწვდომელი მასალით, სწავლების უხეირო მეთოდების გამოყენება, აკადემიური წარმატების ოლრიცხვისა და შეფასების მკაცრი წესები, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების სისასტემები და ყოველივე ამასთან ერთად, კავკასიაში სწავლების ენის უცოდინაზობა ან, უკეთეს შემთხვევაში, სუსტი ცოდნა,

\* შეიდი, საშ. სასწ. ისტორია, გვ. 422.



განსაზღვრავდა აკადემიურ ჩამორჩენილობას, ორწლიანთა დეკანონებას, რაოდენობას, კურსდმითავრებულთა უმნიშვნელო %-ს მოსწავლის განვითარებით და განთხევის არანორჩალურად მაღალ მაჩვენებლებს.

მასწავლებლობა და მოწაფეობა ორი მებრძოლი ბანაკია, მოსისხლე მტრებიც. მასწავლებლის იარაღია ბალი და დასჭა; მოსწავლისა — მოხერხება.

ცოლნა მივიწყებულია, მიზანი ბალია და ბალის მიღება კი შეიძლება ცოლნის გარეშეც, თუ მოხერხების უნარი არ გლალატობს.

„ბალს აქვს დამლუპველი გავლენა სინდისიერებაზე, ზნეობრიობაზე და ჩვენი ახალგაზრდობის თვით საზოგადოებრივ მდგომარეობაზედაც კი... სიცრუე და არაკეთილსინდისიერება უაღრესად განვითარებულია ჩვენს ბავშვებს შორის. გიმნაზიელს ახაფრად ულის სიცრუე, რათა გააცუროს მასწავლებელი, თავი დააღწიოს მოსაბეჭრებელ გაყვეთილს ან მიიღოს დაუმსახურებლად კარგი ნიშნი... აღსაზრდელი, რომელიც 4-5 წლის განმავლობაში ეჩვევა სიცრუესა და მოტყუილებას, მ ჩვეულებას იმ ასაშიც არ დაივიწყებს, როდესაც ეს ნაელი ვთარება და იქცევა სიმახინედ“.\*

ეს სიტყვები ეკუთვნის 50-იანი წლების გიმნაზიის ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელიც ასწავლიდა გიმნაზიაში 28 წლის განმავლობაში და, მაშასადამე, პრაქტიკულად იცნობდა, თუ რას ნიშნავდა ბალი გიმნაზიის სინამდვილეში.

ამ ამონშერში გმოთქმულ აზრს იზიარებს საშუალო სკოლის ისეთი რეაქციონერი ისტორიკოსი, როგორიცაა ე. შმიდი; თუ შმიდიც კი გმობს ბალების სისტემას, ის შმიდი; რომელიც ხოტბადიდებას ასხამს ტოლსტოის გიმნაზიასა და ტოლსტოის პოლიტიკას, რაღა უნდა ყოფილიყო ეს ბალები სინამდვილეში?

ჩვენს ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს კონკრეტულ მაჩვენებლები იმ ფაქტოური მდგომარეობისა, რასაც აღვილი ჰქონდა სინამდვილეში.

ასე, მაგალითად, ქუთაისის კლასიურ გიმნაზიაში შემდეგ კურსზე გადაყვანილთა რაოდენობა შეაღვენდა:

1858	წელს	— 52%
1859	"	— 59%
1860	"	— 63%
1861	"	— 53%
1862/3	"	— 53,8%

\* შმიდი, სარ. სასჭ. ისტორია; გვ. 424.

1863/4	"	— 42%
1864/5	"	— 41,8%
1865/6	"	— 37%
1866/7	"	— 49%
1867/8	"	— 46%
1869/70	"	— 62%
1871/72	"	— 61%
1873/74	"	— 41,6%
1874/75	"	— 45%
1875/76	"	— 62%
1878/79	"	— 50%

აქედან ნათლად ჩანს, რომ შემდეგ კლასში გადაუვანილთა რაოდენობა ჩვეულებრივად—50%-ზე ნაკლები იყო, ანდა ცოტათა აღემატებოდა ამ რიცხვს; მთელ რიგ შემთხვევებში აქადემიური წარმატების მაჩვენებელი—40%-მდე დადიოდა და ზოგჯერ ამაზე ნაკლებიც კი იყო.

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიმნაზიის მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარი ახერხებდა მხოლოდ შემდეგ კლასში გადასვლას, ე. ი. პროგრამის ასე თუ ისე დაძლევას, დანარჩენი კი იმავე კლასში აჩერბოდა ან თავს ანგებებდა სწავლას.

რა თქმა უნდა, ქუთაისის გიმნაზიის აქადემიური წარმატების მაჩვენებლები საერთო ხასიათისაა მთელი კავკასიისათვის და ეს მაჩვენებლები ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ ყველა სამშალო სკოლაშე. ამას აღასტურებს შემდეგი მასალა: კავკასიის ყველა გიმნაზიის მოსწავლეთა—57,3% გადავიდა შემდეგ კლასში — 1878 წელს; 59,4%—1879 წელს.

კავკასიის ყველა რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა 57,15% გადავიდა შემდეგ კლასში—1878 წელს და 62%—1879 წელს.

თბილისის II გიმნაზიის მოსწავლეთა აქადემიურ წარმატების მაჩვენებლები იყო 1875 წ.—54%, 1876 წელს—63%, 1877 წელს—66% და 1879 წელს—59%; ე. ი. თბილისის II გიმნაზიის მოსწავლეთა დაახლოებით 40% ჩამორჩენილი იყო სწავლაში და ვერ ახერხებდა შემდეგ კლასში გადასვლას ამ გიმნაზიის აჩერბობის მთელ პერიოდში 80-იან წლების დასაწყისამდე.

1879 წელს თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა აქადემიური წარმატება უდრიდა—62%-ს; ქუთაისის პროგიმნაზიისა—40%-ს.

თუ ჩვენ იმ ნორმებს ავილებთ, რომლებიც დაწესებული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს მიერ, როგორც ნორმატური მიღწევის მაჩვენებელი (66%), მაშინ ცხადი გახდება,



რომ კავკასიის საშუალო სკოლების მიღწევა მაშინდელ დაწესებულებრივი ნორმაზე დაბალია მთელი ოცი წლის განმავლობაში და მხოლოდ ერთადერთ შემთხვევას ვხედავთ, როდესაც ცალქე სკოლამ მიაღწია ამ „ნორმალურ“ მაჩვენებელს; ეს იყო თბილისის მეორე გიმნაზია, რომლის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაჩვენებელი 1877 წელს 66%-ს უდრიდა.

თუ ჩვენ აკადემიური წარმატების სხვა მაჩვენებლებსაც ავალებთ, იგივე მდგომარეობა დადასტურდება.

ასე, მაგალითად, ქუთაისის კლასიური გიმნაზიიდან 1866/67 სასწავლო წელს გავიდა 149 მოსწავლე, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რიცხვის 27%; თბილისის რეალური გიმნაზიიდან 1871 წ.—19%, ქუთაისის გიმნაზიიდან გავიდა 1874 წ.—26%, 1875 წ.—21%, 1876 წელს—18%, 1878 წელს—8,5%; თბილისის გიმნაზიიდან ამავე წელს გავიდა 15,9%.

კავკასიის ყველა გიმნაზიიდან 1878 წ. გავიდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის — 14,1%, 1879 წ.— 15,8%; 1880 წ.—9,9%.

რა თქმა უნდა სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის მიზეზი არა მხოლოდ აკადემიური ჩამორჩენილობა იყო, არამედ სახსრების უჭირნლობა და საერთოდ ცარიზმის მთელი საგანმანათლებლო პოლიტიკა. მაგრამ ეს მაჩვენებლები მანც ერთ-ერთი უტყუარი საბუთია იმ მოსაზრების დასადასტურებლად, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეთა ღიღი რაოდენობა ვერ სძლევდა სწავლების კურსს და აღრე თუ გვიან თავს ანებებდა სკოლას.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო მაჩვენებელი: კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება მოსწავლეთა საერთო რიცხვთან. როგორია ეს შეფარდება?

ქუთაისის გიმნაზიის I კლასში 1861 წ. იზიცხებოდა 93 მოსწავლე, ნორმალურ პირობებში ამ მოსწავლეებს უნდა დაემთავრებინათ გიმნაზიის კურსი 1868 წელს; მაგრამ 1868 წელს გიმნაზიის VII კლასი დამთავრა 8 კაცმა; ე. ი. 93 კაციდან მხოლოდ რვამ ანუ 8%-ზე ცოტა მეტმა შესძლო კურსის დამთავრება. გამოსამზები კლასის მოსწავლეთა შეფარდება I კლასის მოსწავლეთა რიცხვთან შეადგენდა ქუთაისის გიმნაზიაში: 1864 წ.—14:153 (10%-მდე); ყოველ შემთხვევაში ეს შეფარდება 13%-ს ზევით არ ასულა არასოდეს.

კავკასიის ყველა გიმნაზიაში სწავლების კურსი დამთავრა 1879 წ.— 52-მა კაცმა; მოსწავლეთა საერთო რაოდენობის (2974) 2,5%-მა.



ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ექვს მოსწავლისგან მხოლოდ ერთი ამთავრებდა გიმნაზიის კურსს; 5 კაცი კუნისძიებულია თავრებლად სტროვებდა სკოლას.

ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ათი წლის განშავლობაში (1859—1869 წ.) ქუთაისის გიმნაზიაში ორიცხებოდა 5000-მდე მოსწავლე, მათგან—მხოლოდ 110-მა კაცმა დამთავრა გიმნაზიის კურსი, ე. ი. 100 მოსწავლეშე 2 კურსდამთავრებული მოდის.

განსაკუთრებით ძნელი საგანი გიმნაზიელისათვის იყო რუსული ენა, ძველი ენები და მათემატიკა, და სწორედ ამ საგნებში ვხედავთ აკადემიური წარმატების განსაკუთრებით დაბალ მაჩვენებებს. ასე, მაგალითად: აკადემიური ჩამორჩენილობის გამო 1879 წელს გარიცხულთა შორის სუსტი ნიშანი ჰქონდა საღვთო სჯულში გარიცხულთა 20%-ს; რუსულ ენაში—68%-ს; მათემატიკაში—76%-ს, ისტორიაში — 14%-ს.

როგორც ჩანს, ყველაზე მეტ ჩამორჩენის აღგილი ჰქონდა რუსულსა და ლათინურ ენებში და მათემატიკაში; ყველაზე უკეთესი იყო წარმატება გერმანულ ენაში, ისტორიაში, ფიზიკაში. ნორმალურ წარმატებად ცალკე საგანში ითვლებოდა 75%; საერთო წარმატება კავკასიის ყველა გიმნაზიაში ამ წელს იყო: რუსულ ენაში — 56%; და ლათინურ ენაში — 53%; ბერძნულ ენაში — 52%; მათემატიკაში — 58%; ე. ი. აკადემიური მოსწრება ყველა საგანში გაცილებით დაბალი იყო დაწესებულ ნორმასთან შედარებით.

კლასების მიხედვით დაბალ კლასებს დაბალი მიღწევა ჰქონდათ, მაღალ კლასებს უკეთესი: ეს სრულიად ბუნებრივია. დაბალ კლასებში იცხრილებოდა მოწაფეობა და ვინც აღწევდა უკანასკნელ კლასებამდე, მას უკვე დაძლეული ჰქონდა მთავარი სინერე და უმეტეს შემთხვევაში კიდეც ამთავრებდა სწავლების კურსს.

კავკასიის ყველა გიმნაზიიდან 1879 წელს აკადემიური ჩამორჩენილობით გარიცხულთა შორის: I კლასიდან გარიცხული ამ კლასის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 5,9%; II კლასიდან — 3,9%; III კლასიდან — 2,2%; IV კლასიდან — 3,3%; V, VI, VII და VIII კლასებიდან ამ მიზეზით არავინ გარიცხულა.

საინტერესოა გავარკვით, როთ სსნიდა ამ ჩამორჩენილობას სასწავლო აღმინისტრაცია და როგორი იყო მასწავლებლების აზრი ამ საკითხზე?

იანოგვე ამ ჩამორჩენილობის ძირითად მიზეზს მასწავლებლობაში ხედავდა; მან 1879 წლის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ სასწავლო დისციპლინებში და საერთოდ მთელ კლასში ნორ-



მაჟე დაბალ აკადემიურ წარმატებაში დამნაშავე მასწავლებელია. მაგრამ იქვე დასძენს, რომ აკადემიური ჩამორჩენილობა დაუკუთხებულია აგრეთვე სწავლების ენის სუსტ ცოდნასთან.

იანოვსკი ცალმხრივად უდგება საყითხს; რა თქმა უნდა, ჩამორჩენილობის მიზეზებში წილი მასწავლებლობას მიუძღვის, ენის სუსტი ცოდნაც დიდად უშლიდა ხელს სწავლების საქმეს, მაგრამ ამასთან ერთად სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებიც იყო, რაც იანოვსკიმ ვერ შენიშნა.

უფრო სწორედ მიუდგა ამ საყითხს თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი უელინგტონი; მისი აზრით: „დაბალი ასაკის, სუსტად განვითარებული და, რაც მთავარია, რუსულ ენს ცუდად დაუფლებულა მოწავეობა მრავალრიცხოვანი კლასისა (ლაპარაკი I კლასზე) ვერ სძლეეს ლათინურ ენას. უნდა გამოვტყდეთ, რომ პათ ძალ-ღონეს აღემატება ამ საგანმი მეცადინეობა... უკეთესია წარმატება მეტი იქნებოდა, სწავლება გონივრული და მიზანშეწონილი, რომ ლათინური ენას სწავლება იწყებოდეს ერთი წლით უფრო გვიან, სახელმობრ II კლასიდან“ (იხ. თბ. გომინაშ. დირექტორის წლიური ონგარიშა 1868 წ.).

უმაღლესი კომისიის დასკვნა განათლების მინისტრის წლიური ონგარიშის შესახებ, რომელიც ჩვენ ზემოთ გვქონდა მოყვანილა, ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად ამ დაზღვში მოსწავლეთა გადატვირთვის თვლის (СМ. ЦК КУО, 1879 г., № 9, стр. 271).

„იმ მოსწავლეთა შორის, რომლებიც წარუმატებლობის გამო გაირიცხნენ, — წერს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი სტორანკი, — უმრავლესობა ძველ ენებში ვერ ასწრებდა“. (იხ. წლიური ონგარიში 1880 წლისა).

„ახლანდელი პროგრამების პირობებში — აღნიშნავს ერთ-ერთ შობელი — მოსწავლეებს საფუძვლიანად არაფერი არ ეცოდინებათ (იხ. კავკ. სას. ოლქის კირკ. 1868 წ., № 7, გვ. 16).

ყველა აქ გამოთქმული მოსაზრებანი და ზემოთმოყვანილი მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 1860-1880 წ. წ. პერიოდის საშუალო სკოლაში ძალზე დაბალ დონეზე იდგა; ჩამორჩენილთა რაოდენობა აღწევდა მოსწავლეთა საერთო რიცხვის 40%-ს; დიდი იყო განთვევის % და კურსდამთავრებულთა რაოდენობა ას აღემატებოდა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 2-3 %-ს.

ყველაზე ძნელ საგნებს წარმოაღენდა ძველი ენები, რუსული



ენა და მათემატიკა; მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი სწორული განვითარებული იყო ძველი სკოლის სწავლების კურსით, მთელი სასწავლო საღმშრდელო სისტემით და საერთოდ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკით...

თვითმშერობელობას ნაკლებად აწუხებდა აკადემიური ჩამორჩენილობის საკითხი; პირიქით, სასწავლო ოლქის ზოგიერთ მზრუნველს სამინისტრო შენიშვნამაც კი აძლევდა იმის გამო, რომ... ძლიერ ბევრმა დაამთავრა დამაკმაყოფილებლად გიმნაზია. ასეთი შენიშვნა მიიღო, მაგალითად, ყაზანის ოლქის მზრუნველმა შესტაკოვმა“ (მედინსკი).

## III 30 IV

### პლაზიდელობითი მუშაობა

ახალგაზრდობას აღზრდა მონარქიზმისა და რელიგიის სულისკვეთებით, თვითმშერობელობისადმი მონური მორჩილების ფსიქოლოგით, ყოველგვარი თავისუფალი აზრებისადმი მტრული განწყობილებით და ნაციონალისტურ-მოვინისტური მისწრაფებებით— ასეთია მიზანი და ამავე დროს შინაარსი ძველი სკოლის მთელი სასწავლო-სააღმშრდელო მუშაობისა.

ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა საშუალო სკოლების მთელი სისტემა, აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

ჩა თქმა უნდა, აღზრდის ასეთი მიზანი დამახსიათებელი იყო არა მარტო მოცუმული პერიოდის სკოლისათვის; რელიგია და მონარქიზმი შეაღდგენდნენ სწავლა-აღზრდის ქვაუთხევს და საფუძველს მთელი იმ ეპოქის განმავლობაში, როდესაც მონარქია ბატონობდა რუსეთში.

აღზრდის ასეთი მიზნის წარმოშობა მონარქიას წარმოშობასთანა დაკავშირებული, ხოლო ამ მიზნის შეცვლა—მონარქიის დამხობასთან.

ეს დებულება უდავო ჰეშმარიტებას წარმოადგენს, რომელიც დასაბუთებას არ მოითხოვს. ჩვენი განხილვის საგანს ამ საკითხში მხოლოდ ის შეაღდგენს, თუ ჩა თავისებურება ახასიათებდა აღმზრდელობით მუშაობას 60-70-იან წლებში და აღმზრდელობითი მუშაობის რა ფორმები და მეთოდები იყო გამოყენებული ამ მიზნის მისაღწევალ.



უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 60-იანი წლებით და განსაკუთრებით 70-იან წლებში არსებითად გადაისინვა აღრიცხვის მიზანისა და დელი სისტემა აღმზრდელობითი შემთხვევისა და მთელი რიგი ახალი გზები და საშუალებები დაისახა ამ მიმართულებით.

მაგრამ გასაგები რომ გახდეს ეს ცვლილებები, მათი თვისებურება, არსი და მიმართულება, საჭიროა გავითვალისწინოთ ის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის.

შუალედობის ზრდა, გლეხთა მოძრაობის განვითარება, კაპიტალიზმის აღმავლობა, 60-იანი წლის რეფორმები, ნარიდნის კულ-რაზნობინული რევოლუციური იდეების გავრცელება, მთელი რიგი ტერორისტული ქეტები თვითმშეკრიბელობის უმაღლეს მოხელეთა და თვით მეფის წინააღმდეგ და ბოლოს რეაქცია—რეფორმიდან შეტევაზე გადასვლა ფარიზმის მხრივ — ასეთია ძირითადი მომენტები 60-70-იანი წლების სოციალ-ეკონომიკური პირობებისა, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა სწავლა-აღმზრდის საქმეზე საერთოდ და მოსწავლე ახალგაზრდობაზე, კერძოთ.

„ჩვენს საზოგადოებაში მაშინ გავრცელებული სხვადასხვა მახინჯი სოციალური და პოლიტიკური თეორიები, არ შეიძლება არ შევრიცეყო საშინაო და საზოგადოებრივი აღმზრდის სფეროში და არ მოეხდინა მასზე მავნე გავლენა“.\*

მინისტრის ანგარიშიდან ამოღებული ეს ამონაწერი ადასტურებს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა გამიგნული არ ყოფილა საზოგადოებაში გავრცელებული იდეებისა და თეორიებისაგან; პირიქით, ახალგაზრდა ითვისტებდა ამ თეორიებს და თვისებურად ეხმაურებოდა ამ მოძრაობას, რასაც ადგილი ჰქონდა მაშინ საზოგადოებაში.

„ჩვენ ბავშვებს ცხოვრება უხდებათ მოწამლულ ზნეობრივ ატ-მოსფეროში, რომლის შესახებ ჩვენ, მათ მამებს, წარმოდგენაც არა გვაქვს. ყველა ის ბოროტი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც წინათ სამოქალაქო და სახელმწიფო ბრივ წესრიგს უარყოფდნენ ავაზაკობის, ძალუისა და მაწამულობის უხეში და უკელა-თების ნათელი ფორმით, ახლა შეიქრნენ სულიერ ცხოვრებაში და მიიღეს შეუმჩნეველი და გაცილებით მეტი ზიანის მომტანი ფორ-მები პოლიტიკური და სოციალური მოძღვრების სახით, რომლებ-შიც, როგორც ბადეში ებმებიან გამოუცდელი, ხშირად შესანიშ-

\* ამოღებულია მინისტრის ანგარიშიდან. ციტირებულია შეიდის მიხედვით იხ. შეიდი, გვ. 494.



ნავი გონების მქონე ახალგაზრდები". \* ეს სიტყვები ეკუთვნება გრძელებული ასიმის ერთგულ მსახურს, მონარქის ყურმოცვრილ შონას, პასუხისმასა სის კლასიური ვინაზიის დირექტორს და წარმოითქვა მის მიერ 1881 წელს გიმნაზიის 50 წლის თუბილესთან დაკავშირებით.

ეს საცოდავი ჩინოვნიერი იმდენად დამტრმავებულია და გაბორობული, რომ სოციალურ და პოლიტიკურ იღებებს ზნეობრივ კირს უწოდებს და სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობას ძარცვა-გლეჯის, მაგრამ მის სიტყვებში მაინც არას კეშმარიტების ელემენტი და ეს ელემენტი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულია ამ სოციალურ-პოლიტიკური იდეების შეთვისება მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ.

ამ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებათა გათვალისწინებისა და აქ მოყვანილი საბუთების საფუძველზე ჩვენ ვაყენებთ დებულებას, რომ 60-70-იანი წლების საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდიდა ამ პერიოდში გავრცელებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა და იდეების გავლენას და იმყოფებოდა ამ მოკლენათა გავლენის ქვეშ.

ვნედებით თუ არა მოსწავლეთა რაომერ სახის მოძრაობას ამ პერიოდში, რაც ამ გავლენით შეიძლება აიხსნას?

ამ საკითხების გამოსარკვევად საჭიროა გავიცნოთ მაშინდელი სკოლის ცხოვრება.

1868 წელს თბილისის კლასიკურ გინაზიაში აღგილი ჰქონდა მოსწავლეთა არეულობას (**бунт-ს**, როგორც ოფიციალური წყარო უწოდებს. — ს. ს.), ამ არეულობას ხელმძღვანელობდა VII კლასის მოწაფეობა და მასში მონაწილეობას იღებდა თითქმის მთელი სკოლა. არეულობა იმაში გამოიხატა, რომ მოსწავლეები მოდიოდნენ სკოლაში, მაგრამ მთელი სამი დღის განმავლობაში (16, 17, 18 დეკემბერს) არ შესულან გაკვეთილებზე: უწყობდნენ ობსტრუქციას მასწავლებლებს და ყვიროდნენ: „ძირს დირექტორი“, „არ გვინდა ეკლიხოვსკი“ და სხვ. საქმე იმით დამთავრდა, რომ VII კლასი დახურეს. ამ კლასის მოსწავლეთა თითქმის მთელი შემაღენლობა სკოლიდან გაჩიცხეს და სხვა კლასის მოსწავლეებს კი სხვადასხვა ხასიათის სასჯელი დაადვეს“. \*\*

\* В память пятидесятилетия Тиф. I клас гимназии. стр. 32—33.

\*\* ЦК КУО, 1869, № 1.



ამავე გიმნაზიაში 1870 წელს მოსწავლეთათვის შემოღებული იქნა ე. წ. „Памятная книжка“ ამ წიგნაქში შეტანილი იყო მრჩევითი წა-  
წავლეთა ქცევის წესები. აქერებოდა წარმატების ნიშნები და სა-  
ერთოდ ცნობები მოსწავლის ქცევისა და წარმატების შესახებ.  
მოწაფეობა ამ წიგნაქებს, მიღებისთანავე, დემონსტრაციულად ხევ-  
და ანდა, უკეთეს შემთხვევაში, განგებ კარგავდა.

ამავე წელს შემოღებული იქნა დილის საერთო ლოცვა გაეცე-  
თილების დაწყებამდე. მოწაფეები მტრულად შეხვდნენ ამ ლონის-  
ძიებას; ან არ ცხადდებოდნენ ლოცვებზე, ანდა ლოცვის ღრის  
წესრიგის დარღვევის მიზნით შეუძლებელს ხდიდნენ ლოცვის ჩატარებას. აღმინისტრაცია იძულებული გახდა უმაღლესი სასუ-  
ლივრო თანამდებობის პარები მოეწვია სკოლაში და საქმეში მათი  
ჩარევის შემდეგ მოხერხდა დილის საერთო ლოცვების ნორმალუ-  
რად ჩატარება.

1864 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მოსწავლეთა ოე-  
ულობას ჰქონდა იდგილი. ამ მიზნებით დაიხურა ერთი კლასი და  
13 მოსწავლე გაირიცხა სკოლიდან.\*

1869 წლის დასაწყასში თბილისის რეალურ გიმნაზიაში იყო  
ცდა მოსწავლეთა ორეულობის მოწყობისა, მაგრამ ეს განხილავა  
ადრე გამომერლავნდა და ამ საქმის ინიციატორი მოწაფეები სკო-  
ლიდან გაჩიცხეს.\*\*

არ შეიძლება მოსწავლეთა ასე ორგანიზებული და ერთსულო-  
ვანი გამოსვლა ზოგჯერ მთელი სკოლის მასშტაბითაც კი, შემთ-  
ხვევითი ხასიათის მიზნებს მიეწეროს. აქ აუცილებლად საქმე  
გვაქვს მოსწავლეთა გარევეულ მოძრაობასთან.

ცხადია, რომ ასეთი მოვლენები შედარებით იშვიათი იყო, მაგ-  
რამ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოსვლებს, ზოგჯერ ტერო-  
რისტულ აქტებს, უფრო ხშირად ვხვდებით.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლემ ციციანოვმა  
1873 წელს სკოლაში საჭაროდ სცემა გიმნაზიის ინსპექტორს, რის-  
თვისაც ციციანოვი სკოლიდან გარიცხეს, გაასამართლეს და 6  
თვის პატიმრობა მოუსაჭერეს.

„მოსწავლეები, — წერს მოძალევსკი — არა მარტო გიმნაზიის  
ტექნიკურ მოსამსახურეებს სცემდნენ, არამედ არა იშვიათად თა-  
ვიანთ დამრიგებლებსაც“.

\* მოდვალესკი, ხილ. უч. дела на Кавказе и за Кавказом.

\*\* იბ. მხრუნველის ანგარიში 1869 წლის,

1872 წელს ქუთაისის გიმნაზიაში მოსწავლეთა მიერ მასწავლის შელთა ცემის ორ შემთხვევას პქონია აღიღილი.

ასეთი და სხვა მსგავსი ცნობები ბლომად მოიპოვება წყაროებში, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ესეც სავარისია.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა რევოლუციურ შეგნებამდე ჯერ კიდევ არ იყო მისული. აღიღილი არ პქონაა მოსწავლეთა ორგანიზებულ-მასობრივ მოძრაობას, საწრეო მუშაობას, ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, როგორც ეს იყო, მაგალითად, შემდეგ პერიოდში 90-იან ან 900-იან წლებში.

ეს მოძრაობა უმთავრესად აღიღილობრივი ხსიათს ატარებდა და გვიჩვენებდა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა მხედრებული იყო მაშინდელი სკოლის, მასწავლებლის და სასკოლო აღმინისტრაციის წანააღმდეგ, სკოლაში გაბატონებული რეეიმისა და წესების წინააღმდეგ.

მოწაფეობა იბრძვის; მართალია, სტიქიურად, არა ორგანიზებულად, მაგრამ მაინც იბრძვის.

მოწაფეობა თავის უქმაყოფალებას გამოხატავს სიტყვიერად, ანონიმური წერალებით, ფიზიკური ძალის გამოყენებით, მუქარით, თავისებური გაფიცვით და ზოგჯერ არეულობის მოწყობით.

არამარტინათად მოსწავლეები მიმართავდნენ თვითმკვლელობას აქტსაც, რაც პროტესტს გამოხატავდა იმ რეეიმის წინააღმდეგ, რომელიც სკოლაში იყო გაბატონებული.

ყოველავე ეს წარმოადგენს მოწაფეთა გარკვეული სახის მოძრაობას, ახალს და უჩვეულოს წინაპერიოდისათვის და პროლოგს შემდგომი დროის მოსწავლეთა რევოლუციური ბრძოლებისათვის.\*

„აღმზრდელის მოვალეობა — წერდა პეტერბურგის სასწავლო ლექსის მზრუნველი 1862 წელს — საზოგადოებისა და ლიტერატურის თანამედროვე მიმართულებათა პირობებში ძნელი გახდა“.\*\*

და ი სწორედ ეს საზოგადოებრივი მიმართულება, ლიტერატურა, პრესა, ისტორიული მოვლენები, ახალი სოციალურ-ეკონომიკური კითარება ანდენდა უშუალო გავლენას სკოლასა და მოწაფეებზე.

ეს მიმართულება იჭრებოდა მოსწავლეთა წრეებში, ახალ

\* თბილისის სასულიერო სემინარიაში 70-იანი წლების დასაწყისიდან მოწაფეთა მოძრაობა გარკვეულად პოლიტიკურ სახეს იღებს; თუ გიმნაზიებში არა მარტინ ეს, ამას თავისი მიზეზები პქონდა. რედ.

\*\* შმიდ, გვ. 244.



იდეებს ითვისებდა ახალგაზრდობა და ამ მიმართულებათა გავლენა კულტურული  
ნა მედავნდებოდა აქა-იქ მოსწავლეთა მოძრაობის სახით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ყოველთვის გარე-  
გან გამოხატულებას არ პოულობდა ეს გავლენა; ბუნებრივია, რომ  
„ზნეობრივ კირად“ მიჩნეული აზრები და შეხედულებნი უნდა  
დაფუარა აღამიანს; ყოველთვის არ ყოფნიდა მას გამბედაობა  
ემოქმედნა ისე, როგორც ამას ბრძოლის ინტერესები მოითხოვდა.

თუ ევსევევი თავს დაესხა ინსპექტორს, მას აუცილებლად მრა-  
ვალი თანაუგრძნობდა მოსწავლეთა წრეში; თუ ციციანოვმა სცემა  
ინსპექტორს — ასეული სხვა მხარს უჭერდა მას იდეურად და  
თვითონაც არ იყო წინააღმდეგი ჩაედინა ასეთივე აქტი.

თუ თბილისის კლასიკური გიმნანაზიის მოსწავლეებმა მოაწყვეს  
არეულობა 1868 წელს, განა ასეთივე არეულობის მოწყობა არ  
ჰქონდათ განზრახული თბილისის რეალური გიმნაზიის მოსწავ-  
ლეებსაც, ხელი რომ არ შეეშალათ მათთვის?

ამრიგად, ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გავლენა გაცილე-  
ბით ძლიერი იყო, ვიდრე ის სინამდვილეში მედავნდებოდა.

ამიტომაც, სრულიად სწორად შენიშვნა პეტერბურგის სასწავ-  
ლო ოქტის მზრუნველმა: „გარეგნული წესრიგი დარღვეული არ  
ყოფილა, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოსწავლეთა გან-  
წყობილებას, არ შეიძლებოდა არ შეგვენიშვნა, რომ წინა დროი-  
სათვის რაღაც უცხო სული იქრებოდა სასწავლო დაწესებულებათა  
ზნეობრიობაში“. \*

ეს ძველი დროისათვის უცხო განწყობილება გავრცელდა მოს-  
წავლე ახალგაზრდობაში 60—70-იან წლებში და ეს განწყობილე-  
ბა თუ ზოგჯერ გარეგან გამოვლინებას პოულობდა, სხვა შემთხვე-  
ვაში ფარული სახით იყო დამკვიდრებული ახალგაზრდობის შეგ-  
ნებაში.

აი, სწორედ ასეთ პირობებში აღმზრდელობითი მუშაობის  
დარგში ახალი ამოცანები წამოიჭრა, ახალი მეთოდები და ფორ-  
მები გახდა საჭირო. ძველი სისტემა უკვე შეუფერებელი გახდა  
ახალ ვითარებასთან შეფარდებით. აღზრდის მიზანი იგივე დარ-  
ჩა — რელიგია და მონარქია, მაგრამ შეიცვალა აღმზრდელობითი  
მუშაობის პირობები, ფორმები და მეთოდები.

წინათ, ვთქვათ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სკოლის  
სააღმზრდელო ღონისძიებებს საწინააღმდეგო ძალები ან არ უპირ-

\* შეიდ, გვ. 244.



დაპირდებოდა, ანდა ამ ძალების გავლენა მოსწავლე ახალგაზრდულება შეიძლოდა ბაზე ძლიერ სუსტი იყო.

ასეთ პირობებში სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის ძირითად ამოცანას მოსწავლეთა იმ საზოგადოებრივი მოძრაობისა და პოლიტიკური იდეების გავლენისაგან დაცვა წარმოადგენდა, რომლებიც მაშინ იყო გაფრცელებული.

ტოლსტოიმ თავის „მოლვაწეობა“ განათლების ფრონტზე სწორედ ამ ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებათა დასხვით და გატარებით დაიწყო. „სალაპარაკოც არაა, განაცხადა მან ერთ-ერთი გიმნაზიის დათვალიერების დროს, — რომ სკოლაში პოლიტიკური პროპაგანდის მოთხენა შეუძლებელია. სასწავლო დაწესებულებებში მე უკუნებ მხოლოდ ერთ პროპაგანდას — პროპაგანდას სწავლისას და მეცნიერებისას. მხოლოდ ეს უნდა იძლეოდეს მიმართულებას. მე შევეცდები, რათა ის იყოს საქმიანი და სასაჩვენებლო. მე შევეცდები, რათა გიმნაზიიდან გამოდიოდნენ არა თავისთვიში დარწმუნებული ქარაფშეტები, რომელთაც თავი უკალაკურის მცოდნედ მოაქვთ, არამდე თავდაბალი და სერიოზულად განათლებული ადამიანები“. \*

1866 წლის 4 აპრილს აღგილი ჰქონდა კარაულზოვის გასროლას; ამ ისტორიული მოელენის შემდეგ რეაქცია შეტევაზე გადავიდა ყველა მიმართულებით, მათ შორის სკოლის წინააღმდეგაც და მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე გაგრინისადმი 1866 წლის 13 მაისს გაცემულ უმაღლეს რესკრიპტში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ჩემ მიერ გაცემულია განკარგულება, რათა ახალგაზრდობის აღზრდა წარმიმართოს რელიგიის კეშმარიტებათა ხაზით, კერძო საკუთრების უფლების პატივისცემით და საზოგადოებრივი წესრიგის საწყისთა დაცვით და, რომ არც ერთი უწყების სასწავლო დაწესებულებებში არ იქნას დაშვებული არც ცხადი, არც ფარული სწავლება იმ დამანგრეველი აზრებისა, რომლებიც ერთნაირად მტრულია ხალხის კეთილდღეობის როგორც ზნეობრივი, ისე მატერიალური პირობების მიმართ“. \*\*

ძნელი არაა მიხვედრა, რომ ეს უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც მოითხოვს რელიგიური აღზრდის გაძლიერებას მოსწავლე ხალგზრდობაში, პროპაგანდის აღყვეთას, არსებული წყობილებისა და კანონებისადმი მორჩილებას, დაკავშირებულია კარაულზოვის გასროლასთან და, მაშასადამე, გამომდინარეობს იმ საერთო

\* ზმიდ, გვ. 506.

\*\* იქვმ, გვ. 505.



ამრიგად, მოსწავლე ახალგაზრდობის იზო-  
ლირება საზოგადოების გავლენისაგან, მათში ი-  
ჰოლიტიკური იდეებისა და მონარქიის საშინა-  
ოლმდევო აზრების გავრცელების შესაძლებ-  
ლობის აღკვეთა, ფარული თუ აშკარა პროპა-  
განდის ლიკვიდაცია, მოსწავლეთა მოქცევა  
მთლიანად თვითმკურობის კლანჭებში და  
რელიგიის გავლენის გაძლიერება, — ასეთია ის  
ამოცანები, რომლებიც დადგა სამუალო სკოლის წინაშე აღმზრდე-  
ლობითი მუშაობის დაზღვში.

რა ლონისძიებები ტარდებოდა ამ მიმართულებით?

უპირველესად ყოვლისა, ამ აღმზრდელობით ამოცანებს ემსა-  
ხურებოდა სწავლა-განათლების მთელი სისტემა. როგორც ეს ჩვენ  
ზემოთ დავინახეთ, სასწავლო გეგმები, პროგრამები, სწავლების  
შეთადები და საერთოდ მთელი სასწავლო პროცესი გიმნაზიასა,  
პროგიმნაზიისა და რეალური სკოლისა საქსებით ემორჩილებოდა  
იმ სააღმზრდელო ამოცანებს, რომლებიც სკოლას წინაშე იღგა.

ყოველივე ეს ჩვენ ზემოთ დავასაბუთეთ და ნათელვყავით. აქ  
მხოლოდ ხაზი გვინდა გაცუსვათ იმ გარემოებას, რომ აღმზრდა-  
განათლება და სწავლება ერთი და იმავე მიზნიდან გამომდინარე-  
ობდა, ერთი და იმავე ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა.

ყველა ზომა იყო მიღებული სწავლების პროცესთან აღმზრდე-  
ლობითი მუშაობის შესათანხმებლად და შესაგუებლად.

მართალია ისიც, რომ 60-იანი წლების რეფორმების პერიოდში  
მთავრობის წერებში ასებობდა აზრი: „სკოლა არის სასწავლო  
დაწესებულება, აღმზრდა მშობლების საქმეა“, მაგრამ ამ აზრმა  
ოიდხან ვერ იარსება და მისი გავლენა პრაქტიკაში მხოლოდ პან-  
სიონისტის ერთგვარი შეკვეცით გამოიხატა.

აღმინისტრაციული მუშაობის სააღმზრდელო მუშაობასთან და-  
კავშირების შიზნით გიმნაზიის დირექტორსა და ინსპექტორს დაე-  
ვალათ სწავლებაში მონაწილეობის მიღება, ამავე მიზნით შემოი-  
ლეს კლასის დამრიგებლის გამოყოფა მასწავლებელთა შემადგენ-  
ლობიდან და მისი დატვირთვა სათების მეტი რაოდენობით სადამ-  
რიგებლო კლასში; რეკომენდირებული იყო ბერძნული და ლათ-

\* რეაქცია დაიწყო გაცილებით ადრე, 1862 წლიდან; კარაკოზოვის გასრო-  
ლამ გააძლიერა მნიშვნელოვანი კურსი. რედ.



ნური ენების მასწავლებელთა სავალდებულო წესით გაშემუშავა  
კლასის დამჩინებლებად. საღვთო სჯულის მასწავლებელჭიშუმაშე  
ბოლა მონაწილეობა მიეღო ყველა საკლასო და საგნობრივი კო-  
მისიების მუშაობაში, რათა რელიგიური ოლზრდის მომენტები სა-  
თანადოთ ყოფილიყო დაკავშირებული სასწავლო საგნების სწავ-  
ლებასთან.

დირექტორი და ინსპექტორი ვალდებული იყვნენ ეკისრათ  
კლასის დამრიცებლობა.

1864 წლის წესდებით ერთგვარი ნაბიჯი გადაიდგა, ხოლო 1871  
წლის წესდებით კი დაკანონდა მასწავლებლობის აქტიური ჩაბმა  
აღმზრდელობით მუშაობაში, დირექტორისა და ინსპექტორისა კი  
სასწავლო მუშაობაში.

ამრიგად, აღმზრდელობითი სწავლების პრინციპმა თავისებური  
გამოხატულება ჰპოვა საშუალო სკოლების სინამდვილეში ამ ღო-  
ნისძიებათა სახით.

წინა რიგზე იქნა შამოყენებული პანსიონის აღმზრდელობითი  
მნიშვნელობა. პანსიონი, რომელიც თავის დროზე ფილანტროპიუ-  
ლი მიზნით იყო შექმნილი გიმნაზიებთან, ამეამად დახურულ სააღ-  
მზრდელო დაწესებულებად იქცა. თუ 1864 წლის წესდებით პან-  
სიონის კონტინგენტი შეზღუდული იყო 80 კაცით, თუ მასში  
V—VII კლასის მოწაფეობა არ დაიშვებოდა, 1871 წლის წესდე-  
ბამ ეს შეზღუდვა გააუქმა და ხაზი გაუსვა პანსიონის გაცილებით  
შეტ საჭიროებას, სწორედ უფროისი ასაკის მოსწავლეთათვის; სას-  
კოლო აღმინისტრაციას მითითება ეძლეოდა ყველა ზომა მიეღო  
პანსიონის გასაფართოებლად და ამ საქმეში საზოგადოებრივი ქველ-  
მოქმდების გამოსაყენებლად. ცხადია, რომ მოსწავლე, რომელიც  
პანსიონში იყო მოთავსებული, მთელი დღე-ღამის განმავლობაში  
იმყოფებოდა პედაგოგებისა და აღმინისტრაციის გავლენისა და  
მეოვალყურეობის ქვეშ.

წესდება უფლებას აძლევდა და ურჩევდა დირექტორს, ინსპექ-  
ტორს და მასწავლებლებს თავიანთ ბინებში საცხოვრებლად აყვა-  
ნათ პანსიონის გარეთ დარჩენილი მოსწავლეები.

გარდა ამისა, ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. მოწაფეთა ბი-  
ნების მოწყობა („Ученические квартиры“). პედაგოგიური საბჭო,  
სკოლის აღმინისტრაცია, კლასის დამრიცებელი და აღმზრდელი მო-  
ვალენი იყვნენ ეზრუნათ მოსწავლეთა ბინების მოსაწყობად. ასეთი  
ბინები ეწყობოდა რომელიმე კეთილსამედო პირის, უმთავრესად  
მასწავლებლის ან ყოფილი მასწავლებლის ოჯახში. ოჯახის უფროსს

მეოთვალურეობა უნდა გაეწიო იყო მათი ყოფილობისათვის.

მაგრამ ყველა ამ ონისძებათა მოუხედავად მოსწავლეთა უძინესი ნაწილი შშობლებთან ან ნათესავებთან ცხოვრობდა, ან თვითონ თავსცებოდა საღმე.

ყოველ მოსწავლეზე, რომელიც შშობელთან, ნათესავთან ან ცალკე დაქირავებულ ოთახში ცხოვრობდა, მეთვალყურეობა იყო დაწესებული. გიმნაზიაში ჩარიცხვისას მოსწავლის შშობელს უნდა დაედო შერილობითი ვალდებულება; ვალდებულებაში, სხვათა შორის, გათვალისწინებული იყო, რომ ყოველი განკარგულება, რომელიც მოსწავლეებს შეეხება საერთოდ და ამ მოსწავლეს კერძოთ, შესრულებული იქნებოდა ზუსტად; (ნაჩენები უნდა ყოფილიყო ვისთან ირიცხებოდა მოსწავლე და აგრეთვე ბანის მისამართი. ბინის გამოცვლის შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა ეცნობებინათ სკოლის აღმინისტრაციისათვის) (იხ. მიღების შესების § 7-ს დანართი).

სკოლის გარეთ მოსწავლეებზე პოლიციური ზედამხედველობა იყო დაწესებული. ამის შესახებ კავკასიის სასწავლო ოლქის მშრალა 1867 წლის წესდების განმარტებაში წერდა:

„უცილებლობას წარმოადგენს, ზეობრივი ზედამხედველობის გარდა, ვიქონიოთ განსაკუთრებული გარეგანი ანუ პოლიციური ზედამხედველობა. ამისათვის არიან დანიშნულნი აღმზრდელთა თანამემცევები“.\*

დამრიგებლის თანაშემწეოთა მოვალეობას შეაღენდა მოსწავლეებზე მეთვალყურეობა კლასს გარეთ და განსაკუთრებით სკოლის გარეთ ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში.

კლასის დამრიგებლის თანამშემწე სისტემატურად მოწმებდა მოსწავლეს ოჯახში: იყო თუ არა ის სახლში დაწესებულ საათებში, რას აკეთებდა ის შინ, ვანმე საექვო პირი ხოდ არ დატიოდა მას-თან, რა წიგნებს კითხულობდა და სხვ. გიმნაზიისათვის ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი კლასის დამრიგებლის თავდასხმა და ვაი, მისი ბრალი, თუ დაწესებული წესების დაზღვევაში იქნებოდა შე-ნიშნოვა.

მოსწავლეს აქტიულული ჰქონდა თეატრში, ბალში და სასაზღვროში შესვლა. მას ას ჰქონდა უფლება საზოგადოებრივ ბიბლიო-თეკებში და სამეცნიეროებრივ სიარულისა. 8-9 საათის შემდეგ, სა-მომობით, ჭრისში გავლა მოსწავლის კურსალებობა.

\* Сб. ЦК КУО 1867—76 г., стр. 87.



1864 წელს პანსიონერთათვის, ხოლო 1871 წლიდან ყველა უკანასკნელმა წავლისათვის შემოღებული იქნა ფორმა, რათა აღვალი უოზგაზრის მოსწავლის გამორჩევა საზოგადოებაში.

1879 წლიდან ყველა მასწავლებელს, საქართველო დარგის ყოველ მუშაქს, მათ შორის ტექნიკურ პერსონალსაც დაეკისრათ სკოლის გარეთ მოსწავლეთათვის თვალყურის დევნება, სასწავლო დარგის გარეთ მუშაყი თუ მოსწავლეს, რომელი სკოლისაც არ უნდა ყოფილიყო ის, შენიშვნავდა საღმე ისეთ ალაგბს, სადაც მას აკრძალული ჰქონდა ყოფნა, ან რამე წესრიგის დარღვევას მოსწავლის მიერ, ჰქონდა ყოფნა, ან რამე წესრიგის დარღვევას მოსწავლის მიერ, გალდებული იყო გამოერკვია მოსწავლის ვინაობა, გაეფრთხილებინა ის და ეცნობებინა ამის შესახებ სკოლას აღმინისტრაციისათვების.\*

მაგრამ ყოველივე ეს საქმარისად ან მიიჩნიეს განათლების საქმის შესვეურებები.

1870 წლის 18 ოქტომბრის თარიღით თბილისის კლასიური გიმნაზიის დარექტორმა უელიხოესკიმ შუამდგომლობა აღძრა ოლქის მზრუნველის წინაშე, რათა პოლიციას თვალყური ედევნებინა მოსწავლეებისათვის სკოლის გარეთ. ამ შუამდგომლობაში ნათევა- მია: „გზრუნავ რა მუდმივად გიმნაზიის გარეთ მოსწავლეთა კონტ- როლზე, მე აუცილებლად მიმართა უმორჩილესად ვთხოვო თქვენს მარალაღმატებულებას ურთიერთობა დამყაროს ვასთანაც ჭერ არს, რათა პოლიციას დავვალოს გიმნაზიის ხელმძღვანელობას მია- წოდოს ცნობები მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ გიმნაზიის გარეთ“.

ამ შუამდგომლობას საფუძველზე, 1870 წლის 25 ოქტომბრის თარიღით, მზრუნველი თბილისის გუბერნატორს უგზავნის მიმართვის, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „პატივი მაქვს უმორჩილესად ვთხოვოთ თქვენონ აღმატებულებავ, გასცეოთ განკარგულება, დაევა- ლოს აქაური პოლიციის ხელმძღვანელობას, რათა ის ზუსტად მე- თვალყურეობდეს აქაური გიმნაზიების მოწაფეებს და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობას“. \*\*

კომენტარიები ზემდეტია. საეჭვოა, ოდესშე საღმე ყოფილიყო გამოყენებული მოსწავლეთა მიმართ ამაზე სასტიკი და მკატრი ზო- მები მეთვალყურეობისა.

სკოლაში და სკოლის გარეთ, გავვეთილზე და დასვენებაზე, ოჯახში და საზოგადოებაში, ქუჩაში და დაწესებულებაში, ყველ-

\* იბ. მზრუნველის საბჭოს 1879 წ. 4|IX დადგენილება, 1879 წ., № IX.

\*\* იბ. ცენტროაქტივი, ფონდი 107, სერია Б. საქ. № 87.



გან უნდა მისწვდომოდა მეთვალყურის თვალი გიმნაზიელს. ამცირავებული ერთი ნაბიჯი მისი ყოფა-ცხოვრებიდან არ უნდა გამოპარვოდა ტექსტიკითისა სკოლო აღმინისტრაციას, სკოლის ყველა ძალა დარჩაზმული იყო ამ მიმართულებით და პოლიციაც ეხმარებოდა ამ საქმეში სკოლას.

ამ მეთვალყურეობის ძირითადი მიზანი იყო გიმნაზიელის იზოლირება საზოგადოებისაგან, აღმიანებთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა და მისი ჩავეტვა ოთხ კედელს შეა.

ასეთი სანით ხორციელდებოდა მეთვალყურეობა მოსწავლეთა ქცევაზე, ამ ქცევის გარეგან გამოვლინებაზე. მაგრამ მხედველობიდან არ გამოპარვიათ ისიც, რომ მოსწავლე შეიძლება წესრიგს ზედმიწევნით კარგად იცავდეს როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, ასრულებდეს ყველა დავალებას და სწავლობდეს წარჩინებით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ მისი განშუობილება, აზრები და იდეები, მიღრეკილება და იდეალები სავსებით ისეთი იყოს, როგორც ამას მისგან მოითხოვენ.

საჭირო იყო მისი შინაგანი აზრის გაეჩა, ფარულ მისწრაფებათა გამოვლინება, მის ფსიქიურ ცხოვრებაში ჩაწვდომა და ას, სწორედ ამ მიმართულებით შთელ რიგ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ.

კლასის დამრიგებლის ერთ-ერთ მოვალეობას მოსწავლის შესწავლა შეადგენდა. კლასის დამრიგებელს ჰქონდა სპეციალური წიგნაკი, რომელშიც შექონდა ყოველგვარი შენიშვნები, რაც ამა თუ იმ მოსწავლეს შეეხებოდა; კლასის დამრიგებელს უნდა მიეცა სრული დახსიათება დირექტორისათვის და პედაგოგიური საბჭო-სათვის მოწაფის წარმატებისა და ზნეობრივი მხარის შესახებ. ყოველდღიური დაკვირვებით, მოსწავლესთან დახსლოებით, მის მიღრეკილებათა და ინტერესთა გაებით, მშობლებთან მტკიცე ურთიერთობით და სხვა, კლასის დამრიგებელი აქერხებდა მოწაფეების იმდრენად შესწავლას, რომ მან კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა თითოეული მათგანი. რა თქმა უნდა, კლასის დამრიგებლის მოვალეობა ამით არ ამოიწურებოდა; სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, მას გარკვეული როლი ჰქონდა მიუუთვნებული; კლასის დამრიგებელთა ინსტიტუტს განსაზღვრული გაეცემო, აუცილებლად დადგებითი მნიშვნელობაც გააჩნდა. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, უკეცელია, რომ, თუ კლასის დამრიგებლის თანაშემწეობა მოსწავლეთა ყოფაქცევის მეთვალყურე იყო, კლასის დამრიგებელი მოსწავლეთა სულიერი ცხოვრების მეთვალყურეს წარმოადგენდა.



ამ მიმართულებით თვითონ მოწაფეებსაც იყენებდნენ. მასშიც ცალკეული ლეთა შორის გავრცელებული იყო ერთომეორის დასმენა: ტაქტული აღმინისტრაციისა და პედაგოგიური პერსონალის წაქეზების გარეშე ეს არ მოხდებოდა. და, მართლაც გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ეს არ მოხდებოდა. და, მართლაც გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ნაგების დასმენას სკოლის აღმინისტრაციის წინაშე; ამ წესების წ 27-ში ნათვამია: „სასტიკად იქრძალება:... ყოველგვარი მოუღებელი საუბრები და თხრობა, ყოველგვარი ცნობა ან მოქმედება, რომლებიც ზნეობრივ სიწმინდეს ეწინააღმდეგება და ამხანაგები სათვის წარმოადგენს ცდუნებას, აგრეთვე სასტიკად იქრძალება ყოველგვარი წაქეზება ამხანაგებისა რაიმე ცუდი საქციელისაც და მით უმეტეს ერთობლივი უწესრიგობანი.

მოსწავლეები თვითონ არ უნდა ითმენდნენ თავიანთ წრეში ასეთ მავნე ამხანაგებს და მათ შესახებ უნდა აცნობონ კლასის დამრიგელებას“. (ხაზი ჩვენია. \* — ს. ს.).

მაშასადმე, თითოეული მოსწავლე ვალდებულია მიაწოდოს ცნობები კლასის დამრიგებელს — აღმინისტრაციას, თავისი ამხანაგების შესახებ. აშკარაა, რომ ეს წესები მოსწავლეთაგან მოითხოვს ერთომეორის დასმენას და გაშეშინობას. მართლაც, მოსწავლეთა შორის ეს საზისხლარი ჩვეულება გავრცელებული იყო.

უკველია, რომ აღმზრდელობითი თვალსაზრისით ამ წესს გამანადგურებელი გავლენა უნდა ჰქონოდა მოსწავლეთა ზნეობასა და პატიოსნებაზე; ამ გზით მოსწავლე ახალგაზრდობაში კითარდებოდა გულმდაბლობა და მლიქვნელობა, ისპობოდა ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა და ინერგებოდა უნდობლობა და მტრული განწყობილება მოსწავლეთა შორის.

მაგეზორობის სულისკეთებით აღზრდილი ახალგაზრდობა სწორედ რომ შეეფერებოდა მონარქიზმის პრინციპს.

მოსწავლეს ევალებოდა ყოველწლიურად მიეღო ზიარება და ეთქვა აღსაჩება (§ 3). არ შეიძლება, რომ ეს აღსაჩება გამოყენებული არ ყოფილიყო მოსწავლეთა განწყობილების გამოსარჩვად.

მოსწავლეთა წერითი სამუშაოები, ე. წ. თხზულებანი, მინინეულია მოსწავლეთა აზრთა მიმართულების გამომეღავნების ერთ-ერთ საშუალებად. თხზულებაში მოსწავლეს უნდა მოეცა თავისი აზრის

დაბამი 1872 წ. გ. 481.

\* Сб. ПК и расп. КУО,—1872—76—г. г. стр. 481.



თემით გათვალისწინებულ საკითხებზე; განსაკუთრებით მაშინ, ეჭვისა და თემა განყენებული ხასიათისა იყო და გარევეულ დებულებათ მოყვითავა მოყენებას მოითხოვდა.

მოსწავლეს თვალყურს აღევნებდნენ იმ მხრივაც, თუ რა წიგნები მიქენონდა მას სკოლის ბიბლიოთეკიდან. მართალია, სკოლის ბიბლიოთეკაში შერჩეული ლიტერატურა იყო, მაგრამ ზოგიერთი ჩამის გამორკვევა მაინც შეიძლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ლიტერატურას ერანებოდა ესა თუ ის მოწაფე.

აღმზრდელობითი ხასიათის ის მეთოდები და წესები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, წარმოადგენენ აღზრდის იეზუიტურ სისტემას.

რა არის დამახსიათებელი იეზუიტური სისტემისათვის?

ამ კითხვაზე გარევეულ, მყაფიო და ამომწურავ პასუხს გვაძლევს ხალხთა დიდი ბელადი მხანაგი სტალინი. სტალინი ახსიათებს რა იეზუიტთა სისტემას, აღნიშნავს: „...მათი ძირითადი მეთოდია თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, სულში ჩაძრომა, აბუნად აგდება“. \*

როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ყველა ეს მეთოდები, ე. ი. თვალყურის დევნება, ჯაშუშობა და სულში ჩაძრომა ფართოდ იყო გამოყენებული რუსეთისა და, მშესადამე, კავკასიისა და საქართველოს გიმნაზიებში, პროგიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში.

ამ საფუძველზე ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავისკვნათ, რომ იეზუიტური აღზრდის სისტემიდან მრავალი რამ იყო გადმოღვებული და გამოყენებული რუსეთის საშუალო სკოლებში.

აღმზრდელობითი მუშაობის ყველა ამ ფორმებთან, მეთოდებთან და წესებთან ერთად ფართოდ იყენებდნენ დასჭის სხვადასხვა ხასიათის ზომებსაც. ექვედან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ფიზიკური დასჭა, კერძოდ გაწერვლა. „იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო კეუჯა და სიკეთე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიაშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ გავიდოდა, რომ ყმაწევილების წივილ-კივილით იქაურობა აზ ყოფილი ყო გაყრდებული. „როტაში“ აზ უნდებოდათ იმდენი წესებლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს“ ურმებით მოქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალაზეა ყველას შეეძლო — დი-

\* ი. სტალინი—სახალხო განათლების შესახებ, 1939 წ., გვ. 49.



რექტორიდან დაწყებული „სტოროვაშე“ მიზეზს აჩავინ ჭირზეულა  
ლობდა“. \*

ჩეენი სახელოვანი პოეტი აკ. წერეთელი 50-იანი წლების მდგო-  
მარებას ავიზურს, მაგრამ არც შემდგომ პერიოდში განდევნილა  
გიმნაზიიდან ეს საძაგელი წესი საშუალო საუკუნეების სკოლას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც დასავლეთი ევროპა წასუ-  
ლა ამ მიმართულებით წინ; კერძოთ, გერმანიაშიც პერიოდი აღგი-  
ლი მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას ჩვენ მიერ მოხაზულ პერიოდში.

ინგლისში ფიზიკურ დასჯას ფართოდ იყენებდნენ და არა მხო-  
ლოდ სახალხო სკოლებში, არამედ არისტოკრატიულ სასწავლო  
დაწესებულებებშიც კი, როგორიც იყო იტონიისა და ვესტმინსტე-  
რის სკოლები.

კიდევ შეტი, ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელთა მხეცობა  
იქამდისაც კი მიღიოდა, რომ 1860 წელს ისტბურნის სკოლაში  
მასწავლებელმა ტომას გააღმა ისე სასტიკად დასჯა თავისი 15  
წლის მოსწავლე, რომ მას სული ამოხდა წერპლის ქვეშ. ეს შემ-  
თხვევა იმდენად ბუნებრივ მოვლენად იქნა მიჩნეული, რომ სასა-  
მართლო დაკავუთოდა ბოროტოვქმედი მასწავლებლისათვის  
მხოლოდ 4 წლის საკატორო სამუშაოს მისჯით.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ამ საკითხში, კანონმდებლობის  
მხრივ, წინ იღვა გერმანიასა და თუთ დემოკრატიულ ინგლისთან  
შედარებით.

1782 წელს ეკატერინე II მიერ დაარსებულმა კომისიამ დაა-  
მუშავა სასკოლო წესების კრებული; ამ კრებულით ფიზიკური  
დასჯა აქრძალეს.

1804 წლის წესდებით დადასტურებული იქნა ეკატერინე II-ს  
სასკოლო წესები და, მაშინადამე, ფიზიკური დასჯის აქრძალვა.

მაგრამ ამ კანონს აჩავინ არ ასრულებდა და ფიზიკური დასჯა  
სკოლებში ამ წესებისა და წესდების გამოყენების ასებული სა-  
ხით დარჩა.

1828 წესდებით ფაზიკური დასჯა ისევ დააკანონეს, მაგრამ  
მისთვის უნდა მიემართო ყველა სხვა ზომის გამოყენების შემდეგ;  
ამ შემთხვევაში ფიზიკური დასჯა დაშვებული იყო მხოლოდ პარ-  
ველ სამ კლასში.

ყურადღებას ამ წესდებასაც აჩავინ აქცევდა და ფიზიკური  
დასჯა ძალაში ჩერებოდა მთელი თავისი სისატიკით.

1859 წ. პიროვნები ამ საკითხს შეეხო. იგი იღაშექრებდა ფი-

\* იბ. აკ. წერეთელი—ჩემი თავგადასავალი.



ზიკური დასჯის წინააღმდეგ თეორიულად, მაგრამ პრაქტიკაში ეჭროთ ეს „თეორია“ პიროვოვანია არ გაატარა და იმ სასწავლო ოლქში, რომელიც მელსაც თვითონ ხელშეძლვინელობდა, დასჯის სხვა ზომებს შორის, ფიზიკური დასჯაც ძალაში დატოვა.

ამის გამო გამოქვეყნდა 60-იანი წლების ცნობილი პუბლიცისტის ნ. ა. ღობროლუბოვის შესანიშნავი სტატია: „Всероссийские иллюзии, разрушающие розгами“; ღობროლუბოვი გადაჭრით ილაშექრებდა წკეპლის წინააღმდეგ და შეუხარებით აღნიშნავდა: „ვალიარებთ, რომ არა ასეთ ტრნს, არა ასეთ ჩინოვნიკურ მსჯელობას მოველოდით ჩვენ: „ცხოვრების საკითხების“ ავტორისაგან“. \*

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც დაიწყო 60-იანი წლების რეფორმებისათვის სამზადისი. პროექტი ახალი წესდებისა, რომელიც დისკუსიისა და განხილვის საგანს წარმოადგენდა, ითვალისწინებდა ფიზიკური დასჯის აკრძალვას.

პროექტის განხილვის პერიოდში გამოიჩინა, რომ ფიზიკურ დასჯის მოწინააღმდეგებთან ერთად მრავალი მომხრეც ჰყავდა და ისიც მასწავლებლების ერთი ნაწილის სახით.

ფიზიკური დასჯის მომხრე მასწავლებელთა შექმნა ამ საკითხზე გამოიტქმული მოსაზრებები ძირითადად შემდეგში გამოიხატებოდა: ფიზიკური დასჯის გარეშე დისკიპლინის შენაზრების სკოლაში შეუძლებელია, შიში დასჯის წინაშე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ათასი სხვა პუმანური ხსიათის ღონისძიება ამ დარგში. ამ დებულების მომხრეები, პაულსენის არ იყოს, შიშის დისკიპლინის წინაშე იხრიდნენ ქერს.

ზოგიერთი კი ასე აყენებდა საკითხს: ოჯაში ფიზიკურ დასჯის აქვს ადგილი, სკოლაც ოჯახია და მასწავლებელი მშობლების შემცველელი. ამიტომ მასწავლებელს უნდა მიეცეს მოსწავლის დასჯის უფლება. ოჯაში ფიზიკურ დასჯას შეჩერებული ბავშვი თავს აშევებს სკოლაში, თუ აქაც არ იქნა გამოყენებული ეს ზომა.

აყენებდნენ ისეთ მოსაზრებასაც, რომ, თუ ფიზიკური დასჯა აუკრძალა, გარიცხვის შემთხვევები გამრავლდება. უკეთესია ბავშვი გაიწკეპლოს და დატოვებული იქნას სკოლაში, ვიდრე სკოლას ჩამოვაცილოთ.

გამოიტქვა მრავალი სხვა მოსაზრებაც, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი კონსერვატიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა და ვერ შეურიგდა აზრს ფიზიკური დასჯის აკრძალვის შესახებ.

\* Хрестоматия по истории педагогики, т. IV, стр. 478, изд. 1935 года.



უნდა აღვნიშნოთ, რომ დისტერვეგმა გამოგზავნა რაუმარქტის რეცენზია საშუალო სკოლის წესდების პროექტის შესახებ<sup>1</sup> და მათთვის ფერი აღნიშნა ფიზიკური დასჭის საკითხზე. დისტერვეგის ეს დუ-მილი ისე გაიგეს, როგორც მოწონება წესდების იმ პუნქტისა, რომელიც ფიზიკური დასჭის აკრძალვას შეიცავდა.

ნეეროვემა მხარი დაუჭირა ფიზიკური დასჭის აკრძალვას, მაგ-რამ როგორც მას ჩვენ ქვემოთ დაინიახავთ, კავკასიის სასწავლო ოლქში, რომელსაც ნეეროვი განაცემდა, ფიზიკური დასჭა დარჩა და მის აღმოსაფხრელად მას პრაქტიკული ზომები არ მიუღია.

ამგვარად, 1864 წლის წესდებაშ ვერ გადასწყვიტა ეს საკით-ხი. წესდება არ ითვალისწინებდა ფიზიკური დასჭის აკრძალვას, მაგრამ არც მისი გამოყენება დაუკანონებია.

წესდება პედაგოგიურ საბჭოებს ანდობდა დასჭის ზომების გა-მომუშავებას; დასჭის ზომების ნომენკლატურაში შეტანილი იქნე-ბოდა თუ არა ფიზიკური დასჭა — ეს პედაგოგიურ საბჭოზე იყო დამოკიდებული.

1864 წლის წესდების ორქოფული ხასიათი, გაუბრედავი და სა-ნახევრო გადასწყვიტა საკითხებისა აქაც გამოჩნდა.

1871 წლის წესდებამ დასჭის წესების დამუშავების უფლება პედაგოგიურ საბჭოებს წაართვა. მიერიდან ეს ფუნქცია განათლე-ბის სამინისტროს კომპეტენციაში შევიდა.

ამ წესდების საფუძველზე განათლების სამინისტროს მიერ და-მუშავებულ „დასჭის წესებში“ ფიზიკური დასჭა შეტანილი არაა, მაგრამ არც აკრძალულია.

ამრიგად ისე, როგორც 60-იან წლებში, 70-იან წლებშიც ფი-ზიკური დასჭის გამოყენება სკოლებში არც აკრძალული ყოფილა და არც ნებადართული.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფიზიკურ დასჭას მასწავლებელთა შორის მრავალი მომხრე ჰყავდა, მაშინ ცხადი იქნება, რომ დასჭის ამ სახის აუკრძალველობა მის ძალაში დატო-ვებას ნიშნავდა.

ამის დასადასტურებლად მრავალი ფაქტი შეიძლება დავასხე-ლოთ. ასე, მაგალითად, ქუთაისის კლასიკურ გიმაზიაში 1872 წელს მოსწავლეთა გაწკეპლის 3 შემთხვევას ჰქონდა აღგილი. \*

ეს ფაქტი დადასტურებულია დირექტორის ოფიციალურ ანგა-რიშში, რომელიც მან ოლქის მზრუნველს წარუდგინა. როგორც ჩანს, მოსწავლეთა გაწკეპლა ჩვეულებრივ მოვლენად ყოფილა მიჩნეულია.

\* ცენტრარქივი, ფ. 107, სერ., Б, საქმე № 465, გვ. 346.



ფიზიკური დასჭირებული — დასჯის ერთადერთ ზომის ან წარმოადგენს და. დასჯის ზომების მთელი სისტემა იყო შემუშავებული და მიმდინარეობა მოყვენებული მაშინდელ სკოლებში.

თუ რა ხსაიათისაა ეს ზომები, ამაზე ჩვენ ზუსტ წარმოადგენას გვაძლევს 1874 წლის 4 მაისის თარიღით გამოცემული წესები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მოსწავლეთათვის და წესები დასჯისაა.

დასჯის წესებში ჩვენ ვხვდებით საყვედურის გამოცხადების სხვადასხვა საფეხურს: ფეხზე დაყენებას, კონდუიდს, საჭარიმო ქურნალს, უსადილოდ დატოვებას, კარცერს 2 საათიდან 24 საათიდე მარტო შავ პურზე და წყალზე დატოვებით, საჭარიმო სკამს და უმაღლეს სასჯელს — სკოლიდან გარიცხვას.

სკოლიდან გარიცხვა შეიძლება ყოფილიყო როგორც დროებითი, ისე სამუდამი. სკოლიდან დროებით გარიცხული სკოლაში მიიღებოდა ხელახლა ყველა საგნის ჩაბარებისა და სწავლის ქირის გადახდის შემდეგ. სამუდამო გარიცხვა სამი სახისა იყო: სხვა სკოლაში შესვლის უფლებით, სხვა ქალაქის სკოლაში შესვლის უფლებით და საერთოდ მთელს იმპერიაში არსებულ სკოლებში სწავლის გაგრძელების აქტალურით.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში განათლების მინისტრი საიდუმლო წესით ყველა სასწავლო ოლქს აცნობებდა იმ მოსწავლეთა ვინაობასა და დანაშაულს; რომელიც სკოლებიდან გაირიცხნენ.

პანსიონერებისათვის ყველა ამ ზომასთან ერთად დამატებითი დასჯის ზომებიც იყო დაწესებული: ულუფის წართმევა ან შეშტარება, უსადილოდ და უვაბშმოდ დატოვება, მარტო შავი პურისა და წყლის მიცემა, შეებულების უფლების წართმევა, სადილობისას ფეხზე დაყენება სადილის მიღების უფლების წართმევით, დროებით დათხოვნა პანსიონიდან, პანსიონიდან გარიცხვა სკოლაში დატოვებით და გარიცხვა როგორც პანსიონიდან, ისე სკოლიდანაც.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ზომა, რაც კი მოიპოვებოდა რეაქციული პედაგოგიკის ასენალში, გამოყენებულია საშუალო სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის დარღვევი.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, დისციპლინა არამც თუ დამაქმაყოფილებელი იყო, არამედ ძლიერ დაბალ დონეზე იდგა.

შიშის დისციპლინა, ძალადობისა და წევბლის დისციპლინა, ჩანს. რომ ნაელებად აღწევდა მიზანს.

მოსწავლეთა შორის გავრცელებული იყო აზარტული თამაში, ლოთობა, ხელიგნობა, ჩხუბი, ქურდობა, სამებაო სახლებში სიარული და სხვ. „არასოდეს აზ დაცემულა დისციპლინა გიმნაზიაში



(ლაპარაკია 60-იანი წლების თბილისის გიმნაზიაზე. — ს. ს. საქართველოს  
არასოდეს არ ყოფილი მასში ასეთი თავმცვებულება, თვითმეტსაც გამოიყენდა  
და ზეობრივი ღაცემულობა მოსწავლეთა შორის, გიმნაზიის კედ-  
ლებში ყოველწლიურად ჰქონდა აღილი ცემა-ტყეპას, მოწაფეები  
ჩხუბობდენენ არა მარტო ურთიერთშორის, არამედ სცემლნენ გიმ-  
ნაზიის მსახურებსა და არაიშვიათად აღმზრდელებაც კი". \*  
60-იანი წლების ქუთასის გიმნაზიაც ასურით არ განსხვავდებო-  
და ამ მხრივ თბილისის გიმნაზიისაგან, როგორც ამას მოძალევსკი  
ადამტურებს.

ამრიგად, 60-იანი წლების განმავლობაში საქართველოს ორივე  
გიმნაზიაში დისციპლინა დაბალ დონეზე იღვა.

ამ მოვლენას მრავალი მიზეზი ჰქონდა. მთავარი და ძირითადი  
მიზეზი კი, რაც უდისციპლინობას იწვევდა, მაშინდელი სასწავლო-  
სალმზრდელო სისტემა იყო.

1867 წლიდან გიმნაზიებში ტარდება მოსწავლეთა შემადგენ-  
ლობის წევნდა; ხდება სკოლიდან გარიცხვა იმ მოსწავლეთა, რომ-  
ლებიც ორ წელზე მეტხანს ისხდნენ ერთსა და იმავე კლასში;  
ამით ასაგადასულ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა გაირიცხა სკო-  
ლებიდან. ამ დროიდან დაწყებული სისტემატურად ირიცხებიან:  
სკოლიდან ასაგადასული მოსწავლეები. საბოლოოდ მაინც, ნორ-  
მალური მდგომარეობა მოსწავლეთა ასაკობრივი შემადგენლობის  
მხრივ მიღწეული არ ყოფილა. მაგრამ ამ დარგში სურათი მაინც  
არსებოთად შეიცვალა.

ნაწილობრივ გაუმჯობესდა პედაგოგთა პირადი შემადგენლობა.  
სასწავლო მუშაობის ორგანიზაციული მხარეებიც საქამაღ გამო-  
სწორდა, განმტკიცდა რეენიმი, შემოლებული იქნა მეთვალყურეობა  
და მოსწავლეთა ქცევისა და დასჯის წესები და მრავალი სხვ.

ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად დისციპლინა 70-იან წლებ-  
ში რამდენიმედ გაუმჯობესდა, მაგრამ ნორმალური მდგომარეობა  
მაინც არ ყოფილა მიღწეული.

1871/72 წლის განმავლობაში ქუთასის კლასიკური გიმნა-  
ზიიდან ცუდი ყოფაქცევის გამო გაირიცხა 3 მოწაფე, გაწკეპლილი  
იქნა 3; ამავე მიზეზით პანსიონიდან გაირიცხა 10 აღსაზრდელი,  
გაკვეთილებზე მასწავლებლის შეურაცხოფის ერთ შემთხვევას  
ჰქონდა აღგილი.

მასისადამე, სასწავლო წლის განმავლობაში დისციპლინის უხე-  
ში დარღვევის 16 შემთხვევა ყოფილა, ე. ი. დაახლოებით ერთი

\* Отчет о состоянии Тиф. I гимназии за 1866 год, стр. 15.

ამავე გიმნაზიიდან 1876 წელს ცუდი ყოფაქცევის გამო 9 მო-  
წაფე გარიცხეს.

დისკიპლინა დაბალ დონეზე იდგა მთელი 70-იანი წლების გან-  
მავლობაშიც და ნაწილობრივი გაუმჯობესება 60-იან წლებთან შე-  
დარებით სრულებითაც არ ყოფილა არსებითი ხასიათისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დას-  
კვნაც გამომდინარეობს: დასჯის ზომების სისტემის და სიმკაცრემზე,  
დაწყებული საყვედურით და დამთავრებული კარცერით, წკეპ-  
ლითა და სკოლიდან გარიცხით, დისკიპლინის დამყარების საქმეს  
ვერ უშეველა და დადგებით შედეგებს ვერ მიაღწია. მოწაფეობა  
ზომების სისასტრიქეს სათანადო რეაქციით უპასუხებდა და ეს რე-  
აქცია უმეტეს შემთხვევაში თუ ფარული „ცოდვების“ სახით  
მეღოთებდებოდა, ზოგჯერ სასტრიქი პროტესტისა და წინაღმდეგობის  
ფორმებშიც იჩენდა ხოლმე თავს (მუქარა მასწავლებელთა მიმართ,  
მათი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა, იარაღის გამოყე-  
ნება მათ წინაღმდეგ, თვითმკვლელობა და ზოგჯერ არეულობის  
მოწყობაც კი).

სკოლაში მკაცრი დასჯის ზომების გამოყენებას სრულებითაც  
არ მოაქეს სასურველი შედეგი, პირიქით, მწვავეებს დამოკიდებუ-  
ლებას მოსწავლეთა და მოსწავლებელთა შორის, მორითებს მო-  
წაფეობას, ჰქმნის არაგანსაღ ატმოსფეროს. ახალგაზრდობის აღ-  
ზრდის ამოცანას სწყვეტნ არა დასჯის ზომები, არამედ პედაგოგი-  
ური ზომები და მათი მართებული გამოყენება.

რა თქმა უნდა, როდესაც ჩენ აქ დასჯის შესახებ ვლაპარა-  
კობთ, მხედველობაში გვაქვს არა საერთოდ დასჯის საკითხი პე-  
დაგოგიკაში, არამედ დასჯის ის სისტემა, რაც ძველ სკოლაში იყო  
გამატონებული და, რაც ძალაშია დღესაც ამა თუ იმ სახით ყვე-  
ლა ბურუუაზიულ სკოლაში.

დასჯა ძველ სკოლაში ისე, როგორც ამას ბურუუაზიული პე-  
დაგოგიკა მოითხოვს საერთოდ, წარმოადგენდა მოსწავლეთა ნე-  
ბრძოსყოფის დახშობის საშუალებას, შურისძიების აქტს, ძალაობის  
ფორმას; დასჯა ამ სახით იწვევდა შიშხე დამყარებულ მორჩილე-  
ბასა და გარეგან წესრიგს, შეგრამ ანადგურებდა მოსწავლეს ზე-  
ობრივად: ამსხვრევდა მის ნებისყოფას, ავითარებდა მლიქვნებულო-  
ბასა და პირფერობას; შიშხე დამყარებული გარეგანი წესრიგი  
შეიცავდა გამორთების გრძნობას და შურისძიების წყურვალს,  
იწვევდა სულიერ დაცემულობასა და სასოწარკვეთილებას.



საბჭოთა პედაგოგიკა გადაურით გმობს დასჯის ასეთ სისტემაზე და მეთოდებს და მთელ სააღმძროდელო მუშაობას საერთოდაც უფრო იყო ძოთ; დისკიპლინის აღწერდას მყარებს დარწმუნებასა, შთავონებასა და შეგნებულობას შეთანა ერთად იძულების ზომების გამოყენებასაც, მაშასადამე, გარკვეული სახის დასჯის ზომებსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში იძულება-დასჯა სხვა—როგორც პრინციპულად, ისე ფორმებისა და მეთოდების შხრივ, ვიდრე ძველი სკოლის დასჯის სისტემა, იძულება და დასჯა საბჭოთა სკოლაში ექვემდებარება დარწმუნებისა და შეგნებულობის პრინციპს, სავსებით გამორიცხავს შიშჩედასარებული მორჩილების გრძნობას და წარმოადგენს მორალურ ზემოქმედების ზომას.

თავისთავად ცხადია, რომ ძველი სკოლის დასჯის სახეები, სიმკაცრე და ბიუროკრატიული ხასიათის ზომები უცხოა და სამუდამოდ განდევნილი ჩვენი აღწერდის სისტემიდან.

ამრიგად, სამი ძირითადი სახე: სასწავლო პროცესი, მეთვალყურეობა და დასჯის ზომები განსაზღვრავდნენ ჩვენ მიერ განხილული სკოლის მთელ აღმზრდელობით სისტემას; მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად გამოყენებული იყო ზოგიერთი სახე კლასგარეშე მუშაობისა; მთავრი მათგანი იყო მოსწავლეთა წირვა-ლოცვებზე სავალდებულო დაწრება, პარაკლისები სხვადასხვა სახელმწიფო ებრივი მოვლენების აღსანიშნავად, სასულიერო თანამდებობის პირების, მათ შორის ეპისკოპოზისა და ეგზარქოსის ქადაგება, წარმოთქმული მოსწავლეთა წინაშე და სხვ. ერთი სიტყვით, ეკლესია, სკოლის მოძღვარი, მაღალი თანამდებობის სასულიერო პირები სისტემატურად მოქმედებდნენ და „მოლვაწეობდნენ“ სკოლებში მოსწავლეთა რელიგიური აღწერდის მიზნით, ღვთის მოშიშობისა და ღვთის მოყვარეობის დანერგვის მიზნით, მონარქიზმისასდმი ერთგულების ღვთისურ სამოსელში განვევის მიზნით.

დიდი ყურადღება ექცეოდა შერჩეული ლიტერატურის კლასგარეშე კითხვას. შექმნილი იყო სკოლებთან სამი სახის ბიბლიოთეკა: ფუნდაციენტური, პანსიონერთა და მოსწავლეთა. თავისთავად ცხადია, ეს ბიბლიოთეკები კომპლექტდებოდა ისეთი ხასიათის ლიტერატურით, რაც მისაღები იყო აღმზრდელობითი მიზნების თვალსაზრისით.

50-იან წლებში გავრცელდა და ნაწილობრივ 60-იან წლებშიც იყენებდნენ ე.წ. ლიტერატურულ საუბრებს. მოსწავლეს ეძლეოდა წინასწარ შერჩეული ლატერარურული ხასიათის თემა დასამუშავებლად. იგი მოუშვებდა ამ თემას და წერილობითი სახით გა-



თორმებულს უდგენდა საგნის მასწავლებელს. მასწავლებლის განტკოროვალებისა და დირექტორის დამტკიცების შემდეგ, თემა იყოთხებოდა მოსწავლეთა წრეში მასწავლებლებისა და ზოგჯერ გარეშე პირების — სტუმრების თანდასწრებით. თემის გარშემო იმართებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საუბარი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გარდა მოსწავლეებისა, მასწავლებლებიც.

ერთ დროს იმდენად გატაცებული იყვნენ ამ ლიტერატურული საუბრებით, რომ ქუთაისის გუბერნატორი თავის ბინაშეც კი აჭყობდა ასეთ საუბრებს. რეაქციის პერიოდში დამოკიდებულება ამ საუბრებისადმი შეიცვალა და 70-იან წლებში ამ სახის მუშაობას უკვე ვერ ვხვდებით.

სკოლაში დროგამოშვებით ეწყობოდა მოსწავლეთა დილა და ყოველი წლის ბოლოს წლიური აქტი.

მდგომარეობა ფიზიკური აღზრდის დარგში ძველს სკოლაში საერთოდ ძლიერ ცუდი იყო; მოსწავლეთა გადატვირთვა სასწავლო მუშაობით, როგორც სკოლაში, ისე შინ, რა თქმა უნდა გამანადგურებელ გავლენას ახდენდა მოსწავლეთა განმრთელობაზე.

ფიზიკულტურა სასწავლო გეგმაში შეტანილი არ ყოფილა. სასწავლო გეგმის გარეშე კა ფიზიკულტურის გაყვეთილები ტარდებოდა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი სახე ფიზიკური ვარჩიშისა იყო „მარშით სიარულა“ და ფარიკაობა. „მარშით სიარულს“ დიდი ყურადღება ექცევოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარშაც, ხოლო ფარიკაობას პირველად 1858 წლიდან ვხვდებით.

ესთეტიკური აღზრდის დარგში ყურადღება ექცევოდა ხატვას, რაც გათვალისწინებული იყო სასწავლო გეგმით და რასაც აურეოვე დიდი ადგილი ეთმობოდა კლასგარეშე მუშაობას ღროსაც. გიმნაზიებთან, როგორც წესი, არსებობდა მომღერალთა გუნდი, საექსლესით მგალობელთა გუნდი და სასულეო რჩქესტრი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკურ აღზრდას კავკა-სის სასწავლო აღმინისტრაცია განსაკუთრებით საჭიროდ თვლიდა კავკასიელთათვის. მათი მოტივი ასეთი იყო: აქაური მკვიდრი („ტუშემცი“) ველური ბუნებისა და მის გრძნობათა გაკეთილშობილებისათვის საჭიროა ესთეტიკური აღზრდათ.

პანსიონერთათვის სახელოსნოებიც არსებობდა: საღურგლო, სამეცნიერო და სხვ.

ასეთია სკოლის გარეშე მუშაობის მთავარი სახეები და მეთოდები, რომელთაც ვხვდებით ჩვენ მიერ განხილული პერიოდის სკოლებში.

რა ფორმისაც არ უნდა იყოს მუშაობის ეს სახეები, მათი შე-



ნახისი მუდამ სკოლის საერთო ოღმზრდელობით ამოცანებს უქვე-  
მდებარებოდა. ასე, მაგალითად, მომღერალთა გუნდისა ჯუზულისა  
ლე ორკესტრის მთელი რეპერტუარი ღვთისა და მეფის ხოტბა-  
დიდების ჰანგებისაგან შედგებოდა; ფიზიკური ვაჩიში სხეულის  
პარმონიული განვითარების ნაცვლად გარეგან ბრწყინვალების  
იდეალს და მომავალი თვითმეტების წროვნას ემსახურებოდა და ა. შ.

ამრიგად, ვითვალისწინებთ ჩა 60—70-იანი წლების საშუალო  
სკოლის მთელ აღმზრდელობით სისტემას, მის შინაარსს, ფორმებს  
და მეთოდებს, სრულიად აშკარა ხდება, რომ ყოველივე ეს ემსა-  
ხურებოდა მონარქიზმისა და რელიგიის პრინციპებს; ამიტომაც  
სრულიად სწორად გამოხატა ეს გარემოება თბილისის კლასიკური  
გიმნაზიის დირექტორმა ამ გიმნაზიის 50 წლის საიუბილეო სა-  
ზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „ღვთის შემწეობით  
და საზოგადოების, განსაკუთრებით ეკლესიასა და სკოლის, ენერ-  
გიული ღონისძიებებით, აღსაჩრდელი ბავშვები გამოვლენ სასარ-  
გებლო მოქალაქეები და მეფისა და სამშობლოს ერთგული მსა-  
ხურები“. \*

### III 30 V

## ველაზოგიარი კადრები

იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, საშუალო სკოლა პე-  
დაგოგიური კადრების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. პედაგოგიური  
კადრებით არც რესერტის შიდა გუბერნიები იყო უზრუნველყოფი-  
ლი, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო  
ჩვენში. „საერთოდ შეიძლება ვალიაროთ, — წერდა გაზ. „კარიაზი“  
(1881 წ., № 213) — რომ არც ერთი მსგავსი საშუალო-სასწავლო  
დაწესებულება იმპერიაში არ იყო ჩაყენებული ასეთ მძიმე პი-  
რობებში, როგორც თბილისის გიმნაზია. ნაკლებობა კარგი მასწავ-  
ლებლებისა, რომელთა მოზიდვა შორეულ და ნახევრად ველურ  
მხარეში ძნელი იყო და რომლებითაც თვითონ რესერტი არ იყო  
მდიდარი, მოსწავლეთა სხვადასხვა ტომობრიობა, სასწავლო ენის  
უცოდინარობა და მშობელთა ჩამორჩენილობა — ყველაფერი ეს  
უნდა გადაელახა თბილისის გიმნაზიას“.

„მხარე მასწავლებელთა დიდ ნაკლებობას განიცდის. თითქმის

\* В память пятидесятилетия Тиф. I гимназии, стр. 31.

ყველა გიმნაზიაში გვაულდა რუსული სიტყვიერების, ძველი ენა-  
ბისა და ისტორიის მასწავლებლები — აღნიშნავდა საანგარიშო ცალი  
მოხსენებაში ნეკეროვი 1866 წელს.



საბჭოო მინისტრი

1867 წლის ოქტომბრის თვეში ქუთაისის გიმნაზიას აქლდა რუ-  
სული ენის მასწავლებელი — 2; ლათინურისა — 1; ისტორიისა და  
გეოგრაფიისა — 1; ფიზიკისა და კოსმოგრაფიისა — 1; ხატვა-ხაზ-  
ვის — 1; სულ შტატით გათვალისწინებული 18 მასწავლებლიდან —  
6 ადგილი თავისუფალი იყო; ამავე წელს თბილისის გიმნაზიას  
აქლდა სამი მასწავლებელი, მათ შორის ორი ლათინური ენისა და  
ერთი მათემატიკისა.

1871 წ. იანვრისათვის კავკასიის გიმნაზიებში მასწავლებლის  
18 თავისუფალი ადგილი იყო; 1874 წ. იანვარში ქუთაისის გიმნა-  
ზიას 6 მასწავლებელი აქლდა, თბილისის გიმნაზიას მთელი წლის  
განმავლობაში 4 მასწავლებელი არ ჰყოლია.

არც ერთი წელი მთელი 60—70-იანი წლების განმავლობაში  
არ ყოფილი ისეთი, რომ საშუალო სკოლა კავკასიაში უზრუნველ-  
ყოფილიყო მასწავლებელთა კადრებით.

რუსეთის შიდა გუბერნიებიც დიდ ნაელებობას განიცდიდა ამ  
პერიოდში პედაგოგიური კადრების მხრივ. ასე, მაგალითად, გა-  
ნათლების სამინისტროს ცნობებით გიმნაზიებში და პროგიმნაზი-  
ებში მასწავლებელთა ვაკანტური ადგილები იყო 1871 წელს —  
131, 1872 წელს — 151.

ჩით აისწენა ასეთი მდგომარეობა და რა მიზეზებს იღებდა  
მართველობა პედაგოგიური კადრების მოსახურდებლად?

გიმნაზიის მასწავლებლად ინიშნებოდა უნივერსიტეტის კურს-  
დამთავრებული პირი, რომელსაც ჩამარიტული ჰქონდა გამოცდება  
მასწავლებლის წოდებაზე. ამ საერთო წესით გამონაკლისს შეად-  
გენდა გერმანული და ფრანგული ენების, სუფთა წერის, ხატვისა  
და ხაზვის მასწავლებლები, რომელთაც საუნივერსიტეტო განათ-  
ლება არ მოეთხოვებოდათ, მაგრამ მათვის სავალდებულო იყო  
თავისი სტეციალური საგნის მასწავლებლის წოდებაზე გამოცდების  
ჩაპარება.

გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მისაღებად გამოცდების ჩა-  
ბარება 1868 წ. 22 აპრილს და 1870 წლის 15 მაისს დებულებათა  
საფუძველზე შემდეგი სახით ტარდებოდა. გამოცდების მიღების  
უფლება მინიჭებული ჰქონდა უნივერსიტეტების ისტორიულ-  
ფილოლოგიურ და ფიზიკა-მათემატიკურ ფაკულტეტებს, გამოცდა  
შეიძლება ყოფილიყო სრული და შემოკლებული სახისა. გამოც-  
დას სრული კურსის მიხედვით აბაზებდა ის პირი, ვისაც უნივერ-



სიტეტი არ ჰქონდა დამთავრებული ანდა დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტის რომელიმე ფაულტეტი, მაგრამ მასწავლებლის წოდების მიღება სურდა არა იმ სპეციალობის მიხედვით, რომელი ფაულტეტიც დამთავრა, არამედ რომელიმე სხვა სასწავლო დისკიპლინაში.

შემოყენებულ გამოცდას აბარებდა უნივერსიტეტდამთავრებული პირი, რომელსაც სურდა მასწავლებლის წოდების მიღება, თავისი სპეციალობის მიხედვით.

გიმაზიის მასწავლებელთა შერჩევის საქმეში მთავარი ყურადღება ექცეოდა სპეციალური სასწავლო საგნის ცოდნას. მომავალი მასწავლებლის პედაგოგიური კვალიფიკაციის საკითხი მეორეხს-რისხვან საკითხად იყო მიჩნეული. პედაგოგიკაში და ცალკე საგნების სწავლების მეთოდიკაში მასწავლებლის წოდების მარებელი გამოცდებს არ აბარებდა. იგი მხოლოდ ორ საცდელ გაკვეთილს ატარებდა. ეს კი აუცილებლად პედაგოგიური თეორიის უგულებელყოფას და პედაგოგიური კვალიფიკაციის მეორეხს-რისხვან საქმედ მიჩნევას ნიშნავდა.

როგორც ეხედავთ, პედაგოგიური განათლება არ სარგებლობდა სათანადო პატივითა და ყურადღებით ცარიშის დროს.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესის მიხედვით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს თავისი სპეციალობის საგანში, ე. ი. იმ საგანში, რა სპეციალობაშიც მან მიიღო განათლება, გამოცდა უნდა ჩაეგარებინა მასწავლებლის წოდების მისაღებად. რა აზრი, მნიშვნელობა ან გამართლება შეიძლება ჰქონდეს ამ ღონისძიებას?

ჩვენი აზრით, სრულიად არაფერი. ეს იყო, ასე ვთქვათ, ერთგვარი ზედმეტი დაბრკოლება, ზედმეტი ენერგიისა და ღრივის გაუმართლებელი ხარჯეა იმ ახალგაზრდის მიერ, რომელმაც ეს-ეს არის დამთავრა უნივერსიტეტი; მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ თუ ის ჩაიჭრებოდა გამოცდებზე, მას მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ შეეძლო ხელმეორედ გამოცდების ჩაბარება.

ამ წესის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იმ პირს, ვისაც უნივერსიტეტი არ ჰქონდა დამთავრებული ანდა სპეციალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, უფლება ეძლეოდა სრული გამოცდების ჩაბარებისა და ამ გზით გიმნაზიის მასწავლებლის წოდების მოპოვებისა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს აუცილებლად ერთგვარი შედავათი იყო ინტელიგენციის გარკვეული ფენებისათვის პედაგოგიურ საჩბიელზე გამოსასვლელად. ამ გზით შესძლებელი იყო მასწავ-



დებულთა იმ მოთხოვნილების ნაწილობრივ მაინც დაკმაყოფილებული რაოდ ასე მწვავედ განიცდიდა მაშინდელი საშუალო სკოლა. გრიგორი ამრიგად, საშუალო სკოლისათვის მასწავლებელთა მომზადების ძირითად კერას უნივერსიტეტი წარმოადგენდა. ასეთი უნივერსიტეტი იმ პერიოდში სულ 8 იყო. უნივერსიტეტები ვერ აქმაყოფილებდნენ საშუალო სკოლებს პედაგოგიური კადრებით, ვერც სპეციალური გამოცდები მასწავლებლის შოდების მისაღებად შევლოდა ამ საქმეს და მეტის მთავრობა იძულებული იყო სხვა გზები და საშუალებები ეძებნა პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად.

გარდა უნივერსიტეტებისა, ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში, პედაგოგთა კადრების მომზადება მინდობილი ჰქონდა პეტერბურგის ისტორია-ფილოლოგიის ინსტიტუტს, თავ. ბეჭბოროვცოს ნეენინის ისტორია-ფილოლოგიის ინსტიტუტს და რუსულ ფილოლოგიურ სემინარის, რომელიც ლაიფციგში ასებობდა.

საქართველოში ისე, როგორც საერთოდ კავკასიაში, პედაგოგიური კადრები საშუალო სკოლისათვის ადგილობრივად არ მზადდებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქი მასწავლებლებს რუსეთიდან იღებდა.

იმ პირობებში, როდესაც თვითონ რუსეთში დიდი მოთხოვნილება იყო მასწავლებლებზე, ცნადია, კავკასიაში სამუშაოდ წამოსვლის მსურველთა რაოდენობა ძლიერ განსაზღვრული იქნებოდა. კავკასიას მაშინ რუსეთში უყურებდნენ, როგორც ველურ ქვეყანას, მიყრუებულ მხარეს და ამ მხარეში სამსახური ერთგვარ დასჭადაც ითვლებოდა. მიტომ ძნელი იყო რუსეთიდან აქ მასწავლებლის ჩამოყანა. კავკასიის გიმნაზიებში მომუშავე მასწავლებელს ერთგვარი უპირატესი პირობებიც კი ჰქონდა შექმნილი რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით; ასე, მაგალითად, კავკასიაში გიმნაზიის მასწავლებელს ეძლეოდა ბინის ქრის 240 მანეთის რაოდენობით წლიურად, წელთა დამსახურება პენსიის მისაღებად ნაკლები იყო საჭირო, ვიდრე რუსეთში, რუსეთის შიდა გუბერნიების გიმნაზიის მასწავლებლის დაბალი განაკვეთი შეადგენდა 750 მანეთის, კავკასიაში კი — 900 მანეთს და სხვ.

მაგრამ, ყოველივე ეს, როგორც ჩანს, საქმეს ვერ შევლოდა.

1866 წლიდან ნეეროვმა დაიწყო ცენტრალურ გაზეთებში განცხადებათა მოთავსება კავკასიაში მასწავლებელთა მოწვევის მიზნით. ამ ღონისძიებამაც ნაკლები ნაყოფი გამოიღო. ასე, მაგალითად, 1867 წ. 31 მასწავლებელი იყო საჭირო კავკასიის სასწავლო ოლქში; ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდულ განტაცებას გამოკვეთა და კავკასიაში სამსახურის სურვილი გარაცხადა 33 კაცმა;



მათგან მხოლოდ 14 აღმოჩნდა შესაფერი კვალიფიკაციის უძრავი გილი ისევ ვაკანტური დარჩა.

იმათგან, ვინც კავკასიაში სამსახურზე აცხადებდა სურვილს, უმრავლესობა დაბალი კვალიფიკაციისა იყო. ბევრი მათგანი და- ავადებული იყო სხვადასხვა სწერულებით და ჩენები სამკურნალოდ მოემგზავრებოდა.

ამ მდგომარეობას ასე ამასითებს ნეეროვი 1869 წლის საან- გარიშო მოხსენებაში: „აქ სამსახურს თხოულობენ უმთავრესად ისეთი ადამიანები, რომელთაც ან არ აქვთ უფლება იმსახურონ გიმნაზიებში მასწავლებლებად, ან არა და დასუსტებული არიან განმრთელობის მხრივ და, მაშასადამე, გატეხილი აქვთ ენერგია; გასულ წელს რესული ენის სამი მასწავლებელი გარდაიცვალა, ისე რომ არ უმსახურნიათ არამც თუ სამი წელი, არამედ ერთს ნახევარი წელიც კი“.

ქუთაისის გიმნაზიის დირექტორებიდან 2 წლის სამსახურის შემდეგ გარდაიცვალა კოცებუ 1852 წელს; რევერსი—1854 წელს; ოთხი წლის სამსახურის შემდეგ გარდაიცვალა პეჩინი—1865 წელს. ასეთივე ხშირი სიკედილიანობის შემთხვევებს ვხედავთ ჩვენ მასწავლებელთა შორისაც, რაც, რა თქმა უნდა, იმით ამსხნება, რომ ეს მასწავლებლობა დაავადებული და ჯან-ღონე გამოლეული ჩამოდიოდა კავკასიაში. კავკასიის უხვი მზის სხივები და განსაღი ჰაერი იზიდავდა მათ, მაგრამ ეს ხშირად მათოვის ნაგვიანევი სამ- კურნალი საშუალება იყო.

კავკასიისათვის სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტთა კალ- რების მომზადების მიზნით დაიმშნული იყო მთავრობის სტიპენ- დიიები რუსეთის უნივერსიტეტებში, უმაღლეს სპეციალურ სამსახ- ლებლებში და აგრეთვე საშუალო სპეციალურ სკოლებში.

ამ სტიპენდიებს კავკასიის მმართველობა ანაზილებდა და იმ პირს, ვისაც ეს სტიპენდია ენიშნებოდა, კავკასიელი აღსაზრდელი ეწოდებოდა.

კავკასიელი აღსაზრდელი ვალდებული იყო კურსის დამთავრე- ბის შემდეგ კავკასიაში სამუშაოდ დაბრუნებულიყო. სტიპენდიე- ბის რაოდენობა და მათი ათვისება 1869 წლის ოქტომბრის თვე- სათვის შემდეგ სურათს იძლევა.

დაწესე- ათვისე-  
ბულია ბულია

1. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-  
ფილოლოგიის ფაკულტეტი . . . . 5

1

ფიზიკა-მათემატიკისა	და	იურიდიული	
ფაქულტეტები	.	.	20
2. ხარკოვის უნივერსიტეტის	ყველა ფაკ.	5	—
ფიზიკა-მათემატიკისა	.	.	—
იურიდიული	.	.	—
მედიკური	.	.	1
3. ნოვორისიის უნივერსიტეტის	ყველა		3
ფაქულტეტი	.	.	10
ფიზიკა-მათემატიკისა	.	.	—
იურიდიული	.	.	—
4. ისტორია-ფილოლოგიის ინსტიტუტი	.	5	3
და ა.შ.			

სულ სტიპენდიების რაოდენობა, ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში შეაღენდა — 126-ს. მათ შორის უმაღლესი კვალიფიკაციის პედაგოგთა მოსამზადებლად დაწესებული იყო არაუმეტეს 20 სტიპენდიისა. თავისთვალი ცხადია ეს ძლიერ მცირეა, მაგრამ ამ მცირე ადგილების ათვისებაც ვერ ხერხდებოდა.

განსაკუთრებით დიდი იყო ლტოლვა იურიდიულ ფაქტურები-ბისაკენ. ნევერიცემ თავის საანგარიშო მოხსენებაში წერდა: „ახალ-გაზრდები არჩევენ თავიანთ ხარჯზე ისწავლონ იურიდიულ ფა-კულტურზე, ვიდრე სახელმწიფო ხარჯით — ფილოლოგიურ ფა-კულტურზე“.

ამრიგვად სრულიად გარდევეშლია ის ფაქტი,  
რომ ჩევ მიერ აღებულ პერიოდში ახალგაზრ-  
დობა პელაგოგიურ სპეციალობას არ ეტანებო-  
და განსაკუთრებით გაურბოდა ის ისტორია-  
ფილოლოგიის ფაკულტეტსა და მიისწრაფვო-  
და უმთავრესად იურიული განათლებისაკენ.

წლიდან წლობით აუთვისებელი რჩებოდა პედაგოგთა მოსამახადებლად უმაღლეს სასწავლებელში დანიშნული სტიპენდიები. 70-იანი წლების დასაწყისიდან ნეკვროვმა ნებაზოგადი მიიღო კავკასიელ აღსაზრდელთა თავისუფალი აღგილები შეეცნო აზაგავასელი სტუდენტებით, ხოლო იმ პირობით, რომ ამ სტიპენდიატებს კურსის დამთავრების შემდეგ, 6 წელი სავალდებულო წესით უნდა ეჭვიშავათ კავკასიაში.



რათ აისნება ეს გარემოება? რატომ გაურბოდა ახალგვარებისადა  
ბა ფილოლოგის ფაქულტეტს?

ჩვენი აზრით, ეს იმით აისნება, რომ მასწავლებელთა პროფე-  
სია იმ პერიოდში შედარებით დაბალი ლირსებისა და ნაკლები-  
მოწონების პროფესიად იყო მიჩნეული. გაცილებით მეტი პატი-  
ვით და უპირატესობით საჩვებლობდა სახელმწიფო აღმინისტრა-  
ციულ ორგანოებში მომუშავე მოხელე, ვიდრე მასწავლებელი და  
ექიმი; გიმნაზიის მასწავლებელი, რომელმაც 11—12 წელიწადი  
საშუალო სკოლაში ისწავლა, 4—5 წელიწადი უმაღლეს სასწავლე-  
ბელში და სპეციალური გამოცდები ჩააბარა მასწავლებლის წო-  
ლებაშე, წელიწადში იღებდა 900-დან 1200 მანეთამდე, ხოლო კან-  
ცულარიის მოხელე საქმის მწარმოებელი, რომლისთვისაც საშუა-  
ლო განათლებაც არ იყო სავალდებულო, ხელფას იღებდა 1000  
მანეთიდან 3000 მანეთამდე და კიდევ მეტს. ამასთანავე ამ კან-  
ცულარიის მოხელისათვის უზრუნველყოფილი იყო ადვილი კა-  
რხერა.

იურისტს, უმაღლესი განათლების მქონეს, ცხადია, უფრო მა-  
ღლი თანამდებობა მოელოდა აღმინისტრაციულ ორგანოებში, სა-  
სამართლო დაწესებულებებში და სხვ., რაც მათ უქადა მრავალ-  
ჯერ უკეთეს მატერიალურ პირობებს, ვიდრე მასწავლებელს ანდა  
საშუალო განათლების კანცულარიის მოხელეს; მისი სამსახურებ-  
რივი კარიერის პერსპექტივებიც დიდი იყო; ამას თუ დავუმატებთ  
იურისტთა კერძო პრაქტიკას, რაც მეტად გავრცელებული იყო  
მაშინ, ცხადი გახდება, თუ რატომ ეტანებოდნენ იურიდიულ გა-  
ნათლებას.

ეს, ასე ვთქვათ, საკითხის ერთი მხარეა; მეორე მხარე, არანაკ-  
ლებ მნიშვნელოვანი, ფილოლოგის ფაქულტეტის სწავლების კურსში მდგომარეობდა.

ძეველი კლასიკური ენები, რომელთა გაზეპირებასაც შეალია  
გიმნაზიის მოსწავლეშ თავის სიცოცხლის საუკეთესო დრო—  
ყრმობისა და ჭაბუკობის ხანა, მხოლოდ სიძულვისს და ზიზხს  
ბადებდა მასში ამ საგნებისაღმი. გიმნაზიელს სკოლაშივე სძულ-  
და ეს საგნები (ბერძნული და ლათინური ენები) და, ცხადია,  
გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მას ადამ სურდა ამ საგნებში  
მეცადინეობა და, მით უმეტეს, ამ საგნების სპეციალისტად გახ-  
დომა.

ჩვენი აზრით, გარდა ამ ორი ძირითადი მიზეზისა, გარევიულ  
როლს აგრეთვე ის გარემოება თამაშობდა, რომ იურიდიული ფა-  
კულტეტი იძლეოდა საერთო განათლების უფრო მაღალ დონეს.



უფრო ფართო გონიერივ პორიზონტს, ვიდრე სხვა რომელიმე ფა-  
კულტერი უნივერსიტეტისა და ან სპეციალური უმაღლესი ჟურნალისა  
წავლებელი. ცნობილია, რომ სპეციალური უმაღლესი განათლება  
მაშინდელ პირობებში, სპეციალობის ნაშუქში ძელევდა აღმიანს,  
ცალმხრივ ვიწრო სპეციალურ განათლებას იძლევდა მას. იურიდიუ-  
ლი განათლება კი, გარდა იურისპრუდენციისა, აუცილებლად სა-  
ჭიროებდა მომზადებას მეცნიერებათა სხვა დარგებშიც. უნდა ვი-  
გულისხმოთ, რომ განათლებას მოწყურებული ახალგაზრდობა  
იურიდიულ ფაკულტეტზე ასე თუ ისე ახერხებდა თავის მისწრა-  
ფებათა დამაყოფილებას.

ამიტომაც, ჩვენ ვთქიქრობთ იურიდიული ფაკულტეტი მიმზიდ-  
ველი იყო არა მარტო მატერიალური მდგომარეობისა და კარიერის  
უზრუნველყოფის მიზნით, არამედ ეს, ფაკულტეტი სხვა ფაკულ-  
ტეტზე უკეთ აქმაყოფილებდა და სწავლიდა საერთო განათლე-  
ბის ამოცანასაც.

ასეთია ის ძირითადი მიზეზები, რითაც უნდა აიხსნას მისწრა-  
ფება იურიდიული ფაკულტეტისაკენ და უარყოფითი დამოკიდე-  
ბულება ფილოლოგიის ფაკულტეტისადმი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტიპენდიათა ასებობა კავკასიელ  
აღსაზრდელთათვის რუსეთის უმაღლეს სახწავლებლებში სრულე-  
ბით არ ნიშნავდა აღვილობრივი მკეითრადაგან (ქართველები, სომ-  
ხები, აზერბაიჯანელები) კადრების მომზადებაზე ზრუნვას; კავკა-  
სიელ აღსაზრდელთა სახით კავკასიონან უმთავრესად რუსები იგ-  
ზავნებოდნენ. ასე, მაგალითად, 1869 წლის ოქტომბრის თვეში, 126  
სტიპენდიატიდან ქართველი იყო — 13, სომები — 9 და აზერბაი-  
ჯანელი 15-დე. დანარჩენი 89 სტიპენდია ან აუთვისებელი იყო და  
ანდა რუსებს ეკავათ.

კანონმდებლობით შეზღუდული არ ყოფილა სტიპენდიის და-  
ნიშვნა აღვილობრივ მკეითრადათვის, მაგრამ სტიპენდიის მისაღებად  
საჭირო იყო გიმნაზიის წარჩინებით დამთავრება. ეს კი უპირატეს  
მდგომარეობას რუსებს ანიჭებდა, რადგანც ისინი შშობლიურ ენაზე  
სწავლობდნენ, არარუსები კი არაშშობლიურ ენაზე. ჩვენი აზრით,  
ეს ერთ-ერთი მიზეზია იმ გარემოებისა, რომ კავკასიელ აღსაზრ-  
დელთა შორის აღვილების უდიდესი ნაწილი რუსებს ჰქონდათ და-  
კავებული.

იმ 13 ქართველიდან, რომლებიც სტიპენდიას იღებდნენ 1869  
წელს, არც ერთი ან სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ასეთ პირობებში თავისთვალ ცხადია, რომ აღვილობრივ

მკვიდრთა წრამომაღენლებს იშვიათად ეხვდებით საშუალო სკოლის შემცირებულ  
მასწავლებლის თანამდებობაზე.

შეგვიძლია

ნევეროვი ამის შესახებ წერდა:

„ჩემდამი რწმუნებულ 6 გიმნაზიაში, 3 პროგიმნაზიაში და სა-  
მასწავლებლო სკოლაში, ე. ი. 10 უმაღლეს სასწავლო დაწესებულე-  
ბაში, დაწყებითი კლასების, საღვთო სჯულისა და აღვილობრივი  
ენების მასწავლებელთა გარდა, მხოლოდ ორი მასწავლებელია აღ-  
გილობრივ შეკვიდრთაგან“ \*

ამრიგად, აშეართა, რომ პედაგოგიური კალტების მომზადების  
საქმე აღნიშნულ პერიოდში სრულიად მოუწესრიგებელი იყო და  
საშუალო სკოლა მასწავლებლების ნაკლებობას განიცდიდა.

ეს გარემოება იწვევდა მასწავლებლების გაკვეთილებით გაღა-  
ტვირთვას, ერთსა და იმავე ტროს ასამდენიმე სკოლაში შეთავსე-  
ბით მუშაობას. საგნების სპეციალობის მიხედვით არ ნაწილდებოდა.  
მასწავლებებად ინიშნებოდნენ არასათანადო კვალიფიკირის პი-  
რები; აღვილი ჰქონდა პედაგოგთა დენადობას და სხვ.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთი მასწავლებელი, ავტორი თბილისის  
გიმნაზიის მოქალაქე ისტორიისა — ამ გიმნაზიის 50 წლის იუბილეს-  
თან დაკავშირებით, წერდა: „თბილისის გიმნაზია მუდამ განიცდიდა  
მასწავლებელთა დიდ ნაკლებობას, იმის გამო, რომ არ იყო უნივერ-  
სიტეტდამთავრებულთა საქმარისი რაოდენობა. ადმინისტრაცია გა-  
კვეთილებს აძლევდა მასწავლებლებს, მათი სპეციალობის მხედვე-  
ლობაში მიუღებდა“.

„აუცილებლობის გამო — წერდა ნევეროვი — მე იმულებული  
ეყიყავი ზოგიერთ გიმნაზიაში რუსული ენისა და ისტორიის მასწავ-  
ლებლის მოვალეობა დამეკისრებინა ისეთ მასწავლებელთათვის,  
რომელთა სპეციალობაც არის მათემატიკა ან ბუნებისმეტყველება“  
(იხ. ცირკ. 1867 წ. ვვ. 9).

თავისთვის ცხადია, თუ რამდენად ნაყოფირად იმუშავებდა  
მათემატიკოსი ან ბუნებისმეტყველი, როგორც რუსული ენისა და  
ისტორიის მასწავლებელი!

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტდამთავრებულნი უაღილოდ  
რჩებოდნენ, რაღანაც მათი სპეციალობის გაკვეთილები გიმნაზია-  
ებში მცირე იყო და ის ორიოდე ახალგაზრდა, რომელიც ამ სპე-  
ციალობით ამთავრებდა კურსს, იმულებული იყო სხვა სპე-  
ციალობის საგნები იელო ან კანკულარიებში ეძებნა სამუშაო,  
ანდა უმუშევრად დაჩიხენილიყო.

\* ЦК КУО. 1868 г. Отчет Неверова.



ასე, მაგალითად, კავკასიულ აღსაჩრდელთაგან ოთხი კაცი, რომელთაც 1860 წელს დაამთავრეს ფინიკა-მათემატიკის ფაფულებრესიკონია ტი, შტატგარეშე მასწავლებლად დაუნიშნავთ გიმნაზიებში უჯამი-გიროთ (იხ. ცირკ. 1867 წ., გვ. 8).

ეს ფაქტი აღასტურებს, რომ თუმცა 60—70-ანი წლების მასწავლებელთა კადრების დიდი სიმცირით ხასიათლება, მაგრამ უმცშევრობას მასწავლებელთა შორის მაინც ჰქონდა ადგილი.

სად მზადდებოდა ქართული ენისა და ლატერატურის მასწავლებელი? რა თქმა უნდა, ასეად. ქართული ენის მასწავლებელს არ მოეთხოვებოდა უმაღლესი სპეციალური განათლება და ანდა სად შეეძლო ასეთი განათლების მიღება, როდესაც საამისო უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა.\*

ქართულ ენას ჩვეულებრივად ასწავლიდა ხუცესი, რომელსაც რაიმე სპეციალური განათლება ამ სავაჭიში არ ჰქონდა.

როგორც ამას ჩვენი სახელოვნი პედაგოგი ი. გოგებაშვილი აღასტურებს, ქართული ენის მასწავლებელთა მომზადების დონე ქართულ ენაში და ლიტერატურაში ძლიერ დაბალი ყოფილა ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „საქალებო გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში გახლავთ ქართული ენის მასწავლებლად ერთი სასულიერო პირი, რომელიც ჩათვლით ძლივსა კითხულობს მხედრულს ხელსა და გრამატიკა და ლიტერატურა ხომ ისე ესმის, როგორც მე და შენ, მკითხველო, იაპონური ენა“.\*

ქართული ენის მასწავლებლის ხელფასი გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სხვა საგნის მასწავლებლისა. უფლებრივად ის არ სარგებლობდა არავითარი უპირატესობით გიმნაზიის სხვა მასწავლებელთან შედარებით. ამიტომ „საცა წყალწალებული, ყველაფერში გამოიუსადეგარი პირი იპოვბა, ივლიან, ივლიან და ქართული ენის მასწავლებლად წამოასკუპებენ“.\*\*\* წერდა და გოგებაშვილი.

რა თქმა უნდა, გოგებაშვილის ეს შეხედულება მთლიანად არ შეიძლება გავრცელდეს გიმნაზიის მასწავლებლობაზე, მაგრამ ნაწილობრივ გიმნაზიასაც შეეხება.

ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზია და თბილისის რეალური სასწავლებელი.

\* პერერბურგის უნივერსიტეტი არსებობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, 1844 წლიდან ქართ. ენის გათედრა. რედ.

\*\* ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტ. I, 1910 წ., გვ. 30.

\*\*\* იქვე გვ. 29.

1 ვაკეთა გიმნაზიაშა ქართულ ენას საწავლიდა (1868—1893 წლებში) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, 60-იანი წლების ქართველი მწერალი წინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პეტრე უმიქამვილი; ხოლო ჩერალურ სასწავლებელში ქართულა ენის მასწავლებლად იყო (1866—1872 წლებში) სახელმოვანი ქართველი მწერალი გ. წერეთელი. უკველია, ამ ორმა სახელმოვანმა ქართველმა მრავალ ახალგაზრდას შთაუნერებს მშობლიური ენასა და სამშობლო ქვეყნის მხურვალე სიყვარული, აღუძრეს კეთილშობილური ზრახვები და დააყენეს ხალხის უანგარო სამსახურის ნათელ გზაზე.

მასწავლებელთა შერჩევისა და დანიშვნის საქმე სასწავლო ოლქის მზრუნველის ფუნქციას შეადგენდა. გიმნაზიის დირექტორს უფლება ჰქონდა კანდიდატურის წამოყენებისა. ამასთანავე ღირექტორის მოვალეობას შეადგენდა ზემდგომი ორგანოებისათვის მიეცა დახასიათება თოთოვეული მასწავლებლის მუშაობისა, ქართვასა და პოლიტიკური მრწამისის შესახებ. მასწავლებლის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა დირექტორისა და ოლქის მზრუნველის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო. ნამდვილი აზრი იმ მოვლენისა, რომ ხელფასის სისტემა განსაკუთრებულ წამახალისებელ ზომებს ითვალისწინებდა მასწავლებელთა ერთ სკოლაში დასამაგრებლად, იმაში მდგომარეობდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მასწავლებლის ერთ ადგილას მუშაობა, აღმინისტრაციის საშუალებას ძლიერდა ყოველმხრივ შესწავლა მასწავლებელი, მისი დადგებითი მხარეები და სუსტი ადგილები.

მთავარი და ასხებითი ხასიათის მოთხოვნილება, რასაც თვითმპყრობელობა მასწავლებელს უყენებდა — ეს იყო ცარიშის ერთგულება, თავდადებული სამსახური მონაბეჭის სასაჩურავლოდ და განსამტკიცებლად.

გიმნაზიის ყოველ მასწავლებელს და თანამდებობის პირს, სამსახურის დაწყებისას, უნდა მიეღო ფიცი; ფიცის მიღება ხდებოდა ოფიციალურად, სკოლის დირექტორის, სასულიერო პირის და ორი-სამი მოწმის თანადასწრებით. ფიცის მიმღები ხელს აწერდა ფიცით აღთქმას (Клятвенное обещание) და ეს დოკუმენტი ინახებოდა უწმიდესი სინოდის კანტორაში. ფიცის მიმღები ვალდებულებას კისრულობდა ღვთის და კანონის წინაშე, ერთგულად ემსახურა მეფე-იმპერატორისა და ტახტის მემკვიდრისათვის.

განათლების მინისტრმა 1879 წლის ნოემბერში გამოსცა სპეციალური განკარგულება: „О мерах к ограничению учебных за-

зведений от преподавателей неблагонадежных в политическом или нравственном отношении".

ამ განკარგულებით განსაკუთრებული ზომები იქნა დასახული პოლიტიკურად არასაიმედო მასწავლებლებისაგან სკოლების დასაცავად.

რას წარმოადგენდა 60—70-იანი წლების მასწავლებლობა იდეოლოგიურად? რა სახის პედაგოგიური იდეების მატარებლები იყვნენ მასწავლებლები? როგორ უცემეროდნენ ისინი პედაგოგურ მოღაწეობას?

უოცელივე ზემოთქმულის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ გიმნაზიის მასწავლებლობის უმრავლესობა კარიბშია ერთგული, მისი საგანმანათლებლო პოლიტიკის ზუსტი გამტარებელი და რესურსი გრამატიკული კლასიციზმის პრაქტიკულად განმხორციელებელი იყო.

მავე დროს შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა შემაღებლობა კაუკასიის საშუალო სკოლებში გაცილებით დაბალი ღირსებისა იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში პედაგოგიური მომზადების მხრივ, ვიზუალური შიდა გუბერნიიების მასწავლებლები.

კავკასიის მასწავლებლებს რუსეთიდან უგზავნიდნენ. ვინ უნდა წამოსულყო რუსეთიდან კავკასიაში? აუცილებლად ის, რომელიც იქ არ გამოტეა, ან ავადმყოფი იყო და სამხრეთში მკურნალობას საჭიროებდა. მხოლოდ მცირე ნაწილი მოემგზავრებოდა კავკასიაში ისეთი, რომელიც მასწავლებლობას ნამდვილად შეეცვალებოდა.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი ნოვომარკვეკი 60-იანი წლების დასაწყისის მასწავლებლობას შემდეგნარიად ახასიათებს:

„გამოირჩეოდნენ რა საქმისაღმი უკიდურესად ფორმალური დამკიდებულებით, უგულებელყოფნენ რა სასწავლებლის წესებს და აცდენდნენ რა გაფართოებს, ზოგიერთმა მათგანმა განათლების წმინდა საქმე პირადი მოგების წყაროდ გადააჭცია და პირი გიმნაზიაში საშინელი დეზორგანიზაცია „შეიტანა“. \*

ამავე მოსაზრებას დასტურებს მზრუნველის საბჭოს 1868 წლის თებერვლის დადგენილება; ამ დადგენილების ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ: „სამწუხარის, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ-ნი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ხელს ჰქილებლენ არა ამ

\* В память пятидесятилетия Тифл. I-й гимназии, стр. 92



საქმის ინტერესებისათვის, არამედ იმის ვარაუდით, რომ ის უკრაინულობი სასკოლო სამსახურის უპირატესობით და ოლი, როგორც მატერიალური უზრუნველყოფის მოპოვებით".

ეს ორი დოკუმენტი, ერთი კერძო ხასიათისა და მეორე ოფიციალური, მოწმობს, რომ ამ პერიოდის მასშიავლებლობა, ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ფორმალურად ექიდებოდა თავის მოვალეობას, გული არ შესტკიოდა ახალგაზრდობის აღნირდა-ვანათლების საქმისათვის, დაინტერესებული იყო მეტი ხელფასის მიღებით, მოვალეობას ჩინოვნიკურად ასრულებდა და სასწავლო-სააღმზრდელო საქმე ნაკლებად აინტერესებდა.

მოვალეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მასშიავლებელთა მხრივ, ყველაზე თვალსაჩინოდ გაკვეთილების სისტემატურ გამოტოვებაში და დაგვიანებაში იჩინა თავი. მაგალითად, 1868 წლის თებერვალში თბილისის კლისიკური გიმნაზიის მასშიავლებლებმა გამოტოვეს 58 გაკვეთილი და დაგვიანებას 13-ჯერ, მარტში გაკვეთილების გამოტოვების 59 შემთხვევებს ჰქონდა აღგილი, ხოლო დაგვიანებისა — 29-ს; აპრილში გამოტოვებულია 34, სექტემბერში 118 გაკვეთილი და ა. შ.

ქუთაისის გიმნაზიიში 1872 წლის განმავლობაში სულ გადასცეს 10.421 გაკვეთილი, გამოტოვებული კი იყო 1614 გაკვეთილი; მავე გიმნაზიიში 1874/75 სასწავლო წლის განმავლობაში სულ გადაცემული იქნა 9334 გაკვეთილი, გამოტოვებული კი 512 და ა. შ.

აღმინისტრაცია მკაცრ ზომებს იღებდა ამ მოვლენათა საწინააღმდეგოდ; გამოტოვებული გაკვეთილის ხელფასი მასშიავლებელს ეკავებოდა. გარდა ამისა, 1867 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარებში პირველ ხანებში ყოველთვიურად და შემდეგში კი წელიწადში ერთხელ ქვეყნდებოდა იმ მასშიავლებელთა გვარები, რომელებმაც გაკვეთილები გამოტოვეს და სამსახურში დაიგვიანეს.

საქმე იქმდისაც კი მიეიღა, რომ მეტის ნაცვალს ყოველდღიურად უგზავნილნენ ცნობებს გაკვეთილების გამოტოვების შესახებ. მაგრამ ეს ზომები საქმარისი არ აღმოჩნდა ამ არანორმალური მდგომარეობის გამოსაწორებლად.

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა, რომ გაკვეთილების ასე მასობრივი გამოტოვება და სისტემატური ხასიათი, მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით აგვესსნა; აյ გარკვეულ როლს სხვა შემთხვევებიც თამაშობდა (მაგ. მასშიავლებელთა გამოძახება სასამართლოში ექსპერტებად, მსაჭულებად და სხვ.). განსაკუთრებით ეს შეეხება ქართული ენის მასშიავლებლებს, რომელთაც სისტემატურად იწვევდა სასამართლო სხვადასხვა დავალებით. მაგრამ მიუხედავად

ყოველივე ამისა, მაინც აშკარა, რომ მასწავლებლობა თავის მოვალეობას მონდომებით არ ეკიდებოდა.

ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე გავარკვიოთ, თუ რა პედაგოგიური პედაგოგიური იდეების მატარებელი იყო ეს მასწავლებლობა?

როგორც ეს ზემოთ აღნიშნეთ, 60-იანი წლები პედაგოგიური იდეათა განვითარების პერიოდი იყო. იმ ფაზთო დისკუსიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იანი წლების განმავლობაში საშუალო განათლების საკითხების გარშემო, კავკასია და ერთოთ საქართველო სათანადოდ გამოიხმაურა.

მაგრამ აქაური მასწავლებლობა დამაყოფილდა ვიწრო წრეში აზრის გამოთქმით, რამაც უკვალოდ ჩაიარა. ასე რომ, ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობას ემხრობოდა გიმნაზიების მასწავლებლობა 60-იანი წლების დისკუსიის პერიოდში. შემდეგი კვლევაძიება ამ საკითხს, ალბათ, მეტ შუქს მოჰქონდა. მაგრამ ჩვენს ხელთაა საქმო მასალები, რომლებიც მათ პრაქტიკულ საქმიანობას ახსათებს და, რაც უფლებას გვაძლევს დავისკვნათ, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის გიმნაზიების მასწავლებლობა ძირითადი ნაწილი რეაქციული მიმღინარეობას მხარეზე იყო.

ამ დებულების დასასაბუთებლად რამდენიმე ფაქტს აღნიშნეთ:

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია 1871 წლის წესდების ცხოვრებაში გატარების შემდეგ დატოვებულ იქნა ნახევრად კლასიკურ გიმნაზიად, სადაც ისწავლებოდა მხოლოდ ლათინური ენა. ბერძნული ენის სწავლება ამ გიმნაზიაში სავალდებულო არ იყო. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებდა მოსწავლე ახალგაზრდობას იმ ზედმეტი ტეირთისაგან, როგორიც იყო ძველი ენები.

1876 წელს ქუთაისის გიმნაზიას VII კლასის მოსწავლეთა ერთ-მა ჯგუფში 9 კაცის რაოდენობით განცხადება შეიტანა პედაგოგიურ საბჭოში და ითხოვა ბერძნული ენის სწავლების შემოღება. პედაგოგიურმა საბჭომ ეს თხოვნა დააქმაყოფილა.

ამ დროიდან იწყება ქუთაისის ნახევრად კლასიკური გიმნაზიის სრულ კლასიკურ გიმნაზიად გარდაქმნა.

ჩვენ ვფაქტობთ, რომ, თუ არა პედაგოგიური საბჭოს და ცალკე პედაგოგების გავლენა, მოსწავლები ისე არასოდეს არ მოისურვებდნენ ზედმეტი საკითხის და ისიც ბერძნული ენის შესწავლას.\*

\* ეს თხოვნა იმით იყო გამოწვეული, რომ უნივერსიტეტის ყუელა ფაზლი ტეტრე ჰქონდათ შესვლის უფლება. რედ.



ყოველად შეუძლებელია, რომ მისწავლებს ეკუთვნოდეთ მარწმუნად  
ცატივა ამ საქმეში.

ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი, ე. ი. ნახევრად კლასიკური გიმ-  
ნაზიის სრულ კლასიკურ გიმნაზიად გადაკეთებისათვის პედაგოგუ-  
რი საბჭოს მიერ მხარის დაჭერა აუცილებლად დამადასტურებელია  
იმასა, რომ ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგთა უმრავლესობა მხარს  
უჭერდა სრულ კლასიკურ განათლებას.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ოლქის მზრუნვე-  
ლის წანაშე აუნებდა საკითხს გიმნაზიიდან მოსწავლეთა ჩამოშო-  
რების მიზნით სათანადო ღონისძიებათა გატარების შესახებ.

დირექტორი მოითხოვდა სასწავლო გადასახადის გადიდებას, მო-  
სამზადებელი განკოფალების პარალელური კლასის გაუქმებას და  
ასაყვადაცილებულ მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვას.

როგორც საესპერიტ სამართლიანად აღნიშნავდა ლენინი განათ-  
ლების სამინისტრო სინამდვილეში დაბნელების სამინისტრო იყო,  
და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ სამინისტროს მიერ ნდობით აღ-  
მურვილი პირი, წყვდიადის გავრცელების ღონისძიებებს სახავდა  
და არა განათლებისას.

ეს ფაქტები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 60—70-იანი  
წლების მასწავლებლობა მოწინავე პედაგოგიური იდეების მატა-  
რებელი არ ყოფილა. პირიქით, ეს მასწავლებლობა რეაქციულ იდე-  
ებს ებრაუშებოდა და გულმოღინედ იცავდა მათ პრაქტიკულ საქ-  
მიანობაში.

რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი, ხელაღებით ყველა მასწავ-  
ლებლისათვის ერთი და იგივე დახასახატები მიგვეცა: ცხადია, მას-  
წავლებელთა შორის იქნებოდნენ მოწინავე ადამიანებიც, თავისი  
საქმის ენთუზიასტები, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლი პი-  
რები, მაგრამ მათი ხელმისამართი წონა ვერ სცვლიდა სკოლაში შექმ-  
ნილ ატმოსფეროს და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის-იმ მიმ-  
დინარებისას, რაც შეპირობებული იყო მაშინდელ სოციალურ ეკო-  
ნომიკური ვითარებით და ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკით.

ამრიგად, პედაგოგიურა კადრების შესახებ საბოლოოდ შეგვიძ-  
ლია აღნიშნოთ:

1) 60—70-იანი წლების განმავლობაში საშუალო სკოლის მას-  
წავლებელთა მომზადების საქმე მოუწესრიგებელი იყო; სასწავლო  
დაწესებულებათა ის ქსელი, რომელსაც დაისრებული ჰქონდა  
ეს მოვალეობა, სრულებითაც ვერ აქმაყოფილებდა მოთხოვნი-  
ლებას.

2) ამიერკავკასიისა და საქართველოს საშუალო სკოლა პედა-  
გოგის აღნიშნოთ:



გოგიურ კადრებს იღებდა რუსეთიდან. ნაწილობრივ მათი მომზადება წარმოებდა კავკასიელ აღსაზრდელთა სახათ რუსეთის სტატუსურია დასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ვერც პირველი და ვერც მეორე საშუალება მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებდა; რუსეთიდან პედაგოგიური ძალების მოწვევა ძნელი იყო, რადგან თვით რუსეთის შიდა გუბერნიიებიც დიდ ნაკლებობას განიცდიდა პედაგოგიური კადრების მხრივ. კავკასიელ აღსაზრდელთაგან პედაგოგიების მეტად მცირე რიცხვი მზადებოდა, რადგანაც გარევეულ ვითარებათა გამო ახალგაზრდები პედაგოგიურ პროფესიას არ ეტანებოდნენ.

3) ამის გამო კავკასიის გიმნაზიები მთელი 60—70-იანი წლების განმავლობაში მასწავლებელთა კადრების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რის შედეგადაც მთელ რიგ შემთხვევებში გიმნაზიის მასწავლებელთა თანამდებობა შეუფერებელ და არაკომპეტენტურ პირებს ეკავათ.

4) მასწავლებელთა შერჩევა ხდებოდა პოლიტიკურ-კლასობრივ ნიშნის მიხედვით. უმთავრესი მოთხოვნილება, რასაც ცარიში უყენებდა მასწავლებელს — იყო: მეფე-იმპერატორისა და ტახტის მემკვიდრის უსაზღვრო ერთგულება, მონარქიის თავდადებული დაცვა.

5) გიმნაზიის მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი რეაქციული იდეოლოგიისა და დახაცსებული, დრომოშემული პედაგოგიური იდეების მატარებელი იყო. ამასთანავე ეს მასწავლებლობა არაეთილისინდისიერ დამოკიდებულებას იჩენდა თავისი მოვალეობისადმი, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას საქმისადმი, რის შედეგადაც პედაგოგიური პროფესიის ნორმალური მიმღინარეობა ფერხდებოდა. ყოველგვარი აღმინისტრაციული და მორალური ზემოქმედების ზომები ამ მასწავლებელთა წინააღმდეგ უმნიშვნელო შედეგს იძლეოდა.

## თ ა ვ ი VI

### მაართალობა

60-იანი წლების დასაწყისისათვის კავკასიაში განთლების დაწუში 1853 წლის დებულება მოქმედობდა. ამ დებულების საფუძველზე კავკასია წარმოადგენდა ტალკე სასწავლო ოლქს. ოლქის სათავეში იდგა მზრუნველი ბაზონ ნიკოლაის სახით. სასწავლო ოლქი დაყოფილი იყო დირექტორისად. მთელი ამიერკავკასია ორ



დირექტიას შეადგენდა: თბილისისა და ქუთაისის. თბილისის დირექტორი აერთიანებდა აღმოსავლეთ საქართველოს და აზერბაიჯანის კუთაისის დირექტიაში შედიოდა დასავლეთ საქართველო, სომხეთი და აგრეთვე ახალციხე.

დირექტიაში შემავალი სკოლების ხელმძღვანელობა სასწავლებელთა დირექტორს ევალებოდა, რომელიც ამავე დროს გიმნაზიის დირექტორი იყო. გიმნაზიას საგუბერნიო გიმნაზია ეწოდებოდა, რადგანაც გუბერნიაში შემავალ სასწავლებელთა ხელმძღვანელობა მას ეკისრებოდა.

გიმნაზიის დირექტორი, ბუნებრივია, რომ დატვირთული იყო დირექტიას საქმეებით და საქმაო დროს ვერ უთმობდა გიმნაზიას. ამიტომ, ფაქტურად გიმნაზიას განაგებდა ინსპექტორი, რომელიც დირექტორის მოადგილედ ითვლებოდა გიმნაზიაში.

სასწავლებელთა დირექტორს მხოლოდ ტექნიკური აპარატი ჰქონდა; სკოლების მუშაობის ადგილზე შემოწმება მას უშუალოდ უნდა ეწარმოებინა გიმნაზიის მასწავლებელთა და ინსპექტორის დახმარებით.

აშკარაა, რომ ასეთ პირობებში, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ სატრანსპორტო საშუალებებსაც, გიმნაზიის მუშავები ზანგრძლივი დროით ანებებლნენ თავს გიმნაზიაში მუშაობას და სკოლების შესამოწმებლად მიდიონდნენ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სომხეთის მიუსთვნება ქუთაისის დირექტიაზე, თუ არას ვიტყვით ახალციხეზე, განსაკუთრებით ართულებდა მღვამარეობას და ხელმძღვანელობის პირობებს.

მართალია, სასწავლებელთა დირექტიაში შემავალი სკოლების ქსელი დიღი არ იყო, თბილისის დირექტია სულ 15 სასწავლო ერთეულს და ქუთაისის — 11-ს აერთიანებდა, მაგრამ ეს ქსელიც გარევეულ დროს და ენერგიის მოითხოვდა ხელმძღვანელობისათვის; მით უმეტეს, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა; დირექტიას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ეკლესიებთან, მონასტრებთან, საზოგადოებათა ხარჯზე არსებულ და აგრეთვე, კერძო სკოლებისათვის.

პროგრამებს, სასწავლო გეგმას, სახელმძღვანელო ინსტრუქციებს სკოლების მუშაობის ყოველგვარ საკითხზე სასწავლო ოლქი აწვდიდა სკოლებს, პედაგოგიური კადრების შეჩრევა და განაწილება, სკოლების ბიუჯეტის შედგენა, სასწავლო მოწყობილობა და სახელმძღვანელოები და მთელი რიგი სხვა საკითხები სასწავლო ოლქის კომპეტენციაში შედიოდა. სასწავლებელთა დირექტორები ასეთ საკითხებისაგან ასე თუ ისე განტვირთული იყვნენ.



მაგრამ 1860 წელს მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ სასწავლუმართა თაობი გააუქმა, ბარონ ნიკოლაი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და სასწავლებელთა ხელმძღვანელობა მთლიანად სასწავლებელთა დარეკტორებს დაკისრა.

სასწავლო ოლქის ახალი დებულება დამტკიცებული თვეთონ ბარიატინსკის მიერ 1860 წლის 2 ივნისს ითვალისწინებდა სასწავლო დარგის საერთო ხელმძღვანელობას მეფის ნაცვლის მიერ სხვა დარგების თანაბრად. მეფისნაცვლის სამმართველოში შეიქმნა მაგიდის უფროსის თანამდებობა, იმ მიწერ-მოწერის საწარმოებლად, რაც განატლების საქმესთან იყო დაკავშირებული.

უშეალო ხელმძღვანელობა სასწავლო ნაწილის სასწავლებელთა დირექტორებს დაკისრა. სასწავლებლის დირექტორი სამოქალაქო გუბერნატორის თანაშემწედ იქნა აღიარებული სასწავლო დარგში; დირექტორი ყოველგვარ სკოთხს სამოქალაქო გუბერნატორის წინაშე აყენებდა და მას უთანხმებდა. სამოქალაქო გუბერნატორი თავის მხრივ სამხედრო გუბერნატორს ემორჩილებოდა, აქედან სკოთხი მეფის ნაცვალთან გადადიოდა და ამგვარად მთელი ბიუროკრატიული კიბე იქმნებოდა.

როგორი მნიშვნელობა ჰქონდა და რა შედეგი მოჰყვა სასწავლო ოლქის გაუქმებას?

უპირველესად ყოველისა დირექტორი მოწყდა გიმნაზიას, გმინაზიის ინსპექტორი და მასწავლებლობაც საგრძნობლად დაიტვირთა დირექციის საქმეებით. შესუსტდა ხელმძღვანელობა გიმნაზიაზე და გიმნაზიების მუშაობის ხარისხი ცველა დარგში დაეცა.

თითოეული დირექცია დამოუკიდებლად მოქმედებდა საერთო ხელმძღვანელობის გარეშე; ამის შედეგად ერთი და იმავე ტიპის სასწავლო დაწესებულება სხვადასხვა დირექციებში სხვადასხვანაირად მუშაობდა; სასწავლო დისკიპლინებში თითოეულ სკოლაში თავისებური პროგრამა იქმნებოდა. ეს პროგრამები განხევდებოდა ერთომეორისაგან და საერთოდ გიმნაზიების პროგრამებისაგან; იცვლებოდა სასწავლო გეგმაც. დასასრულ, საქმე იქმდე მიეიღა, რომ შეუძლებელი გახდა მოსწავლის გადასცვა ერთი სკოლიდან იმავე ტიპის სხვა სკოლაში, ერთი დირექციიდან — მეორე დირექციაში.

გუბერნატორები თავს თვლიდნენ სასწავლო დარგის სრულ ბატონპატონად და უხეშად ერეოდნენ სკოლის საქმეებში, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, დირექტორები მთელ რიგ შემთხვევაში ილაშქრებდნენ უმართებულო განკარგულებათა წინააღ-



მდეგ, რაც იშვევდა დამუკიდებულების გამწვავებას აღმინიჭა სამართლებულების კიასა და სასწავლო დარგის მუშავთა შორის.

გიგანტური იმპერია

ამას ის გარემოებაც დაემატა, რომ კავკასიაში არსებულ ორ დირექციაში არც ერთს არ აღმოაჩნდა ღირსეული ხელმძღვანელი; ქუთასის დირექციის სასწავლებელთა დირექტორი (1861 წლიდან — 1865 წლამდე) პეჩინი ივალმყოფი კაცი იყო, სპეციალურად სამუზრნალოდ ჩამოსული რუსეთიდან. ის მეტ დროს თავისი ჯანმრთელობის აღდგენის საქმეს ანდომებდა, ვიდრე სასწავლო დარგს.

თბილისის დირექციის დირექტორი გამფლანგველი აღმოჩნდა; მან სკოლებისათვის გამოყოფილი დირექციის თანხები თვითონ მიითვისა და სკოლები კი აუტანელ მატერიალურ პირობებში ჩაიყვნა.

ამრიგად, ამიერკავკასიაში არსებული ორივე დირექცია ფაქტურად ხელმძღვანელობას მოკლებული აღმოჩნდა. ასეთ პირობებში ადგილობრივი მმართველობის მხრივ თვითნებობას, აღმინისტრირებას და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში უხეშ ჩარევას უნდა ქვემოდა აღილო.

ეს ასედაც იყო.

ყველა წყარო ერთხმად აღიარებს, რომ 60-იან წლებში თბილისისა და ქუთასის გიმნაზიები იმდენად დაეცა და დაქვეითდა, როგორც არასოდეს. წინათ შექმნილი მატერიალური ბაზა განადგურდა; იყალების წარმატება, ისედაც არასახარბიერო, საშინაოდ დაქვეითდა; უდისციპლინობამ მოსწავლეთა შორის თავის მწვერალს მიაღწია.

სასწავლო დარგი მძიმე და კრიტიკულ პირობებში აღმოჩნდა.

ასეთი იყო მღვიმარეობა, როდესაც მეფისნაცვლად იმპერატორი ალექსანდრე II-ის ძმა მიხეილ ნიკოლოზის-ძე დაინიშნა.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე 1862 წელს შეუდგა მეფისნაცვლის მოვალეობის ასრულებას. პირველ ხანებში მან ყურადღება არ მიაქცია სასწავლო დარგში შექმნილ მღვიმარეობას, მაგრამ 1864 წელს მისთვის უკვე ნათელა შეიქნა, რომ სასწავლო დარგს კავკასიაში აუცილებლად ესაკიროებოდა ხელმძღვანელი ორგანო და გადასწყვიტა სასწავლო ოლქის აღდგენა.

პირველ ხანებში მან ფინანსურ მოსაზრებათა გამო, სასწავლო ოლქის მთავარი ინსპექტორის თანამდებობა შექმნა, ხოლო 1867 წლიდან ოლქის მზრუნველის თანამდებობაც წინანდელ უფლებებსა და პირობებში აღადგინა.

ოლქის ინსპექტორის თანამდებობაზე 1864 წლის მაისიდან სტავროპოლის გიმნაზიის დირექტორი ნევეროვი დაინიშნა. წლის 160



ბოლომდე ნევეროვი საქმეების ჩაბარებას მოუწია და ფარტიულოცხლისა  
ჩად სასწავლო დარგის ხელმძღვანელობას 1865 წლის დასაწუმდებითითია  
სიდან შეუდგა.

მმრიგად, ბარიატინსკის მიერ გატარებული ყოვლად გაუმართ-  
ლებელი და რუსეთის იმპერიაში პრეცენდენტის აზმქონე ლონის-  
ძება — სასწავლო ოლქის გაუქმება, რამაც დიდი ზიანი მიაყენა  
სასწავლო დარგს საერთოდ და განსაკუთრებით გიმნაზიებს, ოთხი  
წლის შემდეგ შესაცვლელი შეიქმნა. საქმიანისი აღმოჩნდა ეს მოქ-  
ლე დროც, რომ მისი უარყოფითი შედეგი თვალსაჩინო ყოფილი-  
ყო ყველასათვის და მათ შორის კავკასიის აღმინისტრაციისა-  
თვისაც.

1867 წლის 25 ივნისს დამტკიცებული იქნა „კავკასიისა და  
ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის დებულება“. მი ახალი დებუ-  
ლებით სასწავლო ოლქი დაკანონებული იქნა. კავკასიიში შეიქმნა  
ერთი ახალი დირექცია — ბაქოსი და ერთი ინსპექცია — ერევნისა.  
თბილისისა და ქუთაისის დირექციებს ჩამოშორდა აშერბაიჯანისა  
(ნაწილობრივ) და ოქთის სკოლები. თბილისის გიმნაზიის დი-  
რექტორი განთავისუფლებულ იქნა დირექციის სკოლების ხელ-  
მძღვანელობისაგან და ეს მოვალეობა ქ. თბილისში ახლადშექმნი-  
ლი რეალური გიმნაზიის დირექტორს დაკისრა.

მმრიგად, 1867 წლის დებულებამ გიმნაზიის დირექტორები  
მნიშვნელოვნად განტეირთა დირექციის სკოლების ხელმძღვანე-  
ლობისაგან და თბილისის კლასიური გიმნაზიის დირექტორი  
სრულებით გაათავისუფლა მი მოვალეობისაგან.

ეს აუცილებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო იმ მიმართულე-  
ბით, რომ დირექტორი არ ყოფილიყო დატვირთული სხვა საქ-  
მებით და მთელი დრო და გულისყური მხოლოდ გიმნაზიისაც ენ-  
მიეპყრო. მართალია, 1867 წლის დებულებამ მთლიანად ვერ უზ-  
რუნველყო ასეთი მდგომარეობა, მაგრამ 1867 წელს ამ მხრივ გა-  
დაღმული ნაბიჯი მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა საქმეს.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ რუსეთში 1864 წლის წესდების  
საფუძველზე ცალკე დირექტორების შტატი იყო დაწესებული  
სახალხო სკოლების დირექციებში. სკოლების დირექტორებს ცალ-  
კე აპარატი ჰყავდა, გიმნაზიის დირექტორი კი ამ მოვალეობისა-  
გან თავისუფალი იყო.

კავკასიიში ეს დიდი მოვალეობა მაინც გიმნაზიის დირექტო-  
რებს შერჩათ, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხარჯების ეკონომიით  
იყო გამოწვეული.

ასეთი მდგომარეობა უცვლელად დარჩა 1874 წლიდე;



დროიდან შეიქმნა ქ. ობილისში სახალხო სკოლების დირექტორული  
ქ. ქუთაისში სახალხო სკოლების ინსპექცია და გრმაზის დირექტორული  
ტორები განთავისუფლებულ იქნენ მათი არაპირდაპირი მოვა-  
ლეობისაგან.

თოთოეულ გიმნაზიასთან, პროგიმნაზიასთან და რეალურ სას-  
წავლებელთან არსებობდა საპატიო მზრუნველის თანამდებობა.

საპატიო მზრუნველის გამოყოფას ჭერ კიდევ კივეასის სას-  
წავლო ნაწილის 1829 წლის დებულება ითვალისწინებდა. 60—  
70-იანი წლების განმავლობაშიც დარჩა ეს თანამდებობა გარკვეუ-  
ლი უფლებებითა და ფუნქციებით.

საპატიო მზრუნველის გამოყოფის უფლება მინიჭებული ჰქონ-  
და იმ წოდებას და საზოგადოებას, რომელიც განსაზღვრულ თან-  
ხას გაიღებდა სკოლის ან სკოლასთან არსებული პანსიონის სა-  
სარგებლოდ. მაგრამ გარდა ამისა, საპატიო მზრუნველიად დაინიშ-  
ნებოდა ესა თუ ის პირი — უშუალოდ მთავრობის მიერ, თუ თვი-  
ოთონ საპატიო მზრუნველი შეიტანდა ყოველწლიურად სკოლის სა-  
სარგებლოდ 600 მანეთს ან შეინახვდა 6 სტიურნილიანტს.

ასეთ პირობებში სასწავლო დაწესებულებას შეიძლებოდა ჰყო-  
ლოდა რამდენიმე საპატიო მზრუნველი.

საპატიო მზრუნველს ევალებოდა საერთო მეთვალყურეობა  
და კონტროლი გაეწია სკოლის მუშაობისა და იმ თანხების ხარ-  
ვაზე, რომლებიც საზოგადოებას შექვენდა სკოლის სასარგებ-  
ლოდ.

საპატიო მზრუნველი მონაწილეობას იღებდა პედაგოგური  
საბჭოს მუშაობაში და თავმჯდომარის შემდეგ მას პირველი აღ-  
გილი ეკუთვნიდა.

მზრუნველს ამ თანამდებობის შესრულებასთან დაკავშირებით  
განსაზღვრული ჩინი და მუნიცირი ენიჭებოდა.

საპატიო მზრუნველის დანიშვნა და განთავისუფლება ფორმ-  
დებოდა სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით.

საპატიო მზრუნველი ასე თუ ისე საზოგადოების წარმომად-  
გენელი იყო სკოლაში: საზოგადოების მონაწილეობა სკოლის  
ცხოვრებაში მიუღებელი იყო ცარიშმისათვის. ამიტომაც, საპა-  
ტიო მზრუნველის მოვალეობა მხოლოდ ფორმალური ხასიათისა  
იყო და რაიმე გავლენა სკოლის ცხოვრებაზე მას არ შეეძლო  
მოეხდინა.

ეს თანამდებობა უმთავრესად იმ მიზნით იყო შექმნილი, რომ  
ამ გზით საზოგადოებას სახსრები გაეღო სკოლის შესანახად.



გიმნაზიის დირექტორი ინიშნებოდა განათლების მინისტრის მიერ სახულებო ოლქის მზრუნველის წარდგენით.

გიმნაზიის დირექტორს აუცილებლად უშალლესი განათლება უნდა ჰქონოდა და განათლების დარგში მუშაობით უნდა „მიე-პყრო აღმინისტრაციის ყურადღება“.

გიმნაზიის დირექტორს ეკისრებოდა სრული პასუხისმგებლობა გიმნაზიის მთელი მუშაობისათვის და მას ემორჩილებოდა გიმნაზიაში მომუშავე ყველა თანამდებობის პირი.

დირექტორს, 1864 წლის წესდებით, არ ევალებოდა საგნის სწავლება, მაგრამ, თუ თავისი სურვილით და მზრუნველის ნებართვით იღებდა რომელიმე საგანს, მისათვის მას გასამრჯელო არ ეძლეოდა. 1871 წლის წესდებით კი სავალდებულოდ იქნა აღიარებული, რომ დირექტორს ეკისრნა რომელიმე სევნის სწავლება. მას შეეძლო იელო არა უმეტეს 12 საათისა კვირაში და ამ საათებისათვის ის იღებდა გასამრჯელოს სხვა მასწავლებელთა თანაბრად.

დირექტორი თავმჯდომარეობდა გიმნაზიის პედაგოგურ საბჭოს სამეურნეო კომიტეტს.

პროგიმნაზიის სათავეში იდგა ინსპექტორი, რომელიც დირექტორის ყველა უფლებით სარგებლობდა პროგიმნაზიის მიმართ.

გიმნაზიის დირექტორის თანამებრძის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული გიმნაზიის ინსპექტორის. ინსპექტორი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას გიმნაზიაში, ემორჩილებოდა გიმნაზიის დირექტორს და ცვლიდა მას იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორი არ იმყოფებოდა გიმნაზიაში. გიმნაზიის ინსპექტორის სავალდებულო წესით უნდა ესწავლებინა რომელიმე საგანი გიმნაზიაში, ხოლო არა უმეტეს 12 საათისა კვირაში, რისთვისაც მას სათანადო გასამრჯელო ეძლეოდა.

საერთოდ გიმნაზიის დირექტორი მთავრობის მიერ ნდობით აღუშრვილი და უფლებამოსილი პირი იყო: მასწავლებელთა დანიშვნის, დაწინაურების, დაჯილდოების, მოხსნის და ჩამოქვეითების საქმე მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული, თუმცა უშუალოდ მზრუნველის გარეშე მას არ შეეძლო ამ მხრივ რამე ლონისძიების გატარება, მაგრამ როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, მისი მოსაზრებები მუდმივ მტკიცდებოდა მზრუნველის მიერ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიმნაზიის მართვა-გამგეობის საქმე მეტისმეტად ცუნტრალიზებული იყო. დირექტორს სკორდებოდა თითქმის ყველა საკითხზე ოლქის მზრუნველის ნებართვა. მზრუნველს თავის მხრივ ან მეფის ნაცვლისაგან და ან განათლე-



ბის სამინისტროსაგან უნდა მიეღო სანქცია და ამრიგად შემსწორებული იყო მთელი ბიუროკრატიული კიბე.

საილუსტრაციოდ ავიღოთ პანსიონში ჩარიცხვის წესი. პანსიონში ჩარიცხვის მსურველთაგან დგებოდა კანდიდატთა რიგითი სია, რომელსაც აზარმოებდა ოლქის მთავარი ინსპექტორი და შემდეგში კი მზრუნველი. კანდიდატთა ჩარიცხვა დამოკიდებული იყო მეფის ნაცვალზე.

განთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე პანსიონში ჩაირიცხებოდა ის, ვისაც კანდიდატთა სიის მიხედვით უწევდა რიგი. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატთა რიგითი სია განხილული და დამტკიცებული იყო მეფისნაცვლის მიერ, ადგილის განთავისუფლების შემთხვევაში დირექტორს აჩ შეეძლო მორიგი კანდიდატის ჩარიცხვა. ეს საყითხი ჯერ უნდა განეხილა პედაგოგიურ საბჭოს, საბჭოს დადგენილება წარედგინებოდა ოლქის მზრუნველს და მისი დასტურის შემდეგ ხდებოდა კანდიდატთა სიიდან იმ პირის ჩარიცხვა, ვისაც რიგი უწევდა. პანსიონიდან გარიცხვაც მხოლოდ სასწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით შეიძლებოდა.

კლასის დამტკიცებელთა გამოყოფა მასწავლებელთაგან, ბიბლიოთეკის გამგის დანიშვნა, გაკვეთილების განაწილება და პედაგოგიური საბჭოს თითქმის ყველა დაღვენილება და სხვა ოლქის მზრუნველის მიერ მტკიცდებოდა.

დირექტორს არ ჰქონდა ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი ოლქის მზრუნველის ნებართვის გარეშე; ოლქის მზრუნველი თავის მხრივ მეფის ნაცვალზე იყო დამოკიდებული და ა. შ.

სკოლების ხელმძღვანელობის მთავარ სახეს წარმოადგენდა სკოლების დათვალიერება-გამოკვლევა და წერილობითი ინსტრუქციები და ცირკულარები.

როგორც წესი, წლის განმალობაში ერთხელ ხდებოდა გიმნაზიების, პროგიმნაზიებისა და რეალური სკოლების დათვალიერება და გამოკვლევა ოლქის ინსპექტორისა და ოლქის მზრუნველის მიერ.

სკოლის გამოკვლევა ხდებოდა ყოველმხრივ და საფუძვლიანად. გამოკვლევის ობიექტი იყო როგორც სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, ისე სკოლის სამეურნეო მხარე.

ჩვენს განკარგულებაში არ არის საქმარისი მასალები გამოკვლევის მეთოდის გამაცნობად, რის გამო ჩვენ მხოლოდ გამოკვლევის სისტემატური და ყოველმხრივი ხასიათი შეგვიძლია აღვნიშნოთ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ აღმინისტრაციის



უმაღლესი მოხელეები: მეფისნაცვალი, შისი მოადგილე და გუბერნატორი ბერნატორები დროგამოშეებით ეწვეოდნენ ხოლმე სკოლებს, ზოგჯერ გაკვეთილებსაც კი და თვითონ აძლევდნენ შეკითხვებს მოწაფეებს.

წერილობითი ხელმძღვანელობის დარგში დიდ როლს ასრულებდა კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარები, რომლებიც 1867 წლიდან გამოდიოდა.

ცირკულარებში იბეჭდებოდა ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები, სახელმძღვანელო მასალა, პროგრამები, სასწავლო გეგმები და სხვ.

ცირკულარებში ქვეყნდებოდა სკოლის მუშაობის დამახასიათებელი დოკუმენტები, ზოგიერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ოქმები, სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშები და ზოგჯერ ამონაწერებიც სკოლის ანგარიშებიდან.

ცირკულარებში იბეჭდებოდა პედაგოგიური ხასიათის წერილებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილი ცირკულარებში ძლიერ სუსტად იყო წარმოდგენილი.

გიმაზიის დირექტორი ყოველწლიურად უდგენდა წერილობით ანგარიშს ოლქის მზრუნველს. მაგრამ ეს ანგარიშები საერთოდ სქემატური ხასიათისა იყო, მცირე კონკრეტულ მასალას შეიცვადა, დალებით მხარეებს აზვალებდა და უარყოფითს ჩქმალავდა, მაგრამ მაინც ანგარიშების ეს სისტემა უეჭველად აღსანიშნავია, როგორც დაღებითი მოვლენა.

### გამოყენებელი ლიტერატურა და ნიაზობი

1. Ленин В. И.—Сочинения, издание третье, I, II, IV, V, XV, XIII, XVI и XXX.
2. Ленин В. И., Сталлин И. В. „О мелодеми,” Партиздат ЦК ВКП(б), 1936 год.
3. ლ ე ნ ი ნ ი—სახალხო განათლების შესახებ, თბილისი, სახელგამი, 1936 წ.
4. ს ტ ა ლ ი ნ ი—ლენინიზმის საექითხები, თარგმანი მეთერიტეტ რუსული გამოცემით, სახელგამი, 1939 წ.
5. საკავშირო კომიტეტის პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის რედაქციით, ქართ. გამოცემა, სახელგამი, 1938 წელი.
6. Сталлин И. В.—Марксизм и национально-колониальный вопрос; Партиздат ЦК ВКП(б), 1936 год.
7. Медынский Е. Н.—История русской педагогики, изд. 2-ое, Учпедгиз, Москва, 1938 г.
8. Медынский Е. Н.—История педагогики, ч. I, Учпедгиз, Москва, 1938 г.
9. Шмидт Е.—История средних учебных заведений в России, С. Петербург, 1878 г.
10. Каптерев П. Ф.—История русской педагогики, изд. Богдановой, С. Петербург.



11. А л е ш и н ц е в — История гимназического образования в России. 1912 г.
12. Р о ж д е с т в е н с к и й С. В. — Исторический обзор деятельности МНП за 1802—1902 гг., С. Петербург, 1902 г.
13. Р од ник о в В. — История русской педагогики, Киев, 1914 г
14. Ш м и дт — История педагогики, т. IV, ч. II, изд. 1881 г.
15. Ф р а н с у а Г е — История воспитания и образования, 1912 г.
16. Ц и г л е р Т. — Руководство по истории педагогики, 1911 г.
17. М онро П. — История педагогики, I и II тома, 1923 г.
18. П и р о г о в — Сочинения, т. I, Киев, 1914.
19. У ш и н с к и й — Собрание педагогических сочинений, т. I, изд. 1913 г., т. II, изд. 1913 г.
20. Д е б р о л ю б о в Н. А. — Собрание сочинений, под ред. Аничкина.
21. П и с а р е в — Поля. собрание сочинений, т. IV, изд. 6-ое, 1914 г.
22. Г р а н о в с к и й — Сочинения, т. II, изд. Солдатикова.
23. С п е н с е р Г е р б а р т — Воспитание умственное, нравственное и физическое, Москва, 1900 г.
24. Хрестоматия по истории педагогики, Сводковский, т. I, Учпедгиз, 1938 г.
25. Хрестоматия по истории педагогики, Желвановский, т. IV, Учпедгиз, Москва, 1936 г.
26. Педагогика под редакцией проф. Каирова, Учпедгиз, 1939 г.
27. Р у б я и ш т ей С. Л. — Основы психологии, Учпедгиз, Москва, 1935 г.
28. История СССР, т. II, под редакцией проф. Нечкиной, Соцэгиз, Москва, 1940 г.
29. История XIX века, под редакцией профессоров Лависса и Рамбо, т VII, Соцэгиз, Москва, 1939 г.
30. о. г т გ զ ձ ձ ա Ց զ ո լ ո — Ի ն ք յ շ լ ո ւ ն ։ Ե ր դ ա ց ո ց ո յ շ ր ո ւ ն ։ Զ ե մ լ ո ւ լ ո ւ ս կ յ շ ր ո ւ ն ։ Բ ա յ շ յ ր ո ւ ն ։ Ծ ո մ թ 1, տ օ լ ո ւ ս ո ւ ն, 1910 թ.
31. o. վ ա զ շ ա ց ա ց ա ց ։ Ե ր դ ա ց ո ց ո յ շ ր ո ւ ն ։ Ծ ա ծ լ ո ւ ն ։ Տ ա յ ն ո ւ ն ։ Վ ա յ լ ո ւ ն ։ Հ ա յ լ ո ւ ն ։ Շ ա յ լ ո ւ ն ։ Խ ո ն ա ս ո ւ յ ա մ ո ւ ն, 1938 թ.
32. Յ հ ո ւ գ. Ց ա ց ե ն ց ի լ ո ւ ն ։ Ա յ լ ո ւ ն ։ Գ ա ն ա տ լ ո ւ ն ։ Օ ս տ ո ւ ր ո ւ ս ա շ ա տ ո ւ ն ։ Տ ա յ ն ո ւ ն ։ Վ ա յ լ ո ւ ն ։ Խ ո ն ա ս ո ւ յ ա մ ո ւ ն, 1938 թ.
33. Յ հ ո ւ գ. Ց ա ց ե ն ց ի լ ո ւ ն ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ Խ ի մ ա կ ա մ ո ւ ն ։ Խ ո ն ա ս ո ւ յ ա մ ո ւ ն, 1940 թ.
34. Մ շ ա յ լ ո ւ ն ։ Ա լ մ շ ա յ լ ո ւ ն ։ Օ ս տ ո ւ ր ո ւ ն ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ Մ ա ս ա լ ա տ ա ։ Կ ր ե ծ յ լ ո ւ ն ։ Ե ր դ ա ց ո ց ո յ ։ Տ ա յ ն ո ւ ն ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ 1937 թ. տ օ ւ ն.
35. Ռ. հ ե ր ո ւ ա ։ Մ ա ս ա լ ո ւ ն ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ Վ ա յ ա ս ո ւ ն ։ Օ ս տ ո ւ ր ո ւ ս ա շ ա տ ո ւ ն ։ Խ ո ն ա ս ո ւ յ ա մ ո ւ ն, 1938 թ.
36. Ը հ. Ֆ է բ գ ա ց ։ Ա ր մ ա ն ։ Օ ս տ ո ւ ր ո ւ ս ա շ ա տ ո ւ ն ։ Ե ռ լ ո ւ ր ո ւ յ ա ։ Ս ա յ ա ր տ ց լ ո ւ ն ։ 1940 թ.
37. Ч е х о в Н. В. — Народное образование в России с 60-х годов XIX века, изд. 1912 г.
38. М о д з а л е в с к и й — Ход учебного дела на Кавказе и за Кавказом с 1802 года по 1880 год.
39. Н о в о м а р о в с к и й — Краткий отчет пятидесятилетия Тифлиской I-й гимназии.
40. Ж у р н а л — „Вестник воспитания“ — 1896 г., № 6 и № 1.
41. Ж у р н а л — „Советская педагогика“, 1917 г. № 2.
42. Извлечение из всеподданнейшего отчета МНП за 1871, 1872, 1873 и 1874 года.



43. ЖМНП—1865 год, СХШ, 1867 г., СХХХIII, 1861 год все тома, с СХХIV, 4, 51, 1867 и 1868 гг. СХХХIX, 4, СХХХVII—81, 1866 г. СХХI, I.
44. Журнал—„Русский вестник“, 1879 г., за июнь м-и.
45. Журнал—„Русская школа“, - 1890 г. ст. Бантерева.
46. Журнал—„Русский архив“, 1899 г., № 8, ст. б-на Николай.
47. Сборник распоряжений Кавказского учебного округа—1867, 1871 гг. 1872—1876 гг., 1877—1881 гг.
48. Памятная книжка Тифлисской II-й гимназии за первые 9 лет существования.
49. Отчет о состоянии Тифлисской 1-й гимназии за 1886 г.
50. Тифлисская классическая гимназия, программы учебного курса на 1869—70 уч. год.
51. Памятная книжка Кавк. уч. округа за 1879 г.
52. Тифлисская мужская прогимназия. Краткий отчет за 1890 г.
53. Тифлисская губернская гимназия за 1859 год.
54. Отчет о состоянии Тифл. 1-й гимназии 1890 г.
55. Кавк. Уч. Округ; отчет по управлению Тифл. женской гимназии и прог. за 1873 г.
56. Стойнов — Отчет о состоянии Кутансской гимназии за 1884 г.
57. В память пятидесятилетия 1-й Тифл. муж. гимназии.
58. Акты Кавказского Археол. комиссии т. т. XI и XII.
59. Циркуляры Кавказского Учебного Округа, все номера, начиная с 1867 года по 1881 год включительно.
60. „Оисъяръ“—1861, 1862, 1863, 8865, 1866, 1867, 1869, 1871, 1874 Վլցիօն բամբակ.
61. „Արթօնություն“—1871 Վ. №№ 2, 3, 5, 1873 Վ. № 8.
62. „Պատրիոտ“—1877 Վ. №№ 2, 7, 11, 12, 32, 33, 34, 35, 36, 37. 1878 Վ. №№ 2, 5, 43, 44, 45. 1879 Վ. №№ 1, 4, 5, 6, 7, 8. 1880 Վ. № 4. 1881 Վ. №№ 2, 7, 11, 12. 1882 Վ. №№ 2, 6, 7, 8. 1883 Վ. №№ 11.
63. „Հօդօքություն“—1891 Վ. № 2.
64. Статистические сведения по учебным заведениям Кавказск. Учебного Округа, за 1879—1893 г.
65. Журнал „Учителя“, 1869 г., № 548.
66. Журнал „Отечественные записки“, декабрь 1860 г.
67. Сборник сведений о Гавказе, т. VII, 1880 год, г. Тифлис.
68. Արթօն. արյուղը մասնակցեց.
- Պատճեն 107, Կյանք—ծ; Խայթօն Նոն 57, 87, 147, 150, 163, 192, 244, 360, 404, 413, 449, 465, 473, 483, 487, 503, 556, 575, 595, 630, 673, 712, 755, 787, 807, 832, 883, 1005, 1068, 1072, 1080, 1087, 1096, 1098, 1234, 1237, 1197, 1327, 1329, 1387, 1451, 1500, 1563, 1662, 1668, 1895, 1881, 1942, 1946, 2182;
- Պատճեն 107, Կյանք.—ծ—Խայթօն Նոն 780 գր. 1869.

## ს ა რ ჩ ი ვ ი ზ ი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარება საშუალო განათლების საკითხებზე . . . . .	83.
საშუალო სასწავლებელთა ქსელი, მოსწავლეთა კონტინგენტი, ორგანიზაციული საკითხები . . . . .	34
სწავლების შინარსი და მეთოდები . . . . .	63
აღმზრდელობითი მუშაობა . . . . .	120
პედაგოგიური კადრები . . . . .	142
მმართველობა . . . . .	157
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები . . . . .	165



რეფაციური პროფ. ტ. ხუნდაძე  
ტექნიკური ტორი ჭ. დამინისტრი  
კომისიურორი მ. ჯაფარიძე

---

პელიოდური დასაბეჭდად 18|X—50 ფ. უ 05643: ანაწყობის ზომა 6×10.  
ქალ. ზომა 60×92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. = 10,5 საალტ.-საგამომც.  
ფორმა = 9,45. საალტორო ფორმა = 9,07. შეკვეთის № 914. ტირ. 2000.

---

გამომცემულია „საბჭოთა მწერალის“ სტამბა. თბილისი, პლეხანვის პრ., 181.

Задача 10 Зад.

232/141



С. СИГУА

ИСТОРИЯ СРЕДНЕГО ОБРАЗОВАНИЯ В ГРУЗИИ  
(на грузинском языке)

Издательство Института педагогических наук Министерства  
просвещения Грузинской ССР

Тбилиси  
1950